უნიკალური რეგისტრირებული მომხმარებლები

+6% წ/წ
1,701 K
ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლები

+14% წ/წ
1,050 K
ციფრული MAU

+17% წ/წ
494 K
ციფრული DAU


+1 პპ წ/წ
47%
ციფრული DAU/MAU

-4 პპ წ/წ
63%
NPS[5]


1 საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ ანალიტიკურ ინსტრუმენტში Tableau 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.
2 შეფასების ალტერნატიული მაჩვენებლების (APM) განმარტებები და დეტალური გაანგარიშება მოცემულია „შესრულების ალტერნატიული მაჩვენებლების" ქვეშ.
3 ზრდა მუდმივ ვალუტაში.
4 მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს.
5 საცალო მომხმარებლების ლოიალობის ინდექსი (NPS) შეფასდა 2024 წლის დეკემბერში დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „სონარი" მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

ზრდისა და მომგებიანობის დადასტურებული გამოცდილება

წმინდა მოგება (მლნ ლარი)




უკუგება კაპიტალზე (ROE)








საკრედიტო პორტფელი (მლრდ ლარი)*



** მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს*

ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი



სს თიბისი ბანკის აღმასრულებელი კომიტეტი



ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერეალური დირექტორი



ნინო მასურაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვის დირექტორი



გიორგი მეგრელიშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი



ბიძინა მაცაბერიძე
ინფორმაციული განყოფილების დირექტორი



გვანცა მურღვლიანი

ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილების ხელმძღვანელი



გიორგი თხელიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე, კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება, დაგროვილი კაპიტალის მართვა



თორნიკე გოგიჩაიშვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე, MSME და მაღალშემოსავლიანი სეგმენტის საბანკო მომსახურება



ნიკოლოზ ღვაბერიძე

საცალო დაკრედიტების და ოპერაციების დირექტორი

2024 წელი ძლიერი ზრდის და რეკორდული მომგებიანობის პერიოდი იყო თიბისი ბანკისთვის, რაც ბაზარზე ხანგრძლივი ლიდერობით იყო განპირობებული. ამ შედეგების მიღწევა შესაძლებელი გახდა საქართველოში, და ზოგადად რეგიონში, არსებული რთული გეოპოლიტიკური ვითარების მიუხედავად.



თავმჯდომარის განცხადება

პატივცემულო დაინტერესებულო მხარეებო,

მოხარული ვარ გაგიზიაროთ თიბისი ბანკის კიდევ ერთი წარმატებული ფინანსური წელი. ჩვენმა წმინდა მოგებამ 1.2 მილიარდი ლარი შეადგინა წლიური 11% ზრდით, ხოლო უკუგებამ კაპიტალზე კვლავ 25%-ს გადააჭარბა.

აღნიშნული მიღწევები განსაკუთრებით შთამბეჭდავია მიმდინარე რეგიონული გეოპოლიტიკური გამოწვევების და, კერძოდ, 2024 წლის ბოლოს საქართველოში მომატებული პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელთა გუნდი ორიენტირებული იყო ჩვენი ბიზნესების სტაბილურობაზე. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავდა ყოვლისმომცველი სცენარები და სამოქმედო გეგმები, რათა შეგვემცირებინა პოტენციური ნეგატიური გავლენა, დაგვეკმაყოფილებინა მომხმარებელთა საჭიროებები და შეგვენარჩუნებინა სტაბილური და ძლიერი შედეგები დაინტერესებული მხარეებისთვის.

სტრატეგიული მიზნების ხელშეწყობა

ჩვენი სტრატეგია საგულდაგულოდ არის შექმნილი, რათა უზრუნველყოს მდგრადი და მომგებიანი ზრდა, მაქსიმალურად გაზარდოს დაინტერესებულ მხარეთა ღირებულება და წარმატებით შეასრულოს ჩვენი მისია - გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება.

- **ჩვენი მოწინავე პოზიციის გაძლიერება ქართულ საბანკო სივრცეში**. საქართველოს ბაზარზე მოწინავე ოპერაციები თიბისის სიმყარეს განაპირობებს, რაც აისახება აქტივებში, სესხებსა და დეპოზიტებში დაახლოებით 40%-იანი ბაზრის წილით[1]. ჩვენ სიამაყით ვემსახურებით 1.7 მილიონ ყოველთვიურად აქტიურ საცალო მომხმარებელს, რაც საქართველოს საბანკო პოპულაციის ორ-მესამედს წარმოადგენს. ამ წელს ჩვენი საბალანსო უწყისი მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა სეგმენტში, შედეგად კი გაიზარდა ჩვენი მომგებიანობაც. ამ შედეგს კი ხელი შეუწყო სტაბილურმა საპროცენტო შემოსავალმა და კაპიტალეფექტური საკომისიო შემოსავლის გაზრდილმა წილმა.
- **ციფრული ჩართულობის გაზრდა.** დიგიტალიზაცია კვლავ რჩება ჩვენი ღირებულების შეთავაზების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად. 2024 წელს კიდევ

უფრო გავაფართოვეთ ჩვენი ციფრული სერვისები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ონლაინ პლატფორმების გამოყენება. შედეგად, ციფრული MAU 14%-ით გაიზარდა და 1.1 მილიონი შეადგინა, ხოლო ციფრული DAU/MAU 47%-მდე გაუმჯობესდა, რაც 1 პროცენტულ პუნქტიან (პპ) ზრდას წარმოადგენს.

მმართველობის გაძლიერება და სტაბილურობის უზრუნველყოფა

გასული წლის განმავლობაში ჩვენ თანმიმდევრულად გავამყარეთ სტაბილური ზრდის საფუძვლები. მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ ჩვენი კორპორატიული მმართველობის ჩარჩოს გაძლიერებაში, რაც, გამკაცრებულ რისკების მართვასთან, შიდა კონტროლთან და შესაბამისობის სტანდარტებთან ერთად, ზრდის ჩვენს მოქნილობას როგორც შიდა, ისე გეოპოლიტიკური გამოწვევების მიმართ. კორპორაციული მმართველობის, რისკების მართვის და კონტროლის საუკეთესო პრაქტიკების ორგანიზაციის მასშტაბით ინტეგრირებით, ჩვენ განვივითარეთ კომპლექსური სიტუაციების დავდაჯერებულად მართვის უნარი.

პარალელურად, ტალანტების მართვა, საქმიანობის შედეგების შეფასება, ანაზღაურებისა და მოტივაციის სისტემები სრულ შესაბამისობაში მოვიყვანეთ სტრატეგიულ მიზნებთან. ჩვენი ამბიციიდან გამომდინარე კი ეს მიმართულებები მომავალშიც პრიორიტეტული დარჩება. ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტების სხვადასხვა დონეებზე დაქირავებამ, თანამშრომლების კარიერული განვითარების გეგმის გაძლიერებამ და თიბისი ბანკის აღმასრულებელი კომიტეტის შექმნამ, ხელი შეუწყო მოქნილი, ანგარიშვალდებული და მომავლისთვის მზადმყოფი ორგანიზაციის შექმნას. მტკიცე მმართველობითი მოდელის საფუძველზე, ჩვენ კვლავ ვუწყობთ ხელს ინკლუზიურ ზრდას, ESG ინიციატივების განვითარებას, ახალგაზრდების, მცირე და საშუალო ბიზნესების გაძლიერებას, ასევე ციფრული შესაძლებლობების გამოყენებით მდგრადი ღირებულების შექმნას.

საბოლოოდ, ჩვენი ერთგულება ტექნოლოგიური პროგრესისა და ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების მიმართ, ქმნის მყარ საფუძველს ჩვენს ბიზნეს პროცესებში ტექნოლოგიის მეტად ინტეგრირებაში. კვლავ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურის გაძლიერებასა და მონაცემთა ანალიზის ფუნქციის გაუმჯობესებას, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი მზადყოფნა მატერიალური შედეგების მისაღწევად.

მდგრადი მომავლის შენება

თიბისიში ფინანსური შედეგები ჩვენი წარმატების ერთადერთი საზომი არ არის. ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების განვითარებაზეც. 2024 წლის მნიშვნელოვანი მიღწევებია:

- **მდგრადი დაფინანსება.** ჩვენმა მდგრადობის პორტფელმა 1.7 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 41%-იან ზრდას წარმოადგენს და ჩვენს სამიზნე მაჩვენებელს 1.4 მილიარდი ლარით აჭარბებს.
- **მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა.** ჩვენ კვლავ ერთგულნი ვართ მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიმართ, რაც დასტურდება იმით, რომ ჩვენთან საშუალო რგოლის ხელმძღვანელი პოზიციების 37%-ს ქალები იკავებენ[2].
- **განათლება და ცნობიერების ამაღლება.** ჩვენი საგანმანათლებლო პლატფორმის, ESG აკადემიის, ფარგლებში შევქმენით მწვანე ცნობიერებისა და მწვანე დაფინანსების კურსი ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის. 2024 წელს ამ კურსით 300-მა თანამშრომელმა და მომხმარებელმა ისარგებლა. ეს ინიციატივა შექმნილია კლიმატთან დაკავშირებული რისკების, მდგრადი ბიზნეს-მოდელებისა და პრაქტიკების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

სამომავლო გეგმები

განვლილი წლის წარმატებების გათვალისწინებით, ჩვენი სტრატეგიული ფოკუსი კვლავ მკაფიოა - დავაშენოთ უკვე ძლიერ ფუნდამენტზე საქართველოში. ჩვენი ციფრული საბანკო სფეროს განვითარებამ და ფინანსურმა სტაბილურობამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ჩვენი შესაძლებლობა, მოვერგოთ მომხმარებელთა ცვალებად საჭიროებებს. ამ მიღწევების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენს ხელმძღვანელთა გუნდს, რომელიც მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროფესიონალებისგან შესდგება. მათი ხედვები საშუალებას მოგვცემს, რომ დავრჩეთ მოქნილები, ინოვაციურები და ღია ახალი შესაძლებლობების მიმართ.

არნე ბერგგრენი
თავმჯდომარე

1 აპრილი, 2025 წელი

1 სებ-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.
2 ფილიალის მენეჯერები, განყოფილებების და დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ასევე ჯგუფის შვილობილი კომპანიის საშუალო ხელმძღვანელი რგოლის თანამშრომლები.

წმინდა მოგების 11%-იანი ზრდით და 25.1%-იანი უკუგებით კაპიტალზე (ROE), ჩვენ კვლავ განვაგრძობთ ჩვენი ბიზნეს მოდელის სიძლიერისა და სტრატეგიის ეფექტიანობის დემონსტრირებას.

გენერალური დირექტორის წერილი

2024 წლის საოპერაციო გარემოს მიმოხილვა

2024 წელი თიბისი ბანკისთვის უაღრესად წარმატებული იყო. ჩვენ მივაღწიეთ მოგების რეკორდული მაჩვენებელს, რაც ბალანსის ძლიერმა ზრდამ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ წლის განმავლობაში საქართველოში გეოპოლიტიკური და საშინაო ვითარება გამოწვევებით იყო სავსე, მაკრო გარემო დადებითი ტენდენციებით ხასიათდებოდა. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 9.5% შეადგინა, რაც განაპირობა ტურიზმიდან მიღებულმა მაღალმა შემოსავალმა და რეალურმა საკრედიტო ზრდამ.

უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფა

ჩვენ ვრჩებით მაღალმოგებიანი ბაზრის ლიდერად საქართველოში. მიუხედავად მონეტარული პოლიტიკის ციკლისგან გამოწვეული მარჟის ზეწოლისა, სესხების პორტფელის 14%-იანმა წლიურმა ზრდამ მუდმივი ვალუტის პირობებში, შეუწყო ხელი წმინდა მოგების 11%-იან ზრდას და უზრუნველყო გამორჩეული 25.1%-იანი უკუგება კაპიტალზე (ROE). ჩვენი ბაზრის წილი სესხებში, დეპოზიტებსა და აქტივებში დაახლოებით 40%-ს შეადგენს, თუმცა ჩვენ მუდმივად ვისწრაფვით ჩვენი მომხმარებლების ყოველდღიური საბანკო გამოცდილების გაუმჯობესებისკენ. 2024 წლის დეკემბერში ჩვენი ლოიალობის ინდექსი (NPS)[1] 63% იყო, რითაც გავიმყარეთ პოზიცია, როგორც 1.7 მილიონი მომხმარებლის მიერ არჩეულმა ბანკმა. რაც შეეხება წლის განმავლობაში ჩვენს პროდუქტებში განხორციელებულ ინოვაციებს, ჩვენ გამოვუშვით განახლებული თიბისი ბარათი, რომლითაც მომხმარებლებს შევთავაზეთ გაუმჯობესებული ყოველდღიური საბანკო მომსახურებება და განახლებული ლოიალობის პროგრამა.

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების (CIB) სეგმენტში გავამარტივეთ საკრედიტო პროცესები, 30%-ით შევამცირეთ თანხის გაცემის დრო (time-to-cash), დავნერგეთ გაცვლითი კურსის დაანგარიშების ახალი მეთოდები და ჩავატარეთ საქართველოში პირველი კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო კონფერენციას. ამასთან, MSME საბანკო მომსახურების მიმართულებით წამოვიწყეთ წინასწარ, ციფრულად დამტკიცებული სესხების

პროექტი და თითქმის გავაორმაგეთ მაქსიმალური ლიმიტი 0.5 მილიონი ლარი ავტომატურად დამტკიცებული სესხებისთვის.

ჩვენმა პროგრესმა ციფრულ ტრანსფორმაციაში კიდევ უფრო გაამყარა ჩვენი პოზიცია ბაზარზე. ციფრული MAU რაოდენობამ 1.1 მილიონი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 14%-იან ზრდას წარმოადგენს, ამასობაში ციფრული DAU რაოდენობაც წინა წელთან შედარებით 17%-ით გაიზარდა და 494 ათასი შეადგინა, რაც ხაზს უსვამს ჩვენს ციფრულ პლატფორმებში მომხმარებელთა ჩართულობის მაღალ დონეს. დღეისათვის ჩვენი პროდუქტების და მომსახურებების უმეტესობაზე წვდომა ციფრული გზით ხდება: მაგალითად, სრულად ციფრული ფორმით გაცემული სამომხმარებლო სესხების რაოდენობა 13 პპ-ით გაიზარდა და 73% შეადგინა 2024 წელს, ხოლო ციფრული ფორმით გაცემული სესხები წინა წელთან შედარებით 75%-ით გაიზარდა. სამაგიეროდ, იკლო ფილიალში განხორციელებული ოპერაციების საშუალო რაოდენობამ. წინა წელთან შედარებით იგი 25%-ით შემცირდა. ეს გვაძლევს შესაძლებლობას, გარდავქმნათ ჩვენი ფილიალების ქსელი ტრადიციული სერვისული ფილიალებიდან საკონსულტაციო ჰაბებად, რომლებიც დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტებსა და სერვისებს სთავაზობენ მომხმარებლებს.

ჩვენ სულ უფრო და უფრო აქტიურად ვიყენებთ ხელოვნურ ინტელექტს ჩვენს ოპერაციებსა და მომსახურებებში. ეს აპლიკაციები მოიცავს ამოცანების ფართო სპექტრს - საკრედიტო შეფასებიდან და პერსონალიზირებული შეთავაზების გენერირებიდან დოკუმენტების ფართომასშტაბიან შემოწმებასა და ავთენტიფიკაციამდე.

ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლების მხრივ, 2024 ბრწყინვალე წელი იყო. ჩვენი საოპერაციო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა და 2,374 მილიონი ლარი შეადგინა. ეს ზრდა ფართომასშტაბიანი იყო, რაზეც ძირითადად იმოქმედა წინა წელთან შედარებით ძლიერმა 19%-იანმა ზრდამ საკომისიო შემოსავალში და 6%-იანმა ზრდამ წმინდა საპროცენტო შემოსავალში. ტექნოლოგიებში ჩვენი უწყვეტი ინვესტიციის შედეგად ჩვენი ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 32.8% იყო. რისკის ხარჯმა 0.5% შეადგინა, რაც ადასტურებს ჩვენს გონივრულ რისკის მართვის პრაქტიკას და ძლიერ ეკონომიკურ ზრდას იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენ ვფუნქციონირებთ. შედეგად, ჩვენი წმინდა მოგება 11%-ით გაიზარდა და 1,245 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო უკუგება კაპიტალზე 25.1% იყო, რაც ხაზს უსვამს ჩვენი ბიზნეს მოდელის მომგებიანობასა და სიმტკიცეს.

ამასთან, ჩვენი კაპიტალის პოზიცია კვლავ მტკიცეა. ჩვენი ძირითადი (CET1), პირველადი (Tier1) და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები შესაბამისად იყო 16.8%, 20.4% და 23.8%, რაც აღემატება მინიმალურ მარეგულირებელ მოთხოვნებს და ხაზს უსვამს ჩვენი კაპიტალის საიმედოობას.

ჩვენს ხალხში ინვესტირება

ჩვენი ნიჭიერი გუნდი ჩვენი წარმატების მამოძრავებელ ძალაა, რომელიც 9,200 ადამიანისგან შედგება. ჩვენი აღმასრულებელი ხელმძღვანელობა მრავალფეროვანი გლობალური გამოცდილებით გამოირჩევა და მის წევრებს აქვთ ევროპისა და აზიის წამყვან საფინანსო დაწესებულებებში მუშაობის გამოცდილება. აღნიშნული მაღალი ხარისხის ტალანტების ბაზა მეტყველებს ჩვენს უნარზე, მოვიზიდოთ მსოფლიო დონის პროფესიონალები, რომლებიც ჩვენს გარემოში ინოვაციური იდეების განვითარებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს ხედავენ.

სამომავლო გეგმები

2025 წელში ენერგიულად ვაბიჯებთ, ვგრძნობთ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც წინ გველოდება, თუმცა ამავდროულად ვაცნობიერებთ ჩვენს წინაშე არსებულ გამოწვევებსაც. ჩვენი მაღალი დონის რისკის მართვისა და შედეგებზე ორიენტირებული კულტურით, დარწმუნებული ვართ ჩვენს უნარში გავუმკლავდეთ გაურკვევლობებს, ვისარგებლოთ ზრდის შესაძლებლობებით და ჩვენს დაინტერესებულ მხარეებს შევთავაზოთ მდგრადი ღირებულება. ჩვენ განვაგრძობთ ბაზარზე ლიდერობის გაღრმავებაზე ზრუნვასა და ინოვაციების დანერგვას, მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მყარი ფინანსური საფუძვლით, ნიჭიერი და მრავალფეროვანი გუნდითა და ნათელი ხედვით, ჩვენ შეგვწევს ძალა მაქსიმალურად გამოვიყენოთ მომავალი შესაძლებლობები და შევასრულოთ ჩვენი სტრატეგია.

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

1 აპრილი, 2025 წელი

1 საცალო მომხმარებლების ლოიალობის ინდექსი (NPS) შეფასდა 2024 წლის დეკემბერში დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „სონარი“ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

ჩვენი საოპერაციო გარემო და ცვალებად ბაზარზე მოქმედ ტენდენციებთან ადაპტირება



საქართველო

3.7 მლნ მოსახლეობა	**35-39** საშუალო ასაკი	**$ 33.8** მლრდ ნომინალური მშპ 2024
$ 9,146 მშპ ერთ სულ მოსახლეზე	**$ 28,177** მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP	**$ 4.4** მლრდ მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
8.0% მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (დეკემბერი, 2024)	**1.9%** ინფლაცია (დეკემბერი, 2024)	MOODY'S **Ba2** ნეგატიური საკრედიტო რეიტინგი

ეკონომიკა

2024 პოლიტიკურად აქტიური წელი იყო საქართველოში. 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაზაფხულზე მიმდინარე პროტესტებმა დაძაბულობა გაზარდეს, რამაც შეასუსტა ლარის მიმართ ნდობა და წარმოშვა ადგილობრივი და საგარეო გაურკვევლობები. ოქტომბერში ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინების გამო, ბანკის მომხმარებლებმა 2024 წლის აგვისტოდან აქტიურად დაიწყეს თავისი დეპოზიტების დიდი ნაწილის უცხოურ ვალუტაში კონვერტირება, ამასთან გაიზარდა მოთხოვნა ლარში სესხებზე, რამაც გამოიწვია ამორტიზაციის წნეხი და ლარის ლიკვიდობის დეფიციტი ბაზარზე. ამავდროულად, მანამ სანამ შემოსული უცხოური ვალუტის მაჩვენებელი კვლავ მაღალი იყო წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ინტერვენცია განახორციელა სავალუტო ბაზარზე, რითაც ლარის კურსი სტაბილურად შენარჩუნდა 2.70-2.80 ნიშნულზე დოლართან მიმართებით. წლის ბოლოს გამწვავებულ პოლიტიკურ დაძაბულობას შეზღუდული ნეგატიური გავლენა ჰქონდა ტურიზმზე, სამომხმარებლო დანახარჯებზე, ხანგრძლივი მოხმარების პროდუქტებზე, ასევე ფულად ნაკადებსა და ზოგადად ეკონომიკურ სტაბილურობასთან დაკავშირებულ მოლოდინებზე. აღნიშნული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს რეალურმა მშპ-მა მყარი პოზიცია შეინარჩუნა დეკემბერში. ის 6.7%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, მაშინ, როდესაც სრული 2024 წლის ჯამური ზრდა განსაკუთრებით ძლიერი იყო და 9.5% შეადგინა.

თიბისი ბანკს აქვს სტრეს-ტესტის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რათა გაზრდილი არასტაბილურობის ფონზე ეფექტურად შეძლოს რეაგირება. ამასთან, ჯგუფმა შეიმუშავა სხვადასხვა სცენარი არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის, რაც მას საშუალებას აძლევს პროაქტიულად მართოს ლიკვიდობის პოზიცია და ეფექტურად შეამციროს კაპიტალსა და პორტფელის ხარისხზე შესაძლო რისკები.

ტექნოლოგია

ტექნოლოგიური პროგრესი კვლავ განაგრძობს საფინანსო მომსახურების სექტორის გარდაქმნას. 2024 წელს თიბისი ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ციფრული ტრანსფორმაციის, კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემებზე დაფუძნებული ინოვაციის მიმართულებით. ძირითად მიღწევებს შორისაა ღრუბელზე დაფუძნებული საგანგებო აღდგენითი ინფრასტრუქტურის შექმნა და ცენტრალიზებული DDoS-თავდასხმებისგან დაცვის სისტემის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სისტემის გამძლეობას. ასევე, ციფრული პლატფორმების ინსორსინგი, რათა გაუმჯობესოს განვითარების შესაძლებლობები და მოდერნიზება გაუკეთოს სისტემის არქიტექტურას მემკვიდრეობითი რისკების შესამცირებლად. კიბერუსაფრთხოება კიდევ უფრო გაძლიერდა უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრის ცენტრალიზებით, რათა საფრთხეებზე რეაგირების პროაქტიული ღონისძიებები მოიყვანოს შესაბამისობაში საერთაშორისო პოლიტიკებთან. ამასთან, მონაცემთა ღრუბლოვანმა პლატფორმამ და AI ინოვაციებმა აჩქარეს გადაწყვეტილების მიღების პროცესი და პერსონალიზებული სამომხმარებლო გამოცდილებები, ხელი შეუწყვეს მონაცემების საფუძველზე თანამშრომელთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოებას.

მარეგულირებელი ცვლილებები

ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის წასახალისებლად (ლარიზაცია) 2024 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) 400,000 ლარიდან 500,000 ლარამდე გაზარდა უცხოურ ვალუტაში გაცემული არაჰეჯირებული სესხების ზედა ზღვარი, რაც ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, 2024 წლის დეკემბერში სებ-მა 5 პპ-ით, 25%-მდე გაზარდა რეზერვის მოთხოვნა უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებებზე, რაც ძალაში 2024 წლის 19 დეკემბრიდან შევიდა. ამ რეგულაციების მიზანია საფინანსო სექტორში ლარიზაციის დამატებითი ხელშეწყობა.

თიბისი ბანკმა მიიღო ყოვლისმომცველი ზომები, რათა უხარვეზოდ შეესაბამებოდეს განახლებულ საკრედიტო კრიტერიუმებს. გადახედა საკრედიტო პოლიტიკებს, სისტემებსა და პორტფელს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ყველა სესხი, რომელიც განისაზღვრება შესაბამის ჩარჩოში, სრულ თანხვედრაშია ახალ რეგულაციასთან. სარეზერვო მოთხოვნების 25%-მდე ზრდა იწვევს „ceteris paribus“ ნეგატიურ ეფექტს ბანკის კაპიტალსა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. თუმცა, ბანკმა შეძლო კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის მოსალოდნელ ცვლილებებთან ადაპტაცია.

კონკურენტული გარემო

საქართველოს საბანკო სექტორი ხასიათდება კარგად ჩამოყალიბებული დუოპოლიით, სადაც ბაზარზე დომინირებს ორი ძირითადი მოთამაშე - თიბისი ბანკი და საქართველოს ბანკი. ეს ინსტიტუციები ერთობლივად სექტორში მთლიანი აქტივების დაახლოებით 80%-ს[1] აკონტროლებენ, რაც მაღალი კონცენტრაციის მქონე კონკურენტულ ლანდშაფტზე მეტყველებს.

2024 წლის განმავლობაში თიბისი ბანკმა კიდევ უფრო მეტად გაამყარა ლიდერული პოზიციები CIB სეგმენტში და ბაზარზე შეინარჩუნა ყველაზე დიდი საბაზრო წილი ყველა ძირითად პროდუქტში, მათ შორის სესხებსა და დეპოზიტებში 39.2%[2] და 40.8%-ის[2] ოდენობით, შესაბამისად. ბანკმა ასევე გაიმყარა ლიდერის პოზიცია MSME საბანკო მომსახურების სფეროში, სადაც ახლად რეგისტრირებული კომპანიების 66%[3] ანგარიშის გასახსნელად ირჩევენ თიბისი ბანკს.

მაღალშემოსავლიან სეგმენტში თიბისი კონცეპტმა შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია, წინა წელთან შედარებით საკრედიტო პორტფელის 8%-იანი ზრდით, მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში. თიბისი ბანკი ასევე ლიდერია ბაზარზე სწრაფი სამომხმარებლო სესხების (FCL) ზრდით. ბანკის FCL პორტფელი წინა წელთან შედარებით 50%-ით გაიზარდა და ბაზრის წილმა 29.2% შეადგინა[4]. საქმიანობის ამგვარი შედეგები ხაზს უსვამს თიბისის მიზანს გაზარდოს თავისი არეალი არაუზრუნველყოფილი დაკრედიტების სფეროში, დამატებით გაამრავალფეროვნოს პორტფელი და გააფართოოს ბაზარი.

1 საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.
2 საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე; მოცემულ კონტექსტში კორპორატიული გულისხმობს იურიდიულ პირებს.
3 შიდა შეფასებების საფუძველზე სრული 2024 წლისთვის.
4 შიდა შეფასებების საფუძველზე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენი ბიზნესმოდელი

ჩვენი ბიზნეს მოდელი ეფუძნება ამბიციას, რომ მომხმარებლებს შევთავაზოთ საუკეთესო ფინანსური მომსახურებები საქართველოში, რაც, თავის მხრივ, გვეხმარება ახალი მომხმარებლების მოზიდვაში.

განვლილი 30-ზე მეტი წლის განმავლობაში საქართველოში, ჩვენ შევქმენით ქვეყნის წამყვანი ფინანსური სერვისები, რომელიც მოიცავს საცალო, MSME და კორპორატიულ მომსახურებებს რიგ დამატებით მიმართულებებთან ერთად, როგორებიცაა გადახდები და ლიზინგი.

ჩვენ გთავაზობთ

სინერგიები ჯგუფის დონეზე

ჩვენი ბიზნეს ერთეულები ურთიერთდაკავშირებული არიან და აძლიერებენ ერთმანეთს, ქმნიან ერთიან ეკოსისტემას, რომელიც ზრდის ეფექტურობას, მომხმარებლისთვის მიწოდებულ ღირებულებას და ხელს უწყობს ინოვაციებს. ერთობლივი გამოცდილებით, ციფრული შესაძლებლობებითა და ცენტრალიზებული მმართველობის გამოყენებით, ჩვენს მომხმარებლებს უხარვეზო გამოცდილებას ვთავაზობთ.

როგორ გთავაზობთ

ციფრული უპირატესობის სტრატეგია

უწყვეტი ციფრული ინოვაციები ბიზნესში, რომელიც მოიცავს ხელოვნური ინტელექტის ახალი გადაწყვეტილებების ჩართვას

რისკების გონივრული მართვა

რისკებზე მორგებული მომგებიანობის მიდგომა გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ადაპტაციის მაღალი დონის შენარჩუნებას.

რომელ ღირებულებას ჩვენ ვქმნით დაინტერესებული მხარეებისთვის

კოლეგები

პროფესიულ განვითარებაში ჩვენი კოლეგების მხარდაჭერა და მათთვის წარმატებული კარიერული ზრდის შესაძლებლობების მიცემა

მომხმარებლები

ჩვენი მომხმარებლებისთვის ინდივიდუალურად მორგებული გადაწყვეტილებებისა და საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების შეთავაზება

ფინანსური მომსახურებები

- საცალო საბანკო მომსახურება
- MSME საბანკო მომსახურება
- CIB და WM საბანკო მომსახურება
- გადახდები
- ლიზინგი

მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა

მონაცემთა ანალიზის უახლესი შესაძლებლობების მეშვეობით მოსახერხებელი და უხარვეზო მომსახურებების შეთავაზებების შექმნა და ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია

გამორჩეული გუნდი

საუკეთესო ტალანტების მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება

საზოგადოება

ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. ასევე, სოციალური პასუხისმგებლობისა (CSR) და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის (ESG) აქტივობებში მონაწილეობის მიღება

ინვესტორები

ღირებულების შექმნა ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის მდგრადი უკუგების მეშვეობით და კრედიტორებისთვის ეფექტიანი, გრძელვადიანი ურთიერთობების შენარჩუნებით

ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები

ჩვენი სტრატეგია მიზნად ისახავს შესრულდეს ჩვენი მისია - გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება.

ჩვენ ამ მიზანს ვაღწევთ საქართველოში ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მაღალხარისხიანი ფინანსური მომსახურების მიწოდებით.

ჩვენი თითოეული პრიორიტეტი გულდასმით არის შერჩეული და გაანალიზებული, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ის ხელს უწყობდეს ჯგუფის მაღალი მომგებიანობის, ძლიერი ზრდის პოტენციალისა და მომხმარებელთა ნდობის შენარჩუნებას.

ბაზარზე ლიდერის პოზიციის გამყარება

- ბანკის პოზიციის გამყარება მასობრივ საცალო სეგმენტში და ლიდერი პოზიციის შენარჩუნება პერსონალური, MSME , მაღალშემოსავლიანი საცალო და კორპორატიულისაბანკო მომსახურებების სეგმენტებისთვის
- კაპიტალეფექტური საკომისიო შემოსავლების ზრდა გადახდებზე ძლიერი ფოკუსით
- დაკრედიტების ხარისხის გაუმჯობესება მოწინავე ხელოვნური ინტელექტისა და ანალიტიკის საშუალებით
- საუკეთესო ტალანტების მოზიდვა და განვითარება

ციფრული ჩართულობის გაძლიერება

- ფოკუსი ფიზიკური არხების განტვირთვასა და ციფრული გადაწყვეტილებების განვითარებაზე
- ციფრულად აქტიური მომხმარებლებისა და მათი ყოველდღიური ჩართულობის გაზრდა
- პროდუქტიულობისა და ეფექტურობის ზრდა ციფრული, ავტომატიზირებული პროცესების მეშვეობით

ჩვენი მომხმარებლების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

- საიმედო პარტნიორობა ჩვენი ფიზიკური პირებისთვის და ბიზნეს მომხმარებლებისთვის
- ჩვენი მომხმარებლებისთვის ინდივიდუალური მორგებული ფინანსური სერვისებისა და პროდუქტების შექმნა, რომლებიც უხარვეზოდ მიეწოდება ყველა არხით
- ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებების განვითარების დაჩქარება, რითაც შეიქმნება ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პერსონალიზებული სამომხმარებლო გამოცდილება


ჩვენი შესრულების ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს იმისათვის, რომ შევძლოთ ჩვენს საქმიანობაზე მონიტორინგი და ვიქონიოთ ისეთი დაბალანსებული შეხედულება, რომელიც ჩვენი ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს გაითვალისწინებს. სამეთვალყურეო საბჭო შესრულების ძირითად მაჩვენებლებს (KPIs) რეგულარულად განიხილავს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი კვლავ ასახავენ ჩვენს სტრატეგიას და უზრუნველყოფენ ჯგუფის გრძელვადიან მდგრად ზრდას. აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ანაზღაურებისთვის ყველაზე შესაფერისი KPI-ების შერჩევასაც სათანადო ყურადღება ეთმობა, რათა მათი ინტერესები უკეთ მოერგოს ჩვენი დაინტერესებული პირების ინტერესებს.

ჯგუფის ფინანსური KPI-ები


ძლიერი ზრდა და მომგებიანობა

წმინდა მოგება (მლნ ლარი)




ჩვენი წმინდა მოგება წინა წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა, რაც განაპირობა შემოსავლის ძლიერმა ზრდამ ყველა მიმართულებით.

უკუგება კაპიტალზე (ROE)[1]



ჩვენი მაღალი უკუგება კაპიტალზე (ROE) განაპირობა სტაბილურმა წმინდა საპროცენტო მარჟამ და აქტივების მაღალმა ხარისხმა.


ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი[1]



ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტის ზრდა განაპირობა ტექნოლოგიებში ჩვენმა უწყვეტმა ინვესტირებამ. ჩვენ კვლავ ერთგულნი ვრჩებით საოპერაციო ეფექტიანობის ოპტიმიზაციისა და ზრდის სტრატეგიული ინვესტირების მიმართ.


მყარი საბალანსო უწყისი

ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი[1,2]



მინიმალური მოთხოვნები
ჩვენი CET1 კაპიტალის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მინიმალურ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ჩვენ ვრჩებით ერთგულნი ძლიერი კაპიტალის ბუფერების შენარჩუნების მიმართ, რათა უზრუნველვყოთ ფინანსური სტაბილურობა და გამძლეობა.

უმოქმედო სესხები (NPLS)[1,3]




ჩვენი აქტივის ხარისხი კვლავ მაღალია. ჩვენი მიზანია რისკების გონივრული მართვა, რაც ხელს შეუწყობს შემოსავლების მდგრად ზრდას და სტაბილურობას.

1 APM-ების განსაზღვრება და დეტალური კალკულაცია მოცემულია სექციაში „დამატებითი ინფორმაცია“, „შესრულების ალტერნატიული მაჩვენებლების“ ქვეშ.
2 2023 წლის 1 იანვრიდან, საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები ეფუძნება ფასს-ს, ხოლო წინა წლების რიცხვები გაანგარიშებულია აღრიცხვის ადგილობრივი სტანდარტების მიხედვით.
3 მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს.

სპეციფიკური KPI-ები


სტაბილური ზრდა

საკრედიტო პორტფელის ზრდა მუდმივი სავალუტო კურსით[1]



ჩვენი საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით 14%-ით გაიზარდა. აღნიშნული ზრდა ძირითადად განაპირობა CIB და საცალო სექტორებმა. ჩვენი მიზანია გავიზარდოთ ბაზრის ზრდის შესაბამისად.


სადეპოზიტო პორტფელის ზრდა მუდმივი სავალუტო კურსით



ჩვენი სადეპოზიტო პორტფელი 8%-ით გაიზარდა, საცალო და კორპორატიული სეგმენტებიდან თანაბარი კონტრიბუციით. ჩვენი მიზანია გავიზარდოთ ბაზრის ზრდის შესაბამისად და, ამავდროულად, ყურადღებით ვმართოთ ლიკვიდობასთან დაკავშირებული საჭიროებები.


მზარდი მომხმარებელთა ბაზა და ჩართულობა

ყოველთვიურად აქტიური ბარათის მფლობელები[2] ('000)



გადახდების მძლავრ დინამიკას ხელს უწყობს ყოველთვიურად აქტიური ბარათის მფლობელების რაოდენობის ზრდა.

ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლები[2] (მლნ)




ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად, ვაგრძელებთ ჩვენი ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლების რაოდენობის ზრდას.

შესრულების ძირითადი მაჩვენებლები


ციფრული პროდუქტების გამოყენების ინტენსივობის (ციფრული კვალის) ზრდა

ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლები[2] ('000)



ჩვენი ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 14%-ით გაიზარდა.


ყოველდღიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების თანაფარდობა ყოველთვიურად ციფრულად აქტიურ მომხმარებლებთან (DAU/MAU)[2]



2024 წელს ყოველდღიური ციფრული ჩართულობა ჩვენს მომხმარებლებში გაიზარდა, რაც გამოწვეულია ჩვენი ციფრული შეთავაზებების დივერსიფიკაციით და გაუმჯობესებით, რაც თანხვედრაშია ჩვენს სტრატეგიულ მიზანთან — გავაღრმავოთ მომხმარებელთან ურთიერთობა.


თანამშრომელთა და მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონეები

მომხმარებელთა ლოიალობის ინდექსი (NPS)[3]



მომხმარებელთა ლოიალობის ინდექსმა (NPS) აჩვენა მცირე ვოლატიურობა, თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ის უცვლელად აღემატებოდა 60%-ს, რაც ასახავს ჩვენს ძლიერ ძალისხმევას შევინარჩუნოთ მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონე.

თანამშრომელთა ლოიალობის ინდექსი (ENPS)[4]



2024 წელს ჩვენი თანამშრომელთა ლოიალობის ინდექსმა (ENPS) იკლო, სტრუქტურული ცვლილებების გამო, რომლებიც მიმართული იყო ეფექტურობის და მოქნილობის ზრდისკენ. ჩვენ ერთგული ვრჩებით თანამშრომლის კმაყოფილების მაღალი დონის შენარჩუნების მიმართ.

1 მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს.
2 ტერმინები განმარტებულია სექციაში „დამატებითი ინფორმაცია", „ტერმინების" ქვეშ.
3 საცალო მომხმარებლებისთვის ლოიალობის ინდექსი (NPS) შეფასდა 2024 წლის დეკემბერში დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „სონარი" მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.
4 ბანკის თანამშრომლებისთვის ლოიალობის ინდექსი (ENPS) შეაფასა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა 2024 წლის ბოლო კვარტალში.

ბიზნესის მიმოხილვა

თიბისი ბანკი არის წამყვანი ფინანსური მომსახურების ჯგუფი საქართველოში, საცალო, კორპორატიული და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) სეგმენტებში. ჩვენ ვფლობთ ბაზრის წილის დაახლოებით 40%-ს, როგორც საკრედიტო, ისე - სადეპოზიტო მიმართულებით. ჩვენი ძირითადი საბანკო მომსახურებები მოიცავს საკომისიო შემოსავლის მაგენერირებელ საქმიანობას, მათ შორის გადახდებს, დაზღვევას, ლიზინგს და ციფრულ პროდუქტებს.

საქართველო



მნიშვნელოვანი მიღწევები

₾ 25.0 მლრდ
საკრედიტო პორტფელი[1]
+14% წ/წ[2]

₾ 21.9 მლრდ
სადეპოზიტო პორტფელი[2]
+8% წ/წ[2]

₾ 1,245 მლნ
წმინდა მოგება
+11% წ/წ

25.1%
უკუგება კაპიტალზე (ROE)
-0.3 პპ წ/წ

1,050 K
ციფრული MAU
+14% წ/წ

47%
ციფრული DAU/MAU
+1 პპ წ/წ

საბანკო მომსახურებები

საცალო საბანკო მომსახურება

წამყვანი საცალო საბანკო მომსახურების ფრანჩიზა

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) საბანკო მომსახურება

ტოპ არჩევანი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისთვის

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურებისა (CIB) და დაგროვილი კაპიტალის მართვის (WM) წამყვანი ფრანჩიზა

დამატებითი მომსახურებები

თიბისი ლიზინგი

ლიდერი ლიზინგის მომსახურების სფეროში

1 მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს.
2 ზრდა მუდმივ ვალუტაში.

საცალო საბანკო მომსახურება

2024 წელს ჩვენი საცალო საკრედიტო პორტფელი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც განპირობებული იყო როგორც იპოთეკური, ისე სამომხმარებლო სესხის ზრდით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სწრაფი სამომხმარებლო სესხების სარგებლიანობა, რაც განპირობებული იყო გაყიდვების პროცესების გაუმჯობესებით.

საცალო

მასობრივი საცალო

- წამყვანი პოზიცია მასობრივ საცალო სეგმენტში;
- ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების სრული ნაკრები;
- აღიარებული ციფრული არხები;
- ეფექტური, მოსახერხებელი და მომხმარებელზე მორგებული თანამედროვე ფილიალები.

მაღალშემოსავლიანი საცალო

- ნომერი პირველი არჩევანი მაღალშემოსავლიანი მომხმარებლებისთვის;
- მომხმარებელზე მორგებული ინოვაციური და მოქნილი ნაკრებები;
- ძლიერი პოზიცია lifestyle შეთავაზებებში.

2024 წლის წარმატების საზომი

₾ 8.7 მლრდ	₾ 8.5 მლრდ	1.7 მლნ	1,050 K
საცალო სესხები	საცალო დეპოზიტები	ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლები	ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლები (MAU)
(2023: ₾ 7.5 მლრდ)	(2023: ₾ 7.5 მლრდ)	(2023: 1.6 მლნ)	(2023: 921 K)


წლის მიმოხილვა

საცალო სეგმენტში ლიდერის პოზიციის გამყარება

2024 წელს ჩვენი საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით 15%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში. ეს განაპირობა როგორც იპოთეკურმა, ასევე არაიპოთეკურმა დაკრედიტებამ. იპოთეკური პორტფელი 8%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში და მთლიანი საცალო საკრედიტო პორტფელის 59% შეადგინა, რამაც გაამყარა ჩვენი წამყვანი პოზიცია იპოთეკურ ბაზარზე. არაიპოთეკური სესხები, რომლებიც ძირითადად შედგება უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხებისა და სწრაფი სამომხმარებლო სესხებისგან, 28%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში. აღსანიშნია,


რომ სწრაფ სამომხმარებლო სესხებში დაფიქსირდა საკმაოდ მაღალი ზრდა, რაც განპირობებული იყო ჩვენი გაყიდვების პროცესების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით. ამან გამოიწვია 50%-იანი ზრდა სწრაფ სამომხმარებლო სესხებში, რითაც ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უსწრებს ბაზრის სხვა მოთამაშეების მიერ დაფიქსირებულ 35%-იან ზრდის მაჩვენებელს. მაღალი ზრდით ჩვენი საცალო დეპოზიტებიც გამოირჩეოდა, რომელიც წინა წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში. შედეგად ჩვენი ბაზრის წილმა[1] საცალო სესხებსა და დეპოზიტებში შესაბამისად 37.6% და 35.9% შეადგინა.

საცალო საკრედიტო პორტფელი (მლრდ ლარი)



საცალო საკრედიტო პორტფელის გადანაწილება პროდუქტების მიხედვით

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



ჩვენმა მაღალშემოსავლიანმა სეგმენტმა, თიბისი კონცეპტმა, რომელიც დაახლოებით 128,000 მომხმარებელს ემსახურება, განაგრძო ძლიერი შედეგების დაგენერირება და შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია ბაზარზე მაღალშემოსავლიანი ლოიალობის ინდექსით[2] - 69%. თიბისი კონცეპტის საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელები მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში წინა წელთან შედარებით 8%-ით და 13%-ით გაიზარდა და შეადგინა ჩვენი საცალო სესხების 60%, ხოლო საცალო დეპოზიტების - 54%.

ციფრული არხები კვლავ რჩება ჩვენს მთავარ პრიორიტეტად

2024 წელს მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ ჩვენი ციფრული პლატფორმის ხარისხის, ხელმისაწვდომობის, მოქნილობისა და მასშტაბურობის გაუმჯობესების მხრივ, ჩვენი ბექ-ენდ სისტემებიდან მიკროსერვისების არქიტექტურაზე გადასვლით. დეცენტრალიზებული მიდგომა ჩვენს გუნდებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად კიდევ უფრო სწრაფად განავითარონ ინოვაციები და ამავე დროს, თანხვედრაში იყვნენ კომპანიის ფართო სტრატეგიული მიზნების განვითარებასთან.

ჩვენ ასევე თანაბრად ვართ ორიენტირებული მომხმარებელთა მიერ გამორჩეული გამოცდილების მიღების უზრუნველყოფაზე. ციფრული პროდუქტის განვითარების პროცესის ყოველ ეტაპზე - თავდაპირველი კონცეფციიდან დანერგვამდე და ა.შ - ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის და პრინციპების დანერგვით, ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი პლატფორმების უმაღლეს სტანდარტებთან შესაბამისობას. ეტაპობრივი განვითარება, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისა და A/B ტესტირების კომბინაცია საშუალებას გვაძლევს მუდმივად დავხვეწოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ფუნქციები, მომხმარებელთა რეალური უკუკავშირის საფუძველზე.

2024 წელს ჩვენ დავნერგეთ რამდენიმე ახალი ფუნქცია ჩვენი მობაილ ბანკის აპლიკაციაში, მათ შორის ადაპტაციის ახალი ციფრული ფუნქცია, რომელიც 3-8 წუთიდან 1 წუთამდე ამცირებს დამუშავების დროს, სწრაფი მომენტალური გადარიცხვა , ავტომობილთან დაკავშირებული დამატებითი ფუნქციები, QR კოდის საშუალებით განვადების გამოტანა და ანალიტიკოსების საინვესტიციო რეკომენდაციები. აღნიშნული განახლებები ხელს უწყობენ ყოველთვიური ციფრული MAU-ს რაოდენობის ზრდას, რომელიც 14%-ით გაიზარდა და 1.1 მილიონი შეადგინა. ამასთან, ჩვენი ციფრული DAU/MAU 2023 წლის 46%-დან 2024 წელს 47%-მდე გაუმჯობესდა, რაც ნიშნავს ჩვენს ციფრულ საბანკო მომსახურებებში ყოველდღიურად ჩართული მომხმარებლების სიმრავლეს. გარდა ამისა, ჩვენ მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ ციფრული გაყიდვების სტრატეგიაში. მომხმარებელთა გამოცდილების გაძლიერებისა და საკრედიტო აპლიკაციის დამუშავების პროცესის გაძლიერებით ჩვენს მობილურ აპლიკაციაში, ჩვენ წარმატებით გავზარდეთ ციფრული გზით გაყიდული სწრაფი სამომხმარებლო სესხების წილი 73%-მდე, რაც 2023 წელს 60%-ს შეადგენდა.

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანალიტიკურ პლატფორმაში Tableau გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. ამ კონტექსტში საცალო გულისხმობს ფიზიკურ პირებს.
2 ლოიალობის ინდექსი (NPS) 2024 წლის დეკემბერში შეფასდა დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „სონარი“ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

მობილური აპლიკაცია, რომელიც ამარტივებს მომხმარებლების ყოველდღიურ ცხოვრებას

ყოველდღიური საბანკო მომსახურება

- ტრანზაქციები
- მომენტალური გადარიცხვა (2024)
- გადახდები
- ლოიალობის ქულების განაღდება (2024)
- ფულადი გზავნილები
- ავტომატური გადახდები და გზავნილები
- გამოწერები
- ავტომობილთან დაკავშირებული დამატებითი ფუნქციები (2024)
- ბარათის ელექტრონულად შეკვეთა და განახლება (2024

საკრედიტო პროდუქტები

- სრულად ონლაინ სამომხმარებლო კრედიტი
- წინასწარ დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტები
- იყიდე ახლა, გადაიხადე მერე
- სესხის წინასწარი გადახდა
- სესხის რეფინანსირება
- QR განვადება (2024)

ინვესტიციები

- საინვესტიციო ანგარიშის გახსნა
- ონლაინ ვაჭრობა
- საინვესტიციო პორტფელის მართვა
- ინვესტირება ავტოპილოტით
- ანალიტიკოსის რეკომენდაციები (2024)

დანაზოგები


- სრულად ონლაინ დეპოზიტი
- „ჩემი სეიფის“ აქტივაცია
- ონლაინ დეპოზიტების ვადაზე ადრე გამოტანა (2024)


ცხოვრების სტილი და ლოიალობა

- შეთავაზებები პარტნიორი მეწარმეებისგან
- სპეციალური შეთავაზებები მაღალშემოსავლიანი სეგმენტისთვის (2024)
- Lifestyle : აეროპორტის სერვისები, კონცეპტის ღონისძიებები (2024)

მეტი, ვიდრე უბრალოდ საბანკო მომსახურება

- ონლაინ ჩატი (2024) საკრედიტო პროდუქტები
- საპენსიო დანაზოგის ჩვენება
- სხვა ბანკების ანგარიშებთან დაკავშირება (ღია საბანკო მომსახურება)
- დაზღვევის აქტივაცია: მგზავრობა, MTPL, Casco


12:22
TBC
Total available
1000.00
My account
TBC CARD
1000.00
Products for you
TBC Pay Later
Pay in 4 transactions
Effective rate 0%
123.32
Loyalty Reward
See more
My offers
Home
Topup
Transfers
Pay a bill


12:22
TBC
Total available
1000.00
My Account
TBC CARD
1000.00
Products for you
TBC Pay Later
Pay in 4 transactions
Effective rate 0%
123.32
Loyalty Reward
See more
My Offers
Home
Topup
Transfers
Pay a bill

თიბისი ბარათი



ახალი თიბისი ბარათი შექმნილია მომხმარებლებზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე, რომელიც ისეთ გამორჩეულ სარგებელს სთავაზობს მათ, როგორიც არის ქეშბექი ყოველ ტრანზაქციაზე, თანხის საკომისიოს გარეშე განაღდება ნებისმიერ ATM აპარატზე საქართველოში და მრავალი სხვა. ეს არის ბარათი, რომელიც ცვლის კომფორტის შესახებ წარმოდგენას და ფოკუსირდება მომხმარებელზე.

ფილიალების მოდელის ტრანსფორმაცია

ჩვენი დიგიტალიზაციის სტრატეგიის მიხედვით, ტრადიციულ ფილიალებს საკონსულტაციო ჰაბებად გარდავქმნით. ჩვენი უპირატესი მიზანია განვავითაროთ ისეთი ინფრასტრუქტურა და დაფარვის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ფილიალების გამოყენების ოპტიმიზაციას, გამორჩეული სამომხმარებლო გამოცდილებისა და თანამშრომელთა მაღალი კმაყოფილების შეთავაზების მიზნით. ამის უზრუნველსაყოფად, ჩვენ დავიწყეთ frontline ფუნქციების ხელახლა განსაზღვრის პროცესი, სპეციფიკურ პროდუქტებში პერსონალიზებული საკონსულტაციო მომსახურებების ხელშესაწყობად. ამასთან, ჩვენ ვცვლით წახალისების სქემას და ვნერგავთ სამომხმარებლო გამოცდილების განახლებულ საზომებს, როგორც შესრულების ძირითად მაჩვენებელს ჩვენი თანამშრომლებისთვის. ეს მაჩვენებელი უზრუნველყოფს ჩვენი ოპერაციების საფუძვლად მომხმარებლებზე ორიენტირების დარჩენას.

მომხმარებელთა ლოიალობის ამაღლება

2024 წლის ბოლოს ჩვენ გამოვუშვით განახლებული სადებეტო ბარათი - თიბისი ბარათი, რომელიც ცვლის კომფორტის შესახებ წარმოდგენას და ფოკუსირდება მომხმარებელზე. ამ პროდუქტის დიზაინის პროცესი მთლიანად ახლებურად იქნა შემუშავებული, ტრადიციული საბანკო მომსახურებიდან მომხმარებლებზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლით, მომხმარებლების საჭიროებებისა და სურვილების ინოვაციურად გათვალისწინების გზით. ეს ახალი შეთავაზება მოიცავს განახლებულ ლოიალობის პროგრამას, უნიკალურ საჩუქრებს, ხარჯების სრულფასოვან ამონაწერს და ყოველდღიურ საბანკო მომსახურებებს, რომლებიც უხარვეზოდ არის ინტეგრირებული ერთ აპლიკაციაში. განახლებული ბარათის გეგმები მოიზიდავს არსებულ და ახალ მომხმარებლებს, ხოლო ამასობაში ჩვენი მასიური საცალო და მაღალშემოსავლიანი სეგმენტები ისარგებლებენ პრემიუმ შეთავაზებებით, რომლებიც მორგებული იქნება საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებლებისთვის.

ამასთან, 2024 წლის მეორე ნახევარში ჩვენი ლოიალობის პროგრამა მრავალდონიანი პროგრესული მოდელიდან უბარიერო ჯილდოების სისტემაზე გადავიტანეთ, რისი გამოყენებაც ჩვენს ყველა მომხმარებელს შეუძლია. ჯილდოს სტრუქტურა დაგროვილი ქულებიდან მომენტალური ქეშბექით შევცვალეთ, რომელიც ერთგული ლოიალობის ანგარიშებზე ირიცხება და შესაძლოა პირდაპირ მომხმარებლების საბარათე ანგარიშებზე გადაირიცხოს. ამ ცვლილებას ხელი შევუწყეთ ფართომასშტაბიანი კამპანიით , რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა მომხმარებლის ჩართულობა. „გადარიცხე ანგარიშზე“ ფუნქციით პროგრამის ამოქმედებიდან პირველ ოთხ თვეში უკვე ისარგებლა 460,000-ზე მეტმა მომხმარებელმა.

ჩვენი შესაძლებლობების კიდევ უფრო მეტად განსავითარებლად, დავნერგეთ მონაცემებზე დაფუძნებული ახალი პლატფორმა, რომელიც აუმჯობესებს შეთავაზებების მართვის პროცესებს და უზრუნველყოფს ავტომატიზებულ კომუნიკაციას ყველა არხში. 2024 წელს წარმატებით მოვახდინეთ ამ პლატფორმაზე ჩვენი შეთავაზებების მართვის პროცესების უმრავლესობის მიგრაცია, რითაც შევქმენით საფუძველი მეტად ეფექტური, ავტომატიზებული სამუშაო პროცესისთვის. 2025 წლისთვის ჩვენი მიზანია ინტეგრაცია გავუკეთოთ ვაჭრობის ყველა მნიშვნელოვან პროცესს ავტომატიზებულ საკომუნიკაციო არხებში - უხარვეზო, გონივრული და მომხმარებლებზე ორიენტირებული გამოცდილების საშუალებით.

ჯილდოები

Euromoney

საქართველოს საუკეთესო ციფრული ბანკი 2024

Global Business and Finance Magazine

საუკეთესო ციფრული ბანკი საქართველოში 2024

საუკეთესო ციფრული საბანკო მომსახურების ბრენდი საქართველოში 2024

ყველაზე ინოვაციური ციფრული ბანკი საქართველოში, 2024

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურება

2024 წელს თიბისი ბანკმა გაიმყარა ლიდერი პოზიცია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტში, ჰქონდა მნიშვნელოვანი ზრდა სესხებში და ამავდროულად შეინარჩუნა ბრენდის მიმართ მაღალი ლოიალობა და მომხმარებელთა ნდობა.

MSME

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები

- ფინანსური პროდუქტების და გადაწყვეტილებების ფართო სპექტრი - სტარტაპებიდან წარმატებულ ბიზნესებამდე;
- სესხის სწრაფი დამტკიცების პროცესი, რომელიც მაღალი ავტომატიზაციის დონითაა უზრუნველყოფილი;
- მოსახერხებელი გამოწერის მოდელი;
- ბიზნესის მხარდამჭერი საუკეთესო პროგრამა.

2024 წლის წარმატების საზომი

₾ 5.9 მლრდ	₾ 2.0 მლრდ	66%	45%
MSME საკრედიტო პორტფელი	MSME სადეპოზიტო პორტფელი	ახლად რეგისტრირებული ბიზნესები ირჩევენ თიბისის[1]	TOP-OF-MIND (TOM)[2]
(2023: ₾ 5.5 მლრდ)	(2023: ₾ 1.9 მლრდ)	(2023: 68%)	(2023: 40%)


წლის მიმოხილვა

ტოპ არჩევანი მიკრო, მცირე და საშუალო კლიენტებისთვის

ჩვენ კვლავ ვრჩებით მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მომხმარებელთა პირველ არჩევნად და თვეში ვემსახურებით დაახლოებით 61,000 აქტიურ მომხმარებელს[3]. 2024 წელს რეგისტრირებული ახალი ბიზნესების 66%-მა თიბისი აირჩია მთავარ ფინანსურ პარტნიორად. 2024 წელს ჩვენი ბრენდის ცნობადობა - Top-of-mind (TOM)[2] 45% იყო, რაც ჩვენს ძლიერ პოზიციასა და მომხმარებელთა ერთგულებაზე მიუთითებს.


2024 წელს ჩვენი MSME საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში, რაც მიკრო ქვე-სეგმენტმა განაპირობა. აღსანიშნია, რომ მიკრო სესხების წილი მთლიან MSME საკრედიტო პორტფელში იზრდებოდა და წლის ბოლოსთვის 53% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 2 საბაზისო პუნქტით მეტია. იმავე პერიოდში, MSME დეპოზიტები წინა წელთან შედარებით 6%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში.

MSME საკრედიტო პორტფელი (მლრდ ლარი)



MSME საკრედიტო პორტფელის განაწილება ქვე-სეგმენტების მიხედვით

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



ჩვენი ციფრული გადაწყვეტილებების გაუმჯობესება

წელს ჩვენს ბიზნეს ინტერნეტ ბანკის პლატფორმაზე დავამატეთ სესხის გაცემის ფუნქცია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ეს ფუნქცია მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს წინასწარ დაიმტკიცონ სესხი პირდაპირ ციფრული არხებით, რაც ეფექტური და უხარვეზო პროცესს წარმოადგენს. იმ მომხმარებლებს, რომლებსაც არ აქვთ წინასწარ დამტკიცებული სესხი, სისტემა სთავაზობს მარტივი ონლაინ განაცხადის შევსებასა და ავტომატური დამტკიცების გაზრდილ მაჩვენებელს, განსაზღვრული რისკ-პარამეტრების ფარგლებში. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა მაინც გახდეს საჭირო ფილიალში ვიზიტი. ამ ფუნქციის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სესხზე წვდომის გამარტივება, მოქნილობის გაზრდა და საერთო სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესება.

2024 წელს მცირე და საშუალო საწარმოებს ჩვენი ინტერნეტ ბანკის პლატფორმაზე ბიზნეს-გეგმების ციფრული ფორმით გამოწერის საშუალება მივეცით. აქამდე მომხმარებლები ფილიალში უნდა მისულიყვნენ სასურველი გეგმის ასარჩევად, ახლა კი მათ შეუძლიათ თავად აირჩიონ და გამოიწერონ მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი, მთლიანად ონლაინ რეჟიმში. ეს ბიზნეს-გეგმები მომხმარებლებს სთავაზობენ უხარვეზო მეთოდს - მომსახურებებისა და ოპერაციების ერთ გეგმაში გაერთიანებას დამატებითი საფასურების საჭიროების აღმოფხვრის საშუალებით. აღნიშნული ციფრული ტრანსფორმაცია ზრდის SME მომხმარებლებისთვის კომფორტსა და მოქნილობას.

ავტომატიზაციის დონის გაუმჯობესება

2024 წელს ჩვენ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ სესხის დამტკიცების პროცესი, ავტომატურად დამტკიცებული სესხების მაქსიმალური ლიმიტი 200,000 ლარიდან 500,000 ლარამდე გავზარდეთ. ამ გაუმჯობესებამ საშუალება მოგვცა ამ სესხებისთვის დადასტურების დრო 4 დღიდან სულ რაღაც 7 საათამდე შეგვემცირებინა. დამტკიცების აჩქარებული დრო მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მომხმარებელთა გამოცდილებას, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტებს, ჰქონდეთ წვდომა საჭირო დაფინანსებაზე უფრო სწრაფი და ეფექტური ფორმით.

გარდა ამისა, ავტომატიზებული გახდა 15-ზე მეტი სესხთან დაკავშირებული პროცესი, რომლებიც მანამდე ხელით მუშავდებოდა. ამგვარად ჩვენ დამატებით დავხვეწეთ ოპერაციები და გავაუმჯობესეთ მომხმარებელთა გამოცდილება. ეს მიღწევები ხაზს უსვამს ჩვენს ერთგულებას ეფექტიანობისა და მოქნილობის გაუმჯობესებისკენ, რაც მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის უფრო კომფორტულ და სწრაფ მომსახურებას უზრუნველყოფს.

ჩვენი სავაჭრო გამოცდილების გაუმჯობესება

წელს გამოვუშვით ახალი საგადახდო პროექტი სახელწოდებით „QReat“, რომელიც კონკრეტულად სასტუმრო, სარესტორნო და კვების სექტორზეა მორგებული. QReat, რომელიც საქართველოში ექსკლუზიურად თიბისი ბანკშია ხელმისაწვდომი, ბიზნესებს საშუალებას აძლევს მიიღონ გადახდები QR კოდებით, რა გზითაც აღარ იქმნება POS ტერმინალის გამოყენების საჭიროება. ეს ინოვაცია ამარტივებს გადახდის პროცესს კომპანიებისთვის, ამცირებს ხარჯებს და ზრდის მოქნილობას, საოპერაციო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

1 სრული 2024 წლისთვის შიდა შეფასებების საფუძველზე.
2 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „ACT“ 2024 წლის დეკემბერს ჩატარებული გარე კვლევის საფუძველზე.
3 მოიცავს ყოველთვიურად აქტიურ MSME იურიდიულ პირებს.

სკა



ზრდისა და გაფართოების გზა

2019 წელს დაფუძნებული „სკა“ გამორჩეული ლიდერი გახდა საქართველოს ჯანსაღი კვების კაფეების ბაზარზე, რომელმაც რეპუტაცია ინოვაციებითა და მაღალი ხარისხით მოიპოვა. თიბისი „სკასთან“ თავიდანვე თანამშრომლობდა. 2019 წელს ბანკმა ამ საწარმოზე სტარტაპ სესხი გასცა, საქმიანობის დაწყების მხარდასაჭერად. მას შემდეგ ჩვენ განვაგრძობთ მისი ზრდის და წარმატების მხარდაჭერას.

2024 წელს, თიბისის უწყვეტი მხარდაჭერით, „სკა“ საერთაშორისო მასშტაბით გაფართოვდა და გახსნა ორი ფილიალი პრაღაში, რაც მისი ზრდის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი სავაჭრო ჰაბის პლატფორმის გაუმჯობესებას, მეწარმეებისთვის ღირებული ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდებაზე ფოკუსით. ერთ-ერთი საკვანძო განახლებაა ერთჯერადი ავტორიზაციის (Single Sign-In) დანერგვა, რაც მომხმარებლებს სავაჭრო ჰაბზე წვდომის საშუალებას ინტერნეტ ბანკში ავტორიზაციით აძლევს. ამასთან, ახალი ფუნქციები მოიცავს ლოიალობის პროგრამის ფარგლებში ტრანზაქციების ანგარიშგებას, ჩაის ანალიტიკას რესტორნებისა და კაფეებისთვის და ამონაწერს ერთი ანგარიშიდან მეორეზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ. ეს განახლებები შექმნილია მეწარმეთა გასაძლიერებლად - ბიზნეს ოპერაციების შესახებ უკეთესი ცოდნის, გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

ახალი პროდუქტების და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დანერგვასთან ერთად, ამ წელს ჩვენ შევქმენით ანგარიშის მენეჯერთა გუნდი, რომლებიც 24/7 რეჟიმში არიან ხელმისაწვდომი ჩვენი მეწარმეების დასახმარებლად. ეს ინიციატივა უზრუნველყოფს მეწარმეებისთვის დახმარების დაუყოვნებლივ მიწოდებას საბანკო საჭიროებებთან დაკავშირებით, აუმჯობესებს ჩვენს სამომხმარებლო მომსახურებებს და ხელს უწყობს ჩვენს კლიენტებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების განვითარებას.

ჩვენი ბიზნეს მხარდაჭერის პროგრამის გაფართოება

განვლილი ათწლეულის განმავლობაში, თიბისიმ ბაზარზე შექმნა ბიზნესის მხარდამჭერი წამყვანი პროგრამა, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს:

- სტარტაპების მხარდაჭერა: სპეციალურად შექმნილი საკრედიტო პროდუქტი და გამოწერის გეგმა საწყის ეტაპზე მყოფი სტარტაპებისთვის; სპეციალური კურსები და მენტორობის შესაძლებლობები. 2024 წლის ბოლოსთვის ჩვენ გვყავდა 383 კლიენტი რომელთა სასესხო პორტფელი 100 მილიონ ლარს შეადგენდა;
- ბიზნეს განათლება: 2024 წელს ჩვენ ჩავატარეთ 36 ტრენინგი და საკონსულტაციო სესია, რომლებსაც 4,020 ბიზნეს მფლობელი და მენეჯერი დაესწრო. სესიების მიზანი იყო მათი უნარებისა და ცოდნის გაღრმავება;
- ყოველთვიური შეხვედრები საზოგადოებასთან: 2024 წელს თბილისსა და სხვა რეგიონებში 9 შეხვედრა დავაორგანიზეთ, რომლებსაც 900-მდე ადამიანი დაესწრო. შეხვედრების მიზანი იყო ადგილობრივი ბიზნესების დაკავშირება და მათი თანამშრომლობის ხელშეწყობა.
- ყოველწლიური ბიზნეს დაჯილდოება: ცნობიერების ამაღლება და წარმატებული ბიზნესების გამორჩეული მიღწევების აღნიშვნა.

2024 წელს ჩვენ წარმოვადგინეთ ახალი პროექტი ქალი მეწარმეებისთვის.

- ბიზნესში ქალების მხარდაჭერა - ახალი საკრედიტო პროდუქტი, რომელიც კონკრეტულად ქალი მეწარმეებისთვის არის შექმნილი. იმის აღიარებით, რომ საქართველოში სესხის უზრუნველყოფა ქალებისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს, ეს პროგრამა ქალ დამფუძნებლებს სთავაზობს 500,000 ლარამდე სესხს უზრუნველყოფის საგნის გარეშე. ამ პროგრამას მხარს უჭერენ კრედიტორები და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები. გარდა ამისა, მას აქვს სარგებელი ფასის მხრივ, რაც საშუალებას აძლევს ქალებს სესხი აიღონ მაქსიმალურად დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ეს ინიციატივა ხაზს უსვამს ჩვენს ერთგულებას, გავაძლიეროთ ქალების ბიზნესში გაძლიერებისა და სამეწარმეო სფეროში მათთვის ხელშეწყობის მიმართ.

ჩვენ კვლავ ერთგული ვრჩებით ხელი შევუწყოთ ეკონომიკურ ზრდას რეგიონებში და გავაუმჯობესოთ სამუშაო პერსპექტივები, ადგილობრივი ბიზნესებისთვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი ფინანსური გადაწყვეტილებების შეთავაზების გზით. ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინიციატივებთან თანამშრომლობის გზით, როგორიც არის „აწარმოე საქართველოში“ და „შეღავათიანი აგრო კრედიტი“, ჩვენი მიზანია ადგილობრივი ინდუსტრიების, კერძოდ კი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. ეს პროგრამები ბენეფიციარებს ფინანსურ შეღავათებს სთავაზობს, მთავრობის მიერ მხარდაჭერილი საპროცენტო განაკვეთების შემცირებით. 2024 წელს ჩვენ დაახლოებით 2,000 ამგვარი სესხი გავეცით, რამაც ჯამში 515 მილიონი ლარი შეადგინა.

ჯილდოები

Global Finance

მცირე და საშუალო საწარმოების საუკეთესო ბანკი საქართველოში 2024

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება (CIB) და დაგროვილი კაპიტალის მართვა (WM)

2024 წელს კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით 17%-ით გაიზარდა, სხვადასხვა სექტორში დივერსიფიკაციისა და დაბალი კონცენტრაციის რისკის შედეგია. ამასთან, ჩვენმა ფოკუსმა ტრანზაქციულ საბანკო სერვისზე და ისეთ ციფრულ ინოვაციებზე, როგორიც არის გამოწერებზე დაფუძნებული უცხოური ვალუტის შეფასების მოდელი, არასაპროცენტო შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია.

CIB & WM

კორპორატიული	უმსხვილესი და ყველაზე სანდო პარტნიორი იურიდიული პირებისთვის წამყვანი პოზიციით, როგორც სესხების, ისე - დეპოზიტების მიმართულებით.
დაგროვილი კაპიტალის მართვა	აღიარებული დაგროვილი კაპიტალის მართვის ბიზნესი მზარდი ფინანსური საკონსულტაციო და საბროკერო ფრანჩიზით.
საინვესტიციო საბანკო მომსახურება	„თიბისი კაპიტალი“ - წამყვანი საინვესტიციო ბანკი კორპორატიული სასესხო კაპიტალის ბაზრის (DCM) ტრანზაქციებსა და კვლევებში.

2024 წლის წარმატების საზომი

₾ 9.9 მლრდ
კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების სესხები
(2023: ₾ 8.3 მლრდ)

₾ 11.3 მლრდ
კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების დეპოზიტები
(2023: ₾ 10.2 მლრდ)

₾ 2.6 მლრდ
მართვის ქვეშ მყოფი აქტივები
(2023: ₾ 2.1 მლრდ)

₾ 253 მლნ
არასაპროცენტო შემოსავალი
(2023: ₾ 206 მლნ)

წლის მიმოხილვა

კორპორატიული საბანკო მომსახურება

ფართომასშტაბიანი ზრდა, ბაზრის წილის გამყარებით

ძლიერი აქცენტით უმაღლესი ხარისხის სამომხმარებლო მომსახურებების და გამოცდილების შეთავაზებაზე, თიბისის კორპორატიულმა საბანკო მომსახურებამ წარმატებას მიაღწია მაღალი დონის სამომხმარებლო ლოიალობის და კმაყოფილების ხელშეწყობაში. 2024 წელს ეს აჩვენა ბრწყინვალე 82%-იანმა ლოიალობის ინდექსმა[1], რაც ასახავს ჩვენს მიზანს, შევთავაზოთ თითოეულ კლიენტს ინდივიდუალური და ყურადღებიანი მომსახურება, რაც აყალიბებს ხანგრძლივ ურთიერთობებს.

2024 წელს კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით 17%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში. ის კარგად დივერსიფიცირებული იყო ქართული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში. ჩვენ ვიხილეთ განსაკურებულად მაღალი ზრდა ისეთ სექტორებში, როგორიც არის მშენებლობა, წარმოება, სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობა და ტურიზმი. შედეგად, 2024 წლის ბოლოსთვის კორპორატიულ სესხებში ჩვენმა ბაზრის წილმა[2] 43.5% შეადგინა. მასთან, სესხების პორტფელში მსხვილი მსესხებლების კონცენტრაცია დაბალია – ტოპ 10 მსესხებელი მთლიანი პორტფელის 6%-ზე ნაკლებს შეადგენს. გარდა ამისა, რისკების დივერსიფიკაციის მიზნით, ვზრდით სინდიცირებული სესხების წილს, რაც დადებითად აისახება ჩვენს საკომისიო შემოსავალზე.

ჩვენ განვაგრძობთ სავაჭრო ფინანსების ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნებას 2.8 მილიარდი ლარის საგარანტიო პორტფელით, რომელიც წინა წელთან შედარებით 14%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში, რაც ბაზრის წილის[3] 48.1%-ს შეადგენს. ჩვენი ფაქტორინგის პორტფელმაც მაღალი ზრდა აჩვენა. მან 243 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 18%-იან ზრდას წარმოადგენს მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში.

ტრანზაქციული საბანკო სერვისების ზრდა ყველა მიმართულებით

ჩვენმა სტრატეგიულმა ორიენტირებამ ტრანზაქციულ საბანკო მომსახურებაზე განაპირობა წინა წელთან შედარებით არასაპროცენტო შემოსავლის 23%-ით გაზრდა. ამაზე იმოქმედა უცხოურ ვალუტაში გამოწერებზე დაფუძნებული შეფასების მოდელის გამოშვებამ ჩვენს მობილურ და ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმებზე. ეს ინოვაციური ფუნქცია კლიენტებს საშუალებას აძლევს ციფრული ფორმით განახორციელონ ტრანზაქციები, ჰქონდეთ წვდომა პერსონალიზებულ გაცვლით კურსზე და იმუშაონ სავალუტო რისკის მენეჯერის ჩარევის საჭიროების გარეშე.

ასევე დავნერგეთ დამატებითი FX ფუნქცია ბიზნეს კლიენტებისთვის კომფორტის გაზრდის მიზნით. ეს ახალი ფუნქცია ბანკს საშუალებას აძლევს მოამზადოს შეთანხმებული FX შეკვეთები კლიენტის სახელით და მოათავსოს ისინი პირდაპირ მათ ინტერნეტ ბანკის პლატფორმაზე. კლიენტებს შეუძლიათ შემდეგ დაადასტურონ ეს შეკვეთები თითის ერთი დაჭერით. პროცესი არა მხოლოდ დროს ზოგავს, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანზაქციის ხანგრძლივობას და ხარვეზების შესაძლებლობას, რადგან ის მთლიანად ციფრული ფორმით სრულდება და დაცულია შეცდომისგან, რაც შეიძლება ინფორმაციის მექანიკურად შეყვანამ გამოიწვიოს. ამ ინოვაციების წყალობით, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციების მთლიანმა მოცულობამ 28.8 მილიარდი ლარი შეადგინა 2024 წელს, რაც წინა წელთან შედარებით 33%-იან ზრდას წარმოადგენს.

ნაღდი ფულის მართვაში ჩვენს კლიენტებს ვთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას ისარგებლონ დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის მიმღები ექსკლუზიური მანქანებით (CDM), რაც დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის უპრობლემოდ მართვის საშუალებას იძლევა. ჩვენ 100-ზე მეტი CDM დავაყენეთ ფილიალების მასშტაბით,რომელიც მომხმარებელთათვის საჭირო სერვისი გახდა. 2024 წელს, გაზრდილ მოთხოვნაზე პასუხად, ჩვენ გავაფართოვეთ ეს მომსახურება, ჩვენს CDM-ში აშშ დოლარის მიღების ფუნქციის დამატებით. შედეგად, ნაღდი ფულის მართვის მოცულობა კორპორატიული კლიენტებისგან წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა და 7.8 მილიარდი ლარი შეადგინა. ეს სერვისი საკომისიო შემოსავლის მნიშვნელოვან დამატებით წყაროს წარმოადგენს და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ჩვენს შემოსავლის წყაროებს.

ციფრული გამოცდილების გაძლიერება

2024 წლის განმავლობაში ჩვენ ვმართავდით საკრედიტო პროცესს ციფრულ გარემოში, ვნერგავდით ავტომატიზაციას ყველა ეტაპზე - პროექტის დამუშავებიდან მის დასრულებამდე. ამგვარი ოპტიმიზაცია ახდენდა თითოეული ეტაპის დიგიტალიზაციას, მნიშვნელოვნად ხვეწდა ოპერაციებს და ამაღლებდა ეფექტურობას. ამ ციფრულმა ნაბიჯებმა 30%-ით შეამცირა სესხის გაცემის დრო, აამაღლა ზოგადი ეფექტურობა და შექმნა უფრო სწრაფი და უხარვეზო გამოცდილება ჩვენი კლიენტებისთვის.

2023 წელს ჩვენ დავნერგეთ ციფრული პლატფორმა, რომელიც ჩვენს კლიენტებს სამართლებრივი დოკუმენტების დისტანციურად, მთლიანად ონლაინ რეჟიმში ხელმოწერის საშუალებას აძლევს. 2024 წლისთვის ყველა ხელშეკრულების 76% ელექტრონულად გაფორმდა, რაც კლიენტის დროს ზოგავს და აღმოფხვრის ათასობით ფურცლის დაბეჭდვის საჭიროებას. ეს მიღწევა ხაზს უსვამს ჩვენს მიზანს - უზრუნველვყოთ კომფორტულობა, ეფექტურობა და მდგრადობა.

1 ლოიალობის ინდექსი (NPS) შეფასდა კომპანიის შიგნით 2024 წლის დეკემბერში.
2 შიდა შეფასებების საფუძველზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
3 საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.


Radisson

Silk Real Estate

Silk Real Estate არის სილქ როუდ ჯგუფში შემავალი უძრავი ქონების მართვის წამყვანი კომპანია, რომელიც კურირებს უმაღლესი კლასის სასტუმროებს, ელიტურ საცხოვრებელ პროექტებს, ცნობილ რესტორნებსა და გასართობ ობიექტებს. სტუმრების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომაზე და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია მართავს სასტუმროს „რედისონ ბლუ“ თბილისსა და ბათუმში და „რედისონ ქოლექშენს“ წინანდლის მამულში. Silk Real Estate ახლახან შეუერთდა მდგრადი სასტუმროების ალიანსს ეკომეგობრული პრაქტიკების ხელშეწყობის მიზნით.

თიბისი ბანკი 2016 წლიდან Silk Real Estate-ის სანდო პარტნიორია და მხარს უჭერს მისი საქმიანობის გაფართოებას თბილისში ახალი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ტელეგრაფი“-ს განვითარებით. ეს 239-ნომრიანი ობიექტი, რომელიც Republic Square-ის პროექტის ნაწილია, მოიცავს ბარსა და რესტორნის სივრცეებს, ღონისძიებების დარბაზებს, სავარჯიშო დარბაზს და ჯაზ კლუბს — რაც მნიშვნელოვნად გაამდიდრებს თბილისის ურბანულ გარემოს.

ამასთან, თიბისი კაპიტალმა Silk Real Estate-ის პირველ ობლიგაციების განთავსებაში წამყვანი მენეჯერის ფუნქცია შეასრულა. ამ ტრანზაქციამ 40 მილიონი აშშ დოლარი და 7 მილიონი ევრო მოიზიდა. ეს მიღწევა დიდ ინტერესს იწვევს როგორ ადგილობრივ, ისე უცხოელ ინვესტორებს შორის, რაც კომპანიის წარმატებას მანიშნებელია. თიბისი ბანკი კვლავ ერთგული რჩება სილქ როუდ ჯგუფის ზრდის და განახლების მიმართ ქართულ სასტუმრო სექტორში.

საინვესტიციო საბანკო მომსახურება და დაგროვილი კაპიტალის მართვა

თიბისი კაპიტალი საინვესტიციო საბანკო სფეროს წამყვანი პროვაიდერი და საქართველოს უმსხვილესი კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც საბროკერო და ფინანსური საკონსულტაციო პერსონალიზებული მომსახურებების ფართო სპექტრს გთავაზობთ. ჩვენ ვემსახურებით მაღალშემოსავლიან პირებს, საცალო ინვესტორებს, იურიდიულ პირებს და საფინანსო დაწესებულებებს მთელს საქართველოსა და კავკასიის რეგიონში.

კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და ინოვაციების წახალისება საქართველოში

საქართველოს სავალო კაპიტალის ბაზარი განაგრძობს განვითარებას, რაც გამოწვეულია ადგილობრივი კორპორატიული ემიტენტების მზარდი ინტერესით. ამ წლის განმავლობაში თიბისი კაპიტალმა შეინარჩუნა დომინანტი მოთამაშის პოზიცია, დაახლოებით 60%-იანი ბაზრის წილით[1] და გაამყარა ჩვენი ლიდერობა სავალო კაპიტალის ბაზარზე.

2024 წელს ჩვენ წარმატებით შევასრულეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანზაქციის წამყვანი ხელმძღვანელის ფუნქცია. ეს მოიცავდა სს ნიკორა ტრეიდის პირველ ტრანშს 120 მილიონი ლარის ობლიგაციების პროგრამაში - 60 მილიონი ლარის გამოშვებას, რაც წლის განმავლობაში ლარში გამოხატული კორპორატიული ობლიგაციების უმსხვილეს მაჩვენებელს წარმოადგენს. ამასთან, თიბისი კაპიტალმა წამყვანი მენეჯერის როლი შეასრულა თეგეტა მოტორსის ოთხ საჯარო ემისიაში, რომელიც წარმატებით იყო დივერსიფიცირებული ლარში, აშშ დოლარსა და ევროში. აღსანიშნავია, რომ ქართული საწარმოები აქტიურად მონაწილეობდნენ ევროობლიგაციების ბაზარზე 2024 წელს, სამი გამოშვების განხორციელების გზით. თიბისი კაპიტალმა ასევე მონაწილეობა მიიღო მდგრადი ფინანსირების ხელშეწყობაში. სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ 2024 წლის ივლისის თვეში გამოშვებული მწვანე ობლიგაციები, რომელშიც ჩვენ ვასრულებდით თანა-მენეჯერის ფუნქციას 300 მილიონი აშშ დოლარიან ემისიაზე, რომელიც დუბლინის საფონდო ბირჟაზეა განთავსებული. ჩვენ ასევე აქტიურად ვიყავით ჩართული ადგილობრივად ბაზისბანკის მიერ მდგრადობის ობლიგაციების გამოშვების პროცესში. თიბისი ბანკის მიზანი - მხარი დაუჭიროს საქართველოს კაპიტალის ბაზრის ზრდას უცვლელი რჩება.

ინვესტიციებზე წვდომის ზრდა ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებებით

2024 წელს ჩვენ განვაგრძეთ საინვესტიციო პორტფელის განვითარება თიბისის მობაილ ბანკში, მეტი საკონსულტაციო და ავტომატიზებული პორტფელის მართვის სერვისების დამატების გზით. პლატფორმა მომხმარებლებს სთავაზობს მარტივად, საკომისიოების გარეშე ინვესტირების შესაძლებლობას 6,500-ზე მეტ აქციასა და ბირჟაზე ვაჭრობად ფონდში (ETF), რომლებიც წარმოდგენილია ამერიკულ საფონდო ბირჟებზე. ეს ასახავს ჩვენს ერთგულებას უფრო ფართო დემოგრაფიული ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ განვითარებული ფინანსური სერვისები.

წლის განმავლობაში ჩვენ ასევე დავნერგეთ ახალი მრავალფუნქციური სავაჭრო პლატფორმა მოწინავე სავაჭრო და ანალიტიკური ინსტრუმენტებით, რომლებიც შექმნილია თიბისი კაპიტალის მეტად გამოცდილი კლიენტებისთვის. პლატფორმა შექმნილია ეფექტური და დაბალ ხარჯიანი ჯაჭვის გათვალისწინებით, რაც ჩვენს კლიენტებს კაპიტალის გლობალურ ბაზარზე უპრობლემო წვდომის საშუალებას აძლევს.

დეტალური კვლევის ჩატარება

ჩვენი კვლევითი განყოფილება უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ამომწურავი და დროული მაკროეკონომიკური და სექტორული ანალიზით, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს, ისე რეგიონის ფართო კონტექსტს. ეს მოიცავს რეგულარულად გამოქვეყნებულ კვირეულ, თვიურ და კვარტალურ პუბლიკაციებს. ჩვენ მუდმივად ვაფართოებთ ჩვენი ინფორმაციის სპექტრს და ვთავაზობთ ახალ ექსკლუზიურ ანგარიშებს ჩვენს კლიენტებს. 2024 წლის განმავლობაში თიბისი კაპიტალმა ჩაატარა 40-ზე მეტი ინდივიდუალური და ფართომასშტაბიანი პრეზენტაცია და კონფერენცია კლიენტებისა და ფართო აუდიტორიისთვის, ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ენერგეტიკული და სადაზღვევო ინდუსტრიები. მთლიანობაში, თიბისი კაპიტალმა 200-მდე პუბლიკაცია გამოსცა 2024 წელს. ამ პუბლიკაციების სრული სია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.tbccapital.ge. გარდა ამისა, წლის განმავლობაში თიბისი კაპიტალმა რამდენიმე ფართომასშტაბიან კონფერენციას უმასპინძლა საქართველოში, ინვესტიციის განხორციელებით დაინტერესებული ადგილობრივი და საერთაშორისო პირებისთვის.

ჯილდოები

Global Finance

- საუკეთესო სახაზინო ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების მართვის ბანკი 2024
- საუკეთესო FX ბანკი საქართველოში, 2024
- საუკეთესო საინვესტიციო ბანკი საქართველოში, 2024
- საუკეთესო კერძო ბანკი საქართველოში, 2024

Euromoney

- საუკეთესო კორპორატიული ბანკი საქართველოში, 2024
- ბაზრის ლიდერი და საუკეთესო მომსახურების გამწევი ვაჭრობის დაფინანსებაში საქართველოში, 2024
- საუკეთესო FX ბანკი საქართველოში, 2024
- საუკეთესო კერძო ბანკი საქართველოში, 2024

ჩვენი ჩართულობის გაფართოება და გადაწყვეტილებების გაუმჯობესება დაგროვილი კაპიტალის მართვის სფეროში

ჩვენი დაგროვილი კაპიტალის მართვის გუნდი განაგრძობს ჩვენი კლიენტებისთვის პერსონალიზებული საბანკო და საინვესტიციო პროდუქტების ფართო სპექტრის, ასევე ექსკლუზიური lifestyle ბენეფიტების შეთავაზებას პრემიუმ ღონისძიებებისთვის ქვეყნის მასშტაბით. 2024 წელს ჩვენ ორიენტირებული ვიყავით ახალი კლიენტების მოზიდვაზე, ასევე ჩვენი სერვისებისა და პროდუქტების შეთავაზების გაფართოებაზე.

- ჩვენ მნიშვნელოვნად გავაძლიერეთ ჩვენი გუნდი დაგროვილი კაპიტალის მართვის სამსახურის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნით. საერთაშორისო საბანკო სექტორში 25-ზე მეტ წლიანი გამოცდილებით, ჩვენს ახალ ხელმძღვანელობას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება დაგროვილი კაპიტალის მართვის მიმართულებით, რაც უხარვეზო პროცესს ქმნის იმისათვის, რომ ჩვენს კლიენტებს შევთავაზოთ გამორჩეული მომსახურება და სტრატეგიული ზრდა. ეს ახალი ხელმძღვანელობა საკვანძო როლს ითამაშებს ჩვენი კლიენტებისთვის გამორჩეული ღირებულების შექმნასა და ინდუსტრიაში ჩვენი ლიდერის პოზიციის გამყარებაში.
- ჩვენ გავზარდეთ ძალისხმევას არარეზიდენტი კლიენტების მოსაზიდად, ანგარიშის გახსნის გამარტივების და პროცესის უფრო მოსახერხებლად ქცევის გზით. ამ მიზნით ჩვენ შევქმენით ვიდეო ადაპტაციის პლატფორმა ჩვენი დაგროვილი კაპიტალის მართვის კლიენტებისთვის, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავხსნათ ანგარიშები და მივაწოდოთ მომსახურება დისტანციურად, ბანკის ფილიალში კლიენტის ფიზიკური ვიზიტის გარეშე.
- გარდა ამისა, ჩვენ უფრო მრავალფეროვანი გავხადეთ ჩვენი საინვესტიციო პროდუქტების ფართო სპექტრი, გამოვიყენეთ მრავალი სტრატეგია კლიენტების მზარდი საჭიროებებისა და პრეფერენციების უკეთესად დასაკმაყოფილებლად. ასევე გავაფართოვეთ ჩვენი დაფარვის ზონა საქართველოს ტერიტორიაზე ბათუმში, საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქში, ახალი ფილიალის გახსნით, რითაც გავაძლიერეთ ჩვენი წარმომადგენლობა ქვეყნის მასშტაბით.

ამ ინიციატივების შედეგად, ჩვენი დაგროვილი კაპიტალის მართვის ქვეშ მყოფი აქტივები 20%-ით გაიზარდა 2024 წელს და წლის ბოლოსთვის 4.4 მილიარდი ლარი შეადგინა.

2024 წელს ჩვენ ვუმასპინძლეთ დაგროვილი კაპიტალის მართვის ფორუმს. ამ ღონისძიების მიზანია საქართველოს, მისი საბანკო სექტორის და ბანკის დაგროვილი კაპიტალის მართვის შესაძლებლობების შესახებ ცოდნის გაღრმავება ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებსა და საერთაშორისო პერსპექტიულ კლიენტებს შორის. კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს, როგორც მომხიბვლელი საინვესტიციო ადგილმდებარეობისა და დაგროვილი კაპიტალის მართვის ცენტრის პოპულარიზაცია და ჩვენი ადგილობრივი და საერთაშორისო საინვესტიციო საბანკო და საბროკერო მომსახურებების გაცნობა, ასევე ქვეყნის უნიკალური კულტურის და სტუმართმოყვარეობის დემონსტრირება.

1 2024 წლის ბაზრის წილის დაანგარიშება მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო კორპორატიული ობლიგაციების განთავსებას ადგილობრივ ბაზარზე, გარდა back-to-back ტრანზაქციებისა, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების და ევროობლიგაციების ტრანზაქციებს.


PANEL DISCUSSION
Perspectives of Regional Fixed Income Market
Moderator: George Tkhelidze
TBC BANK
J.P.Morgan
citi
BANK OF CHINA
George Tkhelidze
Deputy CEO Corporate, Investment Banking and Wealth Management
Ahmet Berkmen
Executive Director, CEEMEA Debt Capital Markets
Dmitriy Kononov
Director, CEEMEA Debt Capital Markets
Viktoria Beromelidze
Head of EMEA Debt Capital Markets, Bank of China | Member of the Supervisory Board at TBC Asset Management

კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო კონფერენცია

ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის დინამიური ზრდის პასუხად, თიბისი კაპიტალმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საქართველოს პირველი ყოველწლიური კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო კონფერენციის მასპინძლობით. კონფერენციას 350-ზე მეტი ადამიანი დაესწრო, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები იყვნენ, მათ შორის J.P Morgan, Citi, Fidelity Investments, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, Baker McKenzie, Dentons, BLC Law, Amundi, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ქართველ ემიტენტებთან და სხვა სტუმრებთან ერთად. კონფერენციის დროს მონაწილეებმა განიხილეს კაპიტალის ბაზარზე საკუთარი გამოცდილებები, მიმდინარე ბაზრის ტენდენციები და მომავალი განვითარების პერსპექტივები.

თიბისი ლიზინგი

2024 წელს ჩვენ ორიენტირებული ვიყავით ჩვენი პოზიციის გამყარებაზე როგორც მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებში, ისე საცალო სეგმენტში. შედეგად, ჩვენი მთლიანი სალიზინგო პორტფელი წინა წელთან შედარებით 17%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში და 444 მილიონი ლარი შეადგინა.

2024 წლის წარმატების საზომი

86.3%	₾ 444 მლნ	₾ 40 მლნ	₾ 20.3 მლნ
ბაზრის წილი[1]	მთლიანი სალიზინგო პორტფელი	მწვანე სალიზინგო პორტფელი	წმინდა მოგება
(2023: 86.2%)	(2023: ₾ 377 მლნ)	(2023: ₾ 32 მლნ)	(2023: ₾ 19.6 მლნ)

ერთი შეხედვით

თიბისი ლიზინგი, თიბისი ბანკის სრულად კუთვნილი შვილობილი კომპანიაა, რომელიც ჩვენს საცალო და MSME კლიენტებს სთავაზობს დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, მას ჰქონდა სალიზინგო ბაზრის 86.3%-იანი წილი[1].

ჩვენი ტექნიკური გამოცდილება და სპეციალიზებული ცოდნა საშუალებას გვაძლევს ჩვენს კლიენტებს შევთავაზოთ აქტივების ფინანსირების ალტერნატიული გზები და სხვა დამატებითი საკონსულტაციო მომსახურება, მათ შორის ფინანსური ლიზინგი, საოპერაციო ლიზინგი, გაყიდვები და დაბრუნებადი იჯარა. ჩვენ ვემსახურებით მომხმარებლებს მთელს საქართველოში, ავტორიზებული წარმომადგენლობითი სადილერო კომპანიების, მომწოდებლების, პირდაპირი გაყიდვების არხებისა და თიბისი ბანკის ფილიალების მეშვეობით. თიბისი ბანკის ფართო გაყიდვების ქსელთან მიერთების შესაძლებლობა გვაძლევს მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას.

წლის მიმოხილვა

2024 წელს ჩვენ ორიენტირებული ვიყავით ჩვენს გაფართოებაზე როგორც მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების, ისე საცალო სეგმენტში. ბაზრის ღრმა ანალიზით და კლიენტებთან მჭიდრო თანამშრომლობით მივიღეთ ღირებული ინფორმაცია ჩვენი მომხმარებლების არსებული ფინანსური საჭიროებების და პრეფერენციების შესახებ.

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტის მხარდაჭერის მიზნით, 2024 წელს ჩვენ შევძელით მოგვეზიდა სოლიდური ფინანსური რესურსები ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან, მათ შორის 10 მილიონი ევროს საკრედიტო ხაზი საერთაშორისო განვითარების მიმართულებით იტალიის უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტისგან Cassa Depositi e Prestiti (CDP). ეს მნიშვნელოვანი გარიგება CDP-ის პირველი ინვესტიცია იყო საქართველოში, რითაც ქვეყნის ფინანსურ სექტორში ისტორიული პრეცედენტი შეიქმნა, ახალი საერთაშორისო ინსტიტუციური კაპიტალის მოზიდვის მხრივ. საკრედიტო ხაზის მიზანია ფინანსური ინკლუზიურობის გაძლიერება და ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობა.


საცალო სეგმენტში რამდენიმე მომსახურება დავნერგეთ:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების trade-in: ეს ინოვაციური მომსახურება საცალო მომხმარებლებს ძველი ავტომობილის გადაცვლის გზით, ახალი ავტომობილის შეძენის საშუალებას აძლევს, უხარვეზო და მარტივი პროცესით. თიბისი ლიზინგის ნებისმიერ ფილიალში მომხმარებლებს შეუძლიათ მიიყვანონ ავტოსატრანსპორტო საშუალებები შესაფასებლად, რის შემდეგაც შეფასებული ფასი დააკლდება ახალი ავტომობილის ღირებულებას. დარჩენილი ნაშთი შესაძლოა დაფინანსდეს ლიზინგის გზით, რათა შექმნას უხარვეზო და მომხმარებლებზე ორიენტირებული გამოცდილება.
- მოტოციკლის ლიზინგი: ეს სერვისი მომხმარებლებს ერთ დღეში შერჩეული მოტოციკლის დაფინანსების შესაძლებლობას აძლევს. ის არ მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფის საგანს და მინიმალურ წინასწარ შენატანს საჭიროებს, რაც აჩქარებს და ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებს მოტოციკლის მოყვარულებისთვის.
- სპეციალური სალიზინგო პროდუქტი ტაქსის მძღოლებისთვის: ეს შეთავაზება მომხმარებლებს ახალი ავტომობილის შეძენის ან არსებულის განახლების შესაძლებლობას აძლევს.


ამასთან, სხვადასხვა არხში საკონტაქტო წერტილების გაზრდით ჩვენ გავაუმჯობესეთ მომხმარებლების ჩართულობა. ჩვენი სამიზნე მარკეტინგული ინიციატივების შემადგენელი ნაწილის სახით, ჩვენ ვუშვებთ რეკლამებს რადიო პლატფორმებზე. ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად, კინოთეატრის მაყურებლები ჩვენს რეკლამებს ფილმამდე უყურებენ, რათა მოვიცვათ მრავალფეროვანი დემოგრაფია, ასევე ვიყენებთ Google Ads სტრატეგიულად სამიზნე პოტენციურ მომხმარებლებთან ციფრული არხებით დაკავშირების მიზნით. გვაქვს რეკლამები TikTok პლატფორმაზე, რაც არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობას ამაღლებს, არამედ, პოტენციურ მომხმარებლებსაც იზიდავს. გარდა ამისა, ჩვენ ვთანამშრომლობდით ინფლუენსერებთან და YouTube-ერბთან, რათა გავაფართოვოთ აუდიტორია, ავამაღლოთ ბრენდის ცნობადობა და მოვიზიდოთ მომხმარებლები.

შედეგად, 2024 წელს ჩვენი მთლიანი სალიზინგო პორტფელი წინა წელთან შედარებით 17%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში და 444 მილიონი ლარი შეადგინა. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პორტფელი წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში და 378 მილიონი ლარი შეადგინა 2024 წელს, ხოლო საცალო პორტფელი 110%-ით გაიზარდა იმავე პერიოდში მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში, რაც მოიცავდა ახალ მანქანებს, მეორად მანქანებს და სხვა საცალო პროდუქტებს.

MSME სალიზინგო პორტფელი (მლნ ლარი)



საცალო სალიზინგო პორტფელი (მლნ ლარი)



სამომავლო გეგმები

საქართველოს სალიზინგო ბაზარი 7.3%-ით გაიზარდა ბოლო 5 წლის ნაერთი წლიური ზრდის ტემპის მიხედვით. შედარებით დაბალი პენეტრაციის გამო არსებობს მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი. დღეისათვის ლიზინგის მოცულობა ქართული მშპ-ის მხოლოდ 1%-ს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად დაბალია ისეთ შესადარის ქვეყნებთან შედარებით, სადაც ლიზინგი მშპ-ის 4-5%-ს[2] შეადგენს. ჩვენ გვჯერა რომ თიბისი ლიზინგს აქვს ყველა შესაძლებლობა, რომ ბაზრის მუდმივი სტრუქტურული ზრდისგან მიიღოს სარგებელი.

1 შიდა შეფასებების საფუძველზე.
2 „UK Good Governance Fund"-ის სალიზინგო ბაზრის კვლევის საფუძველზე.

ჩვენი მომხმარებლები

ჩვენ ორიენტირებულნი ვართ რომ გავუმარტივოთ მომხმარებლებს ცხოვრება. ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებებით და პერსონალიზებული სერვისებით, ფიზიკურ პირებსა და ბიზნესებს ვუქმნით უხარვეზო გამოცდილებას.

2024 წლის წარმატების საზომი

63%	69%	82%
საცალო NPS[1]	კონცეპტის NPS[2]	CIB NPS[3]
(2023: 67%)	(2023: 65%)	(2023: 81%)

მომხმარებელთა გამოცდილება (CX) თიბისისთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და ჩვენ ჩვენი მომხმარებლების ვქმნით ისეთ პროდუქტებს და სერვისებს, რომლებიც თანხვედრაშია ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებთან. ციფრული და ფიზიკური გზებით ჩვენ მხარს ვუჭერთ ფინანსურ ინკლუზიას. გვაქვს ფილიალების, ბანკომატების და თვითმომსახურების ტერმინალების ფართო ქსელი საქართველოში, მათ შორის დისტანციურ სივრცეებში. ამავდროულად ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი ციფრული სერვისების გაფართოებას, რაც განაპირობებს ციფრულ ადაპტაციაში მნიშვნელოვან ზრდას, რომლის შედეგიც არის 2024 წელს ყოველთვიური აქტიური მომხმარებლების რაოდენობის 14%-იანი ზრდა.

მომხმარებელთა გამოცდილების და კმაყოფილების მართვა

ჩვენ გვაქვს მომხმარებელთა გამოცდილების კომპეტენციის ცენტრი (CX ცენტრი), რომელიც პასუხს აგებს ბანკის მასშტაბით მომხმარებელთა კმაყოფილების, ლოიალობისა და ჩართულობის სტრატეგიების შემუშავებასა და განვითარებაზე. CX ცენტრში შედიან მომსახურების კულტურის ხელმძღვანელი, მომხმარებელთა გამოცდილების სისტემის ხელმძღვანელი, ასევე მომხმარებელთა გამოცდილების პარტნიორები (CX პარტნიორები) და თანამშრომელთა გამოცდილების პარტნიორი. ხელმძღვანელები სხვადასხვა პროექტებით და ინიციატივებით პასუხს აგებენ კომპანიის მომსახურების კულტურის და მომხმარებელთა გამოცდილების (CX) მართვის სისტემების გაუმჯობესებაზე. CX პარტნიორები ჩვენს მომხმარებლებსა და შიდა გუნდებს შორის ხიდის ფუნქციას ასრულებენ. აგროვებენ მომხმარებელთა უკუკავშირებს ახალი პროდუქტების განვითარების მიმართულების შესარჩევად და არსებული პროცესების გასაუმჯობესებლად. ამასთან, თანამშრომელთა გამოცდილების პარტნიორი არეგულირებს თანამშრომელთა პრობლემებს, უზრუნველყოფს მათთვის საუკეთესო გამოცდილებას კომპანიაში.

ჩვენ ასევე გვაქვს CX კომისია აღმასრულებელ დონეზე, რომელშიც შედიან უფროსი ხელმძღვანელები საკვანძო ბიზნეს ერთეულებიდან და CX პარტნიორები. ეს კომიტეტი მიმოიხილავს CX პარტნიორების მუშაობას, უზრუნველყოფს ფართო სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას. CX პარტნიორები რეგულარულად წარუდგენენ ანგარიშს CX კომიტეტს, რომელშიც განსაზღვრავენ პრობლემატურ საკითხებს, მათი მოგვარების გზებს და უწყვეტად გასცემენ მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციებს.

ჩვენი მომსახურების კულტურის გასაუმჯობესებლად, გასული წლის განმავლობაში CX შესაბამისობის ცენტრმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა წამოიწყო:

- ჩაუშვა მიკრო-ბაგების სისტემა, რომელიც ჩვენს თანამშრომლებს სწრაფი რეაგირების საშუალებას აძლევს პროდუქტებთან თუ მომსახურებებთან დაკავშირებული პრობლემების დროულად აღმოსაფხვრელად.
- დანერგა TBCX ჯილდოები იმ თანამშრომლების წასახალისებლად, რომლებიც მომხმარებელთა კმაყოფილების შედეგების მიხედვით, წარმატებულად შეასრულებენ თავიანთ ფუნქციას.

- სერვისის გაუმჯობესების მიზნით front-line შუა რგოლის ხელმძღვანელებს ჩაუტარდათ სემინარები, რათა მომხმარებლის გამოცდილება კვლავ შეფასდეს ჩვენს კონტაქტ ცენტრებსა და ფილიალებში.
- ხელი შეუწყო სამახსოვრო ურთიერთობის დამყარებას, ჩვენი „WOW გამოცდილების“ მეთოდური რეკომენდაციებით, რომლის ფარგლებშიც 180 მეთოდური რეკომენდაცია დაგენერირდა, საიდანაც 10 საუკეთესო იდეა დაჯილდოვდა.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ფილიალებისა და ონლაინ არხების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად დაიწყო მუშაობა, მათ შორის დაინერგა სტანდარტები შეზღუდული მხედველობის მქონე მომხმარებელთა მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

ჩვენ გვაქვს საჩივრების მართვის სრულფასოვანი სისტემა, რათა ყველა მომხმარებლის პრობლემაზე შევძლოთ ეფექტური რეაგირება. მომხმარებლებს შეუძლიათ საჩივრების წარდგენა სხვადასხვა არხების გამოყენებით, მათ შორის ფილიალებსა და ონლაინ პლატფორმებზე. ყველა საჩივარი ფასდება სამართლებრივი, მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად და დროულად რეგულირდება. 2024 წელს ჩვენ 7,040-მდე საჩივარი დავამუშავეთ, საჩივრების მოგვარების 62%-იანი მაჩვენებლით, რაც დამატებით უჩვენებს მომხმარებელთა კმაყოფილების და პრობლემების სწრაფად მოგვარების პროცესს. იმავე პერიოდში მომხმარებელთა მხარდაჭერის დეპარტამენტმა გამოავლინა და რეაგირება ჰქონდა 816 მტკივნეულ საკითხზე, რათა პროაქტიულად აღეკვეთათ საჩივრები და პრობლემები.

კლიენტთა უკუკავშირის რეგულარულად მიღება კრიტიკულ როლს ასრულებს ჩვენი ძალების მუდმივ გაუმჯობესებაში. ყოველ წელს გამოვკითხავთ ნახევარ მილიონამდე მონაწილეს შიდა და გარე კვლევებში, რათა გავაკონტროლოთ ჩვენი მომხმარებელთა კმაყოფილების ინდექსი (CSI). ამასთან, ჩვენ ვიყენებთ Medallia-ს, წამყვან საერთაშორისო CX მართვის პლატფორმას, რომელიც ჩვენი მობილური და ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმებიდან ტრანზაქციის განხორციელებისთანავე გვეხმარება რეალურ დროში უკუკავშირების მოგროვებაში, რაც მომხმარებელთა პრობლემებზე დროული რეაგირების საშუალებას გვაძლევს და გვეხმარება გავაუმჯობესებთ მათ საერთო გამოცდილებას.

ლოიალობის ინდექსი (NPS) საკვანძო მაჩვენებელია, რომელსაც ვიყენებთ მომხმარებელთა ლოიალობისა და კმაყოფილების შესაფასებლად. 2023 წლიდან წამოვიწყეთ ლოიალობის ინდექსის დანაწევრება ბიზნეს მიმართულებების მიხედვით. ამ მიდგომამ უფრო დეტალური ინფორმაცია მოგვცა თითოეული სამომხმარებლო სეგმენტის უნიკალური საჭიროებების და თანამშრომლობის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს სტრატეგიები მეტად მიზანზე ორიენტირებულ გაუმჯობესებებსა და მომხმარებელთა უფრო მყარ ურთიერთობებს მოვარგოთ.

მომხმარებელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა

ჩვენი ციფრული ინფრასტრუქტურის გაფართოებასთან ერთად, კვლავ გვაქვს ვალდებულება დავიცვათ ჩვენი მომხმარებლების, თანამშრომლებისა და საქმიანი პარტნიორების პერსონალური ინფორმაცია. ჩვენი სრულფასოვანი მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (DPP) უზრუნველყოფს ყველა რელევანტურ რეგულაციებთან, მათ შორის მონაცემთა დაცვის გენერალურ რეგლამენტთან და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ადგილობრივ კანონმდებლობასთან, შესაბამისობას. ბანკის მონაცემთა დაცვის ოფიცერი მიმოიხილავს მონაცემთა დაცვის შესაბამისი პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას და მჭიდროდ თანამშრომლობს ყველა დეპარტამენტთან, კონფიდენციალურობის კულტურის ხელშეწყობის მიზნით. მარეგულირებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რეგულარულად ვაფასებთ რისკებს, განვსაზღვრავთ მიტიგაციის სტრატეგიებს და ვახორციელებთ შეთანხმებული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. ამასთან, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ Bird & Bird მონაცემთა დაცვის გენერალური რეგლამენტის წარმომადგენლობით სამსახურებთან (SRL), ჩვენს წარმომადგენელთან ევროკავშირში, მონაცემთა დამუშავების, საჩივრების განხილვისა და მარეგულირებელ უწყებებთან ურთიერთმოქმედების მიზნით.

თიბისის ასევე აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების სრულფასოვანი პოლიტიკა, რომელშიც განსაზღვრულია კომპანიის ინფორმაციის დაცვის მიდგომა. ჩვენი ISO 27001 სტანდარტით სერტიფიცირებული ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა (ISMS) მოიცავს პოლიტიკებს IT ოპერაციების, ღრუბლოვანი უსაფრთხოების, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის, საქმიანობის უწყვეტობის და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის შესახებ.

ჩვენი მონაცემთა გაჟონვის პრევენციის სისტემა აქტიურად აკონტროლებს პოტენციურ დარღვევებს, ხოლო ჩვენი წვდომის კონტროლის პოლიტიკა უზრუნველყოფს იმას, რომ თანამშრომლებს წვდომა ჰქონდეთ მხოლოდ მათი ფუნქციების შესაბამის მონაცემებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2024 წელს მონაცემებთან დაკავშირებულ არსებით დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. რისკის ძლიერი კულტურის შენარჩუნებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და თანამშრომელთა გადამზადებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ. ჩვენი პერსონალი რეგულარულად გადის ტრენინგებს მონაცემთა უსაფრთხოების პროტოკოლების შესახებ. 2024 წელს ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერეთ ჩვენი უსაფრთხოების ღონისძიებები, რაშიც მონაცემთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული სპეციალური ტრენინგის ჩატარება დაგვეხმარა, რომელიც თითქმის 7,200 თანამშრომელს ჩაუტარდა.

1 ლოიალობის ინდექსი (NPS) 2024 წლის დეკემბერში შეფასდა დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „სონარი“ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.
2 ლოიალობის ინდექსი (NPS) 2024 წლის დეკემბერში შეფასდა დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „ანოვა“ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.
3 შიდა შეფასებების საფუძველზე, ქართული კორპორატიული ბიზნესებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.


TBCX AWARD
FOR THE BEST
CUSTOMER PAINKILLER TEAM
TBCX AWARD
FOR THE BEST
INTERNAL CUSTOMER EXPERIENCE

TBCX ჯილდო

TBCX დაჯილდოება, რომელიც ყოველწლიურად იმართება, იმ პირების და გუნდების დამსახურებებს აღნიშნავს, რომლებიც გამორჩეულად ზრუნავს მომხმარებლებსა და კოლეგებზე. 2024 წელს TBCX დაჯილდოებაზე პატივი მივაგეთ გამორჩეულ წვლილს მომხმარებელთა გამოცდილებაში, მათ შორის:

- **მომხმარებელზე ორიენტირებული საუკეთესო თანამშრომლები** - ფილიალებსა და მომხმარებლებზე ზრუნვის ცენტრებში, რომელიც ეყრდნობა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევებზე;
- **შიდა მომსახურების გამორჩეული გუნდები,** რომელთა დამსახურებაც კოლეგებისთვის განსაკუთრებული მხარდაჭერაა;
- **გუნდები, რომლებიც აგვარებენ** მომხმარებლებისა და თანამშრომლების ძირითად მტკივნეულ საკითხებს;
- **WOW გამოცდილების ჯილდო** - დადებითი და დასამახსოვრებელი სამომხმარებლო გარემოს შექმნისთვის.

ჩვენი თანამშრომლები

ჩვენ გვაქვს ვალდებულება შევქმნათ უსაფრთხო, კომფორტული სამუშაო ადგილი, სადაც წახალისებულია პერსონალური ზრდა, ღირებულებების მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზიურობა, რომელიც აძლიერებს გუნდის ყველა წევრს. ამგვარად, ჩვენ გვჯერა რომ ჩვენი თანამშრომლები იღებენ უმაღლესი დონის მხარდაჭერას და ასევე მათ ვაძლევთ განვითარების შესაძლებლობებს.

2024 წლის წარმატების საზომი

51%
თანამშრომელთა ლოიალობის ინდექსი[1] (ENPS)
(2023: 58%)

37%
ქალები მმართველობის შუა რგოლის პოზიციებზე[2]
(2023: 37%)

85%
ჩართულების ინდექსი[3]
(2023: 88%)

მიმოხილვა

თიბისიში ჩვენი ვალდებულებაა ხელი შევუწყოთ ორგანიზაციულ კულტურას, რომელიც ერთდროულად მხარდამჭერი და მამოტივირებელი იქნება. ჩვენი ხედვაა უზრუნველვყოთ თანაბარი შესაძლებლობები პროფესიონალური ზრდისთვის და ამავდროულად ჩვენი თანამშრომლებისთვის შევქმნათ ჯანსაღი ბალანსი სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის. ჩვენი მიზანია შევქმნათ ინკლუზიური გარემო, რომელშიც ყვავის თანამშრომლობა, პატივისცემა და კულტურული მრავალფეროვნება. გლობალური ტენდენციების წახალისებით, ჩვენს გვსურს თანამშრომლებს შთავაგონოთ ინოვაციები და ხელს ვუწყობთ განვუვითაროთ კუთვნილების გრძნობას.

ჩვენი მენეჯმენტი, გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით, საკვანძო როლს თამაშობს ჩვენი კორპორაციული ღირებულებების ფორმირებასა და დაცვაში. რეგულარული კომუნიკაციის, სტრატეგიის განახლების და მნიშვნელოვანი მიღწევების გაზიარებით, ჩვენ უზრუნველვყოფთ თანასწორობას და ჩართულობას ორგანიზაციის მასშტაბით. ჩვენ ასევე ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა შევაგროვოთ უკუკავშირები და შევინარჩუნოთ დინამიური კულტურული გარემო, რომელიც სრულად უპასუხებს ჩვენი გუნდის ღირებულებებსა და მოლოდინებს.

თანამშრომელთა მიღწევების აღიარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომ, ჩვენ რეგულარულად ვაზიარებთ წარმატების ისტორიებს შიდა საკომუნიკაციო არხებით და დავნერგეთ დაჯილდოების პროგრამები, მომსახურების სრულყოფისა და მომხმარებელთა კმაყოფილების ხელშესაწყობად.

თანამშრომელთა უკუკავშირი ჩვენი სტრატეგიის ქვაკუთხედია. ყოველწლიურად ტარდება სრულად ანონიმური თანამშრომელთა ჩართულობის კვლევა, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა კმაყოფილებისა და სამუშაო ადგილთან დაკავშირებული მოსაზრებების შესახებ. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად კვლევის შედეგები წარედგინება აღმასრულებელ გუნდსა და სამეთვალყურეო საბჭოს. 2024 წელს ჩვენი თანამშრომელთა ლოიალობის ინდექსი წინა წელთან შედარებით 7 პპ-ით შემცირდა და 51% შეადგინა. კლება უკავშირდებოდა ეფექტურობასა და მოქნილობაზე ორიენტირებულ სტრუქტურულ ცვლილებებს. ჩვენ ერთგულად ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, შევინარჩუნოთ თანამშრომელთა კმაყოფილების მაღალი დონე.

ჩვენი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტები

თანამშრომელთა მოზიდვა და ანაზღაურება

ჩვენ ვავითარებთ ნიჭიერი კადრების მოზიდვისა და პროფესიული განვითარების მსოფლიო დონის ეკოსისტემას. ჩვენი პროაქტიული მიდგომა მოიცავს საქართველოსა და საერთაშორისო ბაზრებზე შრომის ბაზრის ტენდენციების მონიტორინგს. ეს ფართომასშტაბიანი მეთოდი საშუალებას გვაძლევს მოვიზიდოთ პირველი კლასის პროფესიონალები მსოფლიოს მასშტაბით, კონკრეტულად ისეთ საკვანძო სფეროებში, როგორიც არის ბიზნეს-ოპერაციები, ფინანსები, რისკების მართვა და ინფორმაციული ტექნოლოგიები.

მომავალი თაობის განვითარებისათვის, ჩვენ დავნერგეთ მაღალი რეპუტაციის მქონე სტაჟირების პროგრამა, რომელიც განკუთვნილია ჩვენს ბექ-ოფის ოპერაციებში, საწყისი პოზიციებისათვის. ეს ინიციატივა საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ და დავასაქმოთ წარმატებული სტუდენტები ქართული წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან. ერთწლიანი სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ, საუკეთესო კანდიდატებს ვთავაზობთ დასაქმებას სხვადასხვა მიმართულებებში მათ შორის ფინანსების, რისკების მართვის, კორპორატიული ბიზნესის, მარკეტინგის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ანალიტიკის დეპარტამენტებში.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ უნივერსიტეტებთან და კოლეჯებთან, ვატარებთ დასაქმების ფორუმებს, ვგეგმავთ ქვეყნის მასშტაბით ვიზიტებს უნივერსიტეტებში და აქტიურად ვმონაწილეობთ სხვადასხვა მარკეტინგულ აქტივობებში. აღნიშნული თანამშრომლობა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულების მოზიდვას სხვადასხვა პოზიციებზე, მრავალფეროვანი და დინამიური სამუშაო ძალის შექმნისათვის.

ჩვენ თანამშრომლებს ვთავაზობთ სრულფასოვან კონკურენტულ ანაზღაურების პაკეტებს, რომლებიც მოიცავს ფიქსირებულ ხელფასს, სამუშაოს შესრულებაზე დაფუძნებულ პრემიებს და ბენეფიტების პაკეტს, რომელშიც შედის: ჯანმრთელობის დაზღვევა, კრიტიკული დაავადებების და სიცოცხლის დაზღვევა, ანაზღაურებადი ბიულეტენი, ასევე ექვსთვიანი სრულად ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება როგორც დედებისთვის, ისე მამებისთვის. დამატებითი შეღავათები მოიცავს სოციალური დახმარების პაკეტს ქორწინების, მშობიარობისა და ოჯახის წევრებზე ზრუნვის შემთხვევაში, ანაზღაურებად შვებულების დღეებს ყველა თანამშრომლისთვის და დამატებით ანაზღაურებად დასვენების დღეებს ორზე მეტი შვილის მშობლებისთვის, ასევე სპეციალურ სოციალურ ანაზღაურებას თანამშრომლებისთვის, ვისაც ჰყავთ ოთხი ან მეტი შვილი.

სწავლა და განვითარება

თიბისი თავის თანამშრომლებს სთავაზობს სასწავლო და განვითარების რესურსების ფართომასშტაბიან სპექტრს თიბისის აკადემიაში, ასევე ინდივიდუალურ ლიდერობის განვითარების პროგრამებს, IT განათლებას და საერთაშორისო კვალიფიკაციებს.

- თიბისის აკადემიამ წელსაც შემოგვთავაზა ისეთი კურსები, როგორებიცაა ბიზნესი, ეჯაილ უნარები, კანონმდებლობა და BrandX, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 850-ზე მეტმა თანამშრომელმა;
- თიბისის ლიდერობის აკადემია საშუალო რგოლის მენეჯერებს სთავაზობს სასწავლო პროგრამებს მაღალ რეიტინგულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, როგორიც არის Bled School of Management და DEVELOR International. ამ კურსებში ჯამში 186-მა ლიდერმა მიიღო მონაწილეობა. კურსები მოიცავდა ისეთ კრიტიკულ საკითხებს, როგორიც არის სტრატეგიული აზროვნება, კოლაბორაცია, პერსონალური განვითარება და კეთილდღეობა, კომუნიკაცია, გუნდის ხელმძღვანელობა და თვითანალიზი სამუშაო სივრცეში;
- 2019 წლიდან ჩვენი შიდა IT აკადემია წარმოადგენს ტექნოლოგიური განათლების ცენტრს, რომელიც მსმენელებს სთავაზობს კურსებს front-end და back-end დეველოპმენტში, DevOps-ის და სხვა საკითხებზე. ეს კურსები უფასოდ არის ხელმისაწვდომი როგორც ჩვენი თანამშრომლების, ისე პოტენციური კანდიდატებისთვის. გამოცდილი პერსონალისა და დარგის პროფესიონალების ხელმძღვანელობით, აკადემიამ ტრენინგი ჩაუტარა ორგანიზაციის გარედან მოსულ 2,000-ზე მეტ პირს და 2,000 ადამიანს ორგანიზაციის შიგნით, რის შედეგადაც თიბისი ჯგუფი გამდიდრდა 400-ზე მეტი კვალიფიციური პროფესიონალით;
- ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა გარე კურსებზე დასასწრებად და ისეთი საერთაშორისო სერტიფიკატების მოსაპოვებლად, როგორიც არის: MBA, CFA, FRM, ACCA და სხვ. 2024 წლის განმავლობაში ამ პროგრამებში 1,450-ზე მეტმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა;
- საოპერაციო ეფექტიანობის ასამაღლებლად და თანამშრომელთა მხარდასაჭერად, 2024 წელს თიბისიმ დანერგა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული საძიებო პლატფორმა. აღნიშნული კორპორაციული ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენს მონაცემთა ანალიზის გუნდთან თანამშრომლობით შეიქმნა, თანამშრომლებს ეხმარება კომპანიის დოკუმენტების ანალიზის მეშვეობით სწრაფად მიიღონ ზუსტი ინფორმაცია. პლატფორმა ორ საკვანძო ფუნქციას ემსახურება:

1 ბანკის თანამშრომელთა ლოიალობის ინდექსი (ENPS) შეაფასა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა 2024 წლის ბოლო კვარტალში.
2 ფილიალის მენეჯერები, განყოფილებების და დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ასევე ჯგუფის შვილობილი კომპანიის საშუალო ხელმძღვანელი რგოლის თანამშრომლები.
3 ბანკის თანამშრომლების ჩართულობის ინდექსი შეფასდა 2024 წლის დეკემბერში დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ და გაიზომა, თუ რამდენად გრძნობენ თანამშრომლები თავს ჩართულად და ერთგულად თიბისი ბანკის მიმართ.

ძიების პლატფორმა ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე



საოპერაციო ეფექტიანობის ასამაღლებლად და თანამშრომელთა მხარდასაჭერად, 2024 წელს თიბისიმ დანერგა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული საძიებო პლატფორმა. აღნიშნული კორპორაციული ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენს მონაცემთა ანალიზის გუნდთან თანამშრომლობით შეიქმნა, თანამშრომლებს ეხმარება კომპანიის დოკუმენტების ანალიზის მეშვეობით სწრაფად მიიღონ ზუსტი ინფორმაცია. პლატფორმა ორ საკვანძო ფუნქციას ემსახურება:

1. ცოდნაზე დაფუძნებული - იძლევა სრულფასოვან ინფორმაციას ბანკის პროდუქტების და მომსახურებების შესახებ, რაც front-line თანამშრომლებს მომხმარებელთა შეკითხვებზე ეფექტურად რეაგირების საშუალებას აძლევს;
2. HR ოპერაციები - ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სწრაფი პასუხის გაცემით აუმჯობესებს შიდა პროცესებს, როგორებიცაა საშვებულებო პოლიტიკას, დაზღვევა და ბენეფიტები.

- ცოდნაზე დაფუძნებული - იძლევა სრულფასოვან ინფორმაციას ბანკის პროდუქტების და მომსახურებების შესახებ, რაც front-line თანამშრომლებს მომხმარებელთა შეკითხვებზე ეფექტურად რეაგირების საშუალებას აძლევს;
- HR ოპერაციები - ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სწრაფი პასუხის გაცემით აუმჯობესებს შიდა პროცესებს, როგორებიცაა საშვებულებო პოლიტიკას, დაზღვევა და ბენეფიტები.

2024 წელს თიბისიმ წარმატებით წამოიწყო თანამშრომელთა კეთილდღეობის პროგრამა, რომელიც ჯგუფის 440 თანამშრომელს მოიცავდა. ეს ინიციატივა მიმართული იყო მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ ცნობადობის ამაღლებისკენ, ისეთი აქტივობების გზით, როგორიც არის არტ-თერაპია, სამოტივაციო სემინარები და მასტერკლასები. ყველა ამგვარი ინიციატივა შემუშავებული და დანერგილია ჩვენი თანამშრომლების პირდაპირი უკუკავშირის საფუძველზე.

სამუშაოს შესრულების მართვა

ჩვენი სამუშაოს შესრულების შეფასების მართვის სისტემა შექმნილია თანამშრომლების პროდუქტიულობის გასაზრდელად. ის ხელს უწყობს ღია კომუნიკაციისა და კონსტრუქციული უკუკავშირის კულტურას. ჯგუფის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, ხაზს უსვამს სიცხადეს, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. დასაქმებულის ინდივიდუალური მიზნებისა და თიბისის პრიორიტეტებისა დაკავშირებით, ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც განვითარება შეუძლია თანამშრომლებსაც და თავად ორგანიზაციასაც. ეს მიდგომა მხარს უჭერს პერსონალურ განვითარებას და ამავდროულად უზრუნველყოფს ორგანიზაციის წარმატებას ჩვენი საერთო ხედვის მიმართულებით.

შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) ჩვენი შესრულებული სამუშაოს შედეგების მართვის სისტემის საფუძველს ქმნიან, რაც მოიცავს ჯგუფის ყოვლისმომცველ სტრატეგიულ გეგმებს და კონკრეტულ, გაზომვად შედეგებს თითოეული თანამშრომლისთვის. ეს შესრულების ძირითადი მაჩვენებლები პირდაპირ ერგება თიბისის ძირითად ამოცანებს, როგორიც არის ფინანსური შედეგები, მომხმარებელთა კმაყოფილება, ბაზრის გაფართოება და საოპერაციო ეფექტურობა. ლიდერები ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ისინი მაღალი დონის სტრატეგიულ მიზნებს ქმედითუნარიან, გაზომვად გეგმებად გარდაქმნიან.

SMART (სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში შეზღუდული) KPI ჩარჩოს გამოყენება უზრუნველყოფს მოლოდინების სიცხადეს და პასუხისმგებლობას შედეგებზე. ეს მიდგომა თანამშრომლებს გზას უკვალავს წარმატებისკენ და ამავდროულად უზრუნველყოფს პროგრესის ეფექტურად მიკვლევადობას და შეფასებას. საქმიანობის მიმართულებიდან გამომდინარე, შესრულების ძირითადი მაჩვენებლები და მიზნები შესაძლოა განისაზღვროს თვეში, კვარტალში ან წელიწადში ერთხელ, რაც მოქნილობის საშუალებას იძლევა ამ დეპარტამენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის.

თანამშრომელთა ზრდისა და განვითარების ხელშეწყობისთვის, KPI-ების შესრულების პროცესში, ჩვენ ვიყენებთ როგორც ინდივიდუალური განვითარების გეგმას (IDP), ასევე 360-გრადუსიან უკუკავშირის პროცესს. ეს ინსტრუმენტები გუნდის თითოეული წევრისთვის პერსონალური განვითარების შესაძლებლობებს და საქმიანობის შედეგების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისთვის არის შექმნილი.

- უშუალო ხელმძღვანელებთან ერთად, თანამშრომლები ქმნიან ინდივიდუალურ განვითარების გეგმებს (IDP), რომლებშიც მათი პერსონალური განვითარების გეგმები ორგანიზაციის საჭიროებებზეა მორგებული. ეს გეგმები პერსონალიზებული საგზაო რუკების ფუნქციას ასრულებენ უნარ-ჩვევების განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის. მენეჯერები აქტიურად არიან ჩართული ამ გეგმების გადახედვასა და განახლებაში, რათა გეგმები იყოს პრაქტიკული, მიღწევადი და თანამშრომლების მისწრაფებებზე მორგებული. საჭირო რესურსებისთვის და მხარდაჭერისთვის, მენეჯერები თანამშრომლებს საშუალებას აძლევენ მიაღწიონ განვითარებასთან დაკავშირებულ მიზნებს და განვითარდნენ ორგანიზაციის შიგნით.
- 360-გრადუსიანი უკუკავშირის პროცესი სრულფასოვან შეფასების სისტემას წარმოადგენს, რომელიც საქმიანობის შედეგებსა და კომპეტენციებზე ჰოლისტიკურ შეხედულებას იძლევა. მოსალოდნელია, რომ ლიდერები არა მხოლოდ უკუკავშირს გასცემენ, არამედ ასევე ხელს შეუწყობენ მუდმივი გაუმჯობესების კულტურას. ეს პროცესი აძლიერებს გამჭვირვალობას, ხაზს უსვამს ინდივიდუალურ ძლიერ მხარეებს და განსაზღვრავს განვითარების შესაძლებლობებს, ქმნის კულტურას, რომელიც ერთდროულად ხელს უწყობს პროფესიულ ზრდასა და გუნდურ ერთიანობას.

მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზიურობა

ჩვენ კვლავ ვქმნით მრავალფეროვან სამუშაო ძალას, რომელიც ქმნის ინოვაციებს, აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და ახალისებს დინამიკურ სამუშაო გარემოს. სხვადასხვა გამოცდილებების და პერსპექტივების ერთობლიობით, ჩვენ უკეთ შევძლებთ გავიაზროთ მომხმარებელთა მრავალფეროვანი საჭიროებები, მოვერგოთ ბაზარზე ცვალებად მოთხოვნებს და განვავითაროთ ინკლუზიური გადაწყვეტილებები. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ქალთა უფლებების დაცვას და მხარს ვუჭერთ მათ პროფესიონალურ ზრდას. ამასთან, ჩვენ შევიმუშავეთ გრძელვადიანი

როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის - ჩვენი თანამშრომლები გაგრძელება

მიდგომა ქალებისათვის საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის დონეზე და დავამსხვრიეთ ბარიერები სფეროებში, სადაც ტრადიციულად მამაკაცები დომინირებენ, მაგალითად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ფინანსები. პროგრესის უზრუნველსაყოფად, ჩვენს ESG სტრატეგიაში განსაზღვრულია მკაფიო მიზნები და ამ მიზნებზე მორგებული სამოქმედო გეგმები. საკვანძო ინიციატივები მოიცავს გენდერის ნიშნის მიხედვით შემუშავებულ ანგარიშგების სისტემის დანერგვას ტენდენციების მონიტორინგისთვის, ადაპტირების ტრენინგის ჩატარებას საშუალო რგოლის მენეჯერებისა და HR სპეციალისტებისთვის ისეთ საკითხზე როგორიცაა გენდერის მიმართ სენსიტიური საკითხები, კანდიდატებს შორის გენდერული ბალანსის უზრუნველყოფას და სამუშაო პირობებში გენდერის მხრივ ინკლუზიური ენის დანერგვას.


ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენი მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პოლიტიკით, რომელშიც განსაზღვრულია ამ პრინციპების ინტეგრირების ჩარჩო ჯგუფის საქმიანობის ყველა სფეროში. ეს მოიცავს ინკლუზიურობის ხელშეწყობას კომპანიაში, მრავალფეროვნების წახალისებას ბაზარზე და დადებითი გავლენის მოხდენას ფართო საზოგადოებაზე. პოლიტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.tbcbankgroup.com.

ჩვენ, როგორც ქალთა უფლებების დაცვის პრინციპების (WEPs) მხარდამჭერები, პირობას ვდებთ, რომ მხარს დავუჭერთ გენდერულ თანასწორობას, ხელს შევუწყობთ თანამშრომელთა მრავალფეროვნებას და ამ ყოველივეს გამოვხატავთ საჯარო ღონისძიებებზეც. ჩვენ ყოველწლიურად ვიღებთ მონაწილეობას ქალთა უფლებების დაცვის პრინციპების ხელმომწერი კომპანიების ყოველწლიურ კვლევაში, რომელსაც ატარებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია. კვლევა მოიცავს ჩვენი მონაცემების, პროგრესის და ისეთი თემატური აქტივობებისა თუ პროექტების შესახებ ანგარიშის წარდგენას, რომლებიც თანხვედრაშია თითოეულ პრინციპთან.


თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის მიმართ ჩვენი მხარდაჭერის ფარგლებში, წელსაც დიდი ყურადღება ეთმობოდა სატრენინგო ინიციატივებს, რომლებიც ამაღლებენ ცნობადობას და ცოდნას ჩვენს თანამშრომლებს შორის. თიბისიში ყველა თანამშრომელი გადის სავალდებულო ტრენინგს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის გენდერული თანასწორობა, მრავალფეროვნება, სექსუალური შევიწროება, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია, ასევე ძალადობის სხვა სახეები. გარდა ამისა, ჩვენ ვაწყობთ ინტერაქციულ პირისპირ სესიებს, რომლებიც ხელს უწყობს ჯანსაღ და ინკლუზიურ სამუშაო გარემოს. ამ სესიებზე თეორიული ცოდნა ერთიანდება პრაქტიკულ გამოცდილებებთან, სადაც აქტიური მონაწილეობა და აზრიანი განხილვები წახალისებულია და საფუძველს უქმნის ორგანიზაციაში დადებითი ცვლილებების განხორციელებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის დონეზე მონაცემები


სამეთვალყურეო საბჭო*




აღმასრულებელი კომიტეტი**



საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა***



ყველა თანამშრომელი




** 2022 წლის განმავლობაში ჩვენ გვყავდა სამი ქალი არააღმასრულებელი დირექტორი, სანამ მარია ლუიზა ჩიკონიანმა არ დატოვა საბჭო 2022 წლის სექტემბერში. 2023 წლის 26 ივნისს, ჯანეტ ჰეკმანი დაინიშნა სს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად*
*** 2022 და 2023 წლების მონაცემები წარმოდგენილია აღმასრულებელი ხელმძღვანელობის გუნდისთვის. აღმასრულებელი კომიტეტი 2024 წელს შეიქმნა*
**** ფილიალის მენეჯერები, განყოფილების და დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ასევე ჯგუფის შვილობილი კომპანიების საშუალო რგოლის ხელმძღვანელი პოზიციები.*

ქალი მამაკაცი

ჩვენ გვყავს მრავალფეროვანი გუნდი, რომელიც შედგება გამოცდილი პროფესიონალებისა და საქართველოსა და საზღვარგარეთის საუკეთესო უნივერსიტეტების კურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდებისაგან. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეს ასაკობრივი ნაზავი ხელს უწყობს დინამიკურ, მაღალი ხარისხის გუნდს უკეთესი შედეგების მიღწევაში.

ასაკობრივი მრავალფეროვნების სტატისტიკა 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით




ანაზღაურების გენდერული სხვაობა[1]

ჩვენ რეგულარულად ვამოწმებთ ანაზღაურების დონეს და უზრუნველვყოფთ, რომ ქალებსა და მამაკაცებს ერთნაირი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარ ანაზღაურებას უხდიდნენ. 2024 წელს ჩვენი საშუალო გენდერული სხვაობა ბანკის თანამშრომლებს შორის 2023 წლის დონეზე - 44% შენარჩუნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ, საშუალოდ მამაკაცები იღებდნენ უფრო მაღალ ანაზღაურებას, ვიდრე ქალები (საშუალო გენდერული სხვაობა საათობრივ ანაზღაურებაში). ეს ძირითადად განპირობებულია დაბალ თანამდებობებზე დასაქმებული ქალების მეტი რაოდენობით, მათ შორის ფრონტ-ოფისში კლიენტთა მომსახურების პოზიციებზე. რაც შეეხება საშუალო რგოლის ხელმძღვანელობას, საშუალო გენდერული ანაზღაურების სხვაობა - 3% 2024 წელს და -17% 2023 წელს, რაც ნიშნავს, რომ ქალებს უფრო კარგი ანაზღაურება ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს. ჩვენ კვლავ ვცდილობთ, მივაღწიოთ უკეთეს გენდერულ ბალანსს და გავზარდოთ მაღალ და საშუალო დონის თანამდებობებზე მომუშავე ქალების წილი.

1 ანაზღაურების გენდერული სხვაობა დათვლილია 2024 წლის აპრილის მდგომარეობით.

როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის - ჩვენი თანამშრომლები გაგრძელება

გენდერული გადანაწილება სხვადასხვა პოზიციებზე*



** ამ ცხრილში მოცემული მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ ბანკისთვის*

ქალი მამაკაცი

ეთიკის, მრავალფეროვნების, თანასწორობისა და პასუხისმგებლობის ვალდებულება

თიბისი ბანკის მიზანია აწარმოოს მაღალ ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული საქმიანობა, პატივი სცეს ადამიანის უფლებებს, იზრუნოს გარემოსა და საზოგადოებაზე და ხელი შეუწყოს საკუთარ თანამშრომლებს, იმოქმედონ კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობით და ურთიერთპატივისცემით ერთმანეთის და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ.

ამ მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ სხვადასხვა პოლიტიკები ჯგუფის დონეზე, რომლის დაცვაც მკაცრად კონტროლდება. აღნიშნული პოლიტიკები რეგულარულად განახლებადია რათა მუდმივად უზრუნველვყოთ მათი ეფექტურობა და შესაბამისობა.

პოლიტიკების ეს ჩამონათვალი მოცემულია ჩვენს ვებგვერდზე: www.tbcbankgroup.com და ის მოიცავს შემდეგს:

- ქცევის და ეთიკის კოდექსი;
- მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პოლიტიკა;
- ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა;
- ფინანსურ დანაშაულის საწინააღმდეგო პოლიტიკა;
- ინციდენტებზე რეაგირების პოლიტიკა (მხილების პოლიტიკა);
- მონაცემთა დაცვის გლობალური პოლიტიკა;
- გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა.

ბანკში ასევე გვაქვს თანამშრომელთა დისკრიმინაციისგან, ძალადობისგან და შევიწროებისგან დაცვის პოლიტიკა, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე www.tbcbank.com.ge.

2024 წელს ჩავატარეთ სავალდებულო ტრენინგ სესიები, რომლებიც თანამშრომელთა სხვადასხვა ჯგუფზე იყო მორგებული და მათ სპეციფიკურ სამუშაო პასუხისმგებლობებს ეხებოდა, შემდეგ სფეროებში: ჯანსაღი სამუშაო გარემო, გარემოსდაცვითი საკითხები, ქცევის კოდექსი, მონაცემთა და ინფორმაციული უსაფრთხოება, თაღლითობისა და საოპერაციო რისკები, კორუფციასთან, თაღლითობასთან ბრძოლა, ეთიკური საკითხები და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა და სანქციები. წლის ბოლოსთვის 8,100-ზე მეტმა თანამშრომელმა წარმატებით გაიარა ეს ტრენინგ-პროგრამები.



ჩვენი საზოგადოება

ჩვენ ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას, რომ ხელი შევუწყოთ პოზიტიური სოციალურ ცვლილებს და ორიენტირებულები ვართ შევქმნათ უკეთესი მომავალი, იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ვემსახურებით. ჩვენი ეფექტური და მდგრადი კორპორაციული საზოგადოებრივი ინიციატივების (CSR) ფართო სპექტრი ორიენტირებულია ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაზე, ახალგაზრდებისა და ქალების გაძლიერებაზე და კულტურისა და სპორტის მხარდაჭერაზე.

ჩვენი CSR საქმიანობა

MSME ბიზნესის განვითარებისა და მეწარმეობის წახალისება

მუდმივად ცვალებად ბიზნეს გარემოში, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME) მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკურ ზრდასა და მეწარმეობის განვითარებაში. თიბისი ბანკმა კარგად იცის, თუ რა სპეციფიკური გამოწვევების წინაშე დგანან MSME-ები და ცდილობს გააძლიეროს ისინი, რაც დახმარება მათ რომ განვითარდნენ და წვლილი შეიტანონ ერის კეთილდღეობაში. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ ინიციატივებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს MSME თავში, 36-39 გვერდებზე.

ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერა

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, თიბისი მუდმივად უჭერდა მხარს მიზანდასახულ ახალგაზრდებს, რომელთაგან ბევრი ჩამოყალიბდა როგორც წარმატებული ხელოვანი, მეცნიერი და პროფესიონალი სხვადასხვა სფეროებში, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. 2024 წელს თიბისიმ გააგრძელა ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერა შემდეგი ინიციატივებით:

- თიბისის სტიპენდიის პროგრამა ნაყოფიერად დასრულდა, 2018 წელს მისი დაწყება საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი უმსხვილესი ინიციატივა იყო. წლების განმავლობაში, 14 პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რომლებიც ბავშვთა განათლებასა და განვითარებაში არიან სპეციალიზებული, თიბისი სტიპენდიას სთავაზობდა მეცნიერების, სპორტისა და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებულ 400-მდე სკოლის მოსწავლეს.
- 2024 წელს თიბისი კვლავ იყო თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის გენერალური სპონსორი. ეს არის 27 წლიანი ისტორიის მქონე ღონისძიება, რომელიც გაფართოვდა და გახდა ერთ-ერთი უმსხვილესი და გავლენიანი საგანმანათლებლო ბაზრობა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ფესტივალი გახდა ჩვენი ერის ახალგაზრდების დიდი შთაგონების წყარო, მისი დამსწრეთა თითქმის 40% Gen Z თაობას მიეკუთვნება.
- თიბისის მხარდაჭერითა და გენერალური სპონსორობით, საქართველოში ჩატარდა TEDxTbilisi-ის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელმაც თავი მოუყარა ახალგაზრდა მოაზროვნეებს და ინოვატორებს. ფართომასშტაბიანი TEDxTbilisi ღონისძიებები არის ადგილი ახალგაზრდებისთვის მათი იდეების და პერსპექტივების გასაზიარებლად. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ახალგაზრდა თაობების კრეატიულობის და თაობებს შორის დიალოგების ხელშეწყობას.
- „ჯეოლაბთან“ თანამშრომლობით, ტექნოლოგიური სკოლის პროგრამის ფარგლებში, თიბისიმ მთლიანად დააფინანსა „ტექ-სკოლა“ - ონლაინ ტექნოლოგიური კურსები მე-9-მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის. ეს არის კომპანიის ერთ-ერთი უმსხვილესი საგანმანათლებლო პროექტი, რომელსაც საქართველოს ყველა რეგიონში ჰყავს ბენეფიციარები. პროგრამა მოიცავს სამთვიან დისტანციურ კურსებს შვიდ სხვადასხვა ტექნოლოგიურ სფეროში. 2024 წლის ბოლოსთვის, ტექნოლოგიურ სკოლას 1,000-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავდა საქართველოში.
- თიბისის IT აკადემიამ წელსაც სრულად დააფინანსა ინტენსიური კურსები, ყველაზე მოთხოვნად - ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში 18 და მეტი წლის ფიზიკური პირებს. ეს კურსები წარმატებით დაასრულა მთელი საქართველოს მასშტაბით 2,000-ზე მეტმა სტუდენტმა. ეს ინიციატივა ასახავს თიბისის მიზანს წაახალისოს ნიჭი და აღმოფხვრას ხარვეზები ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფად განვითარებად სფეროში.
- Technovation Girls არის პროგრამა, რომელიც მზარს უჭერს 13-დან 18 წლამდე ასაკის გოგონებს და

ეხმარება მათ ტექნოლოგიური და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერებაში. 2023 წლიდან თიბისი ამ ინიციატივის გენერალური სპონსორია. ონლაინ სწავლის პროცესში შექმნილი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დახმარებით, პროგრამა მონაწილეებს სთავაზობს რეალურ ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას.

- თიბისი კამპუსი არის პროგრამა, რომლის მიზანია უფასო პროფესიული კურსებს შესთავაზოს 18-24 წლის ახალგაზრდებს მთელს საქართველოში და სტუდენტებს განუვითაროს საჭირო უნარებით ისეთ მაღალ მოთხოვნად სფეროებში, როგორიც არის UI/UX დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, სარეკლამო კონტენტის შექმნა, ციფრული მარკეტინგი, SEO, ბიზნესი და მეწარმეობა, IT პროექტების მართვა და მონაცემთა ანალიტიკა. პროგრამა სრულად ფინანსდება თიბისის მიერ და დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს, რაც ფინანსურ და გეოგრაფიულ ბარიერებს არღვევს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდებს აძლევს წვდომას შესაძლებლობას სფეროს წამყვან ექსპერტებთან. პროგრამა სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიული გამოცდილების მქონე სტუდენტებს კოლაბორაციის, ერთობლივ პროექტებში მუშაობისა და მრავალფეროვან გარემოში გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. 2024 წლის ოქტომბერში დაწყებულ პროგრამაზე პირველი მიღებისას 310 სტუდენტი დარეგისტრირდა.

თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ქალებისთვის

2024 წელს ჩვენ კვლავ ვუჭერთ მხარს შემდეგ სფეროებს:

- თიბისის და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა მეოთხე წელია ერთობლივად ატარებს გრეის ჰოპერის დაჯილდოებას, სადაც წარმატებული ქალები ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ექვს კატეგორიაში ჯილდოვდებიან. ეს ჯილდო ასევე გადაეცემა პირებსა და ორგანიზაციებს ICT ინდუსტრიაში ქალების გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის და ამ სფეროში პოზიტიური ცვლილებებისთვის საქართველოში.
- პროექტი „500 ქალი ტექ სფეროში“ მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიურ დარგში გენდერული მიკერძოების აღმოფხვრას საქართველოში. თბილისის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან და ნორვეგიის მთავრობასთან თანამშრომლობით შემუშავებულმა 18-თვიანმა პროგრამამ შესაძლებლობა მისცა ქალებს შეესწავლათ სხვადასხვა პროფესიები ტექნოლოგიურ სფეროში. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო უწყვეტი სწავლითა და განვითარების შესაძლებლობით გაეძლიერებინა ქალები. აღნიშნული მისიის განსახორციელებლად, პროექტის კურსების დასრულების შემდეგ, თიბისის IT აკადემიაში 60-ზე მეტმა მონაწილემ აიმაღლა კვალიფიკაცია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

- 2003 წლიდან თიბისი არის ლიტერატურული პრემია „საბას“ მთავარი სპონსორი, რომელიც ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღონისძიებაა საქართველოში. წელს განიხილა 400-მდე წიგნი და 12 სხვადასხვა კატეგორიაში გამოვლინდა 16 გამარჯვებული, რომელთა საპრიზო ფონდი 70,000 ლარს შეადგენს. თიბისი და საბა ასევე თანამშრომლობენ www.saba.com.ge-ზე ქართული ელექტრონული და აუდიო წიგნების უმსხვილეს ონლაინ პლატფორმაზე. პლატფორმა 2012 წელს დაარსდა და დაახლოებით 400,000 მომხმარებელს სთავაზობს წვდომას 7,500 აუდიო და ელექტრონულ წიგნებზე. 2024 წელს თიბისი იყო იტალიის საელჩოს მიერ ორგანიზებული გამოფენის „ეტრუსკების სამყარო. საგანძური კიუზის, კიანჩანოს და ფლორენციის მუზეუმებიდან“ სპონსორი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ეტრუსკულ ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაკეთობები, რომლებიც ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს არის ნაპოვნი.

რაგბის მხარდაჭერა საქართველოში

თიბისი ბანკი სიამაყით აგრძელებს საქართველოს რაგბის ფედერაციის მხარდაჭერას - თანამშრომლობს ეროვნული გუნდის ყველა დონესთან, როგორც მამაკაცების, ისე ქალთა გუნდისთვის. ჩვენი პარტნიორობა კლუბის დონეზეც ვრცელდება. ჩვენ ვართ საქართველოს რაგბის პირველი ფრანშიზული გუნდის „შავი ლომის“ მხარდამჭერი. „შავი ლომი“ 2021 წელს ჩამოყალიბდა ქვეყანაში პროფესიონალური რაგბის განსავითარებლად. „შავი ლომი“ ასპარეზობს ისეთ პრესტიჟულ ტურნირებში, როგორიც არის ჩელენჯ თასი და რაგბის ევროპის სუპერთასი. გუნდი სიამაყით წარმოადგენს ქართული რაგბის უნარებს და პოტენციალს საერთაშორისო ასპარეზზე.

თიბისი ასევე მხარს უჭერს საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ახალგაზრდულ გუნდს, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს სპორტის განვითარებაში ქვეყანაში. 20-წლამდელთა გუნდი წარმატებულია საერთაშორისო შეჯიბრებებში, რეგულარულად მონაწილეობს რაგბის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატში და 20-წლამდელთა თასში, სადაც გუნდს საუკეთესო რეიტინგი აქვს.


ALT & NEU

თიბისი კამპუსი

სრულად დაფინანსებული, ონლაინ ბიზნეს კურსები სტუდენტებისთვის მთელი საქართველოდან

თიბისი კამპუსი არის თიბისის მიერ ინიცირებული, სრულად დაფინანსებული ონლაინ პროგრამა, რომელიც მთელ საქართველოში, 18-24 წლის ახალგაზრდებს სრულიად უფასო პროფესიულ კურსებს სთავაზობს. პროგრამა მოიცავს ისეთ მაღალმოთხოვნად სფეროებს, როგორიც არის UI/UX დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, სარეკლამო კონტენტის შექმნა, ციფრული მარკეტინგი, SEO, ბიზნესი და მეწარმეობა, IT პროექტების მართვა და მონაცემთა ანალიტიკა. თიბისი კამპუსი 2024 წლის ოქტომბერში ამოქმედდა, რომლის მიზანიც არის განუვითაროს სტუდენტებს საჭირო უნარები, გაზარდოს სფეროს წამყვან ექსპერტებთან წვდომა მომავალი თანამშრომლობისათვის სხვადასხვა პროექტზე, მოშალოს ფინანსური და გეოგრაფიული ბარიერები.

ჩვენი ინვესტორები

ფინანსური მიმოხილვა

ფინანსური მაჩვენებლები

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	2024	2023	ცვლილება წ/წ
საპროცენტო შემოსავალი	3,135,908	2,689,427	16.6%
საპროცენტო ხარჯი	(1,544,916)	(1,193,831)	29.4%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**1,590,992**	**1,495,596**	**6.4%**
საკომისიო შემოსავალი	677,004	571,391	18.5%
საკომისიო ხარჯი	(278,914)	(236,915)	17.7%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**398,090**	**334,476**	**19.0%**
წმინდა შემოსავალი ვალუტის დერივატივებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებისა და კონვერტაციისას	367,783	272,303	35.1%
სხვა საოპერაციო შემოსავალი	16,515	29,080	-43.2%
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი	574	657	-12.6%
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	**384,872**	**302,040**	**27.4%**
მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის რეზერვი	(109,510)	(130,380)	-16.0%
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური მუხლებისთვის და არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება	(22,462)	(17,054)	31.7%
საოპერაციო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო და არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემდეგ	**2,241,982**	**1,984,678**	**13.0%**
პერსონალის ხარჯები	(439,830)	(385,471)	14.1%
ცვეთა და ამორტიზაცია	(118,283)	(99,643)	18.7%
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(221,371)	(196,648)	12.6%
საოპერაციო ხარჯები	**(779,484)**	**(681,762)**	**14.3%**
წმინდა მოგება დაბეგვრამდე	**1,462,498**	**1,302,916**	**12.2%**
მოგების გადასახადი	(217,782)	(183,858)	18.5%
წმინდა მოგება	**1,244,716**	**1,119,058**	**11.2%**
წმინდა მოგება, რომელიც მიეკუთვნება:			
- თიბისი ჯგუფის აქციონერები	1,244,661	1,119,025	11.2%
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელები	55	33	66.7%
სხვა მთლიანი სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი)	26,179	7,450	NMF
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	**1,270,895**	**1,126,508**	**12.8%**

კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი

ათას ლარში	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	ცვლილება წ/წ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,818,110	3,691,232	-23.7%
მოთხოვნა სხვა ბანკების მიმართ	20,153	11,135	81.0%
სავალდებულო ფულადი ნაშთები სებ-ში	2,576,731	1,572,506	63.9%
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, გადახდილი ავანსები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	24,620,005	21,329,327	*15.4%*
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5,369,290	3,479,665	54.3%
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	140,058	-	NMF
საინვესტიციო ქონება	9,752	15,235	-36.0%
მიმდინარე მოგების გადასახადის წინასწარ გადახდა	50,892	53	NMF
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	485	395	22.8%
სხვა ფინანსური აქტივები	426,005	281,861	51.1%
სხვა აქტივები	1,199,043	1,008,808	18.9%
არამატერიალური აქტივები	396,569	352,722	12.4%
გუდვილი	28,197	28,197	0.0%
სულ აქტივები	**37,655,290**	**31,771,136**	**18.5%**
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	7,316,632	4,346,951	68.3%
სამომხმარებლო ანგარიშები	21,941,222	19,942,516	10.0%
სხვა ფინანსური ვალდებულებები	373,905	276,496	35.2%
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	62	66,703	-99.9%
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	50,220	50,957	-1.4%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები*	1,172,101	1,264,085	-7.3%
სხვა ვალდებულებები	197,945	206,989	-4.4%
სუბორდინირებული ვალი	1,148,374	868,730	32.2%
სულ ვალდებულებები	**32,200,461**	**27,023,427**	**19.2%**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	21,014	21,014	0.0%
საემისიო შემოსავალი	521,190	521,190	0.0%
გაუნაწილებელი მოგება	4,979,871	4,285,662	16.2%
სხვა რეზერვები	(67,498)	(80,354)	-16.0%
მშობელი კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი კაპიტალი	**5,454,577**	**4,747,512**	**14.9%**
არამაკონტროლებელი წილი	252	197	27.9%
სულ საკუთარი კაპიტალი	**5,454,829**	**4,747,709**	**14.9%**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**37,655,290**	**31,771,136**	**18.5%**

** გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს დამატებითი ძირითადი კაპიტალის (AT1) სუბორდინირებულ ფასიან ქაღალდებს*

ძირითადი კოეფიციენტები

კოეფიციენტები (ყოველთვიური საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე)	2024	2023	ცვლილება წ/წ
მომგებიანობის კოეფიციენტები:			
უკუგება კაპიტალზე (ROE)	25.1%	25.4%	-0.3 პპ
უკუგება აქტივებზე (ROA)	3.7%	4.0%	-0.3 პპ
ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი	32.8%	32.0%	0.8 პპ
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	5.8%	6.3%	-0.5 პპ
სესხების ეფექტური განაკვეთი	11.5%	12.0%	-0.5 პპ
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი	4.7%	4.5%	0.2 პპ
დაფინანსების ხარჯი	5.4%	5.2%	0.2 პპ
აქტივის ხარისხი და პორტფელის კონცენტრაცია:			
რისკის ღირებულება	0.5%	0.7%	-0.2 პპ
PAR 90 მთლიან სესხებთან	1.4%	1.1%	0.3 პპ
უმოქმედო სესხები (NPL) მთლიან სესხებთან	2.2%	2.0%	0.2 პპ
უმოქმედო სესხების (NPL) ანარიცხის დაფარვის კოეფიციენტი	61.7%	74.5%	-12.8 პპ
სულ უმოქმედო სესხების (NPL) დაფარვის კოეფიციენტი	138.5%	145.3%	-6.8 პპ
საკრედიტო ზარალის დონე მთლიან სესხებთან	1.4%	1.5%	-0.1 პპ
დაკავშირებული მხარის სესხები მთლიან სესხებთან	0.1%	0.1%	0.0 პპ
მთლიანი პორტფელის ტოპ-10 მსესხებელი	6.3%	6.3%	0.0 პპ
მთლიანი პორტფელის ტოპ-20 მსესხებელი	9.1%	9.3%	-0.2 პპ
კაპიტალის და ლიკვიდობის პოზიციები:			
წმინდა სესხები დეპოზიტებთან და IFI დაფინანსება	99.9%	96.2%	3.7 პპ
ლევერიჯი (ჯერადი)	6.9x	6.7x	0.2x
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)	123.9%	119.9%	4.0 პპ
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR)	125.5%	115.3%	10.2 პპ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	16.8%	17.4%	-0.6 პპ
პირველადი კაპიტალი	20.4%	19.6%	0.8 პპ
საზედამხედველო კაპიტალი	23.8%	22.1%	1.7 პპ

კოეფიციენტების განმარტებები და დეტალური კალკულაცია მოცემულია სექციაში „დამატებითი ინფორმაცია“, „შესრულების ალტერნატიული მაჩვენებლის“ ქვეშ

პორტფელის ანალიზი

საკრედიტო პორტფელი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო პორტფელმა 24,963.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლიურ ჭრილში წარმოადგენს 15.3%–ს ან მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში 14.1%-ით ზრდას.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი

ათას ლარში

მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	ცვლილება წ/წ
საცალო	8,710,516	7,513,229	15.9%
CIB	9,863,777	8,283,723	19.1%
MSME	5,943,479	5,480,822	8.4%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები*	**24,963,655**	**21,656,248**	**15.3%**

** სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს, აზერბაიჯანს და ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*

სესხების ეფექტური განაკვეთი	2024	2023	ცვლილება წ/წ
ლარი	14.0%	15.1%	-1.1 პპ
უცხოური ვალუტა	8.9%	8.7%	0.2 პპ
სულ სესხების ეფექტური განაკვეთი*	**11.5%**	**12.0%**	**-0.5 პპ**

** სულ სესხების ეფექტური განაკვეთი მოიცავს აზერბაიჯანს და ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*

PAR 90	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	ცვლილება წ/წ
საცალო	0.7%	0.8%	-0.1 პპ
CIB	0.9%	0.7%	0.2 პპ
MSME	2.9%	2.2%	0.7 პპ
სულ PAR 90*	**1.4%**	**1.1%**	**0.3 პპ**

** სულ PAR 90 მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს, აზერბაიჯანს და ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*

ათას ლარში

უმოქმედო სესხები (NPL)	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	ცვლილება წ/წ
საცალო	118,834	127,102	-6.5%
CIB	156,632	114,130	37.2%
MSME	263,460	183,829	43.3%
სულ უმოქმედო სესხები (NPL)*	**556,864**	**438,823**	**26.9%**

** სულ უმოქმედო სესხები მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს, აზერბაიჯანს და ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*

NPL მთლიან სესხებთან	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	ცვლილება წ/წ
საცალო	1.4%	1.7%	-0.3 პპ
CIB	1.6%	1.4%	0.2 პპ
MSME	4.4%	3.4%	1.0 პპ
სულ NPL მთლიან სესხებთან	**2.2%**	**2.0%**	**0.2 პპ**

** სულ NPL მთლიან სესხებთან მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს, აზერბაიჯანს და ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*

	31-დეკ-2024		31-დეკ-2023	
უმოქმედო სესხების (NPL) ანარიცხის დაფარვის კოეფიციენტი	**რეზერვის დაფარვა**	**სულ დაფარვა**	**რეზერვის დაფარვა**	**სულ დაფარვა**
საცალო	138.1%	201.1%	120.4%	179.5%
CIB	34.4%	106.0%	46.9%	110.6%
MSME	42.2%	126.3%	57.5%	136.0%
სულ უმოქმედო სესხების დაფარვა*	**61.7%**	**138.5%**	**74.5%**	**145.3%**

** სულ უმოქმედო სესხების დაფარვა მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს, აზერბაიჯანს და ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*

რისკის ხარჯი	**2024**	**2023**	**ცვლილება წ/წ**
საცალო	0.9%	0.8%	0.1 პპ
CIB	0.1%	0.1%	0.0 პპ
MSME	0.5%	1.4%	-0.9 პპ
სულ რისკის ხარჯი*	**0.5%**	**0.7%**	**-0.2 პპ**

** სულ რისკის ხარჯი მოიცავს ფინანსური იჯარის პორტფელს, აზერბაიჯანს და ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*

სადეპოზიტო პორტფელი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადეპოზიტო პორტფელმა 21,941.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლიურ ჭრილში წარმოადგენს 10.0%-ს ან მუდმივი სავალუტო კურსის პირობებში 8.1%-ით ზრდას.

ათას ლარში **სამომხმარებლო ანგარიშები**	**31-დეკ-2024**	**31-დეკ-2023**	**ცვლილება წ/წ**
საცალო	8,478,788	7,469,587	13.5%
CIB	11,308,306	10,200,321	10.9%
MSME	2,043,554	1,900,459	7.5%
MOF	214,426	515,079	-58.4%
სულ სამომხმარებლო ანგარიშები*	**21,941,222**	**19,942,516**	**10.0%**

** სულ სამომხმარებლო ანგარიშები მოიცავს ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*

დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი	**2024**	**2023**	**ცვლილება წ/წ**
ლარი	7.8%	8.4%	-0.6 პპ
უცხოური ვალუტა	1.4%	0.9%	0.5 პპ
სულ დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი*	**4.7%**	**4.5%**	**0.2 პპ**

** სულ დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი მოიცავს ქვე-სეგმენტების ელიმინაციებს*


03

რისკების მართვა

მიმოხილვა

ჯგუფში მოქმედებს ბიზნესზე ორიენტირებული რისკის მართვის მძლავრი და დამოუკიდებელი ჩარჩო. მისი მთავარი მიზანია საბალანო უწყისის გრძელვადიანი რენტაბელურობის დაცვა რისკის გათვალისწინებით კორექტირებული შემოსავლების საფუძველზე. ეს მიზანი მიიღწევა რისკების მართვის ეფექტური ჩარჩოს დანერგვის გზით. ჯგუფმა თავისი ძირითადი მიზნების უკეთ განსახორციელებლად მიიღო რისკების მართვის ოთხი ძირითადი პრინციპი:

- რისკების გამჭვირვალედ მართვა, რათა უზრუნველყოს რისკის გარემოს კარგად გაგება, ფუნქციათაშორისი მისადაგება რისკის მართვის პრაქტიკაში და დაინტერესებული მხარეების ნდობა. რისკთან დაკავშირებულ პროცესებსა და პოლიტიკაში გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა ქმნის ეფექტური რისკის მართვის საფუძველს და განამტკიცებს დაინტერესებული მხარეების ნდობას. რისკის მიზნებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების შესახებ მმართველი ორგანოების ინფორმირება და ანგარიშვალდებული სახით ყოვლისმომცველი შემდგომი მოქმედებების უზრუნველყოფა წარმოადგენს მთავარ პრიორიტეტებს რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალისთვის;
- რისკების გონივრულად მართვა შემოსავლების გრძელვადიანი ზრდისა და მედეგობის ხელშესაწყობად. რისკის მართვა აბალანსებს შემოსავლების გასაზრდელად რისკის სტრატეგიულად აღებას და დაცვის საიმედო მექანიზმებს ბაზრის შეფერხებების წინააღმდეგ, რაც ჯგუფს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შესაძლებლობები და ამავდროულად გაუძლოს სტრესულ მოვლენებს.
- იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის მართვა სტრატეგიის განხორციელების ფუნდამენტური ნაწილი იყოს. რისკის მართვის ფუნქცია მთელი ორგანიზაციის საქმიანობის განუყრელი ნაწილია, რათა დაეხმაროს მას თავისი სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. იგი ახალისებს რისკების გამოვლენასა და მართვას ყველა დონეზე. რისკების მართვის ფუნქცია უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებული მხარეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ რისკზე დამყარებული გადაწყვეტილებები რისკების იდენტიფიცირების, რაოდენობრივი განსაზღვრისა და სათანადო ფასების დადგენის გზით. იგი ასევე ქმნის რისკების შემცირების ქმედებების შემუშავების პირობებს, რაც ხელს უწყობს სასურველი მოგების გრძელვადიან მიღებას და დაგეგმილი მიზნების მიღწევას;
- რისკის მართვის გამოყენება კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ინსტრუმენტების შეთავაზება უფრო სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების და ბიზნეს ოპერაციების მხარდაჭერისთვის, გრძელვადიანი შემოსავლების ზრდისა და ბიზნეს მოდელის გამძლეობის უზრუნველყოფა რისკების მართვას ჯგუფის კონკურენტული სტრატეგიის უმთავრეს კომპონენტად აქცევს.

რისკის მართვის ჩარჩო

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ჯგუფი იყენებს რისკების მართვის კომპლექსურ ჩარჩოს და დიდ ყურადღებას უთმობს მთელ ორგანიზაციაში რისკების მძლავრი კულტურის განვითარებას. ეს ჩარჩო სტრატეგიულად შემუშავებულია იმისთვის, რომ უზრუნველყოს მმართველობის იმ ეფექტური შესაძლებლობების და მეთოდოლოგიების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ რისკების გონივრულ მართვას და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ჯგუფის მთავარ სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში, რისკების მართვის ჩარჩო ადგენს სტანდარტებსა და ამოცანებს და ამავე დროს, განსაზღვრავს როლებსა და პასუხისმგებლობებს. ჯგუფის ძირითადი რისკები, რომლებიც დეტალურად არის განხილული წინამდებარე თავში, სისტემატურად კონტროლდება და იმართება რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში, რაც ხელს უწყობს თანმიმდევრულობას მთელ ორგანიზაციასა და მის შვილობილ კომპანიებში.

რისკების მართვის დირექტორის ხელმძღვანელობით, ჯგუფის რისკების მართვის დამოუკიდებელი სამსახურის მიერ შემუშავებული ჩარჩო გადის ყოველწლიური განხილვის და დამტკიცების პროცესს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ეს მოიცავს რისკის მართვას ჯგუფის „დაცვის სამი ხაზის“ საოპერაციო მოდელის მიხედვით.

ჯგუფის რისკის აპეტიტი, რომელიც განმტკიცებულია პრინციპების, პოლიტიკისა და პრაქტიკის საიმედო კომპლექტით, განსაზღვრავს სხვადასხვა რისკის მიმართ ტოლერანტობის მისაღებ დონეს. ეს სტრუქტურირებული მიდგომა განსაზღვრავს რისკის მიღებას დადგენილ საზღვრებში, რაც უზრუნველყოფს პროაქტიულ და დისციპლინირებულ პოზიციას რისკის მართვასთან დაკავშირებით.

ჯგუფი მუშაობს იმ პრინციპით, რომ ყველა გუნდი ინაწილებს პასუხისმგებლობას რისკების მართვაზე, და ის განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმ რისკებზე, რომლებიც დგება კლიენტის წინაშე. თუმცა, რისკების მართვის ფუნქცია გადამწყვეტ როლს ასრულებს რისკების მართვის საქმიანობის ზედამხედველობასა და მონიტორინგში. ეს თავის თავში მოიცავს ჩარჩოს შემუშავებას და მხარდამჭერი პოლიტიკის, სტანდარტებისა და საოპერაციო პროცედურების დაცვის უზრუნველყოფას. რისკების დირექტორი რეგულარულად აცნობებს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტს ჯგუფის რისკის პროფილის, შედეგების და ასევე ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ.

გარდა ამისა, ჯგუფმა დანერგა მკაცრი პროცესი არსებითი და განვითარებადი საფრთხეების გამოსავლენად და სამართავად. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად ეცნობება იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც პოტენციურად ნეგატიური ეფექტის მატარებელია ჯგუფის მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებისთვის. ჯგუფის პრაქტიკული, კომპლექსური მიდგომა ითვალისწინებს არსებითი და განვითარებადი საფრთხეების ურთიერთდამოკიდებულებას და აუმჯობესებს დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდებულ ზოგად ინფორმაციას რისკების შესახებ.

მართვა

ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურა შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს საიმედო ზედამხედველობა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება რისკების მართვის ფარგლებში. თავისი არსით, რისკების მართვის კომიტეტები და ფუნქციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მთლიანობაში ჯგუფის შიგნით და მის ცალკეულ შვილობილ კომპანიებში რისკების მართვის ეფექტური პრაქტიკების ორგანიზებაში.

იმის მიუხედავად, რომ სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე საბჭოები პასუხისმგებელნი არიან რისკების მართვის ზედამხედველობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში, რისკების მართვისა და კონტროლის საქმიანობა გადაეცემა რისკების კომიტეტებს მათ ეფექტურად სამართავად. პასუხისმგებლობები მოიცავს რისკის მართვის პრაქტიკების ჰარმონიზაციას სტრატეგიულ მიზნებთან, რისკის აპეტიტის განსაზღვრას, რისკის მართვის პოლიტიკის განხილვასა და დამტკიცებას, რისკის პასუხისმგებლობიანი აღების კულტურის ფორმირებას და რისკის გამოვლენის და შეფასების პროცესების მონიტორინგს. კომიტეტებს ევალებათ იმ განვითარებადი და ძირითადი რისკების რეგულარული შეფასებების ზედამხედველობა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბიზნეს მოდელზე, შესრულების მაჩვენებლებზე, გადახდისუნარიანობასა და ლიკვიდობაზე. მათი, როგორც წინამძღოლის როლი, გადამწყვეტია რისკების ეფექტური მართვისა და ჯგუფის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობისთვის.

დირექტორთა საბჭოს დონეზე, კომიტეტები იღებენ გადამწყვეტ როლს თიბისის შვილობილ კომპანიებში რისკების ეფექტური მართვის უზრუნველყოფაში. იქნება ეს რისკების ერთი თუ მრავალი კომიტეტი მოქმედების უფრო დეტალური სფეროებით (მაგ. ფინანსური რისკები, რეპუტაციული რისკი ან ინფორმაციული უსაფრთხოება), მათი პასუხისმგებლობა მოიცავს რისკის ზემოქმედების საფუძვლიან ზედამხედველობას და რისკის შემცირებისა და კონტროლის შესახებ საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული მოვალეობები შეიძლება განსხვავდებოდეს, საერთო მისია უცვლელი რჩება: რისკების მართვის პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა მარეგულირებლის მოთხოვნებთან და რისკების მიმართ ტოლერანტულობასთან. იმ შემთხვევებში, როდესაც ჯგუფის მცირე ზომის კომპანიებს არ ჰყავთ რისკის კომიტეტები, ამ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს დირექტორთა საბჭო.

რისკის კულტურა და დაცვის სამი ხაზი

ჯგუფის რისკების მართვის ჩარჩოსა და პრაქტიკებს საფუძვლად უდევს რისკების მართვის ძლიერი კულტურა, რომელიც ხაზს უსვამს დაწესებულების მიერ რისკის გონივრულად და სტრატეგიულად აღების ვალდებულებას. ჯგუფი მოელის, რომ მისი ხელმძღვანელები რისკის მართვის ძლიერ ქცევას, რისკების აღების სასურველ დონეზე სიცხადის უზრუნველყოფას, მათი შესაბამისი შესაძლებლობების და ჩარჩოების შემუშავებას ავლენენ და ახდენენ თანამშრომლების მოტივირებას, მიიღონ რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

რისკების მართვის კულტურის მარეგულირებელი ძირითადი პრინციპები ჯგუფის ყველა შვილობილ კომპანიაში მოიცავს შემდეგს: საბჭოს ხელმძღვანელობა (საბჭო იძლევა ტონს და ქმნის საფუძველს რისკების გაცნობიერების კულტურისთვის მთელი ორგანიზაციის მასშტაბით); თანამშრომელთა ცნობადობა და ანგარიშვალდებულება (ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ ყველა დონეზე თანამშრომლებმა გააცნობიერონ დაწესებულების მიდგომა რისკების მიმართ და ჰქონდეთ იმის ცოდნა, რომ ფიზიკური პირები ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთი იმ ქმედებების გამო, რომლებიც ეხება რისკის აღების ქცევებს,

რომლებიც შეესაბამება ჯგუფის სტანდარტებს); კომუნიკაცია (ღია, გამჭვირვალე და ეფექტური კომუნიკაცია ფუნდამენტურია ჯგუფის რისკის კულტურისთვის); და ანაზღაურების წახალისება (ჯგუფი აძლიერებს თავის რისკის კულტურას იმით, რომ ანაზღაურების სტიმულები შესაბამისობაში მოჰყავს რისკის მართვის გონივრულ პრაქტიკასთან).

რისკის კულტურის მიმართ ეს ჰოლისტიკური მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები შეიარაღებულნი არიან მდგრადი და პროაქტიული აზროვნებით, რომელშიც რისკების მართვა მყარად ზის ორგანიზაციის საქმიანობის წარმმართველი ფაქტორების ერთობლიობაში.

რისკების სრულყოფილად მართვის მიზნით, ჯგუფი იყენებს დაცვის სამ ხაზიან მოდელს:

- დაცვის პირველი ხაზი: ბიზნეს ხაზები, რომლებიც გამოდიან დაცვის წინა ხაზზე, მონაწილეობენ რისკის აღების საქმიანობაში, აცნობიერებენ რა რისკებზე მათ გავლენას, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ ან შეაფერხონ ჯგუფის მიზნების მიღწევა. კარგად ჩამოყალიბებული რისკის კულტურა წარმოადგენს რისკის აღების გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.
- დაცვის მეორე ხაზი: რისკების მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლს გამოცდილების კონსოლიდაციით, რისკების გამოვლენით, გაზომვით და მონიტორინგით და პირველი ხაზისთვის დახმარების გაწევით. ისინი მოქმედებენ ბიზნეს მიმართულებებისგან დამოუკიდებლად და უზრუნველყოფს რისკების ეფექტური მართვის ჩარჩოებსა და ინსტრუმენტებს.
- დაცვის მესამე ხაზი: შიდა აუდიტის ფუნქცია სამეთვალყურეო საბჭოს უზრუნველყოფს იმ გარანტიით, რომ დაცვის როგორც პირველი, ისე მეორე ხაზის რისკების მართვისა და კონტროლის ძალისხმევა აკმაყოფილებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ მოლოდინებს.

რისკის აპეტიტი

რისკის აპეტიტი განისაზღვრება, როგორც მისაღები ზღვრების ერთობლიობა, რომელიც აყალიბებს რისკის კომბინირებულ დონეს, რომლის მისაღებადაც ჯგუფი ან მისი მთავარი შვილობილი კომპანიები მზად არიან მოგების მიღების და ღირებულების შექმნის მიზნით, დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად. ჯგუფის რისკის აპეტიტის ჩარჩო, რომელიც მართავს სამეწარმეო რისკის მართვის პროცესს, ადგენს ჯგუფის საქმიანობის შედეგების სამართავად დასაშვები დონის რისკის აღების მასშტაბს და პროცესს.

ჯგუფის მუდმივად ცვალებადი რისკის პროფილის გათვალისწინებით, ჯგუფის და მისი ძირითადი შვილობილი კომპანიების რისკის აპეტიტის ჩარჩოები რეგულარულად განიხილება, ახლდება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი შეესაბამებოდეს ჯგუფის რისკის აღების სასურველ დონეს.

რისკის იდენტიფიკაცია

რისკების იდენტიფიცირება წარმოადგენს ფუნდამენტურ ეტაპს ჯგუფის რისკების მართვის პროცესში. ეს პროცესი სისტემატურად აღიარებს და ახდენს დოკუმენტირებას იმ ნებისმიერი შესაძლო პირდაპირი ან არაპირდაპირი რისკის, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ორგანიზაციული მიზნების მიღწევაზე. ამ რისკების ამომწურავი, პროაქტიული გამოვლენის უზრუნველსაყოფად, ეს პროცესი იყენებს ამოსავალ მონაცემებს როგორც ჯგუფის დაცვის ხაზებიდან ორგანიზაციის შიგნით, ისე გარეშე დაინტერესებული მხარეებისგან.

ჯგუფში რისკის იდენტიფიკაციის პროცესი რეგულირდება რისკის რეესტრის ჩარჩოს მიხედვით. რისკების რეესტრის რეგულარული მიმოხილვა და კორექტირება ხორციელდება მისი მუდმივი აქტუალურობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

რისკების შეფასება

ჯგუფი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს რისკის შეფასების მიმართ ყოვლისმომცველ მიდგომაზე, რაც შეესაბამება მის ვალდებულებას რისკის მართვის პროაქტიული პრაქტიკის მიმართ. თითოეულ გამოვლენილ რისკის მიმართულებას თან ახლავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაზომვის ინსტრუმენტები. პროცესი დინამიკურია და მუდმივად ადაპტირდება ფინანსური ლანდშაფტისა და მარეგულირებელი გარემოს ცვლილებებთან. რეგულარული მიმოხილვები და შეფასებები უზრუნველყოფს რისკების გაზომვის ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების ეფექტურობას.

რისკის მიტიგაცია

რისკის მიტიგაცია არის პროაქტიული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს რისკების შესაძლო უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირებას. ყველა არსებითი რისკის მიმართ პროაქტიული მიდგომის გამოსავლენად, ჯგუფი შეიმუშავებს და ახორციელებს ჰარმონიზებულ რისკების პოლიტიკასა და ჩარჩოებს, რომლებიც ასრულებენ საკვანძო როლს შემდეგის მეშვეობით:

- სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრა – რისკების პოლიტიკა განსაზღვრავს ორგანიზაციის შიგნით რისკების მართვის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებს და უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მიდგომას რისკების პრობლემის მოგვარების, თანმიმდევრულობის და მარეგულირებელ და შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- როლებისა და მოვალეობების განსაზღვრა – რისკების პოლიტიკა განსაზღვრავს სხვადასხვა პირისა და დეპარტამენტის როლებსა და მოვალეობებს რისკების მიტიგაციის პროცესში.
- პროცედურების ჩამოყალიბება – რისკების პოლიტიკა უზრუნველყოფს რისკების მიტიგაციის ღონისძიებების პროცედურების შემუშავების სახელმძღვანელო ჩარჩოს.

ყველა პოლიტიკა ექვემდებარება რეგულარულ მიმოხილვასა და განახლებას, რათა დროთა განმავლობაში მოერგოს ახალ გამოწვევებს და დაიხვეწოს მისი რისკების მართვის სტრატეგიები.

რისკების მონიტორინგი და ანგარიშგება

რისკების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის რისკების საიმედო მართვის ჩარჩოს ქვაკუთხედს. ჯგუფს და მის შვილობილი კომპანიებს ევალებათ დანერგონ რისკების შესახებ ანგარიშგების საიმედო პროცესები. ეს პროცესები მიზნად ისახავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს, ასევე უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის რეგულარულ ინფორმირებას არსებითი რისკების ზემოქმედებისა და რისკის საერთო პროფილის შესახებ.

რეგულარული მონიტორინგი აუცილებელია დადგენილ რისკის აპეტიტთან და საზედამხედველო ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ის წარმოადგენს პროაქტიულ ღონისძიებას რისკების პრევალირებადი გარემოს განვითარებაზე დასაკვირვებლად. ჯგუფი ხაზს უსვამს რისკების ანგარიშგების მიმართ სტრუქტურირებულ მიდგომას, რომელიც მოიცავს მონიტორინგს, რისკების ეფექტურად გამოსავლენად, შესაფასებლად და შეტყობინებისთვის. ეს უზრუნველყოფს მკაფიო და დროული ინფორმაციის მიწოდებას, ზრდის ანგარიშვალდებულებას დაინტერესებულ მხარეებს შორის რისკების მართვისა და მოგვარების სფეროში.

გარდა რეგულარული ანგარიშგებისა, რიგგარეშე ანგარიშგება შეიძლება გამოწვეული იყოს მოწყვლადობის მთავარი შემთხვევებით, მნიშვნელოვანი რისკების გამოვლენით ან რისკების მიზნობრივი პროფილიდან გადახვევებით. ეს მოქნილი მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ რისკების შესახებ ანგარიშგების მექანიზმი კვლავ ოპერატიულად ირეაგირებს წარმოშობილ რისკებსა და ცვალებად გარემოებებზე.

შიდა კონტროლი

თიბისი ჯგუფს დანერგილი აქვს კონტროლის უზრუნველყოფის ოპტიმიზირებული ინტეგრირებული ჩარჩო, შეუფერხებლად ათანხმებს ერთმანეთში რისკის მართვის, კონტროლის, შესაბამისობის და შიდა აუდიტის ფუნქციებს მთლიანობის, ეფექტურობისა და მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნებისთვის. ეს ყოვლისმომცველი ჩარჩო უზრუნველყოფს პოლიტიკისა და პროცედურების ზედმიწევნით დაცვას, აკმაყოფილებს რა ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების მრავალფეროვან საჭიროებებს. ეს ასევე საშუალებას იძლევა შეიქმნას დაცვის პირველ, მეორე და მესამე ხაზებზე და მარეგულირებელ და იურიდიულ ფუნქციებში გენერირებული აუდიტის გამოვლენილი ფაქტებისა და რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციის ინტეგრირებული, ერთიანი საცავი, რომელიც ასახავს ჩვენს ერთგულებას გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართ.

შიდა კონტროლის ჩარჩო ვრცელდება მაღალი და კრიტიკული რისკის პროცესების შეფასებაზე, ტესტირებასა და მასზე შემდგომ დაკვირვებაზე და ამავე დროს, აქცენტს აკეთებს რისკის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე და შიდა კონტროლის გაუმჯობესებაზე. უწყვეტი მონიტორინგისა და გაუმჯობესების ინიციატივები წარმოადგენს განუყოფელ კომპონენტებს, რომლებიც აძლიერებენ ოპერაციულ ეფექტურობას ჩარჩოს ფარგლებში. ეს მიდგომა ხელს უწყობს შიდა კონტროლის კულტურის განვითარებას და აჩვენებს ჩვენს მისწრაფებას შიდა კონტროლისა და რისკების მართვის მიმართულებით სრულყოფისკენ.

სტრეს-ტესტი და გაუთვალისწინებელ ვითარებებში მოქმედებების დაგეგმვა

აუცილებელია, რომ ჯგუფმა შეისწავლოს თავისი ფინანსური მაჩვენებლები იმ პირობებში, რომლებიც განსხვავდება საბაზისო მოლოდინებისგან. ამ მიზეზით, ჯგუფი საკუთარ თავს უქვემდებარებს ხოლმე სხვადასხვა სტრესულ სცენარს სუსტი მხარეების გამოსავლენად, შესაძლო დანაკარგების რაოდენობის განსაზღვრისთვის და რისკების მიტიგაციის ზომების საკმარისობის შესაფასებლად. ამჟამად, ბანკმა ჩამოაყალიბა საკუთარი ყოვლისმომცველი სტრეს-ტესტის ჩარჩო, რომელიც მოიცავს მთელ რიგ სცენარებს

თავისი მდგრადობის შესაფასებლად. ეს მოიცავს კაპიტალთან, ლიკვიდობასთან, კრედიტთან, კიბერ და სხვა რისკ-ფაქტორებთან დაკავშირებულ სცენარებს, რომლებიც შეესაბამება რისკების პრევალირებად გარემოს. სტრეს-ტესტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი არასასურველი პირობების მიმართ მედეგობის შესაფასებლად, როგორიცაა ეკონომიკური კრიზისი, ბაზრის არასტაბილურობა და გაუთვალისწინებელი მოვლენები. რეგულარული მიმოხილვები და კორექტირებები აუცილებელია სტრეს-ტესტის ჩარჩოების მუდმივი აქტუალურობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

ბანკი რეგულარულად ატარებს სტრეს-ტესტებს. სტრეს-ტესტები ტარდება ან წინასწარ განსაზღვრულ ჩარჩოებში, მაგალითად, ICAAP, ILAAP და გაჯანსაღების გეგმა, და/ან ერთჯერადად, რათა შეფასდეს მთელი სისტემის მასშტაბით გარკვეული ან იდიოსინკრაზიული მოვლენების გავლენა ბანკის კაპიტალზე, ლიკვიდობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტრეს-ტესტების საერთო მიდგომა თანმიმდევრულია, სტრესული სცენარების სერიოზულობა განსხვავდება შესაბამისი ჩარჩოდან გამომდინარე.

გარდა სტრეს-ტესტების ანალიზისა, გაჯანსაღების გეგმა წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმას როგორც სამეთვალყურეო საბჭოსთვის, ასევე ხელმძღვანელობისთვის, რათა უზრუნველყოს მზადყოფნა კონკრეტულ სტრესულ პირობებში. გაჯანსაღების გეგმა უზრუნველყოფს გაჯანსაღების მკაფიო ვარიანტებს იმ კონკრეტული ნაბიჯების მითითებით, რომლებიც უნდა გადაიდგას, მათ შორის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამჭვირვალე და დროული შეტყობინება. ჩარჩო ექვემდებარება რეგულარულ მიმოხილვებს და კორექტირებებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი თანმიმდევრული აქტუალურობა და ეფექტურობა.

ბანკს ასევე დანერგილი აქვს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. ეს გეგმა უზრუნველყოფს იმას, რომ ორგანიზაცია მზად იყოს ეფექტური რეაგირება მოახდინოს შეფერხებებზე. შეფერხებების დროს შემოსავლების ნაკადების შენარჩუნებისა და ფინანსური დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების სტრატეგიების დასახვით, ეს პრაქტიკები ხელს უწყობს ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობისა და გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის დაცვას.



ძირითადი არსებული და მოსალოდნელი რისკები

რისკების მართვა არის ჯგუფის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. მნიშვნელოვანია იმ განვითარებადი რისკებისა და გაურკვევლობების გამოვლენა, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ჯგუფის მუშაობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე. ამ ნაწილში გაანალიზებულია ჯგუფის წინაშე არსებული არსებითი ძირითადი და წარმოშობილი რისკები და გაურკვევლობები. თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რომ ჯგუფის საქმიანობაზე გავლენა შეიძლება იქონიოს ქვემოთ ჩამოთვლილის გარდა სხვა რისკებმა და გაურკვევლობებმა.

სამეთვალყურეო საბჭომ განახორციელა ჯგუფის წინაშე არსებული როგორც ძირითადი, ისე მოსალოდნელი რისკებისა და ჯგუფის საქმიანობის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის გულდასმითი შეფასება, იმის დასადგენად, უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული ფუნქციონირებადობის პრინციპი ბუღალტრული აღრიცხვისთვის.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სპეციფიკური ფოკუსი 2024 წელს

1. ჯგუფის საქმიანობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას მისი საქმიანობის ქვეყნებში შიდა პოლიტიკური დაძაბულობის და გაურკვევლობების პოტენციურმა უარყოფითმა ეფექტებმა.

რისკის აღწერა

ჯგუფის საქმიანობა უაღრესად მოწყვლადია ქართულ ბაზარზე განვითარებული გეოპოლიტიკური მოვლენების მიმართ.

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური კლიმატი საქართველოში დაძაბული იყო, რადგან ოპოზიციური პარტიები არ დაეთანხმნენ არჩევნების შედეგებს. 28 ნოემბრის შემდეგ დაძაბულობა გაიზარდა, როდესაც მთავრობამ გამოაცხადა ევროინტეგრაციის მოლაპარაკების დროებითი შეჩერება 2028 წლის ბოლომდე. ამ განცხადებამ გამოიწვია პროტესტი, რომელიც თბილისის ქუჩებში დაიწყო და საქართველოს მთავარ ქალაქებში გავრცელდა. უკვე მრავალი კვირაა, მიმდინარეობს ქუჩის დემონსტრაციები, რასაც მოჰყვა სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება და პროტესტის ზოგიერთი მონაწილის დაპატიმრება. ამის შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გაერთიანებულმა სამეფომ და რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ პერსონალური სანქციები დაუწესა ზოგიერთ სახელმწიფო პირს, ხოლო ევროკავშირმა უვიზო მგზავრობა შეუჩერა ქართველ დიპლომატებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ქვეყნის ან მისი ინსტიტუციების მისამართით სხვა ზომები არ გატარებულა, უწყვეტი დაძაბულობა და ზოგადი გაურკვევლობა პოლიტიკურ გარემოში 2025 წელსაც პოტენციური რისკის წყაროდ რჩება.

2024 წლის პოლიტიკური დაძაბულობის ყველაზე აღსანიშნი ეკონომიკური შედეგი იყო მომატებული ზეწოლა ლარის გაცვლით კურსზე. არჩევნებთან დაკავშირებით ოქტომბერში ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინის გამო, 2024 წლის აგვისტოში ბანკის მომხმარებლებმა დაიწყეს თავიანთი დეპოზიტების არსებითი ნაწილის კონვერტაცია უცხოურ ვალუტებში, როცა მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე გაიზარდა, რამაც განაპირობა დაღმავალი ზეწოლა ლარზე და ლიკვიდობის დეფიციტი – ბაზარზე. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტის შემოდინება წლის განმავლობაში მეტწილად მძლავრი დარჩა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) აქტიური ინტერვენცია მოახდინა სავალუტო ბაზარზე, და დახარჯა დაახლოებით 700 მილიონი აშშ დოლარი სექტემბერ-ოქტომბერში, რათა ლარის კურსი სტაბილურად შეენარჩუნებინა 2.70-2.75 აშშ დოლარის დიაპაზონში, რასაც მოჰყვა 153 მილიონი აშშ დოლარის შესყიდვა ნოემბერსა და დეკემბერში. პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია ნოემბრის ბოლოს, როდესაც საპასუხოდ ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ, და 4 დეკემბერს 1 აშშ დოლარზე მიაღწია 2.87 ლარს , ხოლო წლის ბოლოსთვის 2.80-ის გარშემო დასტაბილურდა. ამავდროულად, ამ მოვლენებმა შექმნა ბუფერი ლარის სამომავლო გაუფასურებისთვის, რადგან უცხოურ

ვალუტაში დეპოზიტები მოსალოდნელია რომ კვლავ დაკონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში და ბაზარს უზრუნველყოფს უცხოურ ვალუტაში ლიკვიდობით, რაც გაამყარებს ლარს. უფრო ზოგადად, წლის ბოლოსთვის პოლიტიკურ დაძაბულობას ჰქონდა უარყოფითი, თუმცა საკმაოდ ზომიერი ეფექტი ტურიზმზე და ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე მომხმარებელთა ხარჯვაზე. საერთო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად მერყევ დეკემბერში ეკონომიკური შენელების ნიშნები გაჩნდა, ეკონომიკური და საკრედიტო აქტივობა ჯერჯერობით მაინც მძლავრი დარჩა, რეალური მშპ-ს ზრდა დაჩქარდა კიდეც 2024 წელს და საშუალოდ გაუტოლდა შთამბეჭდავ 9.5%-ს, 2023 წლის 7.8%-იან მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო მთლიანი კრედიტი წლიური 17%-ით გაიზარდა დეკემბრის ბოლოსთვის.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფმა სათანადო ზომები გაატარა ბანკის საქმიანობაზე და მომხმარებლებისთვის მისი სერვისების ხელმისაწვდომობაზე პოტენციური უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად. ბანკი იყენებს ყოვლისმომცველ სტრეს-ტესტების ჩარჩოს და მთელ რიგ რისკის მართვისა და მონიტორინგის ინსტრუმენტს. უფრო მწვავე სტრესის დაშვებების ეფექტი ფასდება წლიური გაჯანსაღების გეგმის პროცესის ფარგლებში. გარდა ამისა, ჯგუფმა საგანგებოდ შეადგინა რამდენიმე თეორიული სცენარი, რა დროსაც გააანალიზა საპარლამენტო არჩევნების შესაძლო შედეგები და ჩამოაყალიბა სტრეს-ტესტები, რათა ბანკის საქმიანობის პოტენციური ეფექტების კალიბრაცია მოეხდინა.

2. ჯგუფის საქმიანობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას რეგიონში განვითარებულმა არასასურველმა მოვლენებმა, კერძოდ, უკრაინაში ომმა, გეოპოლიტიკური კრიზისის შესაძლო გავრცელებამ და/ან საქართველოდან მიგრანტების შესაძლო გადინებამ, ასევე ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ესკალაციამ, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს საქართველოში მოქმედ გარემოზე.

რისკის აღწერა

ჯგუფის საქმიანობა დამოკიდებულია ქართულ ბაზარზე განვითარებული გეოპოლიტიკური მოვლენების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკაში შემოდინებები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ქვეყანა მაინც მოწყვლადია რეგიონში განვითარებული გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების მიმართ. ჯერაც მაღალი რისკები, რომლებიც უკავშირდება რუსეთის უკრაინაში შეჭრას და ამის შედეგად რუსეთზე დაწესებულ სანქციებს და გაზრდილ გაურკვევლობებს კვლავაც უდიდეს პოტენციურ საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკონომიკას. ქვეყანა ასევე განიცდის განახლებულ სამხედრო კონფლიქტებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ სეპარატისტულ რეგიონებში, ხოლო ზოგიერთმა შედარებით დაშორებულმა კონფლიქტმა, მაგალითად, ესკალაციამ ახლო აღმოსავლეთში, შეიძლება გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე უფრო ძლიერი აშშ დოლარის, ნავთობზე უფრო მაღალი ფასების, მიგრაციის ნაკადების მეშვეობით და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის ეფექტი მცირდება, მას კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ საქმიანობაში. შესაბამისად, ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა გადინებამ შეიძლება გამოიწვიოს ბიზნესგარემოს გაუარესება. ალბათ, საპირისპიროს ექნებოდა ადგილი კონფლიქტების სწრაფი მოგვარების ნებისმიერი სცენარის შემთხვევაში, რაც შექმნიდა დადებით ეკონომიკურ გვერდით ეფექტებს, მაგალითად, რუსეთსა და უკრაინაში ეკონომიკური ზრდის სავარაუდო ძლიერი აღდგენა.

ამ რისკების მატერიალიზებამ შეიძლება მკვეთრად შეაფერხოს ეკონომიკური საქმიანობა საქართველოში და უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ბიზნეს გარემოსა და კლიენტთა ბაზაზე.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი აქტიურად იყენებს სტრეს-ტესტებსა და რისკების გაზომვისა და მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტებს, რათა უზრუნველყოს ტრიგერების ადრეული გამოვლენა და მათი გარდაქმნა სამოქმედო გეგმებად, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ნებისმიერი უარყოფითი გავლენა ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე, ლიკვიდობასა და პორტფელის ხარისხზე. უკიდურესად სტრესულ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია დაირღვეს მარეგულირებლის მოთხოვნები, ბანკს აქვს გაჯანსაღების გეგმა, რომელიც ხელს უწყობს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას კაპიტალის და/ან ლიკვიდობის პოზიციების დადგენილ ვადებში აღდგენის პროცესში.

3. ჯგუფის მოქმედების რეგიონში არსებობს ფინანსური დანაშაულის რისკი.

რისკის აღწერა

ფინანსური დანაშაულის რისკი მოიცავს ფულის გათეთრებას, ტერორიზმის დაფინანსებას, მექრთამეობასა და კორუფციას და სანქციების რისკებს. სანქციებთან დაკავშირებული რისკები გაიზარდა, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ჯგუფის კონკრეტული აქცენტი 2024 წელს კვლავ რჩებოდა სანქციების რისკის კონტროლის გარემოს მართვაზე და გაუმჯობესებაზე.

ისტორიულად, საქართველოს ჰქონდა მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები რუსეთთან და უკრაინასთან. რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულ აგრესიას შედეგად მოჰყვა მძაფრი საერთაშორისო რეაქცია, რომელიც მოიცავდა აშშ-ს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების მიერ მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესებას. ამის შედეგად, პირდაპირ იქნა სანქცირებული რუსეთიდან და ბელარუსიდან საკანონმდებლო და სამთავრობო უწყებების წევრები, ოლიგარქები, ბიზნესმენები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიები, ფინანსური დაწესებულებები და სხვა იურიდიული პირები, ხოლო რუსეთში, ბელარუსში და უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელდა მრავალი ეკონომიკური შეზღუდვა და სავაჭრო აკრძალვა საქმიანობის გარკვეულ სექტორებსა და საქონლისა და მომსახურების კატეგორიებზე. წამყვანი ქვეყნები ამკაცრებენ და აფართოებენ სანქციების პროგრამას გარკვეული შეზღუდვების გახანგრძლივებით და მათ სიაში ახალი სუბიექტებისა და ფიზიკური პირების დამატებით. სანქციების მზარდა კომპლექსურობამ და მასშტაბმა, რასაც დაერთო საქართველოში პოლიტიკური ვითარების ესკალაცია, განაპირობა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების და ჩვენი პარტნიორი საკორესპონდენტო ბანკების მეტი სიფრთხილე. მათ მიმართეს უფრო ფრთხილ მიდგომას, რასაც საფუძვლად უდევს რისკის აპეტიტის შეზღუდვა, რამაც გამოიწვია ტრანზაქციების დამუშავების უფრო მკაცრი მოთხოვნები და უფრო ხშირი და საგულდაგულო კომპლექსური შემოწმების პროცედურები. უფრო მეტიც, კონფლიქტის შედეგად რუსეთის ბევრმა მოქალაქემ გადაინაცვლა საქართველოში. ჯგუფის, რუსეთისა და რუსეთის მოქალაქეებს შორის ურთიერთქმედების დონის და სანქციების აკრძალვებისა და შეზღუდვების მასშტაბის გათვალისწინებით, სანქციების გვერდის ავლის მცდელობებში მონაწილეობის რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2023 წლის დეკემბერში აშშ-ის სანქცირების ორგანომ – უცხოური აქტივების კონტროლის ოფისმა (OFAC) გამოუშვა აღმასრულებელი ბრძანება, რომელსაც საქართველოს ფინანსური დაწესებულებები უნდა დამორჩილებოდნენ. კერძოდ, ამ შეზღუდვის თანახმად, ბანკი უფრო გულდასმით შეისწავლის ნებისმიერ ტრანზაქციას, რომელიც მოიცავს რუსეთის ეკონომიკაში მოქმედ ან რუსეთის სამხედრო-სამრეწველო ბაზებთან რამენაირად დაკავშირებულ რუსულ საწარმოებს.

საქართველოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ ახალი დადგენილების მიღებამ ევროკავშირში/დიდ ბრიტანეთში/აშშ-ში წარმოშობილი შეზღუდული პროდუქტების რუსეთსა და ბელარუსში (და პირიქით) გადაადგილების კონტროლზე, ჯგუფი აიძულა დაენერგა დამატებითი კონტროლები და ხელოვნურ ინტელექტზე/ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინსტრუმენტები, რათა ეფექტურად გაეკონტროლებინა ემბარგო დადებული საქონლის გადაადგილება აკრძალულ ტერიტორიებზე.

2024 წელს სებ-მა ჩაატარა ბანკის პროცესების ინსპექცია (რომელიც მოიცავს 2022 წლის თებერვლიდან 2023 წლის ნოემბრამდე პერიოდს), ირანთან, რუსეთთან და ბელარუსთან დაკავშირებულ სანქციებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით. ბანკის ზომები ეფექტურად ჩაითვალა გარკვეული ნაკლოვანებებით, რის შედეგადაც უმნიშვნელო ჯარიმები დაეკისრა გარკვეულ კლიენტებს.

მიმდინარე პოლიტიკურმა დაძაბულობამ ქართველი მაღალჩინოსნები და ბიზნესმენები ყურადღების ცენტრში მოაქცია აშშ-სგან და დიდი ბრიტანეთისგან სანქციების დაწესების მხრივ. სექტემბერში აშშ-მა დაასანქცირა ორი პირი, რომლებიც დეზინფორმაციის გავრცელებასთან და სიძულვილის ენასთან იყვნენ დაკავშირებულები, ასევე ორი სახელმწიფო მოხელე, რომლებიც უკავშირდებოდნენ ბოლოდროინდელ პროტესტებზე რეაგირებას. 2024 წლის დეკემბერში აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა დაასანქცირეს საქართველოს მთავრობის წევრები, ხოლო აშშ-მა დაასანქცირა არაფორმალური ლიდერი, საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პოლიტიკური კრიზისის პასუხად. არსებობს იმის ალბათობა, რომ მომავალში სანქციები დაუწესდეთ იმ პირებსაც, რომლებსაც ახლო კავშირები აქვთ მთავრობასთან.

რუსეთთან დაკავშირებული სანქციების რისკის გარდა, საერთაშორისო გადაზიდვის ხარჯების მნიშვნელოვანმა ზრდამ, წითელ ზღვაზე კრიზისმა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კრიზისმა, საზღვაო მარშრუტების ნაცვლად, გაზარდა ჩინეთიდან ტვირთის გადაზიდვების ზრდა. ამ სიტუაციამ საქართველო დააყენა ირანის გავლით ტრანსპორტირების დაფინანსების რისკის წინაშე აზიის ქვეყნებთან მისი იმპორტისა და ექსპორტის საქმიანობის განსახორციელებლად, რაც აკრძალულია აშშ-ის მთავრობის მიერ. აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის სანქციების რეჟიმის დარღვევების გამო ჯგუფს დაუწესდებოდა ჯარიმები და მარეგულირებელი ზომები როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის, ისე აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისა და სააღსრულებო ორგანოების მიერ. მარეგულირებელი რისკის გარდა, ჯგუფი ასევე დგას რეპუტაციული რისკის წინაშე, ძირითადად თავისი საკორესპონდენტო ბანკების და სხვა ფინანსური მესამე მხარის ურთიერთობებით.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფს აქვს ნულოვანი ტოლერანტობის პოზიცია გაეროს, დიდი ბრიტანეთის, აშშ-სა და ევროკავშირის სანქციების დარღვევის ან თავიდან აცილების ხელშეწყობის მიმართ. ჯგუფი იღებს ვალდებულებას თავი აარიდოს პირდაპირ ან არაპირდაპირ სანქცირებულ მხარეებთან ან საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს.

ჯგუფმა მიიღო ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის ჯგუფის მასშტაბით საერთო პოლიტიკა, რომელიც ადგენს მოთხოვნებს შემდეგ ძირითად რისკის სფეროებში: ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, მექრთამეობა, კორუფცია და სანქციები. პოლიტიკა ვრცელდება ჯგუფის წევრ ყველა კომპანიაზე, ბიზნეს საქმიანობასა და თანამშრომლებზე. თანამშრომლები გადიან ტრენინგებს ფინანსური დანაშაულის რისკების მართვის შესახებ. თანამშრომლებს ატყობინებენ ჯგუფის აპეტიტის და ფინანსური დანაშაულის მართვის მიმართ მიდგომის, ასევე ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის განუხორციელებლობის შემდგომი შესაძლო შედეგების შესახებ.

ჯგუფი მიზნად ისახავს დაიცვას თავისი მომხმარებლები, აქციონერები, ასევე საზოგადოება ფინანსური დანაშაულისა და მის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი საფრთხისგან. ჯგუფი სრულად იღებს ვალდებულებას დაიცვას მოქმედი საერთაშორისო და შიდა კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ დანაშაულთან, ასევე შესაბამისი კანონმდებლობა სხვა ქვეყნებში, სადაც მოქმედებენ ჯგუფის წევრი ფინანსური დაწესებულებები. მას აქვს დიდი ხნის ამბიცია, დააკმაყოფილოს დარგის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სტანდარტები.

ჯგუფმა დანერგა შიდა პოლიტიკა, პროცედურები და დეტალური ინსტრუქციები, რომლებიც მიზნად ისახავს აღკვეთოს ნებისმიერი კავშირი ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან ან სხვა უკანონო ქმედებებთან, როგორიცაა ქრთამის აღება, კორუფცია, სანქციები ან გადასახადებისგან თავის არიდება. ჯგუფის AML/CTF შესაბამისობის პროგრამა იმ სახით, როგორც ის განხორციელდა, მოიცავს წერილობით პოლიტიკას, პროცედურებს, შიდა კონტროლს და სისტემებს, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: პოლიტიკა და პროცედურები AML კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; KYC და კლიენტების კომპლექსური შემოწმების პროცედურები; კლიენტების მიღების პოლიტიკა; კლიენტების შემოწმება ტერორისტების გლობალური სიის, განსაკუთრებული კატეგორიის მოქალაქეობის, შესაბამისი ფინანსური და სხვა სანქციების სიების მიხედვით; პერსონალის რეგულარული მომზადება და ცნობიერების ამაღლება; და ბანკის კლიენტების მიერ ჩადენილი საეჭვო საქმიანობის მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურები.

ბანკმა გამოყო კონკრეტული მატერიალური რესურსები სანქციების რისკების მართვისთვის. მას აქვს:

- შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები, რომლებიც ეხმარება ბანკს სანქციების რისკის შემცირებაში;
- ჩართული გარე მრჩევლები სანქციების რისკების მართვის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციების წარმოსადგენად;
- ჩართული გარე აუდიტორები შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაფასებლად;
- უფლებამოსილი, სპეციალურად გამოყოფილი პერსონალი შესაბამისი, სპეციფიკური ცოდნით; და
- შესაბამისობის დეპარტამენტთან ახალი შეთანხმებების საფუძველზე ახალი ადამიანური რესურსები დაემატა განყოფილებებს.

დაცვის მეორე ხაზის ფარგლებში, ბანკის შესაბამისობის დეპარტამენტი ცდილობს რისკის მართვას ჯგუფის მიერ განსაზღვრული რისკის აპეტიტის შესაბამისად და ხელს უწყობს რისკის ძლიერ კულტურას მთელ ორგანიზაციაში. ჯგუფს აქვს შემუშავებული სრულყოფილი გადაწყვეტის საშუალება AML ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე, რათა AML თანამშრომლებმა შეძლონ კლიენტების ტრანზაქციების მონიტორინგი და საეჭვო ქცევის გამოვლენა. მონაცემთა ანალიტიკისა და მანქანური სწავლების გამოყენებით, ჯგუფმა შეიმუშავა ანომალიის გამოვლენის ინსტრუმენტი, რათა გამოავლინოს ძალიან რთული შემთხვევები, კლიენტების ქსელის ანალიზის გამოყენებით, ფულის გათეთრების ორგანიზებული შემთხვევების და გამდიდრებული წინასწარ განსაზღვრული შაბლონების გამოსავლენად, ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად. ამ მიდგომას აქვს უზარმაზარი ღირებულება ბიზნესისთვის, რადგან ის ავლენს შემთხვევებს იმ საშუალებებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში ძალიან ძვირი იქნებოდა, რადგან ამ ტრანზაქციების ხელით ანალიზი AML თანამშრომლებისთვის არის უკიდურესად შრომატევადი პროცესი. ხელსაწყო ყველა ამ ინციდენტს თავს უყრის საინფორმაციო პანელებში და მათ წარუდგენს AML თანამშრომლებს შემდგომი მოქმედებისთვის.

ბანკის შესაბამისობის დეპარტამენტი მუშაობს პროგრამული უზრუნველყოფის მუდმივ გაუმჯობესებაზე, რათა გაზარდოს ოპერაციული ეფექტურობა და შეამციროს ცრუ-დადებითი შეტყობინებები, რა მიზნითაც ახალი გარე საკონსულტაციო კომპანია დაიქირავა. ბანკი ყოველწლიურად ახორციელებს საწარმოს მასშტაბით AML/CTF/სანქციების რისკების შეფასებას, დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. საერთო ჯგუფის მასშტაბით ნარჩენი რისკები 2023 წლისთვის შეფასდა, როგორც საშუალო. ბანკის შესაბამისობის დეპარტამენტი დროულად და ჯეროვნად განიხილავს საყურადღებო საკითხებს. სანქციებთან შესაბამისობის ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ, შესაბამისობის დეპარტამენტში ჩამოყალიბდა სანქციების კონტროლის ახალი განყოფილება, რომელსაც აჰყავს ახალი პერსონალი სანქციებისთვის თავის არიდების საფრთხეების უკეთ დასაძლევად.

ფინანსური რისკები

1. ჯგუფის შემოსავლის უმეტესი ნაწილის ფორმირება ხდება საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივების ელემენტების ხარჯზე.

რისკის აღწერა

საკრედიტო რისკი არის ყველაზე ხელშესახები რისკი, რომლის წინაშეც დგას ბანკი, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი ძირითადად დაკავებულია ტრადიციული დაკრედიტების საქმიანობით. ეს არის ზარალის მიღების რისკი, გამოწვეული კლიენტის ან კონტრაჰენტის მიერ მათი იმ ვალდებულებების შეუსრულებლობით, რომლებიც უკავშირდება დარჩენილი თანხების გადახდას შეთანხმებული პირობების შესაბამისად. ჯგუფის კლიენტებს შორის არიან როგორც იურიდიული პირები, ისე ინდივიდუალური მსესხებლები. საქართველოს საფინანსო სექტორში დოლარიზაციის მაღალი დონიდან გამომდინარე, სავალუტო საკრედიტო რისკი წარმოადგენს საკრედიტო რისკის კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია ბანკის პორტფელში არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის უცხოურ ვალუტაში გამოხატული სესხების შედეგად წარმოქმნილ რისკებთან. საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკს, რაც წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებულ რისკს, რაც გამოწვეულია ცალკეული მსესხებლების ან დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფების დიდი ვალდებულებებით, ან გარკვეულ ეკონომიკურ დარგებში სესხის კონცენტრაციის შედეგად. საკრედიტო რისკით გამოწვეული ზარალი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს არახელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების გამო.

სავალუტო საკრედიტო რისკი (CICR) – საბანკო ბიზნესს საქართველოში აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო პორტფელი უცხოურ ვალუტებში. ლარის შესაძლო არსებითი გაუფასურება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საერთო მთლიანი სესხებისა და ავანსების 47.0% (სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვების დაკლებამდე) გამოხატული იყო უცხოურ ვალუტაში. ბევრი მომხმარებლის შემოსავალი პირდაპირ კავშირშია უცხოურ ვალუტასთან ფულადი გზავნილების, ტურიზმის ან ექსპორტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მომხმარებლები შეიძლება არ იყვნენ დაცულნი სესხის ვალუტასთან მიმართებით ლარის კურსის მნიშვნელოვანი მერყეობისგან. ლარი რჩება თავისუფალ მიმოქცევაში და ექვემდებარება მთელ რიგ შიდა და გარე ფაქტორებს, რამაც, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს მისი გაუფასურება. 2024 წელს საშუალო აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსი წლიური 3.5%-ით გაუფასურდა.

კონცენტრაციის რისკი – მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ექვემდებარება ერთი დასახელების და დარგობრივ კონცენტრაციის რისკებს, ბანკის პორტფელი კარგად არის დივერსიფიცირებული როგორც სექტორებში, ასევე ერთი დასახელების მსესხებლებში, რაც იწვევს მხოლოდ ზომიერ მოწყვლადობას კონცენტრაციის რისკების მიმართ. თუმცა, თუ საერთო რისკის ფაქტორების ზემოქმედება გაიზრდება, რისკები, შესაბამისად, გაძლიერდება. კონსოლიდირებულ დონეზე, ჯგუფის მაქსიმალური წილი ყველაზე მსხვილ დარგში (უძრავი ქონება) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა სასესხო პორტფელის 11%-ს. ამავე დროს, 20 უმსხვილესი მსესხებლის წილი შეადგენდა სასესხო პორტფელის 9%-ს.

გარდა ამისა, საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონტრაჰენტის საკრედიტო რისკს, რადგან ბანკი ეწევა სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციას როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებთან. ისეთი საბანკო მომსახურებების განხორციელებით, როგორიცაა ბანკთაშორის ფულად ბაზარზე დაკრედიტება, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე გარიგების დადება, ვაჭრობის ფინანსირებასთან დაკავშირებული ბანკთაშორისი გარიგებების დადება ან ფასიან ქაღალდებში ინვესტირება, ბანკი ექვემდებარება ზარალის რისკს კონტრაჰენტი ბანკის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

რისკის მიტიგაცია

არსებობს საკრედიტო რისკების შეფასების ყოვლისმომცველი ჩარჩო საკრედიტო ანალიზისა და დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეებს შორის მოვალეობების მკაფიო განაწილებით. საკრედიტო შეფასებისა და მონიტორინგის პროცესები განსხვავდება სეგმენტისა და პროდუქტის ტიპის მიხედვით, რაც ასახავს ამ აქტივების კლასების მრავალფეროვან ხასიათს. ჯგუფის საკრედიტო პორტფელი ძალიან დივერსიფიცირებულია კლიენტების ტიპების, პროდუქტების ტიპებისა და დარგის სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი ბანკის დონეზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საცალო სეგმენტი წარმოადგენდა მთლიანი პორტფელის 35.2% -ს, რომელიც შეადგენდა იპოთეკური და არაიპოთეკური კრედიტების 58.8% და 41.2%-ს. არცერთი ბიზნეს სექტორი არ წარმოადგენდა მთლიანი პორტფელის 11%-ზე მეტს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კრედიტის დამტკიცება

ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს კრედიტების საიმედო გაცემაზე დაკრედიტების მკაფიო კრიტერიუმებისა და საკრედიტო რისკების ეფექტური შეფასების პროცესების დადგენის გზით, CICR და კონცენტრაციის რისკის ჩათვლით.

საკრედიტო შეფასებები განსხვავდება სეგმენტისა და პროდუქტის მიხედვით, რაც ასახავს აქტივის სხვადასხვა კლასის მახასიათებლებს. გადაწყვეტილებები ფასდება ავტომატურად ან ხელით, სეგმენტის შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების დაცვით. ავტომატური გადაწყვეტილებების პროცესში გამოყენებულია საკრედიტო რისკის მაჩვენებლების შიდა შეფასების ბარათები, რაც მიზნად ისახავს ავტომატიზაციის ზრდას გადაწყვეტილების სისწრაფისა და კონკურენტული უპირატესობის გასაძლიერებლად. იმ სესხებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ხელით შემოწმებას ან შეუფერებელია ავტომატური შეფასებისთვის, საკრედიტო კომიტეტები გადაწყვეტილებას იღებენ კლიენტის დავალიანებისა და რისკის პროფილის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად. ეს კომიტეტები, სტრუქტურირებული რამდენიმე დონეზე, განიხილავენ და ამტკიცებენ სესხებს, რომლებიც განსხვავდება საკრედიტო პროდუქტის ზომითა და რისკით.

CICR პრობლემის მოსაგვარებლად, კლიენტის შესაძლებლობა, გაუძლოს გაცვლითი კურსის გარკვეულ გაუფასურებას, შეტანილია კრედიტის ანდერაიტინგის ჩარჩოში, რომელიც ასევე მოიცავს ვალუტის გაუფასურების მნიშვნელოვან ბუფერებს არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის.

სებ-ის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილება, დათარიღებული 2024 წლის 27 ნოემბრით, კომერციულ ბანკებს ავალდებულებს, რომ გაზარდონ უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული სესხის ლიმიტი ამჟამინდელი 400,000 ლარიდან 500,000 ლარამდე. ამ დირექტივის თანახმად, სესხები ან საბანკო კრედიტები 500,000 ლარამდე უნდა გაიცეს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, რაც უზრუნველყოფს უკეთეს ფინანსურ სტაბილურობას და შეამცირებს მსესხებლების სავალუტო რისკს. ცვლილების ძალაში შესვლა დაგეგმილია 2025 წლის 1 იანვრისთვის. ეს უკვე უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული სასესხო თანხების ზედა ზღვრის ზრდის მეორე შემთხვევაა. წინათ ზღვარი გაიზარდა 300,000 ლარიდან 400,000 ლარამდე 2024 წლის 1 მაისს, ლარიზაციის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, 2024 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უცხოურ ვალუტაში ვალდებულებებისთვის რეზერვის მოთხოვნა 5 პპ-ით გაზარდა, 20%-დან 25%-მდე, რათა კიდევ უფრო შეეწყო ხელი საბანკო სისტემის ლარიზაციისთვის.

საკრედიტო მონიტორინგი

ჯგუფი ხაზს უსვამს რისკების პროაქტიულ მართვას, სადაც საკრედიტო რისკების მონიტორინგი წარმოადგენს ძირითად ელემენტს. ჩვენ ვიყენებთ საიმედო სისტემას მაკრო და მიკრო ცვლილებებზე სწრაფი რეაგირებისთვის, გამოვავლენთ სუსტ მხარეებს ჩვენს საკრედიტო პორტფელში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ჩვენი რისკების მიმართ მდგრადობა მოიცავს კონცენტრაციის რისკის, CICR და სხვა საკრედიტო რისკ-ფაქტორების რეგულარულ მონიტორინგს. ჩვენ ვიყენებთ პორტფელის ზედამხედველობის სისტემას, რათა გამოვავლინოთ საკრედიტო რისკების სუსტი მხარეები, გავაანალიზოთ რისკების ტენდენციები და რეკომენდაცია გავუწიოთ მოქმედებებს ახალი რისკების წინააღმდეგ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვალუტით გამოწვეულ საკრედიტო რისკს, ბანკის პორტფელში უცხოურ ვალუტაში გამოხატული სესხების მაღალი წილის გამო. სავალუტო კურსის გაუფასურების მიმართ მოწყვლადობის მონიტორინგი ხორციელდება სამოქმედო გეგმის დაუყოვნებლივ განხორციელების მიზნით, საჭიროებისამებრ. ბოლოდროინდელი სავალუტო არასტაბილურობის შედეგად დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით, ბანკს შეუძლია დაუყოვნებლივ შეამსუბუქოს სავალუტო კურსის გაუფასურების რისკები.

ვახდენთ რა მონიტორინგის ადაპტირებას სეგმენტის სპეციფიკაზე, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ინდივიდუალურ საკრედიტო რისკებზე, პორტფელის ეფექტურობაზე და იმ გარე ტენდენციებზე, რომლებიც გავლენას ახდენს რისკის პროფილებზე. ჩვენი ფხიზელი პოზიცია თავის თავში მოიცავს ადრეული გაფრთხილების სისტემებს, რათა გამოვლინდეს ფინანსური მდგომარეობის გაუარესება ან თაღლითობა კლიენტების პოზიციებზე. ეს სისტემები თვალყურს ადევნებს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ვადაგადაცილებული დღეები, რეფინანსირება, LTV ცვლილებები ან საგადასახადო გირავნობა. მსხვილი ვადაგადაცილებული კრედიტები ექვემდებარება ინდივიდუალურ მონიტორინგს კლიენტების სესხის მომსახურების შესაძლებლობების შესაფასებლად.

თაღლითობის პრევენციის მიზნით, ჩვენ ვაკვირდებით პირველი გადახდების შეუსრულებლობას საკრედიტო ექსპერტებში, ბანკის ფილიალებსა თუ კომპანიებში, რომლებიც ჩვენს კლიენტებს ასაქმებენ. ჩვენს დაწესებულებებს აქვს სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების ან რისკების კომიტეტების საკრედიტო მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

გარდა ჩვენი ანდერაიტინგისა და მონიტორინგის მცდელობებისა, შესაბამისი ბუფერები შეტანილია ჩვენი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებში, რათა უზრუნველყოს ჩვენი ბანკების საკმარისად კაპიტალიზაცია CICR, კონცენტრაციის რისკისა და ზოგადად საკრედიტო რისკის დასაფარად. ჩვენ ვიყენებთ სტრეს-ტესტებსა და მგრძნობელობის ანალიზს, რათა შევაფასოთ ჩვენი საკრედიტო პორტფელის მდგრადობა, მოვემზადოთ სხვადასხვა ეკონომიკური პირობებისთვის და კლიენტების ცვალებადი საჭიროებებისთვის.

საკრედიტო რისკის აპეტიტი

ჯგუფის საკრედიტო რისკის აპეტიტი განისაზღვრება ჯგუფის და მისი ფინანსური დაწესებულების შვილობილი კომპანიების რისკის აპეტიტის ჩარჩოებით, რომლებიც არეგულირებენ საკრედიტო რისკის აღებას. ეს ჩარჩოები გვთავაზობს ხარისხობრივ რეკომენდაციებს და რაოდენობრივ შეზღუდვებს საკრედიტო რისკის მისაღები დონეების დასაწესებლად. ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლები მოიცავს NPL პროპორციას, რისკის ხარჯს და NPL დაფარვას. რისკის აპეტიტის ჩარჩოები ასევე აწესებენ მკაცრ ლიმიტებს და უზრუნველყოფენ ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკისა და კონცენტრაციის რისკის ზედმიწევნით მონიტორინგს, რაც მოიცავს დარგობრივ და ერთსახელიან კონცენტრაციებს.

საკრედიტო რეიტინგები აუცილებელია საკრედიტო რისკების მიმართ ტოლერანტობის დასადგენად. ისინი უზრუნველყოფს მსესხებლის კრედიტუნარიანობის დეტალურ შეფასებას, რაც უმნიშვნელოვანესია მათი უნარის გასაგებად, შეასრულონ თავიანთი ფინანსური ვალდებულებები. ამ რეიტინგებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მისაღები რისკების დონეების სახელმძღვანელო პრინციპების დასადგენად და ისინი ინტეგრირებულია ჩვენს რისკების მართვის ჩარჩოში. ისინი აუმჯობესებენ ჩვენს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ და ვმართოთ საკრედიტო რისკი, რაც იძლევა მსესხებლის კრედიტუნარიანობის დეტალურად გაგების საშუალებას, ეს კი განაპირობებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და რისკის შესაბამისი ზღვრის დადგენას.

ჩვენ საკრედიტო რისკს ვუდგებით ყოვლისმომცველი რისკის აპეტიტის ჩარჩოების საკრედიტო რეიტინგების სტრატეგიულ გამოყენებასთან შერწყმით. ეს ინტეგრირებული მიდგომა საშუალებას აძლევს ჯგუფს მედეგად და მოქნილად მოახდინოს ეფექტური ნავიგაცია საკრედიტო რისკების ცვალებად გარემოში.

უზრუნველყოფის მართვა

თიბისი ბანკში უზრუნველყოფა არის ძირითადი ფაქტორი საკრედიტო რისკის შესამსუბუქებლად, რომელიც ქმნის სასესხო პორტფელების დიდ ნაწილს. ბანკი იღებს სხვადასხვა სახის უზრუნველყოფას, მაგალითად, უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, აღჭურვილობა, ინვენტარი, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე მხარის გარანტიები, საკრედიტო პროდუქტის ტიპისა და მსესხებლის საკრედიტო რისკის შესაბამისად. უძრავი ქონება არის უზრუნველყოფის ძირითადი კომპონენტი, ხოლო ცენტრალიზებული ერთეული ზედამხედველობს გირაოს მართვას, რაც უზრუნველყოფს მის ადეკვატურობას საკრედიტო რისკების შემცირებაში.

უზრუნველყოფის მართვის ჩარჩო მოიცავს პოლიტიკის შემუშავებას, დამოუკიდებელ შეფასებას, დისკონტირების სისტემას ანდერაიტინგის დროს, მონიტორინგს (გადაფასებები, სტატისტიკური ანალიზი) და პორტფელის ანალიზს. ბანკის უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების დეპარტამენტი განსაზღვრავს ჯგუფის უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს (რომლებსაც ამტკიცებს საჯარო სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო) და თიბისი ბანკის უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების პროცედურებს (რომლებსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო). დეპარტამენტს შეფასების მომსახურებები შესაბამისობაში მოჰყავს შეფასების საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედ რეგულაციებთან და შინაგანაწესთან, ამტკიცებს შეფასების ანგარიშებს და მართავს უზრუნველყოფის მონიტორინგის პროცესს. ყოველწლიურად ხდება მაღალი ღირებულების მქონე აქტივების ხელახლა შეფასება, ხოლო დაბალი ღირებულების მქონე უზრუნველყოფის საგნები ექვემდებარება სტატისტიკურ მონიტორინგს.

უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების დეპარტამენტის მიერ ხარისხის შემოწმება შეფასებებზე მოიცავს შიდა პერსონალის მიმოხილვებს და გარე კომპანიის შეფასებებს. უზრუნველყოფის მართვის საქმიანობა მეტწილად ავტომატიზებულია ვებ აპლიკაციით, რომელიც ინტეგრირებულია სხვა საბანკო სისტემებთან.

ამოღებები და აღდგენები

საკრედიტო რისკის მართვისას ბანკი ააქტიურებს ამოღების და აღდგენით პროცედურებს, როდესაც კლიენტები არ იხდიან ან მათი ფინანსური მდგომარეობა უარესდება, რაც რისკის დაფარვას საფრთხის ქვეშ აყენებს. ეს პროცესი იწყება უმოქმედო კრედიტების რესტრუქტურიზაციის წარუმატებელი მცდელობების შემდეგ. თითოეულ სეგმენტში სპეციალიზებული გუნდები მართავენ ვადაგადაცილებულ კრედიტებს, ქმნიან რა სესხის დაფარვის გეგმებს, რომლებიც მორგებულია კლიენტების კონკრეტულ სიტუაციებზე და იცავენ რა ჩვენს ეთიკურ კოდექსს.

ჩვენ მიერ ამოღების პროცესები მოიცავს იმ კლიენტების მხარდაჭერას, რომლებსაც უჭირთ თავიანთი ვალდებულებების შესრულება. სტრატეგიები დამოკიდებულია რისკების ზომასა და ტიპზე, მომხმარებელთა სხვადასხვა ქვეჯგუფზე მორგებული გეგმებით, მათი რისკის დონეებიდან გამომდინარე. მიზანს წარმოადგენს კლიენტებთან მოლაპარაკება ფულადი სახსრების აღდგენის უზრუნველსაყოფად გადახდის

შეცვლილი გრაფიკით, როგორც დაფარვის ძირითადი წყაროთი. თუ მისაღები პირობები არ მიიღწევა, აღდგენა შეიძლება მოიცავდეს აქტივების გაყიდვას ან უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრებას. თუ მოლაპარაკებები შედეგს არ გამოიღებს, მოვალისათვის დაგირავებული ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაიწყოს სასამართლო წესით. დამატებითი აღდგენის სტრატეგიები მოიცავს პორტფელის გაყიდვას და თანამშრომლობას მესამე მხარეებთან (დავალიანების ამოღების სააგენტოებთან).

ეს ზომები ასახავს ჩვენს მზადყოფნას საკრედიტო რისკების პასუხისმგებლობიანი მართვის, ფინანსური სტაბილურობის დაცვისა და ჯგუფში ეთიკური სტანდარტების შენარჩუნებისთვის.

კონტრაჰენტის რისკი

კონტრაჰენტის რისკის სამართავად ბანკი ადგენს ლიმიტებს თითოეული კონტრაჰენტისთვის ინდივიდუალურად, ხოლო პორტფელის საფუძველზე ის ზღუდავს მოსალოდნელ ზარალს როგორც სახაზინო, ისე სავაჭრო დაფინანსების რისკის პოზიციებიდან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ბანკთაშორისი რისკები კონცენტრირებული იყო იმ ბანკებზე, რომლებსაც ისეთმა გარე სააგენტოებმა, როგორებიცაა Fitch, Moody 's და Standard and Poor's, მიანიჭეს მაღალი A კლასის საკრედიტო რეიტინგები.

2. ბანკი იღებს ვალდებულებას, ყოველთვის დაიცვას კაპიტალის მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნები, რომლებმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენონ ზრდა და სტრატეგიული მიზნები. გარდა ამისა, სავალუტო კურსების არასასურველმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე.

რისკის აღწერა

კაპიტალის რისკი მნიშვნელოვანი ყურადღების სფეროა ბანკისთვის. კაპიტალის რისკი არის იმის რისკი, რომ ბანკს შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი კაპიტალის დონე თავისი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის შესანარჩუნებლად და თავისი საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ნორმალურ ან სტრესულ საოპერაციო პირობებში. ხელმძღვანელობის ამოცანები კაპიტალის მართვის თვალსაზრისით არის კაპიტალის სათანადო დონის შენარჩუნება, რათა ხელი შეეწყოს ბიზნეს სტრატეგიას, დაკმაყოფილდეს მარეგულირებელ და სტრეს-ტესტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და დაცულ იქნას ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტ რეჟიმში.

ჯგუფის უნარზე, შეასრულოს მარეგულირებლის მოთხოვნები, შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებმა. ძირითადი ფაქტორები მოიცავს აქტივების ხარისხის გაუარესება, რაც იწვევს ზარალს, შემოსავლის შემცირებას, ხარჯების ზრდას და კაპიტალის მოზიდვის პოტენციურ სირთულეებს.

ადგილობრივი ვალუტის არასტაბილურობა იყო და რჩება მნიშვნელოვან რისკად სს „თიბისი ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობისთვის. 10% ლარის გაუფასურება განაპირობებს სს „თიბისი ბანკის“ ჭარბი ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის შეცირებას, შესაბამისად 0.9 პპ-ით, 0.7 პპ-ითა და 0.6 პპ-ით.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფში შემვალი კომპანიები ახორციელებენ სტრეს-ტესტებს და მგრძნობელობის ანალიზს კაპიტალის დამატებითი მოხმარების რაოდენობრივი განსაზღვრის მიზნით სხვადასხვა სცენარის მიხედვით. ასეთი ანალიზები მიუთითებს, რომ ბანკი ფლობს საკმარის კაპიტალს მარეგულირებლის მიმდინარე მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კაპიტალის პროგნოზებს, ასევე სტრეს-ტესტების და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგებს აქტიურად აკვირდება ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ გონივრული მართვა და დროული მოქმედება. მარეგულირებლის მოთხოვნების გარდა, ეს ანალიზები გამოიყენება სათანადო რისკის აპეტიტის შიდა ბუფერების განსასაზღვრად.

ბანკი რეგულარულად ატარებს სტრეს-ტესტებს, რომლებიც ემსახურება მრავალ მიზანს. ისინი ხორციელდება გრაფიკის მიხედვით, ჩამოთვლილი ჩარჩოების მიხედვით ან ერთჯერადად, გარკვეული სტრესული გარემოს მასშტაბების შესაფასებლად. სტრეს-ტესტები, სხვა მიზნებთან ერთად, ტარდება კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესისთვის (ICAAP), მარეგულირებელი სტრეს-ტესტებისთვის და გაჯანსაღების გეგმისთვის.

მარეგულირებელი სტრეს-ტესტის მთავარი მიზანი არის წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერის განსაზღვრა კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნის ჩარჩოს ფარგლებში. 2018 წლიდან დაწყებული, მარეგულირებელი სტრეს-ტესტები ტარდება და წარედგინება მარეგულირებელს მისი მოთხოვნისამებრ.

ICAAP-ის მიზანია ბანკის წინაშე მდგარი ყველა არსებითი რისკის გამოვლენა და ამ რისკების დასაფარად საჭირო კაპიტალის შესახებ შიდა წარმოდგენის ქონა. ICAAP- ის მიზანია ხელი შეუწყოს ბანკის საქმიანობის უწყვეტობას კაპიტალის თვალსაზრისით, იმის უზრუნველყოფით, რომ მას ჰქონდეს საკმარისი კაპიტალი თავისი რისკების გასაწევად, ზარალის შთანთქმისთვის და მდგრადი სტრატეგიის განსახორციელებლად სტრესის პერიოდშიც კი.

გაჯანსაღების გეგმის ფარგლებში სტრეს-ტესტი ითვალისწინებს უფრო სერიოზულ სტრესულ სცენარებს; კერძოდ, ის მიზნად ისახავს მარეგულირებლის მოთხოვნების დარღვევას და ბანკის უნარის შეფასებას, აღადგინოს კაპიტალის მდგომარეობა გაჯანსაღების ზომების დახმარებით გონივრულ ვადებში.

რისკის აპეტიტის და კაპიტალის გეგმის შემუშავების პროცესში ბანკი გამოყოფს კაპიტალს ბუფერის სახით, რათა გაუძლოს ადგილობრივი ვალუტის გარკვეულ რყევებს.

3. ჯგუფი თავისი არსით ექვემდებარება დაფინანსებისა და ბაზრის ლიკვიდობის რისკებს.

ლიკვიდობის რისკი არის ის რისკი, რომ ჯგუფს ან შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი ფინანსური რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია მისი ყველა ვალდებულების შესასრულებლად, როდესაც დგება მათი გადახდის ვადა ან ამ რესურსებზე წვდომა შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ მაღალ ფასად.

ლიკვიდობის რისკი იყოფა ორი რისკის ტიპად: ლიკვიდობის რისკის დაფინანსება და ბაზრის ლიკვიდობის რისკი.

ა. ლიკვიდობის დაფინანსების რისკი არის იმის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ეფექტურად უზრუნველყოს როგორც მოსალოდნელი, ასევე მოულოდნელი მიმდინარე და მომავალი ფულადი ნაკადები ისე, რომ გავლენა არ მოახდინოს არც მის ყოველდღიურ ოპერაციებზე და არც მის ფინანსურ მდგომარეობაზე როგორც ნორმალურ პირობებში, ისე კრიზისის დროს.
ბ. საბაზრო ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ ჯგუფს არ შეუძლია ადვილად მოახდინოს პოზიციის კომპენსაცია ან ლიკვიდაცია მიმდინარე საბაზრო ფასით, ბაზრის არასათანადო სიღრმის ან ბაზრის შეფერხების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ჯგუფს აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია მისი ვალდებულებების შესასრულებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი დამახასიათებელია საბანკო ოპერაციებისთვის და შეიძლება გაიზარდოს მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით. ესენი მოიცავს დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტად დამოკიდებულებას ან მასზე წვდომის შეუძლებლობას, ასევე საკრედიტო რეიტინგების ცვლილებებს ან საერთო საბაზრო მოვლენებს. განვითარებად ბაზრებზე კომპანიებისთვის კრედიტზე წვდომაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობის დონე და, როგორც ასეთი, ინვესტორის ნდობაზე მოქმედმა ნებისმიერმა ფაქტორმა (მაგალითად, საკრედიტო რეიტინგების შემცირებამ, ცენტრალურმა ბანკმა ან სახელმწიფო ინტერვენციებმა, ან ვალის რესტრუქტურიზაციამ შესაბამის დარგში) შეიძლება გავლენა მოახდინოს ფასზე ან დაფინანსებაზე წვდომის შესაძლებლობაზე, რომელიც აუცილებელია გადახდების განსახორციელებლად ჯგუფის სამომავლო დავალიანებასთან დაკავშირებით.

როგორც დაფინანსების, ასევე ბაზრის ლიკვიდობის რისკები შეიძლება წარმოიშვას მთელი რიგი იმ ფაქტორებიდან, რომლებიც სცდება ჯგუფის კონტროლს, მათ შორის შიდა პოლიტიკური დაძაბულობიდან და პოტენციური უარყოფითი განვითარებით იმ ქვეყნების საქმიანობაში, რომლებიც განხილულია თავში „ძირითადი რისკები და გაურკვევლობები“. არსებობს სათანადო ლიკვიდობა, რათა ჯგუფმა გაუძლოს კლიენტების დეპოზიტების მნიშვნელოვან გატანას, მაგრამ მნიშვნელოვანი რაოდენობის დეპოზიტების მოულოდნელმა და სწრაფმა გატანამ შეიძლება საგრძნობი უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე და/ან პერსპექტივებზე.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფის ლიკვიდობის რისკი იმართება სამეთვალყურეო საბჭოს ჯგუფის ლიკვიდობის რისკების მართვის პოლიტიკის მეშვეობით. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) არის აქტივების და ვალდებულებების მართვის მთავარი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის ლიკვიდობის რისკების მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზნების ყოველდღიურ შესრულებას. ლიკვიდობის რისკების მართვის დამტკიცებული ჩარჩო უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ მისი გადახდის ვალდებულებების შესრულებას როგორც ნორმალურ, ასევე სტრესულ სიტუაციებში.

ლიკვიდობის რისკის შესამსუბუქებლად ბანკს უჭირავს ლიკვიდობის მყარი პოზიცია მინიმალურ მარეგულირებლის მოთხოვნებზე მაღლა კომფორტული ბუფერების შენარჩუნებით. რეგულარულად ხორციელდება ყველა ნორმატიული კოეფიციენტის მონიტორინგი. ამასთან, მოქმედებს ადრეული გაფრთხილების სისტემა, რათა გამოვლინდეს ლიკვიდობასთან დაკავშირებული შესაძლო არასასურველი მოვლენები. ამას ხელს უწყობს ჯგუფის შესაბამისი ფინანსური დაწესებულებების რისკის აპეტიტის ჩარჩოები, რომლებიც ადგენენ ბუფერებს მარეგულირებელი ლიმიტების ზემოთ, რაც უზრუნველყოფს ლიკვიდობის პოტენციური სუსტი მხარეების ადრეულ გამოვლენას. ლიკვიდობის რისკის პოზიციას და შიდა ლიმიტებთან შესაბამისობას ზედმიწევნით აკონტროლებს სს „თიბისი ბანკის“ ALCO.

სს „თიბისი ბანკის“ ლიკვიდობის რისკს მართავს ბალანსის მართვის განყოფილება და სახაზინო განყოფილება და მონიტორინგს ახორციელებს დირექტორთა საბჭო და ALCO, მათი წინასწარ განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში. ფინანსური რისკების მართვის (FRM) განყოფილება პასუხისმგებელია პროცედურებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე და რისკის აპეტიტის დადგენაზე დაფინანსებასთან და ბაზრის ლიკვიდობის რისკების მართვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, FRM ახორციელებს ლიკვიდობის რისკების შეფასებას და შედეგებს რეგულარულად აცნობებს დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტს.

ბანკი აწარმოებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდობის რისკების სამართავად. ბანკის ლიკვიდობის ძირითადი წყაროებია კლიენტების დეპოზიტები და ანგარიშები, სესხები ადგილობრივი და საერთაშორისო ბანკებიდან და საფინანსო დაწესებულებებიდან, სუბორდინირებული სესხები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების ინვესტორებისგან, ადგილობრივი ბანკთაშორისი მოკლევადიანი დეპოზიტები და სესხები, შემოსავალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან, სესხების ძირი თანხის დაფარვები, საპროცენტო შემოსავალი და საკომისიო შემოსავალი. ბანკი ეყრდნობა შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების ძირითად წყაროს. ბანკი ასევე აკონტროლებს მსხვილი დეპოზიტების კონცენტრაციას და ადგენს არაქართველი რეზიდენტების დეპოზიტების ლიმიტებს თავის სადეპოზიტო პორტფელში.

თავისი ვალდებულებების სტრუქტურის შენარჩუნებისა და შემდგომი გაძლიერების მიზნით, ბანკი ადგენს მიზნებს საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების ინვესტორებისგან მიღებული დეპოზიტებისა და ფულადი სახსრების მიმართ, თავის რისკის აპეტიტში, შესაბამისი კოეფიციენტების მეშვეობით. დეპოზიტისა და IFI დაფინანსების მიმართ სესხის კოეფიციენტი (რომელიც განისაზღვრება, როგორც მთლიანი სესხების საერთო ღირებულება, გაყოფილი დეპოზიტებისა და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან მიღებული სახსრების საერთო ღირებულების ჯამზე) 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა, შესაბამისად 99.9%, 96.2%, და 89.1%-ს.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლიენტების ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილი გახსნილია მოთხოვნამდე, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია მეანაბრეთა რაოდენობითა და ტიპით, ჯგუფის წარსულ გამოცდილებასთან ერთად, იმაზე მიუთითებს, რომ ამ კლიენტების ანგარიშები უზრუნველყოფს ბანკის დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს. უფრო მეტიც, ბანკის ლიკვიდობის რისკის მართვა მოიცავს მისი მიმდინარე დეპოზიტების დაფარვის ვადების შეფასებას. შეფასება ეფუძნება იმ სტატისტიკურ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება კლიენტების ანგარიშის ნაშთების რყევების შესახებ ისტორიულ ინფორმაციაზე.

სტრეს-ტესტები ლიკვიდობის რისკის მართვის მთავარი ინსტრუმენტია. სტრეს-ტესტები ტარდება ILAAP-ში და გაჯანსაღების გეგმის ჩარჩოებში, ასევე ერთჯერადად, როდესაც ხდება რისკების პრევალირებადი გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილება. ამათგან პირველი აფასებს ლიკვიდობის პოზიციისა და შესაბამისი ბუფერების ადეკვატურობას და იმას, შეუძლიათ თუ არა მათ გაუძლონ დასაშვებ მძიმე შოკებს, ხოლო მეორე კი უზრუნველყოფს იმ შესაძლო ქმედებების ერთობლიობას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ნაკლებად სავარაუდო მარეგულირებლის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, ლიკვიდობის პოზიციის სწრაფი აღდგენის მხარდასაჭერად. გაჯანსაღების გეგმა მოიცავს ლიკვიდობის სარეზერვო დაფინანსების გეგმას, რომელიც რისკების მაჩვენებლებთან და შემამსუბუქებელ ქმედებებთან ერთად ასახავს გეგმის შესრულებაში მონაწილე მხარეების როლებსა და მოვალეობებს. როგორც ILAAP-ს, ისე გაჯანსაღების გეგმას ბანკი ყოველწლიურად ასრულებს.

4. საბაზრო რისკი წარმოიშობა კაპიტალის განაწილებისა და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ოპერაციების ოპტიმიზაციის შედეგად.

რისკის აღწერა

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები მერყეობს საბაზრო ცვლადების ცვლილებების გამო, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსები და აქციების ფასები.

სავალუტო რისკი (FX) წარმოიქმნება უცხოური ვალუტის კურსის პოტენციური ცვლილების შედეგად, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. აღნიშნული რისკი გამომდინარეობს უცხოური ვალუტის აქტივებსა და ვალდებულებებში შეუსაბამობების გამო შექმნილი ღია სავალუტო პოზიციებიდან. ჯგუფი ავლენს, აფასებს, აკონტროლებს და აცნობებს სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად წარმოშობილ რისკს და ამ რისკზე მოქმედ ფაქტორებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების შედეგად, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების შეუსაბამობების, ასევე ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების მახასიათებლების გამო.

დეპოზიტებისა და ბანკის მიერ შემოთავაზებული სესხების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ხოლო ბანკის სესხების ნაწილი დაფუძნებულია ცვლად საპროცენტო განაკვეთზე. გარდა ამისა, ბანკი აქტიურად იყენებს ცვლადი და კომბინირებული საპროცენტო განაკვეთის სტრუქტურებს თავის სასესხო პორტფელში. იქიდან გამომდინარე, რომ ამ აქტივებსა და ვალდებულებებს აქვთ გადაფასების სხვადასხვა მახასიათებელი, მათი შესაბამისი საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად, და პოტენციურად უარყოფითი გავლენა მოახდინოს წმინდა საპროცენტო შემოსავალზე.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფის საბაზრო რისკი რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს ჯგუფის სავალუტო რისკების მართვისა და ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის პოლიტიკის მეშვეობით.

სავალუტო რისკი: სავალუტო რისკის მიტიგაციისთვის, ბანკი ადგენს რისკის აპეტიტს და ვალუტის მიხედვით საოპერაციო ლიმიტებს რისკის დონეზე, ასევე რისკის ერთობლივ პოზიციებზე, რომლებიც არის მარეგულირებლების მიერ დადგენილზე უფრო კონსერვატიული. ლიმიტებთან შესაბამისობას ზედმიწევნით აკონტროლებს ჯგუფის ALCO. ამ ლიმიტებთან შესაბამისობა ასევე პერიოდულად ეცნობება დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს და მის რისკების კომიტეტს.

გარდა ამისა, სახაზინო დეპარტამენტის და ფინანსური რისკების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ცალ-ცალკე ყოველდღიურად აკონტროლებენ სს „თიბისი ბანკის“ შესაბამისობას დადგენილ ლიმიტებთან. სავალუტო ბაზრისთვის დამახასიათებელი არასტაბილურობისგან თავის დასაცავად, ბანკში გამოიყენება რისკების მართვის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს სავალუტო რისკის შემცირებას. ეს გულისხმობს სპოტ, ფორვარდული და სხვა დაკავშირებული ტრანზაქციების სტრატეგიულ გამოყენებას.

სავალუტო რისკის შესაფასებლად სს თიბისი ბანკი რეგულარულად ატარებს VAR მგრძნობელობის ანალიზს. ეს ანალიზი ითვლის გავლენას ბანკის შემოსავალზე, რომელიც განისაზღვრება ვალუტის კურსის შესაძლო ყველაზე უარესი რყევებით ქართულ ლართან მიმართებით, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი რჩება. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, ამ მგრძნობელობის ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ბანკის კაპიტალზე: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მაქსიმალური ზარალი 99%-იანი ნდობის ინტერვალით უდრიდა 11.4 მილიონ ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 10.2 მილიონ ლარს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი: საპროცენტო განაკვეთის რისკის მიტიგაციისთვის, ჯგუფი განიხილავს მრავალ სტრესულ სცენარს, მათ შორის სხვადასხვა შემოსავლიანობის მრუდის ცვლას და ფულად ნაკადებში ქცევით კორექტირებას (მაგალითად, დეპოზიტის განაღდება ან სესხის წინასწარი გადახდა), ერთი წლის მომგებიანობაზე და კომპანიის საკუთარი კაპიტალის ღირებულებაზე გავლენის გამოსათვლელად. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკის აპეტიტის ჩარჩოს ფარგლებში დადგენილია როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლის (NII), ისე კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) მგრძნობელობის შესაბამისი ლიმიტები. სავალუტო რისკის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 35-ე შენიშვნა.

საპროცენტო განაკვეთის რისკს ჯგუფში მართავს ბალანსის მართვის განყოფილება და სახაზინო განყოფილება და მონიტორინგს ახორციელებს ALCO. ALCO იღებს გადაწყვეტილებას იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც აუცილებელია საპროცენტო განაკვეთის რისკების ეფექტური მართვისთვის და თვალყურს ადევნებს მათ განხორციელებას. ფინანსური რისკების მართვის განყოფილება პასუხისმგებელია სახელმძღვანელო პრინციპებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე და საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ აპეტიტის დადგენაზე. საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის განვითარების და შესაბამისი ანგარიშგების ძირითადი ასპექტები პერიოდულად ეცნობება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და რისკების კომიტეტს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ბანკი რეგულარულად აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთის (ხელახალი ფასწარმოქმნის) გეპებს ვალუტების მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას დადოს საპროცენტო განაკვეთის წარმოებული ინსტრუმენტების ხელშეკრულებები.

გარდა ამისა, ბანკის ბევრი სესხი კლიენტებისთვის შეიცავს მუხლს, რომელიც მას საშუალებას აძლევს მოახდინოს სესხზე საპროცენტო განაკვეთის კორექტირება საპროცენტო განაკვეთის არასასურველი ცვლილების შემთხვევაში, რითაც ზღუდავს საპროცენტო განაკვეთის რისკის ზემოქმედებას. ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ ბანკის საპროცენტო განაკვეთის ზღვრები უზრუნველყოფს

გონივრულ ბუფერს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო არახელსაყრელი ცვლილების დინამიკის ეფექტის შესამსუბუქებლად.

5. ჯგუფის წმინდა საპროცენტო შემოსავლის ან წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) ნებისმიერმა შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს მომგებიანობის შემცირება, რაც გავლენას ახდენს ორგანული კაპიტალის დაგროვებაზე.

რისკის აღწერა

წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენს ჯგუფის მთლიანი შემოსავლის უმეტეს ნაწილს. შესაძლო ახალმა რეგულაციებმა, საქართველოში კონკურენციის მაღალ დონესთან ერთად, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის წმინდა საპროცენტო მარჟაზე. ამავდროულად დაფინანსების ხარჯი მეტწილად გარე ფაქტორებითაა გამოწვეული ჯგუფისთვის და მიიღება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრებიდან.

2024 წელს, წმინდა საპროცენტო მარჟის ოდნავი შემცირება წლიური 0.5 პპ-ით 5.8%-მდე, ძირითადად განპირობებული იყო სებ-ის რეფინანსირების შემცირებით, რომელიც ნაწილობრივ გაქვითა უცხოური ვალუტის წმინდა საპროცენტო მარჟის დადებითმა ზრდამ.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი კვლავ აქცენტს აკეთებს მოსაკრებლისა და საკომისიო შემოსავლის ზრდაზე, რაც განპირობებულია გაზრდილი ძალისხმევით მომხმარებელთა გამოცდილებასთან დაკავშირებული ინიციატივებისა და ინოვაციური პროდუქტების მიმართ ქართულ ბაზარზე. ეს ჯგუფს მომავალში იცავს საკრედიტო და სადეპოზიტო პროდუქტებზე მარჟის პოტენციური შემცირებისგან.

აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად და საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად ჯგუფი იყენებს მაღალი ხარისხის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, გრძელვადიან დაფინანსებასა და წარმოებული ინსტრუმენტების ხელშეკრულებებს.

6. ჯგუფის საქმიანობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ გარემოში განვითარებულმა არასასურველმა მოვლენებმა.

რისკის აღწერა

საქართველოში ეკონომიკური ზრდის პოტენციური შენელება, სავარაუდოდ, უარყოფით გავლენას მოახდენს მსესხებლების დაფარვის უნარიანობაზე, შეზღუდავს რა მათ სამომავლო ინვესტიციებს და გაფართოების გეგმებს. უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება შეაფერხოს ჯგუფის საქმიანობა სხვადასხვა გზით, მაგალითად, გაცვლითი კურსის შემცირება, ოქროზე ფასების მნიშვნელოვანი შემცირება, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, უმუშევრობის ზრდა, საყოფაცხოვრებო განკარგვადი შემოსავლის შემცირება, უძრავ ქონებაზე ფასების დაცემა, სესხის უზრუნველყოფის გაუარესება ან კომპანიების გადახდისუნარიანობის გაუარესება გაყიდვების შემცირების გამო. პოტენციურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოს მეზობელ ქვეყნებში და ძირითად სავაჭრო/ეკონომიკურ პარტნიორებში შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მათ ეკონომიკურ პერსპექტივაზე საგადასახდელო ბალანსში მიმდინარე და ფინანსური ანგარიშების გაუარესების გზით (მაგ. ექსპორტის შემცირება, ტურიზმის შემოდინებები, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები). 2024 წლის მდგომარეობით ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური რისკებისთვის მნიშვნელოვანი მატერიალიზაცია არ დაფიქსირებულა იმ ქვეყნებში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მშპ 2021 წელს გაიზარდა 10.6%-ით, 2022 წელს – 11.0%-ითა და 2023 წელს 7.8%-ით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკამ რეალური მშპ-ის 9.5%-იანი ზრდით შეინარჩუნა მძლავრი განვითარების ტემპი. ამ წლის მკვეთრ ზრდას ხელი შეუწყო მოხმარებამ, ტურიზმმა და რეალური დაკრედიტების მაღალმა მაჩვენებელმა, განსხვავებით შემცირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა (FDIs) და ნაწილობრივ ფულადი გზავნილებისგან, ასევე მიგრაციასთან დაკავშირებული შემოდინებებისგან, რომელიც ოდნავ შემცირდა. ეკონომიკური საქმიანობის უფრო მაღალი დონის მიუხედავად, სამომხმარებლო ფასების ზრდა შეზღუდული იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ წლიური სფი ინფლაცია სებ-ის 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი დარჩა წლის განმავლობაში და დეკემბერში 1.9%-ს გაუტოლდა. დაბალმა ინფლაციამ და გლობალური მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქების ციკლმა ცენტრალურ ბანკს საშუალება მისცა სამჯერ შეემცირებინა განაკვეთი 2024 წელს, რის შედეგადაც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.5%-დან 8.0%-მდე შემცირდა. სებ-ი ასევე აქტიური იყო სავალუტო ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ მძლავრმა შემოდინებებმა წლის განმავლობაში ლარის სტაბილურობას შეუწყო ხელი, ქვეყანაში მომატებული პოლიტიკური დაძაბულობის გამო უარყოფით საბაზრო მოლოდინებმა განაპირობა დეპოზიტების კონვერტაცია უცხოურ ვალუტებში და ზეწოლა მოახდინა ლარის გაცვლით კურსზე. ამან ცენტრალური ბანკი აიძულა აქტიური ინტერვენცია მოეხდინა: დაახლოებით 917 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა სავალუტო რეზერვებიდან, ძირითადად ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, წლის განმავლობაში დაახლოებით 483 მილიონი აშშ დოლარის შესყიდვასთან შედარებით, რის შედეგადაც მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 4.4 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა.

რისკის მიტიგაცია

ეკონომიკური ციკლების მიმართ თავისი მოწყვლადობის შესამცირებლად, ჯგუფი განსაზღვრავს ციკლურ დარგებს და პროაქტიულად მართავს თავის მიდგომას ანდერაიტინგის და კლიენტების მიმართ მისი რისკის აპეტიტის ჩარჩოში. ჯგუფში დანერგილია მაკროეკონომიკური მონიტორინგის პროცესი, რომელიც ეყრდნობა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე გულდასმით და რეგულარულ დაკვირვებას, რათა გამოვლინდეს ადრეული გამაფრთხილებელი სიგნალები, რომლებიც მიუთითებს გარდაუვალ ეკონომიკურ რისკებზე. ეს სისტემა ჯგუფს საშუალებას აძლევს დაუყოვნებლივ შეაფასოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები და გააანალიზოს ჯგუფის საქმიანობაზე მათი გავლენის შედეგები. ეს შედეგები სათანადოდ აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში ანდერაიტინგის სტანდარტების, რისკის აპეტიტის მაჩვენებლებისა და ლიმიტების, მათ შორის, თითოეული ყველაზე მოწყვლადი დარგის ლიმიტების გადახედვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საკრედიტო განხილვისა და პორტფელის მონიტორინგის პროცესების დროს ჩატარებული სტრეს-ტესტები და სცენარების ანალიზი საშუალებას აძლევს ჯგუფს წინასწარ შეაფასოს მაკროეკონომიკური შოკების გავლენა თავის ბიზნესზე. მედეგობა ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ შეტანილია ჯგუფის საკრედიტო ანდერაიტინგის სტანდარტებში. როგორც ასეთი, არსებობს იმის მოლოდინი, რომ მსესხებლებმა უნდა გაუძლონ გარკვეულ არასასურველ ეკონომიკურ მოვლენებს გონივრული ფინანსების, ვალის მომსახურების შესაძლებლობებისა და უზრუნველყოფის დაფარვის გზით.

რეგიონული კრიზისის პასუხად, ჯგუფი დაეყრდნო თავის რისკების მართვის ჩარჩოს და გამოიყენა ადრე არსებული სტრეს-ტესტების პრაქტიკები. ეს მოიცავდა პორტფელის უფრო საფუძვლიან და ხშირ მონიტორინგს, ასევე სტრეს-ტესტებს, კაპიტალის, ლიკვიდობის და პორტფელის ხარისხის ცვლილებების გულდასმით კონტროლის უზრუნველსაყოფად გაზრდილი გაურკვევლობის პერიოდებში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.tbccapital.ge.

არაფინანსური რისკები

1. ჯგუფს აქვს მარეგულირებელი და სააღსრულებო მოქმედების რისკი.

რისკის აღწერა

ჯგუფის საქმიანობა მკაცრად რეგულირდება და, შესაბამისად, ის დგას სხვადასხვა მარეგულირებელი რისკის წინაშე. საქართველოში სებ-ი ადგენს სესხის გაცემის ლიმიტებსა და სხვა ეკონომიკურ კოეფიციენტებს (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, სესხის გაცემის, ლიკვიდობისა და ინვესტიციების კოეფიციენტებს) კაპიტალის ადეკვატურობის სავალდებულო კოეფიციენტთან ერთად. მინიმალური რეზერვებისა და ფინანსური კოეფიციენტების დაცვასთან ერთად, ბანკი ვალდებულია წარადგინოს პერიოდული ანგარიშები. იგი ასევე ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო კოდექსს და სხვა შესაბამის კანონებს.

ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე კომპანიის შეყვანის შემდეგ, ჯგუფი დაექვემდებარა დიდი ბრიტანეთის ფინანსური ქცევის ორგანოს (FCA) გამკაცრებულ რეგულაციებს. თავისი საბანკო ოპერაციების გარდა, ჯგუფი ასევე სთავაზობს სხვა რეგულირებადი ფინანსური მომსახურების პროდუქტებს, მათ შორის ლიზინგს, დაზღვევას და საბროკერო მომსახურებას.

ჯგუფი ასევე ექვემდებარება ფინანსურ პირობებს თავის სასესხო ხელშეკრულებებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჯგუფის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფმა ჩამოაყალიბა სისტემები და პროცესები მარეგულირებლის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც დანერგილია ჯგუფის ოპერაციების ყველა დონეზე. ჯგუფის „დაცვის სამი ხაზის“ მოდელი განსაზღვრავს მარეგულირებლის რისკის მართვისა და მიტიგაციის როლებსა და პასუხისმგებლობებს.

დაცვის პირველი ხაზი პასუხისმგებელია შესაბამისობის რისკის მართვაზე თავისი შესაბამისი საქმიანობის მიმართულების ფარგლებში, ხოლო ბანკის საოპერაციო გუნდები რისკის ყოველდღიურ მართვას ახორციელებენ. შესაბამისობის დეპარტამენტი კრიტიკულ როლს თამაშობს დაცვის მეორე ხაზზე, რადგან მხარს უჭერს და აკონტროლებს მთელი ჯგუფის მასშტაბით შესაბამისობის ძალისხმევას. შესაბამისობის მთავარი ოფიცერი ზედამხედველობს შესაბამისობას ბანკში და ყოველკვარტალურად ანგარიშს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამის კომიტეტს, მმართველობითი ანგარიშგების ხაზით კი – რისკების

მართვის დირექტორს. ჯგუფის აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე მარეგულირებელი ნორმების დაცვის უზრუნველყოფაზე.

ბანკის შესაბამისობის პროგრამა მოიცავს ფართო სპექტრის აქტივობებს, რომელთა მიზანია შესაბამისობის რისკების ეფექტურად მართვა, რაც მოიცავს შესაბამისობის პოლიტიკის შემუშავებას, თანამშრომელთა ტრენინგებს, რისკზე დაფუძნებულ ზედამხედველობას და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის ზედმიწევნით მონიტორინგს.

შესაბამისობის დეპარტამენტი მარეგულირებელი რისკის სამართავად იღებს შემდეგ ზომებს:

- პროცესის მფლობელების მიერ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში შესული ცვლილებების დროულად დანერგვის მონიტორინგი და უზრუნველყოფა;
- ახალი პროდუქტისთვის რისკის დამტკიცების პროცესში მონაწილეობა;
- მომხმარებელთა საჩივრების, საოპერაციო რისკების მოვლენების, შიდა აუდიტის გამოვლენილი ფაქტების და სასამართლო დავის შემთხვევების ანალიზის ჩატარება პროცესის სუსტი მხარეების პროაქტიულად გამოსავლენად; და
- შიდა პროცესების შესაბამისობის რისკის წლიური შეფასების ჩატარება.

ბანკის შესაბამისობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ზომების შედეგების დროულ და სათანადო განხილვას. გარდა ამისა, თავისი საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში, დეპარტამენტი განსაზღვრავს რისკის ძირითად მაჩვენებლებს და თვალს მიადევნებს მათ ბანკის რისკის აპეტიტის ჩარჩოს შესაბამისად. წინასწარ განსაზღვრული ლიმიტების ნებისმიერი დარღვევა მყისვე უნდა ეცნობოს შესაბამის საბჭოს ზომების მისაღებად. ვინაიდან ბანკი დიდ ძალისხმევას დებს პერსონალური მონაცემების დაცვაში და მონაცემთა დაცვის შესაბამის რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში, ბანკმა დანიშნა მონაცემთა დაცვის ოფიცერი (DPO). DPO პასუხისმგებელია ბანკის მონაცემთა დაცვის სტრატეგიის ზედამხედველობაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ორგანიზაცია შესაბამისობაში დარჩეს მოქმედ კანონმდებლობასთან, მათ შორის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასთან.

2. ჯგუფს აქვს სამართლებრივი რისკი.

რისკის აღწერა

სამართლებრივი რისკი გულისხმობს პოტენციურ ზარალს, იქნება ეს ფინანსური თუ რეპუტაციული, რომელიც გამოწვეულია ჯარიმებით, ზარალითა და საურავებით, ან ფინანსური ზიანის სხვა ფორმებით, რომელიც აისახება ან შეიძლება აისახოს ჯგუფის ერთ ან რამდენიმე სუბიექტზე და/ან მის თანამშრომლებზე, საქმიანობის მიმართულებებზე, ოპერაციებზე, პროდუქტებზე და/ან მის მომსახურებაზე და გამოწვეულია ჯგუფის მიერ თავისი სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობით, მარეგულირებელი, სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო მოთხოვნების ჩათვლით.

რისკის მიტიგაცია

სამართლებრივი ფუნქცია, როგორც დაცვის მეორე ხაზი, წარმოადგენს დამოუკიდებელ ფუნქციას, რომელიც იერარქიულად ინტეგრირებულია ჯგუფის ყველა იურიდიულ გუნდთან. ჯგუფის საქმიანობის მიმართულებებს ეკისრება პასუხისმგებლობა მათ სფეროში არსებული სამართლებრივი რისკის გამოვლენასა და იურიდიული ფუნქციისთვის შეტყობინებაზე.

იურიდიულ ფუნქციას ეკისრება (ა) სამართლებრივი რისკების მართვის (მათ შორის, პრევენციის) პასუხისმგებლობა; და (ბ) იმ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ინტერპრეტაცია, რომლებიც გამოიყენება ჯგუფის საქმიანობის მიმართ, და იურიდიული კონსულტაციისა და რეკომენდაციების გაწევა ჯგუფისათვის. სამართლებრივი რისკების მართვა მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი რისკის პოლიტიკის განსაზღვრას, მთელ ჯგუფში სამართლებრივი რისკის აპეტიტის განვითარებას და სამართლებრივი რისკის მართვისა და ესკალაციის კონტროლის განხორციელებაზე ზედამხედველობას. იურიდიული ფუნქციის საკონსულტაციო პასუხისმგებლობა არის იურიდიული კონსულტაციის გაწევა აღმასრულებელი ოფიცრებისა და დირექტორთა საბჭოსთვის იმგვარად, რომ ეს აკმაყოფილებდეს უმაღლეს სტანდარტებს.

იურიდიული ფუნქციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს, აანალიზებს და აკონტროლებს ჯგუფის მასშტაბით სამართლებრივი რისკების კონტროლის გარემოს სამართლებრივი რისკის პროფილსა და ეფექტურობას. სამართლებრივი რისკების პროფილი და კონტროლის გარემო განიხილება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს რისკების კომიტეტებისა და საკონტროლო კომიტეტების მეშვეობით. ჯგუფის რისკების კომიტეტი არის ყველაზე უფროსი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის მასშტაბით სამართლებრივი რისკების მართვის ეფექტურობის განხილვასა და მონიტორინგზე.

3. ჯგუფის ოპერაციების კომპლექსურობა წარმოშობს საოპერაციო რისკს, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მომგებიანობასა და რეპუტაციაზე.

რისკის აღწერა

ჯგუფის წინაშე მდგარ ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს საოპერაციო რისკი, რომელიც არის შიდა და გარე თაღლითობის მოვლენების, არასათანადო პროცესების ან პროდუქტების, ბიზნესის შეფერხებებისა და სისტემური წარუმატებლობის, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომის ან აქტივებისთვის მიყენებული ზიანის შედეგად გამოწვეული ზარალის რისკი. საოპერაციო რისკი ასევე გულისხმობს იმ ზარალს, რომელიც გამოწვეულია იურიდიული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით.

ჯგუფი ექვემდებარება მრავალი სახის საოპერაციო რისკს, მათ შორის თაღლითურ და სხვა შიდა და გარე დანაშაულებრივ ქმედებებს; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების გაციფრულებას; და სისტემის გაუმართაობებს ან კიბერშეტევებს გარეშე მხარისგან, იმ მიზნით, რომ ჯგუფის მომსახურება ან ინფრასტრუქტურა მიუწვდომელი იყოს მისი სავარაუდო მომხმარებლებისთვის, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება საფრთხე შეუქმნას კონფიდენციალურ ინფორმაციას და ჯგუფის, მისი კლიენტების, კონტრაჰენტების ან კლიენტების კონფიდენციალურ ინფორმაციას და ფინანსურ ტრანზაქციებს.

უფრო მეტიც, ჯგუფს აქვს ის რისკები, რომლებიც იწვევს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქციების შემსრულებელი სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას, რომელიც გამომდინარეობს მთლიანად ან ნაწილობრივ მის კონტროლს მიღმა მომხდარი ისეთი მოვლენებიდან, როგორებიცაა სტიქიური უბედურებები, ტრანსპორტირება ან კომუნალური მომსახურების შეფერხებები და ა.შ., რამაც შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის პროცესში ზარალი ან შემცირება და/ან ჯგუფს მიაყენოს ეკონომიკური ზარალი.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ასევე გამოიყენება, როდესაც ჯგუფი ეყრდნობა მესამე პირების აუთსორსინგულ მომსახურებებს. როგორც საბანკო მომსახურებების, ისე შესაძლო თაღლითების დინამიკური გარემოსა და კომპლექსური ხასიათი გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა რისკების პრევენციის უზრუნველსაყოფად და ჯგუფისთვის ზარალის რისკის შესამცირებლად.

ოპერაციების გაზრდილი სირთულე და დივერსიფიკაცია, საბანკო სექტორის გაციფრულებასთან ერთად, იმას ნიშნავს, რომ თაღლითობის რისკები იცვლება. გარე თაღლითური მოვლენები შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის წინააღმდეგ მესამე მხარის ქმედებების შედეგად, რაც ყველაზე ხშირად მოიცავს საბანკო ბარათებთან, სესხებთან და კლიენტის ფიშინგთან დაკავშირებულ მოვლენებს. შიდა თაღლითური მოვლენები წარმოიქმნება ჯგუფის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ქმედებების შედეგად, თუმცა, ასეთი მოვლენები ნაკლებად ხშირად ხდება. საანგარიშო პერიოდში ჯგუფში მოხდა თაღლითობის რამდენიმე შემთხვევა, რომელთაგან არც ერთს არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ციფრული დანაშაულის სწრაფმა ზრდამ გაზარდა თაღლითობის საფრთხე, თაღლითებმა იყენებენ ახალ მეთოდებსა და მიდგომებს არალეგალურად თანხების მოსაპოვებლად. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდება სათანადო მონიტორინგი და მართვა, პოტენციური ზემოქმედება შეიძლება არსებითი გახდეს.

რისკის მიტიგაცია

საოპერაციო რისკების ზედამხედველობისა და შერბილების მიზნით, ჯგუფში მოქმედებს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი. ჩარჩო ასახავს ეფექტური საოპერაციო რისკების მართვის ზოგად პრინციპებს და განსაზღვრავს პროცესში ჩართული სხვადასხვა მხარის ფუნქცია-მოვალეობებს. ის წესები და პროცედურები, რომლებიც საოპერაციო რისკების ეფექტური მართვის საშუალებას იძლევა, ავსებენ ჩარჩოს. დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს შიდა კონტროლის ძლიერ კულტურას ჯგუფში, სადაც საკონტროლო საქმიანობა ოპერაციების განუყოფელი ნაწილია. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საოპერაციო რისკის აპეტიტს და რისკის აპეტიტის დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობას რეგულარულად აკვირდება სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტი.

ჯგუფი იყენებს დაცვის სამ ხაზიან მოდელს, სადაც ოპერატიული და საინვესტიციო რისკების მართვის დეპარტამენტი ასრულებს დაცვის მეორე ხაზის როლს, რომელიც პასუხისმგებელია ჩარჩოსა და შესაბამისი პოლიტიკისა და მეთოდოლოგიის განხორციელებაზე, რათა ჯგუფმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა.

ჯგუფი აქტიურად აკონტროლებს, ავლენს და ხელს უშლის საოპერაციო რისკის მოვლენების შედეგად წარმოშობილ რისკებს და აქვს მუდმივი მონიტორინგის პროცესები, რათა დროულად გამოავლინოს უჩვეულო აქტივობები ან პროცესის სუსტი მხარეები. რისკებისა და კონტროლის თვითშეფასება (RCSA) ფოკუსირებულია საკვანძო პროცესებში ნარჩენი რისკების გამოვლენაზე, შესაბამისი მაკორექტირებელი

ქმედებების გათვალისწინებით. საოპერაციო რისკების მონიტორინგისა და შერბილების მიზნით ჩვენი უწყვეტი ძალისხმევის მეშვეობით, ჩვენი შიდა პროცესების მაღალი დონის კომპლექსურობასთან ერთად, ჯგუფი უზრუნველყოფს საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული საქმიანობის დროულ გამოვლენას და კონტროლს. სხვადასხვა პოლიტიკა, პროცესი და პროცედურა მოქმედებს საოპერაციო რისკების კონტროლისა და მიტიგაციისთვის, რაც შეუზღუდავად მოიცავს შემდეგს:

- ჯგუფის რისკების შეფასების პოლიტიკა, რომელიც იძლევა რისკების საფუძვლიანი შეფასების საშუალებას ახალი პროდუქტების, მომსახურების ან პროცედურების მიღებამდე;
- ჯგუფის აუთსორსინგის რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ჯგუფს, გააკონტროლოს აუთსორსინგის (მომწოდებლის) რისკი, რომელიც წარმოიქმნება არასასურველი მოვლენებისა და რისკების კონცენტრაციის შედეგად, რაც გამოწვეულია მომწოდებლის შერჩევაში არსებული ხარვეზებით, არასაკმარისი კონტროლითა და ზედამხედველობით მომწოდებელზე და/ან მომწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე, და მომწოდებელზე სხვა ზემოქმედებით;
- რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების (RCSA) პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ჯგუფს, მუდმივად შეაფასოს არსებული და პოტენციური რისკები, ჩამოაყალიბოს რისკების შემცირების სტრატეგიები და სისტემატური მონიტორინგი გაუწიოს რისკების შემცირების გეგმების მიმდინარეობას. ამ გეგმების შესრულება ასევე არის შესაბამისი ხელმძღვანელების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების ნაწილი;
- ჯგუფის საოპერაციო რისკის მოვლენის გამოვლენის პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ჯგუფს დაუყოვნებლივ შეატყობინოს საოპერაციო რისკის მოვლენების შესახებ, ჩაატაროს ასეთი მოვლენების სისტემატური სიღრმისეული ანალიზი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები მნიშვნელოვანი დანაკარგების განმეორების თავიდან ასაცილებლად. ერთიანი საოპერაციო ზარალის მონაცემთა ბაზა აუმჯობესებს შემდგომ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს. საოპერაციო რისკის მოვლენის გამოვლენის პოლიტიკა ასევე ზედამხედველობას უწევს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების გამოვლენასა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრაზე გათვლილ შესაბამის საქმიანობას;
- ჯგუფის ოპერაციული რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროგრამა, რომელიც რეგულარულ ტრენინგებს უტარებს ჯგუფის თანამშრომლებს და აძლიერებს ჯგუფის შიდა რისკების კულტურას;
- ჯგუფი ასევე იყენებს რისკების გადაცემის სტრატეგიებს, მათ შორის სხვადასხვა სადაზღვევო პოლისების მიღებას კრიტიკული საოპერაციო ზარალის რისკების გადასატანად.

საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტმა გააძლიერა თავისი რისკების შეფასების გუნდები და მეთოდოლოგიები არსებული საკონტროლო გარემოს შემდგომი სრულყოფისთვის. იგივე ეხება იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს საოპერაციო რისკების მართვის პროცესების სტანდარტიზებას ჯგუფის წევრ კომპანიებში.

საანგარიშგებო პერიოდში, ერთ-ერთი მთავარი საოპერაციო რისკების მართვის მიმართულება იყო რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების (RCSA) განხორციელება, რომლის ფარგლებშიც განხილული იყო ჯგუფის მთავარი პრიორიტეტული პროცესები და გამოვლინდა ის სფეროები, რომლებიც საჭიროებდა გაუმჯობესებას.

უფრო მეტიც, თაღლითური საქმიანობით განპირობებული საოპერაციო რისკების შემდგომი შემცირების მიზნით ჯგუფმა დანერგა ციფრული თაღლითობის პრევენციის დახვეწილი სისტემა, რომელიც აანალიზებს კლიენტის ქცევას გარე თაღლითური საფრთხეების დამატებითი მინიმიზაციის მიზნით.

საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო და მისი დამატებითი პოლიტიკა განახლდა საოპერაციო რისკების მართვის პროგრამის ეფექტური შესრულების უზრუნველსაყოფად.

4. ჯგუფის ციფრულ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საოპერაციო საქმიანობა ექვემდებარება კიბერშეტევების სულ უფრო მზარდ და განვითარებად საფრთხეებს.

რისკის აღწერა

ჯგუფის მზარდი დამოკიდებულება ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სისტემებზე ზრდის მის მოწყვლადობას შესაძლო კიბერშეტევების მიმართ. მათი მზარდი კომპლექსურობის გათვალისწინებით, პოტენციურმა კიბერშეტევებმა შეიძლება გამოიწვიოს უსაფრთხოების მნიშვნელოვანი დარღვევები. ასეთი რისკები სწრაფად იცვლება და საჭიროებს მუდმივ ყურადღებას და ინვესტიციებს. არსებული გარემოს დინამიკურობისა და კომპლექსურობის გამო, ჯგუფი მუდმივად ახდენს უსაფრთხოების მიმართ არსებული საფრთხეების გარემოს მონიტორინგს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბანკში არსებითი კიბერუსაფრთხოების დარღვევა არ მომხდარა და 2024 წელს ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვანი მესამე მხარის კიბერუსაფრთხოების ინციდენტებს.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფს აქვს ინფორმაციისა და კიბერ უსაფრთხოების მართვის კომპლექსური სისტემები, კიბერშეტევების რისკის შესამცირებლად, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

საფრთხის გარემო

კიბერშეტევებით განპირობებულ გამოწვევებთან სათანადოდ გასამკლავებლად, ჩვენ მუდმივად ვაანალიზებთ ჯგუფის კიბერ საფრთხეების გარემოს და ვაფასებთ ყველა შესაბამის საფრთხის სცენარსა და სუბიექტს, მათი განზრახვებისა და შესაძლებლობების, ასევე იმ ტაქტიკის, მეთოდებისა და პროცედურების გამოყენებით, რომლებსაც ისინი მიმართავენ ან შეიძლება მიმართონ თავიანთი ოპერაციების დროს. ჩვენი ამოცანაა, მზად ვიყოთ თანამედროვე მუდმივი საფრთხეებისთვის. საფრთხის იმ მრავალ სხვადასხვა ვექტორს შორის, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ და ვაკვირდებით, ქვემოთ მოცემულია პირველი ექვსეული:

- თავდასხმები ინტერნეტ-აპლიკაციებსა და ინფრასტრუქტურაზე;
- პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების ჯაჭვზე თავდასხმები;
- ფიშინგის და სხვა სოციალური ინჟინერიის შეტევები ჩვენს მომხმარებლებზე;
- ფიშინგის და სხვა სოციალური ინჟინერიის შეტევები ჩვენს თანამშრომლებზე;
- ინსაიდერული საფრთხეები;
- გამომძალველი კიბერშეტევები.

ჩვენი ხედვა და სტრატეგიული მიზნები

ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება ჯგუფის მმართველობის პრაქტიკისა და სტრატეგიული განვითარების განუყოფელი ნაწილია. კიბერუსაფრთხოების ხედვა და სტრატეგია სრულად შეესაბამება ბიზნეს ხედვასა და სტრატეგიას და პასუხობს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც გამოვლენილია საფრთხის გარემოს ანალიზის დროს.

ჩვენი ხედვაა უსაფრთხოების მიმართ ჩვენი სიღრმისეული მიდგომის გაძლიერება, უსაფრთხო და ინოვაციური ბიზნესის უზრუნველყოფა და გაუმჯობესების უწყვეტი ციკლის შენარჩუნება. ჩვენი სტრატეგიული მიზნებია:

- უსაფრთხოების მიმართ ჩვენი სიღრმისეული მიდგომის შენარჩუნება გუნდის გაძლიერებით და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, იმ მოწინავე მუდმივი საფრთხეების წინააღმდეგ გამძლეობის შენარჩუნების მიზნით, რომლებიც შეიძლება მოდიოდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სუბიექტებისგან ან ორგანიზებული კიბერკრიმინალისგან;
- დარგის წამყვან ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის შენარჩუნება, ინფორმაციისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემებისთვის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის შენარჩუნება და მარეგულირებლის მოთხოვნების ერთი ნაბიჯით გასწრება; და
- უსაფრთხოების პროცესების ოპტიმიზაცია და უსაფრთხოების მომსახურებების დაუბრკოლებლად გაწევა ჯგუფის ბიზნესისთვის (სადაც ეს შესაძლებელია);
- უსაფრთხოებაზე ორიენტირებული კულტურის ხელშეწყობა კიბერსუსაფრთხოების შესახებ ცნობადობის გავრცელებით მთელ ორგანიზაციაში, და იმი უზრუნველყოფით, რომ თანამშრომლები და დაინტერესებული მხარეები აქტიურად იყვნენ ჩართულები რისკის შემცირებაში.

ჩვენი სიღრმისეული უსაფრთხოების მიდგომისა და კიბერგამძლეობის პროგრამა

იმისათვის, რომ მივყვეთ ჩვენს ხედვას და მივაღწიოთ ჩვენს სტრატეგიულ მიზნებს, ჩვენ ვახორციელებთ ეფექტურ საინფორმაციო და კიბერუსაფრთხოების პროგრამებს, ფუნქციებსა და სისტემებს, შემდეგნაირად:

- მოქმედებს კონტროლის მრავალდონიანი პრევენციული ზომები, რაც მოიცავს ორგანიზაციისა და ინფრასტრუქტურის ყველა შესაბამის ლოგიკურ და ფიზიკურ სეგმენტსა და დონეს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი წარმატებული საწყისი წვდომის ალბათობა:
  - მონაცემთა უსაფრთხოების კონტროლი;
  - იდენტიფიკაციისა და წვდომის კონტროლი;
  - საბოლოო წერტილების უსაფრთხოების მართვის კონტროლი;
  - ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების კონტროლი;
  - „ღრუბლის“ უსაფრთხოების კონტროლი;
  - აპლიკაციის უსაფრთხოების კონტროლი;
  - შიდა და პერიმეტრული ქსელის უსაფრთხოების კონტროლი;
  - ფიზიკური უსაფრთხოების კონტროლი.
- პროფესიონალთა გუნდი პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული პრევენციული კონტროლის ეფექტურობის, შენარჩუნებისა და სრულყოფის უზრუნველყოფაზე. გუნდის წევრთა რაოდენობა და გამოცდილების დონე მნიშვნელოვანია. ჩვენი გუნდის წევრები ფლობენ დარგში მოქმედ წამყვან სერტიფიკატებს და მუშაობენ ყოველდღიურად, რათა გაამყარონ და სრულყონ საკუთარი პროფესიული უნარები.

- პრევენციული კონტროლის დონეები ყოვლისმომცველ საინფორმაციო პროგრამასთან ერთად საუკეთესო კომბინაციას იძლევა წარმატებული შეტევების ალბათობის მინიმუმამდე დასაყვანად. ცნობიერების გაზრდის ჩვენეული საიმედო პროგრამა ეხმარება თანამშრომლებსა და მომხმარებლებს გაიუმჯობესონ კიბერ ჰიგიენა, გააცნობიერონ მათ ქმედებებთან დაკავშირებული რისკები, დაადგინონ ის კიბერ-შეტევები, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ ყოველდღიური ოპერაციების დროს და გააუმჯობესონ რისკის კულტურის საერთო დონე. საინფორმაციო პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამის მასალებს სხვადასხვა ყველა ძირითადი როლისთვის, დაწყებული დირექტორთა საბჭოდან, დამთავრებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს (IT) ინჟინრებითა და დეველოპერებით. იგი მოიცავს ყოველწლიურ ტრენინგებსა და ატესტაციებს ყველა თანამშრომლისთვის, ახალ ტრენინგებსა და ატესტაციებს, სოციალური ინჟინერიის მოდელირებას, უსაფრთხოების შესახებ რჩევებსა და შეტყობინებებს ყველა თანამშრომლისთვის, უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებს მომხმარებლებისთვის და სხვა.
- ვინაიდან ჩვენ მიგვაჩნია, რომ 100% -იანი პრევენცია შეუძლებელია, ჯგუფს აქვს საფრთხის გამოვლენის საშუალებები და უსაფრთხოების ოპერაციების ცენტრი, რომელიც ცდილობს მონიტორინგი გაუწიოს იმ ყველა შესაძლო ანომალიას რეალურ დროში, რომელიც ვლინდება ორგანიზაციის ქსელის მასშტაბით, რათა გამოავლინოს პოტენციური ინციდენტები და მოახდინოს დროული და ეფექტური რეაგირება შესაძლო თავდასხმების ნეგატიური ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად. მოწინააღმდეგეების მეთოდებისა და ტაქტიკის განახლებისა და თვალყურის დევნების მიზნით, ჩვენ ვამუშავებთ კიბერ საფრთხეების დაზვერვის პროცედურებს დარგის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და MITRE ATTACK-ის ჩარჩოს შესაბამისად.
- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა და რისკების მართვის ეფექტური პროცესები, რომლებიც ასევე მოიცავს მესამე მხარის და მიწოდების ჯაჭვის რისკებსაც, უზრუნველყოფს იმას, რომ ბანკი ჰქონდეს სწორი მითითებები, იღებდეს რისკის შესახებ ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს მისი რისკის აპეტიტის შესაბამისად, ასრულებდეს მარეგულირებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს გაუმჯობესების უწყვეტ ციკლს. ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტს, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, აქვს საბოლოო პასუხისმგებლობა იმაზე, რომ უზრუნველყოს უსაფრთხოების შესაბამისი დონე და მართვის პროცესების გაუმჯობესების უწყვეტი ციკლის მიღწევა. ბანკი შეესაბამება NIST კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს და მისი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა არის სერტიფიცირებული ISO/IEC 27001:2022 სტანდარტის შესაბამისად.
- გარდა ამისა, ბანკი კიდევ უფრო აძლიერებს თავის კიბერგამძლეობას ბიზნესის უწყვეტობის ეფექტური მართვის სისტემისა და კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის მეშვეობით, გაუთვალისწინებელი შემთხვევების მართვისა და სერიოზული შეფერხებების მინიმალური შესაძლო დანაკარგებით დაძლევის მიზნით.

როგორ ვაფასებთ და უზრუნველვყოფთ უსაფრთხოების მისაღებ დონეს

ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების მისაღები დონის შესაფასებლად და უზრუნველსაყოფად, ჩვენ ვეყრდნობით გარე/შიდა აუდიტის ანგარიშებს, წითელი გუნდის ვარჯიშის შესახებ ანგარიშებს და შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტების შედეგებს, რომლებიც ტარდება ჩვენი მაღალი პროფესიული შიდა გუნდისა და კარგი რეპუტაციის მქონე გარე მესამე მხარის პარტნიორების მიერ.

- ჩვენ ყოველწლიურად ვახორციელებთ შემდეგს:
  - SWIFT-ის მომხმარებელთა დაცვის ჩარჩოს გარე აუდიტი;
  - სებ-ის კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს გარე აუდიტი, რომელიც ეფუძნება NIST კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს;
  - დამოუკიდებელი შიდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდი აფასებს ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემის კრიტიკული კომპონენტების ეფექტურობას;
  - ISO 27001-ის გარე მეთვალყურეობის აუდიტები;
  - ინტერნეტ აპლიკაციების შეღწევაზე და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში შეღწევის ტესტები ჩვენი მაღალი რეპუტაციის მქონე პარტნიორების დახმარებით.
- ჩვენი შიდა გუნდი პასუხისმგებელია შიდა და გარე აპლიკაციებსა და ინფრასტრუქტურაში შეღწევის უწყვეტ ტესტებზე.
- ჩვენ ვატარებთ რეგულარულ წითელ და იასამნისფერ გუნდურ სწავლებებს და ვაფასებთ ჩვენს უსაფრთხოების შესაძლებლობებს უზრუნველვყოთ უსაფრთხოება რეალური მოწინავე საფრთხეებისგან.

5. ჯგუფი ავლენს რისკს მონაცემებზე თავის მზარდ დამოკიდებულებაში.

რისკის აღწერა

ჯგუფში მონაცემთა მართვის სფეროში და მონაცემთა მართვაში საყურადღებოა ორი მნიშვნელოვანი რისკი, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს უნიკალურ გამოწვევას ჯგუფის საინფორმაციო აქტივების შენახვისა და ეფექტურობისთვის. პირველი რისკი დაკავშირებულია მონაცემთა ხარისხის აუცილებელ საჭიროებასთან, რაც წარმოადგენს ქვაკუთხედს გონივრული გადაწყვეტილების მიღებისთვის,

მარეგულირებლის მოთხოვნების შესასრულებლად და საერთო რისკების მართვისთვის. ეს გამოწვევა გამომდინარეობს სხვადასხვა წყაროდან, რომლებიც მოიცავს შეცდომებს მონაცემთა შეყვანის დროს, სტანდარტიზებული ფორმატების ნაკლებობას და შეუსაბამობებს მონაცემთა წყაროებში. მონაცემთა ხარისხის დარღვევის შედეგები მოიცავს ფინანსურ დანაკარგებს, საოპერაციო არაეფექტურობას, საზედამხედველო მოთხოვნების შეუსრულებლობას და რეპუტაციულ ზიანს. სირთულე კიდევ უფრო იზრდება დინამიკურ საბაზრო გარემოში, რაც საჭიროებს საიმედო მექანიზმებს მონაცემთა ვალიდაციისა და წმენდისთვის.

პარალელურად, ჯგუფის წინაშე დგას მეორე ძირითადი რისკი, რომელიც დაკავშირებულია მოძველებულ ინფრასტრუქტურასთან. მოძველებული სისტემები, რომლებიც ხასიათდება მოძველებული აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფით, წარმოადგენენ სერიოზულ პრობლემას იმით, რომ აფერხებენ მონაცემთა შეუფერხებელ დინებას და ხელს უშლიან მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას. რისკი აძლიერებს ტექნოლოგიური წინსვლის სწრაფ ტემპს, რაც მოძველებულ ინფრასტრუქტურას მოწყვლადს ხდის უსაფრთხოების სუსტი მხარეების და მოთხოვნების შეუსრულებლობის მიმართ. უფრო მეტიც, მოძველებული სისტემების შეზღუდული მასშტაბურობა ზღუდავს ჯგუფის შესაძლებლობას, ეფექტურად დაამუშაოს და გააანალიზოს მონაცემთა უზარმაზარი კომპლექტები, რითაც აფერხებს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო ტემპს სწრაფად ცვალებად ფინანსურ გარემოში.

რისკის მიტიგაცია

ამ მონაცემთა რისკების მიტიგაცია მოითხოვს ჯგუფზე მორგებულ ჰოლისტიკურ და სტრატეგიულ მიდგომას. მონაცემთა ხარისხის პრობლემის მოსაგვარებლად, ბანკი ნერგავს მონაცემთა ხარისხის მართვის მოწინავე სისტემებს, ნერგავს მონაცემთა პროფილირების მეთოდებს და მონაცემთა მართვის მკაცრ პოლიტიკას. სტრატეგიულ ინვესტიციებს ისეთ ტექნოლოგიებში, როგორიცაა მანქანური შესწავლა და ხელოვნური ინტელექტი, შეუძლიათ მონაცემთა ანომალიების გამოვლენისა და კორექტირების ავტომატიზაცია, რაც ხელს უწყობს პროაქტიულ მიდგომას ზუსტი და შეთანხმებული მონაცემების შენარჩუნების მიმართ. ორგანიზაციაში მონაცემებზე ორიენტირებული კულტურის ფორმირება, მონაცემთა მკაფიო წარმოშობასა და დოკუმენტაციის მკაფიო პრაქტიკასთან ერთად, აუმჯობესებს გამჭვირვალობას და მიკვლევადობას.

მოძველებულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რისკების მოგვარებისას ჯგუფმა დაიწყო სტრატეგიული და ეტაპობრივი მოდერნიზაციის მიდგომა. ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების, როგორიცაა ღრუბლოვანი გამოთვლები და ვირტუალიზაცია, ინვესტირება აუცილებელია მოქნილობის, მასშტაბურობისა და უსაფრთხოების გაზრდისთვის. არსებული ინფრასტრუქტურის ყოვლისმომცველი შეფასება, მიგრაციისა და განახლებების გეგმასთან ერთად, იძლევა სისტემატური გადასვლის საშუალებას კრიტიკული ოპერაციების შეუფერხებლად. DevOps პრაქტიკის გამოყენება ამარტივებს უწყვეტ ინტეგრაციასა და გაშლას, ქმნის რა სისწრაფისა და ადაპტაციის კულტურას. ამ პროაქტიული ზომების მეშვეობით, ჯგუფი თავისი თავის პოზიციონირებას ახდენს, რათა ისარგებლოს ახალი შესაძლებლობებით და ეფექტურად შეამსუბუქოს ის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც მონაცემთა ხარისხის გაუარესებასთან, ისე მოძველებულ ტექნოლოგიურ საფუძვლებთან.

6. ჯგუფს აქვს მოდელის რისკი.

რისკის აღწერა

მარეგულირებლის სახელმძღვანელო მითითებებისა და დარგის საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად, ჯგუფმა შეიმუშავა მოდელის იდენტიფიცირების სტანდარტები, რომლებიც მკაფიოდ განმარტავსთუ რა წარმოადგენს მოდელს და იძლევა ობიექტურ კრიტერიუმებს მოდელის გამოვლენისთვის.

ჯგუფი სულ უფრო მეტად ეყრდნობა სტატისტიკურ, მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის მოდელებს, რათა გაუმჯობესოს გადაწყვეტილების მიღების პროცესები, რომელთა საშუალებასაც იძლევა მრავალფეროვან მონაცემთა წყაროებზე წვდომა და დიდი მონაცემების ტექნოლოგიების მიღება.

მზარდი დაყრდნობა მოდელებზე მოითხოვს მოდელის რისკის მძლავრ ჩარჩოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფით შედეგები, რომლებიც უკავშირდება მოდელის განვითარების, დანერგვის ან გამოყენების განმავლობაში დაშვებულ შეცდომებს. ჯგუფი განსაზღვრავს მოდელის რისკს, როგორც პოტენციური ფინანსური ზარალების, არასწორი ბიზნეს გადაწყვეტილებების და რეპუტაციული ზიანის რისკს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოდელთან დაკავშირებული ნაკლოვანებებიდან.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი მოდელის რისკს მართავს მოდელის რისკების მართვის (MRM) ფუნქციით, რომელიც არის დაცვის მეორე ხაზი და პასუხისმგებელია ჯგუფში მოდელის რისკის გამოვლენაზე, გაზომვაზე და მონიტორინგზე. MRM ორგანიზებულია ორი კომპონენტის გარშემო – მმართველობა და ვალიდაცია.

მმართველობის კომპონენტი ნერგავს და ინარჩუნებს ჯგუფის მოდელის რისკის მართვის ჩარჩოს პოლიტიკებით, სტანდარტებით და რისკის აპეტიტის ლიმიტებით. ეს ჩარჩო განსაზღვრავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის როლებს და მოვალეობებს მოდელის სასიცოცხლო ციკლის ყველა ფაზაზე. მმართველობის კომპონენტი ასევე პასუხისმგებელია მოდელის მარაგების მართვაზე და მოდელის რისკის შენარჩუნებაზე რისკის აპეტიტის ფარგლებში.

ვალიდაციის კომპონენტი წარმოადგენს მოდელის დამოუკიდებელ შეფასებას კონცეპტუალური და ტექნიკური ვალიდაციებით, რა დროსაც აფასებს მოდელის დიზაინს, მეთოდოლოგიას და ფუნქციონირებას დადგენილი პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად.

MRM ფუნქცია მიმართავს მოდელის დონეებად დაყოფას, რათა გამოიყენოს თავისი რისკზე დაფუძნებული ვალიდაციის მეთოდი, და სისტემატურად ახდენს მოდელის რისკების გამოვლენასა და შეფასებას პირველადი და მიმდინარე ვალიდაციების პროცესით. მოდელის დონეებად დაყოფა, გამოვლენილი რისკების ხასიათსა და სიმწვავესთან ერთად, განსაზღვრავს შესაბამისი მიტიგაციის ზომებს, რომლებიც მოიცავს როგორც ვალიდაციის სიხშირის გაზრდას და ტესტირების გამკაცრებას, ისე მოდელის ხელახალ კალიბრაციას ან შემუშავებას. მიტიგაციის ყველა ზომა მიმართულია მოდელის რისკის ჯგუფის მიერ განსაზღვრულ რისკის აპეტიტის ფარგლებში მოქცევისკენ, ხოლო უფრო მაღალი დონის მოდელები უფრო საფუძვლიან შემოწმებას ექვემდებარება.

7. ჯგუფს აქვს რეპუტაციული რისკი.

რისკის აღწერა

არსებობს რეპუტაციული რისკები, რომლებსაც ჯგუფი შეიძლება დაექვემდებაროს, მაგალითად, ქვეყნის რისკები და შესაბამისობის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია არასტაბილურ გეოპოლიტიკურ გარემოსთან რეგიონში, საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან, ასევე შიდა რყევებთან სადავო არჩევნებისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკის არჩევანის გამო. ბანკები საბანკო სისტემის საწინააღმდეგო ნარატივის იოლი სამიზნეები არიან მეინსტრიმულ და სოციალური მედიის პლატფორმებზე. ეს ნარატივები ინტენსიურ სახეს იღებს არჩევნების წინ. არსებობს ფიშინგის, სხვა კიბერდანაშაულების რისკები, რომლებიც გამოწვეულია ჯგუფის პროდუქტებისა და სერვისების მზარდი გაციფრულებით. კიბერ რისკები შეიძლება იქცეს რეპუტაციულ რისკად, თუ ისინი უარყოფითად აისახება ჯგუფის რეპუტაციაზე, როგორც მომხმარებლებისთვის საუკეთესო ციფრული მომსახურებისა და პროდუქტების მომწოდებელზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რისკების უმეტესობა არ არის უნიკალური ჯგუფისთვის, რადგან ისინი ვრცელდება მთელ საბანკო სექტორზე.

რისკის მიტიგაცია

რეპუტაციული რისკების თავიდან ასაცილებლად ან შესამსუბუქებლად, ჯგუფი უწყვეტად მუშაობს, რათა შეინარჩუნოს ბრენდის ძლიერი ცნობადობა თავის დაინტერესებულ მხარეებს შორის და გამუდმებით ინარჩუნებს მათთან კავშირს, განსაკუთრებით მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან, მასმედიასთან, მარეგულირებელ ორგანოებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებთან და დიპლომატიურ თემთან.

რეპუტაციული რისკების დასაძლევად და სამართავად ჯგუფმა შექმნა ოპერატიული ჯგუფი უმაღლესი დონის ხელმძღვანელობის დონეზე, რომელიც შედგება გენერალური დირექტორისგან, რისკების მართვის დირექტორისგან, მარკეტინგის და ბრენდის ლიდერისგან, სტრატეგიული კომუნიკაციების ლიდერისგან და ჯგუფის მთავარი იურისტისგან. დამატებით, და საერთაშორისო კონსულტანტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ოპერატიულმა ჯგუფმა შეიმუშავა ზოგადი სტრატეგია, რომელიც მოიცავს კომუნიკაციების გეგმებს, გაუთვალისწინებელ მოვლენებს და ინსტრუმენტებს ყოველგვარი რისკების შემსუბუქების, პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის.

ჯგუფი ახორციელებს ყველა შესაბამის გარე და შიდა პოლიტიკას და პროტოკოლის მექანიზმებს, რათა თავიდან აირიდოს ან მინიმუმამდე შეამციროს პირდაპირი და არაპირდაპირი რეპუტაციული რისკების გავლენა. სპეციალურად გამოყოფილი შიდა და გარე მარკეტინგის ჯგუფები ახორციელებენ ბრენდის ღირებულების მონიტორინგს საზოგადოებრივი აზრის კვლევებისა და გამოკითხვების გზით და დაინტერესებული მხარეებისგან უწყვეტ რეჟიმში უკუკავშირის მიღებით. კომუნიკაციების გუნდები ყოველდღიურად აქტიურად ადევნებენ თვალს მეინსტრიმული მედიისა და სოციალური მედიის სიახლეებს და ცდილობენ გამოავლინონ შესაძლო რეპუტაციული ან ბრენდის დაზიანების ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები, რათა შეამსუბუქოს და მიიტანოს ისინი ოპერატიული ჯგუფის ან სამეთვალყურეო საბჭოს ყურამდე, სანამ ისინი გამწვავდება.

კომუნიკაციებისა და კიბერუსაფრთხოების ჯგუფები ატარებენ ფართომასშტაბიან ცნობიერების ამაღლების კამპანიებს კიბერუსაფრთხოებისა და ფინანსური განათლების შესახებ. ჯგუფები ასევე ახდენენ მედიის ინფორმირებას, რათა საქმის კურსში ამყოფონ სექტორის წინაშე მდგარ პოტენციურ რისკებთან დაკავშირებით. თიბისის ასევე აქვს შიდა ფინანსური განათლების პლატფორმა ედუფინი (Edufin), რომელიც მიზნად ისახავს კიბერ საფრთხეებისა და ფიშინგის შემთხვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

8. ჯგუფი დგას იმ რისკის წინაშე, რომ მისი სტრატეგიული ინიციატივები არ გადაიქცეს გრძელვადიან მდგრად ღირებულებად თავისი დაინტერესებული მხარეებისთვის.

რისკის აღწერა

ჯგუფი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი რისკის წინაშე, რომ ვერ შეიმუშაოს და ვერ განახორციელოს ბიზნეს სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადი ღირებულების შექმნას, და ამავდროულად მომხმარებელთა საჭიროებების ცვლილებასთან, კონკურენციის ზრდასა და მარეგულირებლის ცვალებად მოთხოვნებთან ადაპტირებას. გარდა ამისა, რეგიონში ისეთი ეკონომიკური და სოციალური შეფერხებებით გამოწვეულმა გაურკვევლობამ, შეიძლება შეაფერხოს ჯგუფის სტრატეგიის დროული შესრულება, რაც პოტენციურად ზიანს აყენებს მის შესაძლებლობებს გრძელვადიანი ღირებულების შექმნისთვის.

რისკის მიტიგაცია

ადგილობრივი და საერთაშორისო თვალსაზრისით კომბინირებული რისკების შესამსუბუქებლად, ჯგუფი იყენებს მრავალმხრივ მიდგომას.

ჩვენი სტრატეგიული პორტფელის ფორმირებას, პირველ რიგში, განაპირობებს ჯგუფის სტრატეგია ჩვენი ბიზნესის შემოსავლების ნაკადების გაფართოებისა და დივერსიფიკაციისთვის. სტრატეგიის განხორციელებისას ხდება გულდასმითი კურირება სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი ხელმძღვანელობისა და საშუალო რგოლის მენეჯმენტის მონაწილეობით. ეს სესიები წარმოადგენს მნიშვნელოვან საკონტროლო წერტილებს ჩვენს სტრატეგიულ გრძელვადიან მიზნებთან და ჯგუფის იმ სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

უფრო მეტიც, სტრატეგიული პროექტების განხორციელების მონიტორინგი ვრცელდება კვარტალურ ანალიზებზე და სტრატეგიის შესრულების გასაზომად გამოყენებული მაჩვენებლების მონიტორინგზე. მნიშვნელოვანი გადახვევების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხორციელდება მაკორექტირებელი ან შემამსუბუქებელი ქმედებები.

9. ჯგუფს აქვს მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების უნართან დაკავშირებული რისკები.

რისკის აღწერა

ვინაიდან ჯგუფი სულ უფრო მეტ აქცენტს აკეთებს გაციფრულებაზე, ის საჭიროებს უფრო მეტ სპეციალისტს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში თავის სხვადასხვა დეპარტამენტში. ეს ცვლილება ზრდის მნიშვნელოვანი პერსონალის პოტენციურად დაკარგვის რისკს. მაღალტექნოლოგიურ შრომით ბაზარზე ეს გამოწვევა ვრცელდება არა მხოლოდ ამ ღირებული თანამშრომლების შენარჩუნებაზე, არამედ ახალი კვალიფიციური მუშაკების მოზიდვაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე. ამ თანამშრომლების ჯგუფის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ვითარება საჭიროებს სტრატეგიულ დაგეგმვას კადრების მართვის მიმართულებით, რათა ეს რისკი ეფექტურად იმართებოდეს ბანკის ციფრული ევოლუციის მხარდაჭერასთან ერთად.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფის მიზანია სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოსთან ადაპტირება, ლიდერული შესაძლებლობების გაზრდა, თანამშრომლებს შორის მაღალი დონის ჩართულობის მიღწევა და საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვა. ჩვენი პროაქტიული მიდგომა მოიცავს შრომის ბაზრის მონიტორინგს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მსოფლიო დონის ტალანტის მოზიდვისა და განვითარების ეკოსისტემის შექმნას.

ჩვენ ვქმნით საიმედო საერთაშორისო საკადრო რეზერვს პოტენციურ კანდიდატებთან, მათ შორის მრავალფეროვანი პროფილების მქონე, სამუშაოს პასიურ მაძიებლებთან რეგულარულად ურთიერთქმედებით. ჩვენ ვმუშაობთ მიმზიდველი საერთაშორისო დამსაქმებლის ბრენდის შექმნაზე. ჯგუფი ყველა თანამშრომელს ეპყრობა თანაბრად და სამართლიანად, მხარს უჭერს და ატრენინგებს მათ წარმატების მისაღწევად.

ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენი გუნდის წევრებს განგრძობითი სწავლების ხელშეწყობისთვის შექმნილი ძლიერი ინსტრუმენტებით და ჩარჩოებით, რასაც უზრუნველყოფს მუდმივი უკუკავშირის რგოლი. ჩვენ ვაძლევთ ჩვენს პერსონალს შესაძლებლობას, განვითარდნენ და გავიდნენ საერთაშორისო დონეზე. ჩვენ შემუშავებული გვაქვს მემკვიდრეობის დაგეგმვის ჩარჩო მაღალი თანამდებობებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეუფერხებელი გადასვლა და თანამშრომლებისთვის კარიერული ზრდის შესაძლებლობების შეთავაზება. გარდა ამისა, ჩვენ ავამოქმედეთ ტალანტების მართვის ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ნიჭიერი კადრების მუდმივ გამოვლენას და მონიტორინგს უწევს მათ განვითარებას ჯგუფში.

ჩვენ მონიტორინგს ვუწევთ ადამიანური კაპიტალის რისკებს და ვაფასებთ ეფექტურობას შემდეგი საზომების გამოყენებით: თანამშრომელთა ბრუნვა და შენარჩუნება, დაქირავების ხარისხი, მობილობის მაჩვენებელი, თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS), თანამშრომელთა კმაყოფილების (პულსი) გამოკითხვა, თანამშრომელთა შეფასების მთავარი საზომები, საქმიანობის მართვა და ინდივიდუალური განვითარების გეგმები (IDP) და მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი (NPS). კომპენსაციის თვალსაზრისით, ჩვენ ვატარებთ სახელფასო ბაზრის არაერთ კვლევას, რათა უზრუნველვყოთ ის, რომ ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობდეთ კონკურენტულ პირობებს.

სს „თიბისი ბანკი“ გადახედავს და განაახლებს თავის ორგანიზაციულ პოლიტიკებს, რათა უზრუნველყოს მათი ინკლუზიურობა და სამართლიანობა. ეს მოიცავს მოქნილ სამუშაო გრაფიკს, სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებას და ინკლუზიური სარგებლის პაკეტებს.

ჩვენი შიდა IT აკადემია წარმოადგენს ტექნოლოგიური განათლების ცენტრს, რომელიც მსმენელებს სთავაზობს კურსებს ინტერფეისული და სერვერული შემუშავების, DevOps-ის და სხვა საკითხებზე. ეს კურსები უფასოდ არის ხელმისაწვდომი როგორც ჩვენი თანამშრომლების, ისე პოტენციური კანდიდატებისთვის. გამოცდილი პერსონალისა და დარგის პროფესიონალების ხელმძღვანელობით, აკადემიამ ტრენინგი ჩაუტარა ორგანიზაციის გარედან მოსულ 2,000-ზე მეტ პირს და 2,000 პირს ორგანიზაციის შიგნით.

2024 წელს ჩვენი შიდა სატრენინგო პროგრამის ფარგლებში 30 კურსი ჩავატარეთ სხვადასხვა დისციპლინაში, როგორებიცაა SQL Basic / Advance, Power BI Basic / Advance, Manual Testing, BABOK და სხვა. ამ კურსების მიზანი იყო 500-ზე მეტი თანამშრომლის აღჭურვა ძირითადი ტექნიკური უნარებით. გარდა ამისა, დაინერგა სამი ახალთახალი კურსი: .NET, Python (Basic), და DevOps კურსი, რომელიც გამიზნულია დეველოპერებისთვის, ხოლო DevOps კურსი – ეჯაილ ქოუჩებისთვის.

10. ჯგუფს აქვს ქცევითი რისკი.

რისკის აღწერა

ქცევითი რისკი განისაზღვრება, როგორც მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სამართლიანი შედეგების ვერ მიღწევის რისკი. ბანკის ეთიკის კოდექსი წარმოადგენს მორალურ კომპასს ყველა თანამშრომლისთვის, რომელიც აწესებს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რომელთა დაცვა მოეთხოვება თითოეულ თანამშრომელს. ბანკის თანამშრომლები იღებენ ვალდებულებას და ასრულებენ თავიანთ პასუხისმგებლობას პატიოსნად და კეთილსინდისიერად. ისინი მნიშვნელოვანნი არიან მისი საქმიანობის მიმართ ნდობისა და რწმენის შესანარჩუნებლად და ნდობის, ერთგულების, გონიერებისა და მზრუნველობის მნიშვნელოვანი ღირებულებების დასაცავად.

გარდა ამისა, ბანკის ხელმძღვანელობას ესმის, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა შიდა და საერთაშორისო ინვესტორების დივერსიფიცირებულ ჯგუფზე და საჭიროებს წესებისა და მექანიზმების შემუშავებას კლიენტების დასაცავად და ინვესტორებისა და ფინანსური ბაზრების ნდობის შესანარჩუნებლად. ჯგუფის დირექტორები ცდილობენ დანერგონ „ტონი ზემოდან“, რომელიც ადგენს შეტყობინებებს, რომლებშიც აღწერილი და ილუსტრირებულია კარგი ქცევის ძირითადი კომპონენტები.

რისკის მიტიგაცია

ქცევითი რისკის მართვისას, ბანკი სხვადასხვა დეპარტამენტსა და დანაყოფს ავალებს ბანკის ყველა ოპერაციაში კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ქცევითი რისკის მართვის, მიტიგაციისა და აღმოფხვრის ამოცანის შესრულებას. შესაბამისობის, ადამიანური კაპიტალისა და საოპერაციო რისკების დეპარტამენტები თანამშრომლობენ ერთიანი ქცევის რისკების მართვის ჩარჩოს შესაქმნელად და ბიზნეს მიმართულებებისა და დეპარტამენტების დასახმარებლად, შემდეგი გზებით:

1. პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება და შენარჩუნება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ცალკეულმა თანამშრომლებმა და დეპარტამენტებმა დაიცვან მარეგულირებელი დებულებები, საუკეთესო პრაქტიკა, ქცევის კოდექსი და ეთიკის კოდექსი;
2. შესაბამისობის დეპარტამენტთან კავშირის წარმოება, პოლიტიკისა და პროცედურების ადმინისტრირება შესაბამისობის დეპარტამენტთან ერთად და დეპარტამენტის, მისი მენეჯერის ან მისი თანამშრომლების ქცევის შესახებ საჩივრების შესწავლა;
3. ორგანიზაციის მოწინავე ხაზზე მომუშავე თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროდუქტის შესახებ ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრულყოფილი, და გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე ზეპირად მარტივი, გასაგები ფორმით, კლიენტის მომზადების დონის მიუხედავად;
4. კლიენტებთან ურთიერთობის შესახებ ჩანაწერების და ელექტრონული წერილების წარმოება, რომლებიც შეიცავს კონფიდენციალურ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მაგალითად, ინფორმაციას ახალი კლიენტების მოზიდვისა და კომპლექსური პროდუქტების შეთავაზების შესახებ;
5. ჯგუფის შიგნით შესაბამისობის სტანდარტების ცვლილებასთან დაკავშირებით ყველა თანამშრომლისთვის პერიოდული ტრენინგების ჩატარებით, ჩვენ უზრუნველვყოფთ ახალი თანამშრომლების განათლებას სათანადო ქცევის მიმართულებით;

6. ღიაობის კულტურის შექმნა, რომელიც სტიმულს აძლევს თანამშრომლებს დასჯის შიშის გარეშე გამოთქვან აზრი, ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია და გამოვლენა მორალური წახალისების პროგრამების შექმნა, ბონუსების შექმნა და ჯგუფისთვის რისკის სათანადო წამახალისებელი და დისციპლინური პოლიტიკის მიღწევა;
7. მნიშვნელოვანი დროისა და ძალისხმევის ინვესტირება გაყიდვებისა და გაყიდვების შემდგომი საქმიანობის შესწავლაში, ანალიზში, დანერგვასა და მონიტორინგში და საჭირო სამუშაო უნარ-ჩვევებში სათანადო ქცევის შეტანა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ქცევითი რისკი მხოლოდ რისკის მართვის ერთეულების, მათ შორის, შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ არ იმართებოდეს.

მოსალოდნელი რისკები

ჯგუფი აღიარებს მასზე კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოქმნილი რისკების ზემოქმედებას.

რისკის აღწერა

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს აქვს როგორც ფიზიკური გავლენა, რომელიც წარმოიქმნება ამინდის უფრო ხშირი და სერიოზული ცვლილებების შედეგად, ასევე გარდამავალი გავლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფართო პოლიტიკური, სამართლებრივი და ტექნოლოგიური ცვლილებები, რომელთა მიზანია შეამციროს ეკოლოგიური ზემოქმედება მოსახლეობაზე და ბიზნესზე. ჯგუფისთვის ორივე ეს რისკი შეიძლება გამოიხატოს გაუფასურებული აქტივების ღირებულებებით და ჩვენი კლიენტების გაუარესებული კრედიტუნარიანობით, რამაც შეიძლება შეამციროს ჯგუფის მომგებიანობა. ჯგუფზე ასევე შეიძლება გავრცელდეს რეპუტაციული რისკები მისი დაკრედიტების ან კლიენტებთან სხვა საქმიანი ოპერაციების გამო, რომლებიც, მიიჩნევა, რომ ხელს უწყობენ კლიმატის ცვლილებას.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფს აქვს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა. ეს პოლიტიკა არეგულირებს მის გარემოსდაცვითი მართვის სისტემას (EMS) და უზრუნველყოფს, რომ ჯგუფის ოპერაციები წარიმართოს გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და შრომის მოქმედი რეგულაციებისა და პრაქტიკის მიხედვით. ჩვენ ვიღებთ ყველა გონივრულ ზომას, რათა ხელი შევუწყოთ ჩვენს მომხმარებლებს თავიანთი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის შესრულებაში. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა ჩართულია ჯგუფის დაკრედიტების პროცესში EMS-ის გამოყენებით. ჯგუფმა შეიმუშავა რისკების მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული პროცედურები სრულად ინტეგრირებულია ჯგუფის საკრედიტო რისკების მართვის პროცესში. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების დასადგენად, შესაფასებლად და სამართავად, ჯგუფმა შემოიღო კლიმატის რისკის საერთო შეფასება და ჩაატარა ზოგადი ანალიზი კლიმატთან დაკავშირებული ჩარჩოს სიმწიფის დონის გასაგებად. ზოგადი ანალიზის პროცესი მოიცავს არსებული პოლიტიკისა და პროცედურების შეფასებას, შემდგომი განვითარების ასპექტების გამოვლენას და ხარვეზების ანალიზს. ანალიზის საფუძველზე ძირითადი აქცენტის სფეროები გამოვლინდა და აისახა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგიაში, ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ჩვენი გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა სრულად შეესაბამება ადგილობრივ გარემოსდაცვით კანონმდებლობას და იცავს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას (სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.tbcbankgroup.com).

ბანკის სასესხო პორტფელში კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ ჩვენი წარმოდგენის გაუმჯობესების მიზნით, ბანკმა განახორციელა მაღალი დონის დარგობრივი რისკების შეფასება, რადგან სხვადასხვა დარგი შეიძლება მოწყვლადი იყოს კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკების მიმართ დროის სხვადასხვა მონაკვეთში. 2024 წელს ჩვენ კიდევ უფრო განვავითარეთ ჩვენი TCFD ჩარჩო და შევაფასეთ ჯგუფის არაპირდაპირი შედეგები პარიზის შეთანხმების მიზნობრივ მაჩვენებლებს სათბურის აირების ემისიებთან დაკავშირებით. შედეგები აისახა ჯგუფის გრძელვადიან გარდამავალ გეგმაში. გარდა ამისა, ჩვენ განვახორციელეთ კლიმატის სტრეს-ტესტის მიდგომა, რომელიც შეიმუშავა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია “კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია 2024".

ბანკი მიზნად ისახავს, გააცნობიეროს კლიმატთან დაკავშირებული რისკები და მათი გრძელვადიანი გავლენა მომდევნო წლების განმავლობაში, რაც მას საშუალებას მისცემს დამატებით განავითაროს თავისი მიდგომა მიტიგაციის მიმართ. გარდა ამისა, ბანკის პორტფელს აქვს უზრუნველყოფით ძლიერი დაფარვა - საკრედიტო პორტფელის დაახლოებით 74.3% უზრუნველყოფილია ფულადი სახსრებით, უძრავი ქონებით ან ოქროთი. ვინაიდან უზრუნველყოფის შეფასების პროცედურა მოიცავს მონიტორინგს, უზრუნველყოფის

ღირებულებების შეცვლის ნებისმიერი აუცილებლობა გამომდინარეობს ჩვენი უზრუნველყოფის რეგულარული მონიტორინგის პროცესიდან.

2024 წლის ივნისში, ჯგუფმა გამოაქვეყნა სრულმასშტაბიანი მდგრადობის ანგარიში 2023 წლისთვის გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისად. გლობალური ანგარიშგების ინიციატივა (GRI) ეხმარება კერძო სექტორს გააცნობიეროს და განახორციელოს თავისი როლი და გავლენა მდგრადი განვითარების ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ადამიანის უფლებები და მმართველობა. ეს ანგარიში განკუთვნილია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ყველა დაინტერესებული მხარისა და ჯგუფისთვის და მიზნად ისახავს მათ მიაწოდოს მკაფიო, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია 2023 წელს ჩვენი საქმიანობის სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შესახებ. მასში ასახულია ჩვენი ძალისხმევა, შევქმნათ ღირებულება ჩვენი თანამშრომლების, კლიენტების, მომწოდებლების, პარტნიორებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. 2023 წლის მდგრადობის ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.tbcbankgroup.com.

აღმასრულებელ დონეზე, ESG-სა და კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებლობა ენიჭება ESG-ს მმართველ კომიტეტს, რომელიც შეიქმნა დირექტორთა საბჭოს მიერ 2021 წლის მარტში და რომელიც პასუხისმგებელია ESG-სა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგიის განხორციელებაზე და ძირითადი პროექტების დეტალური წლიური და სხვა სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე. ESG კომიტეტი ყოველკვარტალურად იკრიბება.

2022 წლის იანვარში ჯგუფმა დააარსა გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი საბჭოს დონეზე, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე კომპანიის „სარკისებრი საბჭოების“ სტრუქტურის შესაბამისად. ეს ასახავს მდგრადობის მნიშვნელობას თიბისის კორპორაციულ მართვაში და საბჭოს წევრებს საშუალებას აძლევს მეტი დრო დაუთმონ და ყურადღება გაამახვილონ ESG თემებზე. კომიტეტი იძლევა სტრატეგიულ რეკომენდაციებს კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე და ანგარიშებს წარუდგენს საბჭოს, რომელსაც აქვს საერთო ზედამხედველობა. ESG საკითხების მართვის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია “ESG სტრატეგია.

ფინანსური რისკების შესახებ შერჩეული რეგულაციები

კაპიტალის ადეკვატურობა

კაპიტალის მართვის კუთხით ჯგუფის ამოცანებია, შეინარჩუნოს კაპიტალის შესაბამისი დონე ბიზნეს სტრატეგიის ხელშესაწყობად, დააკმაყოფილოს მარეგულირებლის და სტრეს-ტესტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და დაიცვას ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა კომპანიამ.

ჯგუფმა 2024 წლის განმავლობაში შეასრულა თავისი ყველა შიდა და გარედან დაწესებული კაპიტალის მოთხოვნა.

2017 წლის დეკემბერში სებ-მა მიიღო ცვლილებები რეგულაციებში, რომლებიც ეხება კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ცვლილებები მოიცავს შესწორებებს დებულებაში კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ, და ახალი მოთხოვნების შემოღებას (i) კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის დამატებითი ბუფერული მოთხოვნების შესახებ პილარ 2-ის ფარგლებში; (ii) კონტრციკლური ბუფერული განაკვეთის განსაზღვრის შესახებ; და (iii) სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და სისტემურობის ბუფერის დაწესების ახალი მოთხოვნების შესახებ. ამ ცვლილებების მიზანია ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება და ბაზელ III-ის ჩარჩოსთან უკეთესი შესაბამისობის მიღწევა.

2020-2022 წლებში, სებ-მა შეიმუშავა მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლის პროცესისთვის. 2023 წლის იანვარში სებ-მა მიიღო ცვლილებები რეგულაციებში, რომლებიც უკავშირდება კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს, რითაც დაავალდებულა კომერციული ბანკები დააკმაყოფილონ საზედამხედველო რეგულაციები, რომლებიც იყენებს ფასს-ებზე დაფუძნებულ ციფრებსა და მიდგომებს. ფასს სტანდარტებზე გადასვლის პროცესში სებ-მა დანერგა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი. CRA ბუფერი დაინერგა პილარ 2-ის მოთხოვნების სახით და სრულად განისაზღვრა ძირითად პირველად კაპიტალად.

2023 წლის მარტში სებ-ის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა დაადგინა ნეიტრალური (საბაზისო) კონტრციკლური ბუფერის განაკვეთი 1%-ის ოდენობით. ბანკებს ევალებათ კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის დაგროვება წინასწარ დადგენილი გრაფიკით: 0.25% 2024 წლის მარტისთვის, 0.50% 2025 წლის მარტისთვის, 0.75% 2026 წლის მარტისთვის და სრულად – 1% 2027 წლის მარტისთვის. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება გაიზარდოს ძლიერი საკრედიტო აქტივობის დროს და დროებით შეჩერდეს სტრესის პერიოდებში.

2023 მაისს სებ-მა შემოიღო ახალი მოთხოვნა დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის შესახებ (MREL), რომელიც ემყარება ბანკის გაჯანსაღებისა და

რეზოლუციის დირექტივის ჩარჩოს. ახალი მოთხოვნების თანახმად, კომერციულმა ბანკებმა უნდა იქონიონ კაპიტალის, სუბორდინირებული ვალის და მაკვალიფიცირებელი არადეპოზიტური პრივილეგირებული ვალის გარკვეული რაოდენობა, რაც შეიძლება კრიზისულ სიტუაციებში დაექვემდებაროს კაპიტალად გარდაქმნას და ჩამოწერას. თუმცა ამან არ უნდა მოახდინოს გავლენა არსებული პირველი რიგის კრედიტორების რისკებზე, რადგან საქართველოს კანონმდებლობა ბანკის რეზოლუციის შესახებ უკვე წარმოადგენს პირველი რიგის ვალდებულებების ჩამოწერის საიმედო მექანიზმებს. MREL დანერგვა ეტაპობრივად უნდა მოხდეს, დაწყებული მთლიანი ვალდებულებების და საკუთარი სახსრების 10%-დან 2024 წლის 1 იანვარს, 2025 წლის ბოლოსთვის 15%-მდე გაზრდით, ხოლო 2027 წლის ბოლოსთვის 20%-ის ოდენობით. MREL-ისთვის დასაშვები ინსტრუმენტები მოიცავს საზედამხედველო კაპიტალს და პირველი რიგის, არაუზრუნველყოფილ არადეპოზიტურ ვალდებულებებს, მინიმუმ ერთწლიანი დაფარვის ვადით და დაექვემდებარება სებ-ისგან დამტკიცებას.

2023 წლის ნოემბერში სებ-მა დანერგა განჭვრეტადი დივიდენდის კონცეფცია, რომელიც გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან. რეგულაციის მიხედვით, განჭვრეტადი დივიდენდის მოცულობა განისაზღვრება, როგორც კომერციული ბანკის წესდებით (სამეთვალყურეო საბჭო) განსაზღვრული შესაბამისი ერთეულისთვის/ორგანოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილი გასაცემი დივიდენდის მოცულობა.

სებ-ის დედოლარიზაციაზე ორიენტირებული პოლიტიკის ფარგლებში, 2024 წლის ნოემბერში, სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების რეზერვის მოთხოვნა გაზარდა 5 პპ-ით, 20%-დან 25%-მდე.

2024 წლის დეკემბერში სებ-მა ასევე შეიტანა ცვლილებები სისტემურობის ბუფერის გამოთვლის მეთოდოლოგიაში. ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, სს „თიბისი ბანკის“ ამჟამინდელი სისტემურობის ბუფერი შეადგენს 2.5%-ს და შეიძლება გაიზარდოს 0.5%-ით, თუ ბანკის არასაბანკო დეპოზიტების წილი კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში შეადგენს ან აღემატება 40%-ს წინა სამი თანმიმდევრული თვის საშუალო მაჩვენებელზე დაყრდნობით. ამასთან, ყოველი შემდგომი 2-პროცენტიანი ზრდის შემდეგ (2 პპ-იანი), ბუფერი გაიზრდება დამატებით 0.5%-ით. ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს გაზრდილი მოთხოვნა 12-თვიან პერიოდში. თუ ბანკის წილი არასაბანკო დეპოზიტებში ბოლო 12 თანმიმდევრული თვის განმავლობაში შემცირდება 2%-ით ან ჩამოვა 40%-ზე დაბლა, ყოველი ასეთი კლების შემთხვევაში, ბუფერი შემცირდება 0.5%-ით. ზედა ზღვარი სისტემურობის ბუფერისთვის დაწესებულია 5%-ის ოდენობით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები და მინიმალური მოთხოვნები:

ათას ლარში	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	31-დეკ-2022*
ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET 1)	4,843,167	4,235,033	3,333,039
პირველადი კაპიტალი (Tier 1)	5,895,717	4,772,913	3,873,439
მეორადი კაპიტალი (Tier 2)	966,246	601,388	643,086
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	**6,861,963**	**5,374,301**	**4,516,525**
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები:			
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	24,948,193	21,018,445	18,818,597
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	96,836	69,880	86,250
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	3,797,799	3,248,365	2,603,225
მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**28,842,828**	**24,336,690**	**21,508,072**
მინიმალური CET 1 კაპიტალის კოეფიციენტი	14.4%	14.3%	11.6%
CET 1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	16.8%	17.4%	15.5%
მინიმალური Tier 1 კაპიტალის კოეფიციენტი	16.7%	16.6%	13.8%
Tier 1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.4%	19.6%	18.0%
მთლიანი მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	19.7%	19.8%	17.3%
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	23.8%	22.1%	21.0%

** 2022 წლის რიცხვები მოცემულია სებ-ის ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად, ვინაიდან იმ დროისთვის ადგილობრივი GAAP იყო ძალაში.*

ლარის არასტაბილურობა იყო და რჩება მნიშვნელოვან რისკად ბანკის კაპიტალის ადეკვატურობისთვის. 10%-ით ლარის გაუფასურება განაპირობებს სს „თიბისი ბანკის“ ჭარბი ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის შეცირებას, შესაბამისად 0.9 პპ-ით, 0.7 პპ-ითა და 0.6 პპ-ით.

ლიკვიდობა

ლიკვიდობის მართვის კუთხით ბანკის ამოცანებია, შეინარჩუნოს ლიკვიდობის შესაბამისი დონე, რათა ხელი შეუწყოს ბიზნეს სტრატეგიას, დააკმაყოფილოს მარეგულირებელ და სტრეს-ტესტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და დაიცვას ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ბანკმა 2024 წლის განმავლობაში შეასრულა თავისი ყველა შიდა და გარედან დაწესებული ლიკვიდობის მოთხოვნა.

ბანკი აფასებს LCR-ს და NSFR-ს სებ-ის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, რა დროსაც იმ კოეფიციენტებს, რომლებსაც იყენებს სებ, აქვთ უფრო კონსერვატიული მიდგომები, ვიდრე ბაზელი III სტანდარტებით დადგენილებს. LCR აძლიერებს მოკლევადიან გამძლეობას. 100%-ზე დადგენილი LCR-ის საერთო ლიმიტის გარდა, სებ თითოეული ვალუტისთვის განსაზღვრავს ლიმიტს ლარსა და უცხოურ ვალუტებზე (FC). საქართველოში ლარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სებ-მა დააწესა უფრო დაბალი ზღვარი ლარის LCR-ისთვის, ვიდრე უცხოური ვალუტის LCR-ისთვის. უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვები მთლიანად მიიჩნევა მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებად LCR-ის მიზნებისთვის.

NSFR გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდობის რისკების მართვისთვის, რათა გაიზარდოს მდგრადობა გრძელვადიან პერსპექტივაში სს თიბისი ბანკისთვის იმ დამატებითი სტიმულების შექმნით, რომ მუდმივად დაეყრდნოს დაფინანსების უფრო სტაბილურ წყაროებს. მარეგულირებლის ზღვარი განისაზღვრება 100%-ით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოეფიციენტები ბევრად აღემატებოდა სებ-ის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვრებს, შემდეგნაირად:

დაფინანსება და ლიკვიდობა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR), განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	100.0%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR), განსაზღვრული სებ-ის მიერ	123.9%	119.9%	135.3%
მინიმალური ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	100.0%
მინიმალური LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	75.0%	75.0%	75.0%
მინიმალური LCR უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	100.0%
მთლიანი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), განსაზღვრული სებ-ის მიერ	125.5%	115.3%	146.6%
LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	127.7%	109.8%	164.2%
LCR უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	124.7%	120.1%	135.9%

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკების მართვის კუთხით ჯგუფის ამოცანებია, მხარი დაუჭიროს ბიზნეს სტრატეგიას, დააკმაყოფილოს მარეგულირებლის და სტრეს-ტესტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და დაიცვას ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმაკომპანიამ

ბანკმა 2024 წლის განმავლობაში შეასრულა თავისი ყველა შიდა და გარედან დაწესებული ლიკვიდობის მოთხოვნა.

სავალუტო რისკი

სს „თიბისი ბანკი“ ვალდებულია შეინარჩუნოს ღია სავალუტო პოზიციები სებ-ის ლიმიტების შესაბამისად:

- სებ-ის მოთხოვნით, ბანკს ევალება ბალანსური და მთლიანი აგრეგირებული (გარებალანსურის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგი და ამ უკანასკნელის შენარჩუნება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

სს „თიბისი ბანკი“ აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკს როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლის, ასევე კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) პერსპექტივებიდან. მარეგულირებლის მოთხოვნების მიხედვით, ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარების გავლენას EVE-ზე და წმინდა საპროცენტო შემოსავალზე. სებ-ის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის სცენარების პარალელური ცვლის პირობებში შენარჩუნებულია მონიტორინგის მიზნით, ხოლო EVE მგრძნობელობა გამოითვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების ექვსი წინასწარ განსაზღვრული სტრესული სცენარის მიხედვით, სადაც ლიმიტი მიესადაგება ყველაზე უარესი სცენარის შედეგს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თიბისი ბანკის EVE კოეფიციენტი შეადგენდა 8.97%-ს, რაც არსებითად დაბალია ნორმატიულ ზღვარზე (15%).


CARAVA
DEGAS
RIVERA
THE PILGRIM'S PROGRESS
Jorge Luis BORGES
INCA EMPIRE
Musical Instruments
HISTORIES
T.E. LAWRE

ESG სტრატეგია

ჩვენი როლი უკავშირდება ჩვენს პასუხისმგებლობას, ინოვაციებითა და ტექნოლოგიებით წვლილი შევიტანოთ უკეთეს მომავალში, გავზარდოთ წვდომა ფინანსურ მომსახურებაზე და მომხმარებლებს საშუალება მივცეთ, იყვნენ გლობალიზებული სამყაროს ნაწილი.

ჩვენი სწრაფვა, წვლილი შევიტანოთ მდგრად განვითარებაში, გამომდინარეობს საქართველოს განვითარებაში ჩვენი, როგორც წამყვანი ფინანსური ინსტიტუტის, როლიდან. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გავლენა გვაქვს ქვეყნის ეკონომიკაზე, ბიზნესის განვითარებაზე, დასაქმებასა და საზოგადოებრივ წინსვლაზე.

ჩვენი ESG სტრატეგია ხაზს უსვამს ჩვენს ვალდებულებას, გვქონდეს გრძელვადიანი და მდგრადი გავლენა. ჩვენი მიზანია, ვიყოთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) პრინციპების წამყვანი მხარდამჭერი ქვეყანასა და რეგიონში. ESG საკითხების ჩვენს ოპერაციებში ინტეგრირების გზით, ჩვენ ორიენტირებული ვართ განვახორციელოთ პოზიტიური ცვლილება, მხარი დავუჭიროთ მდგრად განვითარებას და ვიქცეთ მაგალითად სხვებისთვის. ჩვენი სტრატეგიის საკვანძო კომპონენტია დაბალ-ნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლა. აქტიურად ვმუშაობთ ჩვენი ნახშირბადის ნაკვალევის შემცირებაზე და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ხელშეწყობაზე. ეს მოიცავს ისეთი მომხმარებლების დაკრედიტებას, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ მწვანე ტექნოლოგიებში, მხარს უჭერენ დაბალ-ნახშირბადიან პროექტებს და ახალისებენ მდგრად პრაქტიკებს ყველა დარგში.

ESG პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება საკვანძო ადგილს იკავებს ჩვენს სტრატეგიაში. ჩვენს დაინტერესებულ მხარეებს ვთავაზობთ საგანმანათლებლო ინიციატივებს, გამჭვირვალობას ანგარიშგებაში და ერთობლივ ძალისხმევას, რათა ხელი შევუწყოთ ცოდნის ზრდას მდგრადობის საკითხებზე. გარდა ამისა, 2024 წელს ჩვენ ჩავატარეთ ESG კვლევები ჩვენს თანამშრომლებს, ინვესტორებს და მომხმარებლებს შორის. ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის მიმართულებით განსახორციელებელი ინიციატივების დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებთან მოსარგებად და ჩვენი მდგრადობის სტრატეგიული მიზნების მხარდასაჭერად, გამოვავლინეთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხი, რომლებიც თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომხმარებლების ინტერესის საგანს წარმოადგენს და მათთვის განსაკუთრებით და მნიშვნელოვანია. ამ უკუკავშირის მიხედვით ჩვენ დავხვეწეთ ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინიციატივები, რათა მათ უპასუხონ დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებს და მხარი დაუჭირონ ჩვენს სტრატეგიული მიზნებს.

ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას ორგანიზაციის შიგნით და იმ საზოგადოებებში, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით. გვჯერა, რომ მრავალფეროვანი პერსპექტივები ახდენენ ინოვაციების სტიმულირებას და აუმჯობესებენ კომპლექსურ გამოწვევებთან გამკლავების უნარს. ჩვენ ვქმნით ინკლუზიურ გარემოს, რომელშიც ყველა თავს ღირებულად და დაფასებულად მიიჩნევს. 2024 წელს ვმუშაობდით მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ ფართომასშტაბიან კონცეფციაზე, რომელიც საქმიანობის სამ ძირითად მიმართულებას მოიცავდა: ფიზიკური და ციფრული წვდომა პროდუქტებსა და მომსახურებებზე, ინკლუზიური დასაქმება და მარკეტინგულ ღონისძიებებზე წვდომა. ამ ერთწლიანი პროექტის მხარდამჭერი იყო აზიის განვითარების ბანკი TSCFP შეზღუდული შესაძლებლობების ინკლუზიური პროექტის[1] ფარგლებში. შედეგად ჩვენ შევქმენით მყარი საფუძველი ჩვენი მრავალფეროვნების სამოქმედო გეგმისთვის, რომლის რეალიზებაც მომდევნო წლებში განხორციელდება.

ჩვენი ESG სტრატეგია ასახავს ჩვენს პასუხისმგებლობას ხელი შევუწყოთ ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ კეთილდღეობას და დავიცვათ გარემო, რაც ერთგვარი გარანტია იქნება იმისა, რომ ჩვენი წვლილი სარგებელს მოუტანს როგორც დღევანდელ, ისე მომავალ თაობებს. ESG სტრატეგიას წელიწადში ერთხელ განიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო სტრატეგიის განხორციელებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე არსებული ESG საკითხებზე მომუშავე კომიტეტები.

ESG სტრატეგიით განისაზღვრება არაერთი საკვანძო სფერო და მიზანი დროის სხვადასხვა ჰორიზონტში:

ESG და კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების გაძლიერებული მმართველობა	მდგრადი პორტფელის ზრდა	წვდომა დაფინანსების მწვანე და მდგრად წყაროებზე	მომხმარებელთა ცნობიერება, ინვესტორების ნდობა და თანამშრომელთა მრავალფეროვნება	ზეგავლენის შეფასება და ანგარიშგება

2024 წლის ძირითადი მიღწევები:

- ჩვენი მდგრადი პორტფელის მთლიანმა მოცულობამ 1.73 მილიარდ ლარს მიაღწია და 2023 წლის ბოლოს არსებული 1.23 მილიარდი ლარის შემდეგ 40.5%-ით გაიზარდა.
- გავზომეთ ჩვენი საქმიანობის შედეგები სათბური აირების გაფრქვევების შემცირების შესახებ პარიზის შეთანხმების მიზნებთან მიმართებაში.
- დავიწყეთ მეცნიერებაზე დაფუძნებული სამიზნე ინიციატივის სტანდარტების დანერგვა ჩვენ საქმიანობის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში.
- განახლებადი ენერგიის წილი ჩვენს მთლიან ელექტროენერგიის მოხმარებაში რეგიონებში 50%-მდე გაიზარდა.
- დავაფუძნეთ თიბისის ESG აკადემია და გავუშვით მწვანე ცნობიერებისა და მწვანე დაფინანსების კურსი ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის.
- ქალების წილმა ICT რისკების და ფინანსების მიმართულებით 46%-ს მიაღწია.
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროებში ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობამ 724 შეადგინა, საიდანაც 42% ქალები, ხოლო 41% რეგიონებში მაცხოვრებელი მონაწილეები არიან.

ESG სტრატეგია მიუყვება სტრატეგიულ გზამკვლევს, რომელშიც ასახულია შემდგომ წლებში ჩვენი მდგრადი განვითარების ეტაპები. 2024 წელს, ჩვენ აქტიურად ვაგრძელებდით მიზნების მისაღწევად ჩვენი ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც შემდეგ ოთხ ძირითად მიმართულებად იყოფა: გარემოზე პირდაპირი ზეგავლენა, გარემოზე ირიბი ზეგავლენა, სოციალური ზეგავლენა და მმართველობა.

1 აზიის განვითარების ბანკის ვაჭრობისა და მიწოდების ჯაჭვის ფინანსური პროგრამის (TSCFP) საფინანსო დაწესებულებებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების ინკლუზიური პროექტის ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს სასწრაფო საკონსულტაციო მხარდაჭერას აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში მოქმედი ბანკებისთვის. აზიის განვითარების ბანკმა ხელშეკრულება გააფორმა GDI-სთან ამ პროგრამაში ჩართული ბანკებისთვის საკონსულტაციო მომსახურებების გაწევაზე და თიბისი ბანკი უფასოდ იღებს კონსულტაციის შეთავაზებებს, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსების ფარგლებში. თიბისი ბანკთან შეთანხმების საფუძველზე, GDI ჰაბისგან მიღებული საკონსულტაციო მხარდაჭერა მოიცავს ტექნიკურ, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურებებს.

მიმართულება 1 და 2: გარემოზე პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა

2022 წლის ESG სტრატეგიის მიზანი/ ინიციატივა	2023 წელს არსებული მდგომარეობა	2024 წელს არსებული მდგომარეობა
გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის ჩარჩო დაინერგა როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი ხელმძღვანელობის დონეზე. ESG მმართველობის გაძლიერება და მაღალი სისრულის დონის უზრუნველყოფა	გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრუქტურის გაძლიერება და უფრო მაღალი სისრულის დონის უზრუნველყოფა	მაღალი სისრულის დონე მიღწეულია
სამეთვალყურეო საბჭოს გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობასთან დაკავშირებული კომიტეტების და აღმასრულებელი ხელმძღვანელობის დონეზე დაინერგა მნიშვნელოვანი პარამეტრების რეგულარული ანგარიშგება.	ანგარიშგების გაზრდილი დეტალიზაცია და ავტომატიზაცია, კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ რეგულარული ანგარიშგების სცენარების ანალიზის, სტრეს-ტესტისა და გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონის პარამეტრების დანერგვა	დაინერგა გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ანგარიშგების ძლიერი ჩარჩო, მათ შორის ღრმა და დეტალური სესიები TCFD, პარიზის ხელშეკრულებასთან შესაბამისობის, დაფინანსებული გაფრქვევების და სხვა რელევანტურ საკითხებზე
პორტფელის მოცულობამ მიაღწია 782 მილიონ ლარს[1]	პორტფელის მოცულობამ მიაღწია 1.23 მილიარდ ლარს	პორტფელის მოცულობამ მიაღწია 1.73 მილიარდ ლარს
შემუშავდა და დამტკიცდა კლიმატის ცვლილების პოლიტიკა[2]	სექტორული სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) კლიმატური რისკის რადარის შესაბამისად	საქართველოს ეროვნული ბანკის ESG გაიდლაინების დანერგვა[3]
სებ-მა დანერგა მწვანე და სოციალური ტაქსონომია, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო ტაქსონომიების შესაბამისად შემუშავდა. განისაზღვრა სამოქმედო გეგმა	სებ-მა დანერგა მწვანე ტაქსონომია; შემუშავდა შესაბამისი დოკუმენტაცია, პროცედურები, დაანგარიშების ინსტრუმენტები და პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგი	დაინერგა სოციალური ტაქსონომია.
დაინერგა მწვანე დაკრედიტების პროცედურა	სებ-ის მწვანე დაკრედიტების პროცედურის და მწვანე ტაქსონომიის ჰარმონიზება	სებ-ის მწვანე დაკრედიტების პროცედურის და მწვანე ტაქსონომიის ჰარმონიზება
მომხმარებელთა ლოიალობის, ინვესტორთა ნდობის და თანამშრომელთა მოტივაციის ზრდა	გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის საკითხებზე სასწავლო ჩარჩოს დანერგვა თიბისის ყველა თანამშრომლისთვის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის საკითხებზე ცნობიერების შეფასება თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის კვლევის ჩატარება ინვესტორებისთვის	გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის საკითხებზე ინფორმირებულობის ინდექსი თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის ჩატარდა ESG კვლევები ინვესტორებს შორის ESG საკითხები ინტეგრირებულია მომხმარებელთა კვლევებში
შემუშავებულია ESG სტრატეგიები მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიებში	განხორციელდა გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიები და განისაზღვრა ჯგუფის დონეზე გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის ფუნქციის მხარდაჭერა	განახლდა ESG სტრატეგია 2023 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის ასახვის მიზნით
ნეტო-ნულოვანი მიზნის განსაზღვრა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით შესრულების მაჩვენებლებისთვის	შეფასდა ჯგუფის პირდაპირი შესრულების მაჩვენებლები სათბური აირების გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებით პარიზის ხელშეკრულების მიზნების საფუძველზე	გეგმის შემუშავება გარემოზე ჩვენი პირდაპირი გავლენის, ასევე ნეტო-ნულოვანი ნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით
გეგმის შემუშავება გარემოზე ჩვენი არაპირდაპირი გავლენის ნეტო-ნულოვანი ნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით	შემუშავდა დაფინანსებული გაფრქვევების დაანგარიშების მეთოდოლოგია შემუშავებული PCAF მიდგომების საფუძველზე და დაანგარიშდა დაფინანსებული გაფრქვევები აქტივების შვიდი კლასისთვის	შეფასდა ჯგუფის არაპირდაპირი შესრულების მაჩვენებლები სათბური აირების გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებით პარიზის ხელშეკრულების მიზნების საფუძველზე

მიმართულება 3: სოციალური ზეგავლენა

მრავალფეროვნების, გენდერული თანასწორობისა და ჩართულობის საკითხებზე ჩვენი ფოკუსის გაფართოების მიზნით, შევიმუშავეთ „მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის პოლიტიკა“ (ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.tbcbankgroup.com), რომელიც განსაზღვრავს მიზნებს და ადგენს მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის ხელშეწყობის მეთოდოლოგიას, კომპანიის ოპერაციებისა და მართვის პროცესებში პოლიტიკის მიდგომის ინტეგრირებისა და სხვადასხვა მიმართულებებზე, მათ შორის, გენდერული, მულტიკულტურული, სხვადასხვა თაობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე ფოკუსირების მიზნით. ჩვენი მიზანია, გვქონდეს გენდერული თვალსაზრისით დაბალანსებული სამუშაო ძალა და კულტურას, რომელიც მხარს უჭერს და აძლიერებს ქალებს. ბანკის დონეზე განვსაზღვრეთ ქალების მიზნობრივი რაოდენობა სხვადასხვა პოზიციებზე. 2025 წლისთვის საშუალო რგოლის მენეჯერებსა და ეჯაილ ლიდერებში ქალების წილის მიზნობრივი წილი 43%-ით განისაზღვრა. ასევე განისაზღვრა მსგავსი აფირმაციული მიზნები ჯგუფის სხვა შვილობილი კომპანიებისთვის. მომავალ წელს ვაპირებთ დავნერგოთ მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალო რგოლის ხელმძღვანელებისთვის ჯგუფის დონეზე.

2022 წლის ESG სტრატეგიის მიზანი/ ინიციატივა	2023 წელს არსებული მდგომარეობა	2024 წელს არსებული მდგომარეობა
განისაზღვრა მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის (DEI) პოლიტიკა, მიზნობრივი მაჩვენებლები და სამოქმედო გეგმა	ქალების წილი საშუალო რგოლის მენეჯერებსა და ეჯაილ ლიდერებში 40%	ქალების წილი საშუალო რგოლის მენეჯერებსა და ეჯაილ ლიდერებში 40%
შემუშავებულია სრულფასოვანი ESG ტრენინგის ჩარჩო, რომელიც მოიცავს თიბისის ყველა თანამშრომელს და პასუხისმგებლობის სხვადასხვა დონეს	5 მილიონი ლარი მიზნობრივი მოცულობის შესყიდვებისთვის	გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის საკითხებზე ცნობიერების შეფასება თანამშრომლებსა და მომხმარებლებში მრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შემუშავება

მიმართულება 4: მმართველობა

ჯგუფის ESG სტრატეგიას წელიწადში ერთხელ განიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო სტრატეგიის განხორციელებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ სამეთვალყურეო საბჭოსთან და აღმასრულებელი მენეჯმენტთან არსებული ESG საკითხებზე მომუშავე ორი კომიტეტი. წლის განმავლობაში, კომიტეტები ხელს უწყობდნენ და კოორდინაციას უწევდნენ ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიების, პოლიტიკებისა და პროგრამების განხორციელებას, რამაც უზრუნველყო ჯგუფის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის ეფექტურად განხორციელება და საქმიანობის ყველა სფეროში საკუთარი მიზნების მიღწევა.

2024 წელს დავიწყეთ ჯგუფის შვილობილ კომპანიებში ინდივიდუალური ESG სტრატეგიების დანერგვა. შვილობილი კომპანიების თანამშრომლებს ჩაუტარდათ რამდენიმე სემინარი და შეიქმნა სამუშაო ჯგუფები.

1 განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტური კრედიტები, ქალების და ახალგაზრდების დაფინანსება, სებ-ის მწვანე და სოციალური ტაქსონომია, მწვანე თამასუქები და სოციალური გარანტიები. დამატებითი მონაცემები წარმოდგენილია 146-ე გვერდზე.
2 www.tbcbankgroup.com
3 www.nbg.gov.ge, ძალაშია 2025 წლის იანვრიდან.

2022 წლის ESG სტრატეგიის მიზანი/ ინიციატივა	2023 წელს არსებული მდგომარეობა	2024 წელს არსებული მდგომარეობა
ESG ჩარჩო დაინერგა როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი ხელმძღვანელობის დონეზე	ESG სტრუქტურის გაძლიერება და უფრო მაღალი სისრულის დონის უზრუნველყოფა	მაღალი სისრულის დონე მიღწეულია
სამეთვალყურეო საბჭოს ESG დაკავშირებული კომიტეტების და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე დაინერგა მნიშვნელოვანი პარამეტრების რეგულარული ანგარიშგება	ანგარიშგების გაზრდილი დეტალიზაცია და ავტომატიზაცია, კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ რეგულარული ანგარიშგების სცენარების ანალიზის, სტრეს-ტესტისა და ESG რისკის დასაშვები დონის პარამეტრების დანერგვა	რეგულარული პროცესი
შემუშავდა ESG ინდივიდუალური სტრატეგიები	ESG სტრატეგიების განხორციელება შვილობილ კომპანიებში	განახლდა ESG სტრატეგია 2023 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის ასახვის მიზნით

2025 წელს ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი სტრატეგიული გეგმის შესრულება და ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ საკითხებზე:

მდგრადი პორტფელი

2024 წელს ჩვენი განვაგრძობთ ჩვენი მდგრადი პორტფელის ზრდაზე ზრუნვას. ESG სტრატეგიით განსაზღვრულია ამბიციური მიზანი - რომ მდგრადმა პორტფელმა მიაღწიოს 2 მილიარდ ლარს. ESG სტრატეგია ისეთ მიზნებს ისახავს, როგორიც არის ნეტო-ნულოვანი სათბური აირების (GHG) გაფრქვევა, რომელიც 2030 წლისთვის გარემოზე პირდაპირ გავლენას უკავშირდება, და ასევე მდგრადი პორტფელის ზრდას, რომელიც მოიცავს განახლებადი ენერგიის დაფინანსებას, ენერგოეფექტურობის სესხებს, სოციალური კომპონენტებით, მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდების დაფინანსებას, სტარტაპების და სასოფლო რეგიონებში არსებული საწარმოების მხარდაჭერას.

სამოქმედო გეგმა პირდაპირი ნეტო-ნულოვანი გამოფრქვევების მიზანთან დაკავშირებით

2024 წელს ჩვენ მიერ ყურადღება დაეთმობა დეტალური გარდამავლობის გეგმების შემუშავებას, რომლებიც ჯგუფის საქმიანობის შედეგების შეფასებას დაეფუძნება და გაითვალისწინებს სათბური აირების გაფრქვევის შემცირებასთან დაკავშირებულ პარიზის შეთანხმების მიზნებს. ამ პროცესის მხარდაჭერის მიზნით, ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან და შევიმუშავეთ დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შემდეგ აქტივობებს მოიცავს: პერსონალიზებული მწვანე პროდუქტების და შეფასების მეთოდების შემუშავება, დარგობრივი გაიდლაინები კლიმატური რისკის შეფასებასთან დაკავშირებით, შერჩეული მომხმარებლების ნახშირბადის გავლენის შეფასება და ინსტიტუციური კომპეტენციის გაძლიერება.

ESG აკადემია

2023 წელს დავაარსეთ ESG აკადემია იმ მიზნით, რომ ავამაღლოთ ცნობიერება და გავაღრმაოთ ცოდნა ESG საკითხებზე. მათ შორისაა ისეთი თემები, როგორებიცაა მწვანე და სოციალური დაფინანსება, მარეგულირებელი მოთხოვნები, მრავალფეროვნებისა და აფირმაციული მიდგომები, მდგრადი ბიზნეს მოდელები და პრაქტიკები ბანკის მომხმარებლებს, ასევე თიბისის თანამშრომლებს შორის. პირველი სასწავლო პროგრამა „მწვანე ცნობიერება და მწვანე დაფინანსება“ 2024 წლის მარტში გაეშვა. პროგრამა მხარდაჭერილია პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების (IFI) - the Green for Growth Fund (GGF) და the European Fund for Southeast Europe-ის (EFSE) მიერ. 2024 წელს ამ სასწავლო კურსს 300-ზე მეტი თანამშრომელი დაესწრო. 2025 წლის ბოლომდე პროგრამის ფარგლებში დამატებით 600 თანამშრომელი და 300 საცალო, MSME და კორპორატიული მომხმარებელი გადამზადდება.

ფასს მ1 და ფასს მ2 სტანდარტების განხორციელება

2023 წლის ივნისის თვეში, მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ISSB) გამოსცა ფასს მ1 („მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“) და ფასს მ2 („კლიმატთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები“). 2025 წელს ჩვენ ამ მოთხოვნების შესრულებაზე ვიქნებით ორიენტირებული. რადგან 2021 წლიდან ჩვენ უკვე გამოქვეყნებული გვაქვს განმარტებითი შენიშვნები კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ გამოვიყენებთ არსებულ განმარტებით შენიშვნებს და ანგარიშგების ჩარჩოს.


meliora
Responsible Business Award of Georgia
TRANSPARENCY AND ACCOUNTABILITY ON CORPORATE RESPONSIBILITY AND SUSTAINABILITY
TBC BANK
PROJECT SUSTAINABILITY REPORT 2022
meliora
Responsible Business Award of Georgia
RESPONSIBLE LARGE COMPANY OF THE YEAR
TBC BANK

წლის პასუხისმგებელი მსხვილი კომპანია

თიბისი წლის პასუხისმგებელ მსხვილ კომპანიად დასახელდა იმ გამორჩეული საქმიანობისთვის, რომელსაც გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გამოწვევების გადაჭრის მიზნით ახორციელებს თანამშრომლებისთვის, მომხმარებლებისთვის, გარემოსა და საზოგადოებისთვის.

კონკურსი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG) ჩაატარა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ფარგლებში, ევროკავშირისა (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) დაფინანსებით.

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია 2024

შესავალი

ქვემოთ მოცემულია კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს და რეკომენდებულ განმარტებით შენიშვნებს. კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციები ოთხ შინაარსობრივ მიმართულებას ეფუძნება: (i) მმართველობა; (ii) სტრატეგია; (iii) რისკის მართვა და (iv) მაჩვენებლები და მიზნები. თითოეული მიმართულება თერთმეტ რეკომენდაციას აერთიანებს, ინფორმაციის ეფექტურად გამჟღავნების მხარდასაჭერად. მიგვაჩნია, რომ სრულ შესაბამისობაში ვართ კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის მოთხოვნებთან.

2024 წელს კიდევ უფრო მეტად გავაძლიერეთ კლიმატთან დაკავშირებული მიდგომა. გადავხედეთ კლიმატთან დაკავშირებული გარდამავალი და ფიზიკური რისკების შეფასებებს სექტორების დონეზე და გამოვიყენეთ საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ESC რისკის რადარით[1] განსაზღვრული მოსაზრებები. გარდა ამისა, ჩვენ განვაახლეთ კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩო სებ-ის კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩოს შესაბამისად, ადგილობრივ კონტექსტზე მეტად მორგებული პარამეტრების გამოყენების მიზნით. მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ პარიზის ხელშეკრულების მიზნების შესაბამისად ჩვენი დაფინანსებული გაფრქვევების დაანგარიშების და გზების გამოვლენის მიმართულებით. შედეგები საფუძველს შეუქმნის ჩვენი გეგმის შემუშავებას, მაქსიმალურად მოკლე ვადებში გარემოზე ჩვენი არაპირდაპირი გავლენის ნეტო-ნულოვანი ნიშნულის უზრუნველსაყოფად. გვესმის, რომ დაბალი ემისიის, მდგრად ეკონომიკაზე გადასვლა საჭიროებს შიდა ორგანიზაციული ცოდნის გაღრმავებას, აგრეთვე მომხმარებლებში, ბიზნესებსა და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ შიდა ექსპერტული ცოდნის განვითარებაზე სხვადასხვა საკითხების ირგვლივ, როგორიცაა: მწვანე დაკრედიტება, სებ-ის მწვანე ტაქსონომია, კლიმატის ცვლილების გავლენა, კლიმატთან დაკავშირებული რისკები, და სცენარების ანალიზი. ვინაიდან ახალი ინფორმაციისა და მეტი სტანდარტიზაციის კვალდაკვალ იცვლება მდგრადობის ლანდშაფტიც, თიბისი განაგრძობს გამოქვეყნებული ინფორმაციის დახვეწასა და გაფართოებას დაინტერესებული მხარეების საფუძვლიანად ინფორმირების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულ და ახალ მონაცემებთან და მეთოდოლოგიებთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, ჩვენ მიერ გამოყენებული მონაცემები ყველაზე ოპტიმალურად ასახავს ხელმისაწვდომ ინფორმაციას საქართველოში, სადაც ჩვენი საქმიანობის უდიდესი ნაწილი ხორციელდება. ჩვენი მოლოდინით, საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა და სანდოობა დროთა განმავლობაში გაუმჯობესდება და, იმისდა მიხედვით, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება, მიზნად ვისახავთ შესაბამისი გაუმჯობესებული მონაცემების გათვალისწინებას ჩვენს ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ მომზადებული ინფორმაცია TCFD რეკომენდაციებთან განხორციელებასთან დაკავშირებით:

გამჟღავნებისთვის რეკომენდებული ინფორმაცია	მოკლე რეზიუმე	სად ვიპოვოთ
მმართველობა		
ა) აღწერეთ ორგანიზაციის მიერ კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მართვა		
პროცესი, სიხშირე და ტრენინგი	– სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს და ზედამხედველობს ჯგუფის ESG სტრატეგიას, რათა კონკრეტულად განიხილოს ჯგუფის მიზნები და ინიციატივები, რომლებიც ეხება კლიმატის ცვლილებას, გარემოზე პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას და მდგრად განვითარებას ჯგუფის მასშტაბით. – გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. – ბანკის აღმასრულებელ ფუნქციებთან რეგულარული სამუშაო შეხვედრების პარალელურად, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი ოთხჯერ შეიკრიბა 2024 წლის განმავლობაში. – სამეთვალყურეო საბჭომ ჩამოაყალიბა მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამა, რომელიც ყოველწლიურად გადაისინჯება.	გვერდი 119
კომიტეტის ანგარიშვალდებულება	– სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებს ძირითად პასუხისმგებლობას სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობაზე, როგორც მისი ვალდებულების ნაწილს, უშუალო ზედამხედველობა გაუწიოს ჯგუფის კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებს. – გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტის როლი ფორმალიზებულია სამეთვალყურეო საბჭოს მხარდასაჭერად და კონსულტაციას უწევს მას შემდეგი საკითხების ზედამხედველობის პროცესში: (i) სტრატეგია; (ii) პოლიტიკა; და (iii) კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების პროგრამები ESG საკითხებთან დაკავშირებით, ჯგუფის ყველა დაკავშირებულ აქტივობაში ESG სტრატეგიის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.	გვერდი 119
საბჭოსა და შესაბამისი საბჭოს კომიტეტების მიერ კლიმატთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინების მაგალითები	– ძირითადი თემები, რომლებიც გათვალისწინებულია 2024 წელს გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტის მიერ, არის შემდეგი: ჯგუფის პირდაპირი სათბური აირები გაფრქვევები, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განხილვა, გამორიცხვის სიის და ESG რისკის მადის განხილვა და კლიმატის სამოქმედო სტრატეგიის განხილვა, მათ შორის პროგრესის ანგარიშები TCFD-ს იმპლემენტაციის შესახებ.	გვერდი 119
ბ) კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებასა და მართვაში აღმასრულებელი ხელმძღვანელობის როლის აღწერა		
ვინ არის პასუხისმგებელი კლიმატთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე	– 2021 წლის მარტიდან, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე პასუხისმგებლობა ენიჭება ESG კომიტეტს აღმასრულებელ დონეზე.	გვერდი 120
ხელმძღვანელობის მიერ საბჭოსთან ანგარიშგების წესი	– სხვა საკითხებთან ერთად, ESG კომიტეტის პასუხისმგებლობა მოიცავს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების განხილვასა და მონიტორინგს, ასევე, კლიმატთან დაკავშირებული იდენტიფიცირებული (მატერიალური) რისკების მართვის ეფექტიანი შერბილებისა და კონტროლის სისტემის შექმნას. ESG კომიტეტი კვარტალში ერთხელ იკრიბება.	გვერდი 120

1 www.nbg.gov.ge

გამჟღავნებისთვის რეკომენდებული ინფორმაცია	მოკლე რეზიუმე	სად ვიპოვოთ
პროცესები, რომლებიც გამოიყენება ხელმძღვანელობის ინფორმირებისთვის	– ESG სტრატეგიის განხორციელებას მხარს უჭერენ ESG საკითხებზე პასუხისმგებელი სხვადასხვა ორგანიზაციული ფუნქციები: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის გუნდი, ESG დეპარტამენტი და ESG კომპეტენციების ცენტრი – TCFD ჩარჩოს გაფართოების მხარდასაჭერად ინიციირებული სამუშაო ჯგუფი. – გარდა ამისა, გარემოსდაცვითი კომიტეტი ზედამხედველობს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის დანერგვასა და ფუნქციონირებას. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის დეპარტამენტი და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის გუნდი რეგულარულად აწვდიან ანგარიშს გარემოსდაცვით კომიტეტს, რომელიც ანგარიშვალდებულია რისკების დირექტორის წინაშე.	გვერდი 120
სტრატეგია		
ა) კლიმატთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების აღწერა, რომლებიც ორგანიზაციამ გამოავლინა მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში - გვერდი		
მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი დროითი ჰორიზონტები	– შეფასებისთვის გათვალისწინებული დროითი ჰორიზონტები არის მოკლე (0-3 წელი), საშუალო (4-8 წელი) და გრძელი (8 წელზე მეტი). შესაძლო ზემოქმედების დონეები კლასიფიცირდება, როგორც დაბალი, საშუალო ან მაღალი.	გვერდი 121
კლიმატთან დაკავშირებული რისკები	– სხვადასხვა გამოვლენილი გარდამავლობის და ფიზიკური რისკების პოტენციური გავლენის შეჯამების ფარგლებში, საქართველოში და თიბისი ბანკის საქმიანობაზე გარდამავლობის რისკები დაბალია. – საერთო შეფასების მიხედვით, საქართველოსა და თიბისი ბანკის საქმიანობაზე მწვავე და ქრონიკული ფიზიკური რისკების პოტენციური გავლენა საშუალოა გრძელვადიან პერსპექტივაში. ამჟამად თიბისი ბანკის საქმიანობაზე დაკვირვებადი არსებითი გავლენა არ გამოვლენილა.	გვერდი 123
კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები	– ძირითადი შესაძლებლობების მიმართულებებია ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის დაფინანსება. თუმცა, ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული სხვა დაფინანსებების ფართო სპექტრს.	გვერდი 129
ბ) ორგანიზაციის ბიზნესზე, სტრატეგიასა და ფინანსურ დაგეგმვაზე კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების გავლენის აღწერა		
გავლენა სტრატეგიაზე, ბიზნესსა და ფინანსურ დაგეგმვაზე	– 2024 წელს ჩვენ გავაგრძელეთ კლიმატთან და უფრო ფართო ESG საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების ჩართვა ჩვენი ფინანსური დაგეგმვის პროცესებში. ჯგუფმა სასესხო პორტფელის ზრდის დაგეგმვაში გაითვალისწინა რისკები და შესაძლებლობები სხვადასხვა ბიზნეს სეგმენტში: საცალო, MSME და კორპორატიული. გარდა ამისა, კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები განხილულ იქნა ეკონომიკური სექტორების ჭრილში.	გვერდი 130
გავლენა პროდუქტებსა და მომსახურებებზე	– ძირითადი შესაძლებლობების მიმართულებებია ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის დაფინანსება თუმცა, ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული სხვა დაფინანსებების ფართო სპექტრს.	გვერდი 131
გარდამავლობის გეგმა	– მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ პარიზის ხელშეკრულების მიზნების შესაბამისად ჩვენი დაფინანსებული ემისიების დაანგარიშების და გზების გამოვლენის მიმართულებით. შედეგები საფუძველს შეუქმნის გარდამავლობის გეგმის შემუშავებას, ნეტო-ნულოვანი ნიშნულის მაქსიმალურად მალე მისაღებად.	გვერდი 131

გამჟღავნებისთვის რეკომენდებული ინფორმაცია	მოკლე რეზიუმე	სად ვიპოვოთ
გ) ორგანიზაციის სტრატეგიის მედეგობის აღწერა, კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა სცენარის გათვალისწინებით, მათ შორის 2°C ან უფრო დაბალი სცენარით		
გამოყენებული სცენარები	– „არაორგანიზებული“ კატეგორიიდან შეირჩა სცენარი „დაგვიანებული გადასვლა საშუალო ქრონიკული ფიზიკური რისკებით“. ამ სცენარის არჩევის მიზეზი იყო ის, რომ ის წარმოადგენს ერთ-ერთ უმაღლესი გარდამავლობის რისკის სცენარს და ასახავს იმ არსებით გამოწვევებს, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ კლიმატთან ბრძოლის გლობალური ღონისძიებების დაგვიანების და შემდგომ მოულოდნელად განხორციელების შემთხვევაში.	გვერდი 132
დასკვნები	– სეგმენტების მიხედვით ჩაშლილი შედეგები გვიჩვენებს რომ უმოქმედო სესხებზე პოტენციური გავლენა საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორატიულ სეგმენტებში არაარსებითია. რამდენიმე სექტორმა ნეგატიური ტენდენცია უჩვენა, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მრეწველობა და არაგანახლებადი ენერგია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს აკუმულირებული ეფექტებია, შედეგები უმნიშვნელოა.	გვერდი 134
რისკის მართვა		
ა) ორგანიზაციაში კლიმატთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესები აღწერა		
პროცესი	– ჯგუფმა განიხილა ყველა ის საოპერაციო საქმიანობა, შესყიდვა და აუთსორსინგული მომსახურება, რომელთა გაკონტროლებაც შეუძლია (ახლანდელი და დაგეგმილი) და გამოავლინა ბიზნესისთვის რელევანტური ყველა მატერიალური გარემოსდაცვითი ასპექტი.	გვერდი 135
პოლიტიკასა და პროცედურებში ინტეგრაცია	– ჯგუფს აქვს გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს ჩვენს გარემოსდაცვითი მართვის სისტემას (EMS) და კლიმატთან დაკავშირებულ ჩარჩოს ჯგუფში.	გვერდი 135
ბ) ორგანიზაციაში კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესების აღწერა		
პროცესი	– ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და ეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. 2024 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) შეიმუშავა ESG გაიდლაინები, ორმაგი არსებითობის პერსპექტივის გათვალისწინებით. ამ გაიდლაინების საფუძველზე, თიბისი ბანკმა განახორციელა კლიმატური რისკის კომპონენტების ინტეგრირება თავის არსებულ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების პროცედურაში, განსაზღვრა რისკის ზომის ლიმიტები და შეიმუშავა შესაბამისი შაბლონები. თიბისიმ შეიმუშავა ინდივიდუალური მიდგომები სხვადასხვა ბიზნეს-სეგმენტებისა და ეკონომიკური აქტივობებისთვის.	გვერდი 139
გადაწყვეტილებების მიღების წესი	– დასაფინანსებელი პროექტები კლასიფიცირდება გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიების მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი და A კატეგორია) ანალიზის საფუძველზე; საჭიროების შემთხვევაში, ტარდება ღრმა და დეტალური ანალიზი და სათანადო შესწავლა. ტრანზაქციის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ჭრილში კატეგორიების განსაზღვრის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება უფრო მაღალ რისკს.	გვერდი 140

გამჟღავნებისთვის რეკომენდებული ინფორმაცია	მოკლე რეზიუმე	სად ვიპოვოთ
გ) აღწერა, თუ როგორ ხდება კლიმატთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის პროცესების ინტეგრირება ორგანიზაციის რისკების საერთო მართვაში		
ინტეგრაციის პროცესი	– ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები, რომლებიც სრულად ინტეგრირებულია საკრედიტო რისკების მართვის პროცესში და სტანდარტულად ვრცელდება მცირე და საშუალო ბიზნესის და კორპორატიული მომხმარებლების მიმართ. – 2024 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) შეიმუშავა გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის გაიდლაინები ორმაგი არსებითობის პერსპექტივის გათვალისწინებით. ამ გაიდლაინების საფუძველზე, თიბისი ბანკმა განახორციელა კლიმატური რისკის კომპონენტების ინტეგრირება თავის არსებულ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების პროცედურაში, განსაზღვრა რისკის ზომის ლიმიტები და შეიმუშავა შესაბამისი შაბლონები. ბანკმა შეიმუშავა ინდივიდუალური მიდგომები სხვადასხვა ბიზნეს-სეგმენტებისა და ეკონომიკური აქტივობებისთვის. გარდა ამისა გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის პროფილის მეთოდოლოგია, რომელიც 2023 წელს დაინერგა, ინტეგრირებულია რისკის მართვის საერთო პროცესში.	გვერდი 139
მაჩვენებლები და მიზნები		
ა) იმ მაჩვენებლების გამჟღავნება, რომლებიც გამოიყენება ორგანიზაციის მიერ კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად, მისი სტრატეგიისა და რისკის მართვის პროცესის შესაბამისად		
გარემოზე პირდაპირი ზეგავლენის შესაფასებლად გამოყენებული მაჩვენებლები	– სათბური აირების (GHG) გაფრქვევები, ენერგიის, წყლისა და ქაღალდის მოხმარება.	გვერდი 142
არაპირდაპირი ზეგავლენის შესაფასებლად გამოყენებული მაჩვენებლები	– დაფინანსებული გაფრქვევები მდგრადი პორტფელი.	გვერდი 145
ბ) Scope 1, Scope 2 და, საჭიროების შემთხვევაში, Scope 3 გაფრქვევების და დაკავშირებული რისკების გამჟღავნება		
ჩვენი საკუთარი ოპერაციები	– გამჟღავნებულია Scope 1, Scope 2 და Scope 3 GHG გაფრქვევები (საერთაშორისო ფრენები), 2024 მიზნები და რეალური შედეგები, ასევე მიზნები 2025 წლისთვის.	გვერდი 143
დაფინანსებული გაფრქვევები	– დაფინანსებული გაფრქვევები - ნახშირბადის გამონაბოლქვის აღრიცხვის სფეროში პარტნიორობამ (PCAF) შეიმუშავა მეთოდები აქტივების სხვადასხვა კლასებისთვის, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დაფინანსებული გაფრქვევების გამოსათვლელად.	გვერდი 145
გ) იმ მიზნების აღწერა, რომლებიც გამოიყენება ორგანიზაციის მიერ კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მიზნებთან მიმართებაში სამართავად		
დადგენილი სამიზნე მაჩვენებლები და პროგრესი	– GHG გამოფრქვევები (Scope 1 და Scope 2), წყალი და ქაღალდი საერთო მდგრადი პორტფელის მოცულობამ 333 მილიონი ლარით გადააჭარბა 2024 წლის მიზნობრივ მოცულობას 1.4 მლრდ ლარს. 2025 წლის მიზანი 2 მილიარდი ლარით განისაზღვრა.	გვერდი 145

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების არსებითი საკითხების განსაზღვრა

კლიმატთან დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გათვალისწინებული თემების არსებითობის დონე განსაზღვრულია სხვადასხვა ფაქტორით: ა) კლიმატთან დაკავშირებული თემები, რომლებიც შეტანილია ჯგუფის ESG სტრატეგიაში; ბ) დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შედეგები, რომლებიც გვაწვდის ინფორმაციას იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის (დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესი უფრო დეტალურად აღწერილია გვ. 154); და გ) გარდა ამისა, ჩვენი ანგარიშგებები განისაზღვრება მარეგულირებელი გამჟღავნების წესებით, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ESG-ის გარე სარეიტინგო სააგენტოების მოლოდინებით. გარკვეული თემებისთვის, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ, ჩვენ ასევე განვსაზღვრეთ რიცხვითი მატერიალურობის ლიმიტები, როგორიცაა წილი მთლიან აქტივებში (3%) ან წილი GHG ემისიებში (40%), რომლებიც მითითებულია ანგარიშგების შესაბამის ნაწილებში. გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი საბჭოს დონეზე და ESG კომიტეტი აღმასრულებელ დონეზე, ასევე პასუხისმგებელი ორგანიზაციული დეპარტამენტები – ESG დეპარტამენტი, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის გუნდი, საწარმოს რისკების მართვის, ინვესტორებთან ურთიერთობის და საერთაშორისო ფინანსური ბაზრების დეპარტამენტები - რეგულარულად განიხილავენ ახალ და არსებულ თემებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის და განიხილავენ მათ ჩვენს ESG და კლიმატის სამოქმედო სტრატეგიაში.

1. მმართველობა

1.1. სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობა კლიმატთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს და ზედამხედველობს ჯგუფის ESG სტრატეგიას, რათა განიხილოს ჯგუფის მიზნები და ინიციატივები, რომლებიც ეხება კლიმატის ცვლილებას, გარემოზე პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას და მდგრად განვითარებას ჯგუფის მასშტაბით. ESG სტრატეგია, ასევე, მოიცავს მომხმარებლებს, თანამშრომლებს, მომწოდებლებს, ფართო საზოგადოებას, ფინანსურ ჩართულობას, თანამშრომლებთან ურთიერთობასა და ტალანტების მართვას, მრავალფეროვნებასა და ჩართულობას სამუშაო ადგილზე. სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებს ძირითად პასუხისმგებლობას სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობაზე, როგორც მისი ვალდებულების ნაწილს, უშუალო ზედამხედველობა გაუწიოს ჯგუფის კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებს.

2022 წლის იანვარში ჯგუფმა დააარსა გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. ეს ასახავს მდგრადობის მნიშვნელობას თიბისის კორპორატიულ მართვაში და საბჭოს წევრებს საშუალებას აძლევს მეტი დრო დაუთმონ და ყურადღება გაამახვილონ ESG თემებზე.

კომიტეტის როლი გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას და მისთვის კონსულტაციების გაწევას კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტრატეგიის, პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ზედამხედველობის საკითხებში და იმის უზრუნველყოფას, რომ ESG სტრატეგია გავრცელდეს ჯგუფის ყველა შესაბამის საქმიანობაზე. გარდა ამისა, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება ღირებულებების, ქცევისა და კულტურის საერთო ხედვის დანერგვაში და სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობის საქმიანობის ზედამხედველობაში, რაც გულისხმობს ჯგუფში (i) ეთიკის კულტურის, (ii) სათანადო ქცევის და (iii) თანამშრომელთა ეთიკური ჩართულობის წახალისებას. კომიტეტი კლიმატთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიულ ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს და ის ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელსაც საერთო ზედამხედველობის უფლებამოსილება აქვს.

გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი 2024 წლის განმავლობაში ოთხჯერ შეიკრიბა და განიხილა შემდეგი საკითხები: ა) ჯგუფის ESG სტრატეგიის, მათ შორის კლიმატის სამოქმედო სტრატეგიის და განხორციელების გეგმების რეგულარული განხილვა და სტატუსის განახლება; ბ) მათი შესრულების მონიტორინგი; და გ) ზედამხედველობა და რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოსთვის ანგარიშგებების დასამტკიცებლად, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის პრინციპების შესაბამისად შედგენილი ანგარიშგების, წლიური და სხვა ანგარიშების დასამტკიცებლად. გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტის მიერ 2024 წელს განხილული ძირითადი თემებია: ESG სტრატეგიის მიზნების განხორციელების პროგრესი, როგორიც არის მდგრადი სასესხო პორტფელის მოცულობა, ჯგუფის პირდაპირი GHG გაფრქვევები, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის, ადამიანის უფლებათა პოლიტიკისა და მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის პოლიტიკის განხილვა, აკრძალული საქმიანობების სიის[1] და გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონის მიმოხილვა, კლიმატის სამოქმედო სტრატეგიის განხილვა, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების განხორციელების შესახებ პროგრესის

ანგარიშები, გარე კონსულტანტების ჩართულობა კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის ანგარიშგების განხილვა 2023 წლის წლიური ანგარიშისა და 2023 წლის მდგრადობის ანგარიშისთვის და ESG და კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგების დღის წესრიგი თიბისის თანამშრომლებისთვის.

სამეთვალყურეო საბჭო სარგებლობს რისკების კომიტეტის მხარდაჭერით. რისკების კომიტეტს რისკების მართვის დირექტორისგან წელიწადში ოთხჯერ წარედგინება ინფორმაცია ანგარიშგების მაჩვენებლების პროგრესის შესახებ, როგორიც არის მდგრადი პორტფელის მოცულობა. 2023 წელს განვსაზღვრეთ ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის რისკის დასაშვები დონე და განვახორციელეთ მისი ინტეგრირება ჩვენს რისკის დასაშვები დონის ჩარჩოში (RAF). შედეგად გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონის შედეგები ასევე ანგარიშის სახით მიეწოდება რისკების კომიტეტს კვარტალში ერთხელ. გარდა ამისა, აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობები მოიცავს წლიური, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის (TCFD) ანგარიშგების მიმოხილვას, ასევე, პოლიტიკების, პროცედურებისა და რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის ზედამხედველობას.

ადამიანური რესურსების და ანაზღაურების კომიტეტმა განიხილა აღმასრულებელი ხელმძღვანელობის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი შესრულების მაჩვენებლები. დეტალური ინფორმაცია იხილეთ TBC Bank Group PLC ანგარიშში 206-ე გვერდზე.

სამეთვალყურეო საბჭოს შედგენილი აქვს მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამა, რომლის განახლება ყოველწლიურად ხორციელდება. ჯგუფის სამდივნოს გუნდი ყოველი წლის დასაწყისში ქმნის საერთო სასწავლო კატალოგს, რომელიც მოიცავს რისკის, აუდიტის, ანაზღაურებისა და მმართველობის ყველა შესაბამის სფეროს. კატალოგი მოიცავს საჯაროდ ხელმისაწვდომი და კლიენტზე მორგებული ვებინარების, ანალიტიკური მასალებისგან და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან დისკუსიების შესაძლებლობას იძლევა. ტრენინგებს ატარებენ დიდი ოთხეულის სააღრიცხვო ფირმების წარმომადგენლები, გარე იურისტ-კონსულტანტები, სერტიფიცირებული ინსტიტუტები (როგორიცაა დირექტორთა ინსტიტუტი და მართვის ინსტიტუტი) და, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული სფეროს გამოცდილი ექსპერტები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ტრენინგების კატალოგს იყენებენ, რათა შექმნან თავიანთი სატრენინგო კალენდრები და გაცვალონ ცოდნა სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრების დროს ან ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს სპეციალური პლატფორმის მეშვეობით.

1.2. აღმასრულებელი ხელმძღვანელობის როლი

აღმასრულებელ დონეზე, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე პასუხისმგებლობა ენიჭება ESG-ს კომიტეტს, რომელიც შეიქმნა მმართველი საბჭოს მიერ 2021 წლის მარტში. ESG კომიტეტი პასუხს აგებს ESG სტრატეგიის განხორციელებაზე და ყოველწლიური სამოქმედო გეგმებისა და ინდივიდუალური, დეტალური სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე საკვანძო პროექტებისთვის. კომიტეტი ყოველ კვარტალში იკრიბება, ამ სამოქმედო გეგმების პროგრესისა და განხორციელების სტატუსის მონიტორინგისთვის. 2024 წელს ოთხ შეხვედრაზე განიხილეს კლიმატთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: TCFD-ის ანგარიშგება, TCFD-ის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა, ESG-ს რისკის დასაშვები დონე, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი სტრატეგიის მიზნების განხორციელების პროგრესი, როგორიცაა მდგრადი პორტფელის მოცულობა, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა, GHG-ის გაფრქვევების პირდაპირი ანგარიშები, ESG-სა და კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგების დღის წესრიგი თიბისის თანამშრომლებისთვის, და გარე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობა კლიმატთან დაკავშირებული მიდგომებისა და მეთოდოლოგიების შემუშავებაში. სხვა საკითხებთან ერთად, ESG კომიტეტის პასუხისმგებლობა მოიცავს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების განხილვასა და მონიტორინგს, ასევე, კლიმატთან დაკავშირებული იდენტიფიცირებული (არსებითი) რისკების მართვის ეფექტიანი შერბილებისა და კონტროლის სისტემის შექმნას.

ESG-ს სტრატეგიის განხორციელებას მხარს უჭერენ ESG-ს საკითხებზე პასუხისმგებელი სხვადასხვა ორგანიზაციული ერთეულები: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის გუნდი, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის დეპარტამენტი და ESG-ს კომპეტენციების ცენტრი, რომელიც არის კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის კონცეპტუალური ჩარჩო გაფართოების მხარდასაჭერად შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

გარდა ამისა, გარემოსდაცვითი კომიტეტი იკრიბება კვარტალურად და ზედამხედველობს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის დანერგვასა და ფუნქციონირებას, რაც მოიცავს რესურსების მოხმარებისა და თიბისი ბანკის ყოველდღიური ოპერაციების გარემოზე სხვა სახის ზეგავლენის საკითხებს. გარემოსდაცვითი

და სოციალური რისკების მართვის გუნდი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს გარემოსდაცვითი მართვის გეგმებისა და შედეგების შესახებ გარემოს დაცვის კომიტეტს. გარემოსდაცვითი კომიტეტი ანგარიშვალდებულია რისკების დირექტორის წინაშე.

2. სტრატეგია

ჯგუფის მიზანია, პასუხისმგებლობით იმოქმედოს და მართოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ და მოვახდინოთ დადებითი გავლენა გარემოზე. ამის მისაღწევად ჯგუფმა მკაფიოდ განსაზღვრა პროცესები, რათა გამოავლინოს და შეაფასოს კლიმატთან დაკავშირებული რისკები ჩვენი ბიზნესისთვის. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს ჯგუფს, შეამციროს ჩვენი ეკოლოგიური კვალი რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და ეკოლოგიურად სუფთა ზომების ხელშეწყობის გზით, კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად.

თიბისი ბანკმა განიხილა ყველა ის საოპერაციო საქმიანობა, შესყიდვები და აუთსორსინგული მომსახურება, რომლის გაკონტროლებაც შეუძლია (ახლანდელი და დაგეგმილი) და გამოავლინა ბიზნესისთვის რელევანტური ყველა მატერიალური გარემოსდაცვითი ასპექტი. ჩვენი ბიზნეს საქმიანობის უშუალო გარემოზე ზემოქმედება წარმოიქმნება ენერგიის, წყლის, საწვავისა და სხვა რესურსების გამოყენების, ნარჩენებისა და ემისიების შედეგად. ბანკმა ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი სისტემა, რომელიც მართავს GHG გაფრქვევებს და მოწოდებულია შეამციროს ისინი რესურსების მოხმარების ზედმიწევნითი მონიტორინგის გზით. თითოეული კატეგორიისთვის ზემოქმედების მნიშვნელობის შესაფასებლად, ჩვენ შევიმუშავეთ შეფასების ყოვლისმომცველი მეთოდოლოგია და მივუყენეთ ის მთელ ჯგუფს. ამის საფუძველზე, განისაზღვრება წლიური მიზნები და შემუშავდება კონკრეტული ინიციატივები და პროგრამები მათ მისაღწევად.

2020 წელს, თიბისი ბანკმა მოიპოვა ISO 14001:2015 სერტიფიკატი მისი გარემოსდაცვითი მართვის სისტემისთვის. 2021 და 2022 წლებში თიბისიმ წარმატებით დაასრულა ხელახალი სერტიფიცირების პროცესი. 2023 წლისთვის სერტიფიკატი განახლდა 2023 წლის დეკემბერში და ასევე, წარმატებით დასრულდა შემდგომი განმეორებით სერტიფიცირება 2024 წლისთვის. დამატებითი ინფორმაცია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ამ თავის რისკების მართვის ნაწილში 119-122 გვერდებზე.

2021 წელს ჯგუფმა შეიმუშავა და დაამტკიცა ESG სტრატეგია. 2024 წელს ჩვენ განვაახლეთ ჩვენი ESG სტრატეგია 2023 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის ასახვისა და მომავალი წლების მიზნებისა და ინიციატივების კორექტირების მიზნით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ESG სტრატეგიის 2024 წლის გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ინიციატივები:

2022 წლის ESG სტრატეგიის მიზანი/ ინიციატივა	2023 წელს არსებული მდგომარეობა	2024 წელს არსებული მდგომარეობა
სამიზნე მოცულობა 2022 წლისთვის 750 მილიონი ლარი იყო; მოცულობამ 782 მილიონი ლარი შეადგინა.	2023 წლის მიზნობრივი მოცულობა 1 მილიარდი ლარი იყო; მოცულობამ 1.23 მილიარდი ლარი შეადგინა.	2024 წლის მიზნობრივი მოცულობა 1.4 მილიარდი ლარი იყო; მოცულობამ 1.73 მილიარდი ლარი შეადგინა.
შემუშავდა და დამტკიცდა კლიმატის ცვლილების პოლიტიკა[2].	დარგობრივი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება - სებ-ის კლიმატური რისკების რადარის მიხედვით.	საქართველოს ეროვნული ბანკის ESG გაიდლაინების განხორციელება[3].
საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანერგა მწვანე ტაქსონომია, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო ტაქსონომიების შესაბამისად შემუშავდა. დასრულდა განხორციელების პროცესი.	დაინერგა მწვანე ტაქსონომია.	დაინერგა სოციალური ტაქსონომია.
განხორციელდა მწვანე დაკრედიტების პროცედურა.	საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მწვანე დაკრედიტების პროცედურის და მწვანე ტაქსონომიის ჰარმონიზაცია.	საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მწვანე დაკრედიტების პროცედურის და მწვანე ტაქსონომიის ჰარმონიზაცია.

1 ეკონომიკური საქმიანობის სია, რომლებიც არ ფინანსდება.
2 www.tbcbankgroup.com
3 www.nbg.gov.ge, ძალაშია 2025 წლის იანვრიდან.

2022 წლის ESG სტრატეგიის მიზანი/ ინიციატივა	2023 წელს არსებული მდგომარეობა	2024 წელს არსებული მდგომარეობა
შემუშავებულია გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის პროფილების ჩარჩო კორპორატიული მომხმარებლებისთვის.	შემუშავებულია გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის პროფილების ტოპ 20 კორპორატიული მომხმარებლებისთვის.	გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის პროფილის მეთოდოლოგია, რომელიც 2023 წელს დაინერგა, ინტეგრირებულია რისკის მართვის საერთო პროცესში.
გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონის შემუშავება.	დაინერგა რეგულარული ანგარიშგება, მონიტორინგი და მიმოხილვა.	განახლდა ESG რისკის დასაშვები დონის განმარტებები.
გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სასწავლო ჩარჩოს დანერგვა თიბისის ყველა თანამშრომლისთვის.	ESG საკითხების ცოდნის შეფასება თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის. გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის კვლევა ინვესტორებისთვის.	შეფასდა გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის საკითხებზე ინფორმირებულობის ინდექსი თანამშრომლებს შორის. ჩატარდა ESG კვლევები ინვესტორებს შორის. განხორციელდა ESG საკითხების ინტეგრირება მომხმარებელთა კვლევებში.
შემუშავდა ინდივიდუალური ESG სტრატეგიები მნიშვნელოვან შვილობილ კომპანიებში.	განხორციელდა გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიები და დადგინდა ჯგუფის დონეზე გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის ფუნქციის მხარდაჭერა.	განახლდა ESG სტრატეგიები 2023 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის ასახვის მიზნით.
ნეტო-ნულოვანი გამოფრქვევების მიზანი პირდაპირი გარემოსდაცვითი ზეგავლენისთვის.	შეფასდა ჯგუფის პირდაპირი ზეგავლენის მაჩვენებლები სათბური აირების გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებით პარიზის შეთანხმების მიზნებთან მიმართებით.	გეგმის შემუშავება გარემოზე ჩვენი არაპირდაპირი ზეგავლენის, ასევე ნეტო-ნულოვანი ნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით.
გეგმის შემუშავება გარემოზე ჩვენი არაპირდაპირი ზეგავლენის, ასევე ნეტო-ნულოვანი ნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით.	შემუშავდა დაფინანსებული გაფრქვევების დაანგარიშების მეთოდოლოგია PCAF მიდგომების შესაბამისად და განხორციელდა დაფინანსებული გაფრქვევების კალკულაცია ექვსი კლასისთვის.	შეფასდა ჯგუფის არაპირდაპირი შესრულების მაჩვენებლები სათბური აირების გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებით პარიზის ხელშეკრულების მიზნების საფუძველზე.

ჯგუფის მიზანია, იყოს ESG პრინციპების წამყვანი მხარდამჭერი საქართველოში და უფრო ფართო რეგიონში. ჩვენ ვისწრაფვით გარემოზე ჩვენი პირდაპირი ზეგავლენა ნეტო-ნულოვან ნიშნულამდე დავიყვანოთ. ჩვენი შეფასების მეთოდოლოგიების შემუშავების და მონაცემების გაუმჯობესების გზით, ჩვენ შევძელით ჩვენი ნეტო-ნულოვანი გზის უფრო ზუსტად განსაზღვრა გარემოზე პირდაპირი ზეგავლენისთვის (GHG გაფრქვევების Scope 1 და Scope 2). ჩვენ ვისწრაფვით გარემოზე ჩვენი პირდაპირი ზეგავლენა ნეტო-ნულოვან ნიშნულამდე 2030 წლისთვის დავიყვანოთ.

2024 წელს ასევე განვაგრძეთ ჩვენი გეგმის შემუშავება, ჩვენი არაპირდაპირი ზეგავლენის (Scope 3 გაფრქვევები) ნეტო-ნულოვან ნიშნულამდე დასაყვანად. ჩვენ შევიმუშავეთ GHG გაფრქვევების დაანგარიშების და მოდელირების ინსტრუმენტი პარიზის ხელშეკრულების მიზნების შესაბამისად. GHG გაფრქვევების გზები განისაზღვრა მეცნიერებაზე დაფუძნებული ინიციატივების მიზნების საფუძველზე[1]. მონაცემების არსებული მდგომარეობის და სიზუსტის დონის გათვალისწინებით, ვთვლით, რომ ჩვენ ნეტო-ნულოვანი ნიშნულის მიღწევის მიზანს 2050 წლისთვის მივუახლოვდებით. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია ნეტო-ნულოვან ნიშნულს ჩვენს გარემოსდაცვით შესრულების მაჩვენებლებში უფრო ადრე მივაღწიოთ და ამისათვის შევიმუშავებთ გრძელვადიან გარდამავლობის გეგმას, GHG გაფრქვევების შესამცირებლად.

2023 წლის დეკემბერში ბანკმა მიიღო მხარდაჭერა გლობალური Global Climate Partnership Fund S.A., SICAV-SIF-ის ტექნიკური დახმარების ჯგუფისგან. მხარდაჭერა მოიცავდა ერთწლიან საკონსულტაციო მომსახურებებს, ბანკის მიერ GHG გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებით პარიზის ხელშეკრულების მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. პროექტის მიზანია მეთოდოლოგიის დადგენა და მონაცემების მოგროვების პროცესის შეთავაზება, ჯგუფის ნახშირბადის ნაკვალევის შეფასებისა და მონიტორინგისთვის, ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ ეს შედეგები ანგარიშის სახით წარედგინოს და გარკვევით იყოს გაზიარებული როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებთან. RINA Consulting S.p.A.-ს მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურებები შემდეგ ქვეპროექტებს მოიცავდა:

- ნახშირბადის დაფინანსებული გაფრქვევების დაანგარიშება და ნახშირბადის შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწა;
- პარიზის ხელშეკრულების მიზნებთან თიბისის შესაბამისობის შეფასება და მომავალი გაფრქვევების სცენარების შემუშავება; და
- შესაბამისი გაიდლაინების და საპროგნოზო ინსტრუმენტების შემუშავება, Science Based Initiative-ის გამოცდილების საფუძველზე.

ამ პროცესს ჰქონდა კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგის მხარდაჭერა, რომელიც მიმართული იყო ბანკის უნარის, ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერებისკენ, დეკარბონიზაციის სამოქმედო გეგმების მართვისა და მათი თიბისის სტრატეგიასა და საქმიანობებში ინტეგრირების მიმართულებით. 2024 წელს ჩატარდა ოთხი სხვადასხვა ტრენინგი და სემინარი, რომლებიც ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის პარიზის ხელშეკრულება, ნეტო-ნულოვანი მიზნები, გარდამავლობის დაგეგმვა, დაფინანსებული გაფრქვევები, მონაცემების მოგროვება და სიზუსტე.

2023 წლის შემდეგ თიბისიმ რამდენიმე განსხვავებული ინიციატივა განახორციელა, კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მართვის მხარდასაჭერად:

- მომხმარებლებისთვის საკონსულტაციო და პროდუქტიული მომსახურება;
- დარგობრივი მიდგომა კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მიმართ;
- კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგი თიბისის თანამშრომლებისთვის;
- თიბისის თანამშრომელთა მწვანე ტაქსონომიის სწავლება და შესაძლებლობების გაზრდა;
- მწვანე ცნობიერებისა და მწვანე ტექნოლოგიების ტრენინგი მომხმარებლებისთვის.

2.1. კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები

კლიმატთან დაკავშირებული რისკები

ქვემოთ მოცემული ცხრილი შეიცავს ჯგუფის მიერ საქართველოს გარემოსთვის გამოვლენილი პოტენციური გარდამავლობის და ფიზიკური რისკების შეჯამებას.

შეფასებაში გათვალისწინებული დროითი ჰორიზონტები არის მოკლე (0-3 წელი), საშუალო (4-8 წელი) და გრძელი (რვა წლის ზემოთ). შესაძლო ზეგავლენის დონეები კლასიფიცირდება, როგორც დაბალი, საშუალო ან მაღალი. დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის კატეგორიები გამოყენებული იყო სექტორების და რისკის კატეგორიების შედარებითი რისკის შესაფასებლად. ისინი არ მიუთითებს შესაბამისი რისკის არსებითობაზე. იგივე ეხება გარდამავლობის ან ფიზიკური რისკის ქვეკატეგორიების რისკების შეფასებებს სხვა ქვეკატეგორიებთან შედარებით. ვინაიდან ეს გადაწყვეტილებები შედარებითია და არა აბსოლუტური, მათი შედარება არ შეიძლება სხვა ქვეყნებთან ან რეგიონებთან.

1 The Science Based Targets initiative (SBTi) არის კლიმატის დაცვაზე მიმართული კორპორაციული მოქმედებების ორგანიზაცია, რომელიც კომპანიებს და საფინანსო დაწესებულებებს მსოფლიო მასშტაბით საშუალებას აძლევს გახდნენ კლიმატთან დაკავშირებულ კრიზისთან ბრძოლის ნაწილი (www.sciencebasedtargets.org).



თიბისის ESG აკადემია


2024 წელს თიბისიმ ჩაატარა ESG აკადემიის პირველი კურსი „მწვანე აზროვნება და მწვანე დაფინანსება“ თავისი თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის, მათ შორის კლიმატის ცვლილების, მდგრადი განვითარებისა და ბიზნეს მოდელების, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ეს კურსი თიბისი ბანკის და „DEVELOR“-ის ერთობლივი პროდუქტია, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ორი ევროპული ფონდის - „EFSE Development Facility“ და „the GGF Technical Assistance Faculty“ ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში.


	გარდამავლობის რისკები				ფიზიკური რისკები	
რისკის წყაროები	**პოლიტიკა და სამართლებრივი საკითხები**	**ტექნოლოგია**	**ბაზარი**	**რეპუტაცია**	**მწვავე**	**ქრონიკული**
რისკის ტიპები	– გაძლიერებული მარეგულირებელი გარემოსდაცვითი და სავალდებულო მოთხოვნები: შეუძლია დანერგოს მინიმალური სტანდარტი ან მოლოდინი პროდუქტის გამოყვანის ან ბიზნეს ოპერაციების მწვანე რწმუნების შესახებ, გაძლიერებული ემისიების ანგარიშგების ვალდებულებები.	– არსებული პროდუქტებისა და მომსახურების უფრო დაბალი გაფრქვევების მქონე ალტერნატივებით ჩანაცვლება, მათ შორის მოთხოვნები წარმოების ტექნოლოგიის უფრო სუფთა ალტერნატივებით ჩანაცვლების შესახებ. ინვესტიცია ტექნოლოგიებში ემისიების შესამცირებლად ან ოპერაციებისა და შინამეურნეობების ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად.	– მომხმარებლის ქცევის შეცვლა, მათ შორის მიზანმიმართული სვლა ნახშირბადის ნაკვალევის პროდუქტების შემცირებაზე ნედლეულის გაზრდილი ღირებულება, გაზრდილი არასტაბილურობა და ხარჯები, ნახშირბადის მძიმე ნედლეულის მოპოვების შეზღუდვები.	– სამომხმარებლო პრეფერენციების მწვანე პროდუქტებზე გადატანა ექტორის სტიგმატიზება, რაც იწვევს შემოსავლის შემცირებას სამუშაო ძალის მართვასა და დაგეგმვაზე უარყოფითი ზემოქმედებისგან (მაგ., თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება) აინტერესებული მხარის გაზრდილი დაინტერესება ან დაინტერესებული მხარის უარყოფითი გამოხმაურება.	– ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების, (მაგალითად წყალდიდობები) მომატებული სიმძიმე.	– ცვლილებები ნალექების რაოდენობაში და ამინდის უკიდურესი ცვალებადობა, რომელიც გავლენას ახდენს საკვების წარმოებასა და საცხოვრებელ გარემოზე საშუალო ტემპერატურის მატება, რომელიც გავლენას ახდენს სამუშაო პირობებზე, საცხოვრებელ პირობებსა და ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე ზღვის დონის მატება, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივ ეკოსისტემებზე, იზრდება ჩაძირვისა და წყალდიდობის რისკები.
დროითი ჰორიზონტი horizon	საშუალო	გრძელი	საშუალო	გრძელი	საშუალო	გრძელი
პოტენციური ზეგავლენის დონე, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებლებზე და თიბისიზე	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო

ქვემოთ მოცემულია გარდამავლობის და ფიზიკური რისკების საერთო და სექტორების მიხედვით შეფასებები. ყველა სექტორი, ბანკის საკრედიტო პორტფელში 1% ან უფრო მაღალი წილით, ცალკე ფასდება. გარდა ამისა ნახშირბადთან დაკავშირებული სექტორები, როგორიც არის ლითონები და სამთომომპოვებელი მრეწველობა, ნავთობისა და გაზის სექტორი, ცალკე ფასდება, მიუხედავად იმისა, ფლობენ თუ არა ბანკის საკრედიტო პორტფელში 1%-ს. დროითი ჰორიზონტი მიუთითებს, როდის დაიწყება შესაბამისი რისკის მატერიალიზება, ხოლო პოტენციური ზემოქმედების დონე იძლევა რისკის დონეს. ივარაუდება, რომ რისკების დონე იგივე რჩება შემდეგ პერიოდებში.

გარდამავლობის რისკები



ფიზიკური რისკები



2024 წელს კიდევ უფრო მეტად გავაძლიერეთ ჩვენი კლიმატთან დაკავშირებული მიდგომები. გადავხედეთ კლიმატთან დაკავშირებული გარდამავალი და ფიზიკური რისკების შეფასებებს სექტორების დონეზე და გამოვიყენეთ საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ)[1] ESC რისკის რადარით განსაზღვრული მოსაზრებები, განსაკუთრებით მოკლევადიანი პერსპექტივისთვის. ESG რისკების რადარის შეფასების ეს სისტემა გამოყენებულია საქართველოს ყველა სექტორში, რაც კლასიფიცირებულია, როგორც ძირითადი სექტორი, NACE-ის სექტორების კოდების (Eurostat 2008) შესაბამისად. ამჟამად, უმაღლესი ქულაა 9, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში კრიტიკული დარგები არ არის გამოვლენილი. თუმცა, ზოგიერთი სექტორი (კერძოდ, ქულები 7, 8 და 9) პოტენციურად მაღალი რისკის შემცველია და სხვები (ქულები 5 და 6) წარმოადგენს კლიმატთან დაკავშირებულ რისკების გავლენის ქვეშ მყოფ პორტფელს[2] კლიმატთან დაკავშირებული რისკების რადარი საფუძველს უყრის კლიმატთან დაკავშირებული რისკების შეფასებას სექტორულ და ინდივიდუალური მომხმარებლის დონეზე. კლიმატთან დაკავშირებული აქტივობების რისკებისა და შესაძლებლობების განსაზღვრისას ჩვენ ვითვალისწინებთ კლიმატური რისკების რადარის ქულებს. ჩვენ შევიმუშავეთ ESG პროფილების შიდა მეთოდოლოგია გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის რადარის საფუძველზე. დამატებითი დეტალები მოცემულია რისკის მართვის საერთო პროცესის 121-122 გვერდებზე. გარდა ამისა, კლიმატის ზეგავლენის ქვეშ მყოფ სექტორებთან დაკავშირებული შესაძლებლობები მოცემულია ქვემოთ, კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობების ნაწილში, 116-ე გვერდზე.

გარდამავლობის რეგულაციებისა და სამართლებრივი ღონისძიებების გავლენის საერთო შეფასება

თიბისი ბანკმა შეაფასა სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებზე პოლიტიკის პოტენციური გავლენის მაჩვენებლები, რომლებიც საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიასა[3] და კლიმატის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაშია[4] განსაზღვრული, იმ ეკონომიკურ სექტორებზე, რომლებსაც ის აფინანსებს. გარდამავლობის რისკების პოტენციური გავლენა რომ შევაჯამოთ, საქართველოში და თიბისი ბანკის საქმიანობაზე გარდამავლობის რისკები დაბალია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკაში ვაჭრობა და მომსახურება დომინირებს და საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკის ზომები, საერთო ჯამში, მცირე გავლენას მოახდენს ეკონომიკის სექტორებზე, განსაკუთრებით მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. საქართველოს, როგორც გარდამავალი და მზარდი ეკონომიკის სტატუსის გათვალისწინებით, საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგია მიზნად ისახავს არა პოლიტიკის ზომებით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შეფერხებას, არამედ საჭიროების შემთხვევაში შეუფერხებელ გადასვლას. აღსანიშნავია, რომ გარდამავლობის რისკებით მსოფლიოში ყველაზე მეტად დაზარალებული ეკონომიკური სექტორები, როგორიცაა სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, ნედლი ნავთობი, ბუნებრივი აირი და ლითონის მადნები, კოქსის წარმოება და რაფინირებული ნავთობპროდუქტები[5], საქართველოში მხოლოდ ძალიან შეზღუდული მოცულობითაა წარმოდგენილი, რის შედეგადაც გარდამავლობის ზომების საერთო გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბალია.

ტექნოლოგიური რისკი

ტექნოლოგიური რისკი გარდამავლობის რისკის ქვეკატეგორიაა. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური რისკი, ტექნოლოგიების განვითარებაში არასაჭირო ინვესტიციები ან ტექნოლოგიურ გაუმჯობესებაში არარსებული ინვესტიციები საქართველოში დაბალი ოდენობით შეფასდა. ქართული კომპანიები თითქმის არ ახდენენ ინვესტირებას ახალი მწვანე ტექნოლოგიების განვითარებაში; ამის ნაცვლად, ისინი სარგებლობენ სხვა, ტექნოლოგიურად მოწინავე ქვეყნებში შემუშავებული ტექნოლოგიებით და ნერგავენ ტექნოლოგიებს, რომლებიც უკვე შემოწმებული და დამკვიდრებულია. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარუმატებელი ინვესტიციები განხორციელდეს.

საბაზრო რისკი და რეპუტაციული რისკი

საბაზრო რისკი დაბალია, რადგან საქართველოში მომხმარებელთა ქცევა აჩვენებს ძალიან ნელ ტენდენციას დაბალი ნახშირბადის ნაკვალევის მქონე პროდუქტების მიმართ. რეპუტაციული რისკის გამო, არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი, რადგან თიბისი ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორისათვის, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და მიჰყვება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. დამატებითი ინფორმაცია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ იხილეთ 135-146 გვერდებზე.

მწვავე და ქრონიკული ფიზიკური რისკების გავლენის საერთო შეფასება

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები, როგორც მთიანი ლანდშაფტის, შავი ზღვის სანაპირო ზონის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნახევრად უდაბნოების მქონე პატარა ქვეყანა, ხელს უწყობს ქვეყნის მოწყვლადობას კლიმატის ცვლილების ფიზიკური რისკების მიმართ. საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მოწყვლად სექტორებად ითვლება სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, ტურიზმი და ჯანდაცვა[6].

მწვავე და ქრონიკული ფიზიკური რისკის გავლენა ეკონომიკურ სექტორებზე, რომლებიც ფინანსდება თიბისი ბანკის მიერ, დროთა განმავლობაში შესაძლოა, არსებითი გახდეს. ჯგუფისთვის რისკები შეიძლება, გამოიხატოს აქტივების ღირებულებების გაუფასურებით და საქართველოში მოქმედი მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით. გარკვეული გეოგრაფიული არეალები და ეკონომიკური სექტორები, როგორიც არის ზამთრის კურორტები და სასოფლო-სამეურნეო მიწები, უკვე ნაწილობრივ დაზარალებულია და შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს საშუალოვადიან პერიოდში. საქართველოსა და თიბისი ბანკის საქმიანობაზე მწვავე და ქრონიკული რისკების პოტენციური გავლენის საერთო შეფასება საშუალოა გრძელვადიან პერსპექტივაში. ამჟამად თიბისი ბანკის საქმიანობაზე დაკვირვებადი არსებითი გავლენა არ არის. გასაგებია, რომ კლიმატის ცვლილების რისკები მეტწილად დაკავშირებულია გრძელვადიან ზეგავლენასთან; თუმცა, ეს გრძელვადიანი ზემოქმედება გაურკვეველია, განსაკუთრებით ბანკის სასესხო პორტფელის უფრო მოკლევადიანი ვადიანობის სტრუქტურის გათვალისწინებით.

კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები

კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები პირდაპირ კავშირშია კლიმატის რისკებთან და ეკონომიკურ სექტორებთან, რომლებსაც აქვთ გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ან/და შესაძლოა პოტენციურად ზეგავლენა მოახდინონ კლიმატის რისკებზე. შემსუბუქების ღონისძიებების დაფინანსება (GHG გაფრქვევების შემცირება) მოიცავს ისეთ სექტორებს, როგორიცაა ტრანსპორტი, მშენებლობა, ენერგიის წარმოება და გადაცემა, სოფლის მეურნეობა და წარმოება. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია მოიცავს სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმისა და წყლის რესურსების სექტორებს.

თიბისის მიდგომა შეესაბამება საქართველოს კლიმატის სამოქმედო გეგმას ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუციის მიზნების განსახორციელებლად:

- დაგეგმილი სათბური აირების გაფრქვევების 15%-ით შემცირება სატრანსპორტო სექტორში 2030 წლისთვის;
- დაბალი ნახშირბად-ინტენსივობის მაჩვენებლის მხარდაჭერა სამშენებლო სექტორში, კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებზე ორიენტირებული ენერგოეფექტური ტექნოლოგიების და სერვისების წახალისების გზით;
- დაგეგმილი სათბური აირების გაფრქვევების 15%-ით შემცირება ენერგიის გამომუშავების და გადაცემის სექტორში 2030 წლისთვის;
- დაბალი ნახშირბად-ინტენსივობის მაჩვენებლის მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის სექტორში, სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიების და სერვისების წახალისების გზით;
- ინდუსტრიულ სექტორში დაბალი ნახშირბად-ინტენსივობის მაჩვენებლის მხარდაჭერა ეკოლოგიურად სუფთა ინოვაციური ტექნოლოგიების და სერვისების წახალისების გზით, შესაბამისი ღონისძიებების გარეშე დაგეგმილ გაფრქვევებთან შედარებით გაფრქვევების 5%-ით შეზღუდვის მიზნით;
- დაბალი ნახშირბად-ინტენსივობის მაჩვენებლის მხარდაჭერა ნარჩენების მართვის სექტორში, ეკოლოგიურად სუფთა ინოვაციური ტექნოლოგიების და სერვისების წახალისების გზით.

ჩვენ ვაცნობიერებთ მდგრადი დაფინანსების მნიშვნელობას და აქტიურად ვართ ჩართული მდგრადი დაფინანსებისადმი სტანდარტიზებული მიდგომის შემუშავებაში, მათ შორის, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიისა და რესურსების ეფექტურობის დაფინანსებაში ჩვენი საცალო და ბიზნეს კლიენტებისთვის. ჩვენი მდგრადი პორტფელის უდიდესი ნაწილი შედგება ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიისა და რესურსების ეფექტურობის დაფინანსებისგან და უტოლდება 952 მილიონ ლარს 1.73 მილიარდი ლარიდან. მდგრადი პორტფელის დარჩენილი ნაწილი მოიცავს ქალებისა და ახალგაზრდების დაფინანსებას, ხელმისაწვდომ საცხოვრებელსა და სტარტაპების დაფინანსებას. მდგრადი პორტფელის ზრდის სამიზნეები მოცემულია ESG სტრატეგიაში ყოველწლიურად; სამიზნეები განისაზღვრება მწვანე დაფინანსების მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინებისა და თიბისი ბანკის შესაბამის ბიზნეს განყოფილებებთან განხილვის შედეგად. 2025 წლისთვის დირექტორთა საბჭომ 2 მილიარდი ლარის მიზნობრივი მოცულობა დაამტკიცა.

1 www.nbg.gov.ge
2 7 ქულა - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა, არა მრავალწლიანი მარცვლეული კულტურები, მეტყევეობა და ხის მასალის წარმოება, წარმოება და საკვები პროდუქტები, ქიმიური პროდუქტების წარმოება, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, აორთქლება და კონდიცირება, წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და აღდგენა. 6 ქულა - მრავალწლიანი მარცვლეული კულტურები, ცხოველთა მოშენება, მეთევზეობა და აკვაკულტურა, წარმოება, თამბაქოს პროდუქტების წარმოება, კოქსის და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების წარმოება, ავტომობილების, მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების წარმოება, მშენებლობა, ტრანსპორტირება და დასაწყობება (www.nbg.gov.ge).
3 www.mepa.gov.ge
4 www.mepa.gov.ge
5 Key elements of the 2021 საკვანძო ელემენტები: ფინანსური რისკები კლიმატის ცვლილებიდან | ინგლისის ბანკი.
6 www.unfccc.int

განახლებადი ენერგიის წარმოების არსებული პოტენციალის გათვალისწინებით, თიბისი გახდა წამყვანი პარტნიორი საქართველოში ადგილობრივი განახლებადი ენერგიის დაფინანსების, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურების მიმართულებით.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა მოვიზიდოთ დაფინანსება მდგრადი დაკრედიტებისთვის:

- თიბისი აქტიურად ახორციელებს პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების მწვანე ფონდების მობილიზებას მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად, პირველ რიგში, ენერგოეფექტურობის, რესურსების ეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პროექტების დაფინანსების გზით. ეს ინსტრუმენტები დაეხმარება ადგილობრივ ბიზნესებსა და შინამეურნეობებს, გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები მაღალი წარმადობის ტექნოლოგიებში ინვესტირებისა და ენერგოეფექტური პრაქტიკის დანერგვის გზით. გარდა ამისა, დაფინანსებას თან ახლავს ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მსესხებლებისთვის ნოუ-ჰაუ და ტექნიკურ ექსპერტიზას და მათი მწვანე ინვესტიციების წარმატებით განხორციელებას. რამდენიმე მწვანე ინიციატივას აქვს საგრანტო წახალისებაც. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, თიბისიმ მოიზიდა სხვადასხვა მწვანე დაფინანსება მთლიანობაში დაახლოებით 960 მილიონი ლარის ოდენობით, საიდანაც დაახლოებით 460 მილიონი ლარი მოზიდული იყო 2024 წლის განმავლობაში ისეთი მრავალწლიანი საერთაშორისო პარტნიორებისგან, როგორიც არის EIB, EBRD, GGF, GCPF, FMO და ProParco.
- გარდა ამისა, 2022 წელს, 2021 წელს მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) აკრედიტაციის მიღების შემდეგ, თიბისიმ ხელი მოაწერა აკრედიტაციის გენერალურ ხელშეკრულებას (AMA), რომელიც არის ცენტრალური ინსტრუმენტი, რომელიც ადგენს მწვანე კლიმატის ფონდთან (GCF) მუშაობის ძირითად წესებსა და პირობებს. ეს ანიჭებს თიბისი ბანკს GCF-ისგან ფინანსურ რესურსებზე წვდომისა და მობილიზაციის უფლებას და აფორმებს თიბისის ანგარიშვალდებულებას GCF-ის მიერ დამტკიცებული პროექტების სათანადოდ განხორციელებაში.
- ბანკი აცნობიერებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის მნიშვნელობას და აქვს რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ქალთა მეწარმეობის განვითარებას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობით, არაფინანსური მომსახურებისა და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობების უზრუნველყოფით. გარდა ამისა, ბანკს გამოყოფილი აქვს ახალგაზრდა მსესხებლებისა და მეწარმეების მხარდამჭერი სახსრები, რომელიც უზრუნველყოფს სესხების გაცემას განათლებისთვის, იპოთეკურ სესხებს, ასევე სესხებს ბიზნესის დასაწყებად;
- თიბისი ბანკი სტარტაპებზე, ქალ და რეგიონულ მეწარმეებზე ორიენტირებულ რამდენიმე საგარანტიო საშუალებას ფლობს. რისკების გაზიარების ეს ინსტრუმენტები წარმოადგენენ უზრუნველყოფის ნაწილობრივ შემცვლელს და საშუალებას აძლევს ბანკს, გაზარდოს ხელმისაწვდომობა დაფინანსებაზე სამიზნე ჯგუფებისთვის, რაც მათ ზრდისა და განვითარების უკეთეს შესაძლებლობებს მისცემს.

2.2. კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობების გავლენა ბიზნესზე, სტრატეგიასა და ფინანსურ დაგეგმვაზე

2024 წელს ჩვენ ყურადღებას ვამახვილებდით დეტალური გარდამავლობის გეგმების შემუშავებაზე, რომელიც დაფუძნებულია სათბური აირების გაფრქვევების შემცირების მიზნით ჯგუფის საქმიანობის შედეგების შეფასებაზე პარიზის ხელშეკრულების მიზნებთან მიმართებაში. შემუშავების პროცესის მხარდასაჭერად, ჩვენ დავუკავშირდით საერთაშორისო კონსულტანტ კომპანიას, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებს და შევიმუშავეთ სამუშაო დეტალური აღწერა, რომელიც მოიცავს შემდეგს: დაფინანსებული გაფრქვევების გაანგარიშება, ნახშირბადის ანგარიშგება, პარიზის ხელშეკრულებასთან შესაბამისობა, დეკარბონიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება, ნახშირბადის ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია, შერჩეული მომხმარებლების ნახშირბადის ნაკვალევის შეფასება და ინსტიტუციური ცოდნის განვითარება.

ჩვენი გარდამავლობის გეგმის მხარდაჭერა. ჩვენ უკვე განვახორციელეთ რამდენიმე ღონისძიება:

- ჩვენ დავამონტაჟეთ მზის ელექტროსადგურები ორ ადგილმდებარეობაზე, მთლიანი სიმძლავრით 130 კვტ. ინვესტიციების მთლიანმა თანხამ 23,000 ლარი შეადგინა. გეგმით გათვალისწინებულია რეგიონებში მთლიან მოხმარებულ ელექტროენერგიაში განახლებადი ენერგიის წილის 50%-მდე ზრდა;
- ჩვენ თანდათან ვზრდით ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების წილს ჩვენს ავტომობილების ავტოპარკში. მათი რიცხვი 67%-ს შეადგენს;
- 2022 წლიდან ყველა ახალგარემონტებულ ფილიალში ვამონტაჟებთ ენერგოეფექტურ გათბობა-გაგრილების სისტემებს; მთლიანი ინვესტიციები სამშენებლო სამუშაოების ჩათვლით უდრის 2.3 მილიონ ლარს;

- 2024 წლის განმავლობაში, ჩვენ განვაახლეთ IT ინფრასტრუქტურის ნაწილი ენერგოეფექტური სერვერებით. შედეგად, სერვერების გამოთვლითი რესურსები 20-30%-ით გაიზარდა, ელექტროენერგიის დამატებითი მოხმარების საჭიროების გარეშე. შესაბამისად, ამ ცვლილებებმა ელექტროენერგიის პოტენციური დანახარჯები 20-30%-ით შეამცირა;
- ამასთან, ჩვენ ვაპირებთ 36 ელექტრო დამტენი სადგურის დამონტაჟებას ჩვენს სათავო ოფისთან და სხვა ობიექტებზე; დაგეგმილი ინვესტიციების ოდენობა 450,000 ლარს შეადგენს.

ჩვენი პორტფელის გამწვანებისა და დაფინანსებული ემისიის შემცირების (Scope 3) მხარდასაჭერად, ჩვენ ვაძლიერებთ ძალისხმევას მწვანე დაფინანსების კუთხით.

- მწვანე დაფინანსების მოცულობას ყოველწლიურად ვზრდით;
- 2024 წელს ჩვენ 24%-ით გადავაჭარბეთ ჩვენს სტრატეგიულ მიზანს - 1.4 მილიარდი ლარის მდგრადი პორტფელის მოცულობას და მივაღწიეთ 1.73 მილიარდ ლარს;
- სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან მოზიდული მწვანე დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. 2024 წლის მდგომარეობით, ეს უდრის 960 მილიონ ლარს.

ძირითადი შესაძლებლობები ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერგიის დაფინანსებაშია. თუმცა, ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული სხვა დაფინანსებების ფართო სპექტრს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობების შეჯამება სექტორის მიხედვით.

სექტორი	% ცალკემდგომი ბანკის საკრედიტო პორტფელში	სათბური აირების კონტრიბუციის დონე[1]	კლიმატური რისკის შეფასება[2]	პროდუქტების კატალოგი
სოფლის მეურნეობა	4.6%	4	7	ენერგოეფექტურობის სესხები კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიები ახალი სარწყავი სისტემები
ავტომობილები	1.3%	4	5	ჰიბრიდული და ელექტრომობილები ევრო 5, ევრო 6 და ევრო 7 ავტომობილები ენერგოეფექტურობის სესხები სამრეწველო ავტომობილები
მშენებლობა	6.9%	3	6	ენერგოეფექტურობის სესხები სამშენებლო პროექტებისთვის, ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების წარმოება. ენერგოეფექტურობის სესხები მანქანა-დანადგარებისთვის / ტექნიკისთვის ელექტრომობილების დამტენი სადგურები
ენერგია და კომუნალური მომსახურებები	4.7%	4	7	განახლებადი ენერგიის დაფინანსება ელექტრომობილების დამტენი სადგურები
კვების მრეწველობა	5.4%	4	7	ენერგოეფექტურობის სესხები (საწყობები, საცავი, ტექნიკა, მანქანები)
ფიზიკური პირები	37.1%	N/A	N/A	ენერგოეფექტურობის იპოთეკური სესხი ჰიბრიდული და ელექტრომობილების სესხები
წარმოება	0.7%	3.5	6	ენერგოეფექტურობის სესხები (დანადგარები, ტექნიკა, შენობები) ნახშირბადის ფილტრაცია
ლითონები და და სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	0.8%	4	5	ენერგოეფექტურობის სესხები (დანადგარები, ტექნიკა, შენობები)
ნავთობი და გაზი	1.2%	4	7	ელექტრომობილების დამტენი სადგურების მშენებლობის ენერგოეფექტური სესხები
უძრავი ქონება	9.5%	3	5	ენერგოეფექტურობის სესხები განახლებადი ენერგიის დაფინანსება (მზის პანელები)
ტრანსპორტი	1.4%	3.5	6	ჰიბრიდული და ელექტრომობილები ევრო 5, ევრო 6 და ევრო 7 ავტომობილები, ავტობუსები, სატვირთო ავტომობილები

1 კლიმატური რისკების რადარი ახდენს სათბური აირების გაფრქვევების მიმართულებით განხორციელებული გაფრქვევების ქულას, 1990-2017 წლების საქართველოს სათბური აირების მარაგების ეროვნული ანგარიშის შესაბამისად.
2 კლიმატური რისკების რადარი განსაზღვრავს რისკის 4 კატეგორიას: 0-3 უმნიშვნელო, 4-5 მგრძნობიარე, 6-7 მაღალი რისკი, 8-10 კრიტიკული. კრიტიკული რისკ-პროფილის მქონე სექტორები არ არსებობს.

2024 წელს ჩვენ გავაგრძელეთ კლიმატის და უფრო ფართო ESG მოსაზრებების ჩართვა ჩვენი ფინანსური დაგეგმვის პროცესებში. დამატებითი ხარისხობრივი მოსაზრებები, დაკავშირებული კლიმატთან და ESG საკითხებთან, ჩართული იყო 2024 წლის ფინანსური დაგეგმვის ციკლში. 2024 წელს ჯგუფმა სასესხო პორტფელის ზრდის დაგეგმვა რისკებსა და შესაძლებლობებს მოარგო სხვადასხვა ბიზნეს სეგმენტში: საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები და კორპორატიული სეგმენტი.

2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, ბანკის მდგრადი პორტფელი, რომელიც 1.73 მილიარდ ლარს უდრის, მოიცავს სხვადასხვა დანიშნულების მქონე სესხებს, როგორიცაა: ენერგოეფექტურობის სესხები, ელექტრომობილების სესხები, განახლებადი ენერგიის დაფინანსება მზის პანელებისა და ჰიდროელექტროსადგურებისთვის.

სექტორი	% ცალკემდგომი ბანკის საკრედიტო პორტფელში	მდგრადი პორტფელის წილის ზრდა	2024 წელს დაფინანსების საყურადღებო სფეროები
საცალო სეგმენტი	36%	1%	ენერგოეფექტურობა ელექტრო და ჰიბრიდული მანქანები იპოთეკები მზის პანელები
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME) სეგმენტი	24%	6%	ენერგოეფექტურობა განახლებადი ენერგია კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიები ჰიბრიდული და ელექტრომობილები სამრეწველო ავტომობილები
კორპორაციული სეგმენტი	40%	93%	ენერგოეფექტურობა განახლებადი ენერგია კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიები ახალი სარწყავი სისტემები სამრეწველო ავტომობილები

2025 წელს ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ დარგობრივი გარდამავლობის გეგმების ინტეგრირებასა და პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ფინანსური დაგეგმვის პროცესში, შესაბამისი მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების შემუშავებაზე და შიდა კომპეტენციებისა და შესაძლებლობების ზრდაზე.

2.3. კლიმატთან დაკავშირებული სცენარები

თიბისი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს სცენარული ანალიზის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა უკეთ გაერკვეს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სავარაუდო შედეგებში ჩვენი ბიზნესისა და მომხმარებლებისთვის და რეაგირება მოახდინოს მათზე. კლიმატთან დაკავშირებული სცენარული ანალიზის შემუშავება დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან კლიმატის მონაცემებისა და ქვე-სექტორული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ვარგისიანობა ფინანსური რისკების ანალიზისთვის, ასევე კლიმატთან დაკავშირებული რისკების მოდელირების შესაძლებლობები საქართველოში ძალიან შეზღუდულია და ჯერ კიდევ ვითარდება. მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, სცენარული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, შევამოწმოთ კლიმატის ცვლილების შესაძლო განვითარების სხვადასხვა გზები და გავიაზროთ მათთან დაკავშირებული რისკების ხასიათი და მასშტაბი. სცენარული ანალიზის მიზანია არა მომავლის პროგნოზირება, არამედ შესაძლო რისკებში გარკვევა და მათი მართვისთვის მომზადება.

2024 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) შეიმუშავა კლიმატის სტრეს-ტესტის სრულფასოვანი ჩარჩო[1], რომელიც რამდენიმე ანალიტიკურ მოდულს და სპეციალიზებულ ინსტრუმენტს მოიცავს, მწვავე ფიზიკური რისკებისა და გარდამავლობის რისკები შესაფასებლად. როგორც ფიზიკური, ისე გარდამავლობის რისკებზე განსაზღვრებით, ჩარჩოში მოცემულია კლიმატის ცვლილებით წარმოქმნილი გამოწვევების ჰოლისტიკური ხედვა. ის საცნობარო მიზნით იყენებს NGFS სცენარებს სტრეს-ტესტის გლობალური მასშტაბით აღიარებულ სტანდარტებზე მოსარგებად. ეს ჩარჩო სრულფასოვანია, მოიცავს საცალო

(საყოფაცხოვრებო სექტორი) და არასაცალო პორტფელებს (კორპორატიული სექტორი), უზრუნველყოფს იმას, რომ ქართულ ფინანსურ სექტორში არსებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი სათანადოდ იქნას შეფასებული კლიმატთან დაკავშირებული პოტენციური სისუსტეების გამოსავლენად.

კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩო

კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩო მოიცავს:

- მწვავე ფიზიკურ კლიმატის რისკის მოდულს[2], რომელიც მიმართულია ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემაზე მყისიერი გავლენის შეფასებაზე. ამ მოდულში გამოყენებულია განვლილი პერიოდის მონაცემები, სცენარის მშენებლობა და მოწინავე მოდელირების ტექნიკები, ისეთ კონკრეტულ საფრთხეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ზიანისგან დასაცავად, როგორიც არის მაღალი ტემპერატურა, ექსტრემალური ნალექები და გრიგალი. ეს პროგნოზები შემდეგ გამოიყენება უფრო ფართო ეკონომიკური გავლენების შესაფასებლად, მათ შორის პოტენციური ცვლილებები მშპ-სა და დარგობრივ წარმოებაში.
- ტრადიციული რისკისა და ქრონიკული ფიზიკური რისკის მოდული[3], რომელიც მიმართულია უფრო გრძელვადიან რისკებზე. ამგვარი რისკები უკავშირდება კლიმატის თანდათანობით ცვლილებას და დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლას. ისეთი სცენარების ანალიზის საფუძველზე, როგორიც არის შეფერხებული გადასვლის გზები, ეს მოდული ამოწმებს როგორ იმოქმედებს მკვეთრი პოლიტიკური ცვლილებები, ტექნოლოგიური ძვრები და ბაზრის დინამიკა ფინანსურ სექტორზე.
- სტრეს-ტესტის მოდული კორპორატიული სექტორისთვის შექმნილია კორპორატიული სესხების კლიმატთან დაკავშირებული რისკის ზომის შესაფასებლად, უმოქმედო სესხებზე, თითოეულ სექტორში საკრედიტო ზარალის ანარიცხებზე და ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე პოტენციურ ზეგავლენაზე ფოკუსით. ის აერთიანებს მკაცრი ფიზიკური და გარდამავლობის რისკების შედეგებს პროექტის სექტორის შესაბამის უმოქმედო სესხების კოეფიციენტთან, სხვადასხვა კლიმატური სცენარის ფარგლებში. ეს მიდგომა გვაძლევს შესაძლებლობას დეტალურად განვსაზღვროთ, როგორ შესაძლოა განხორციელდეს კლიმატთან დაკავშირებული რისკების ზემოქმედება კორპორატიული სექტორის სხვადასხვა ინდუსტრიებზე, კერძოდ კი ისეთ დარგებზე, რომლებიც მეტად ნახშირბადშემცველები არიან ან ნაკლებად შეუძლიათ კლიმატთან დაკავშირებულ პოლიტიკებთან ასოცირებული დანახარჯების გაწევა. ეს მოდული იყენებს სებ-ის სტრეს-ტესტის დაღმავალ მოდელს, ბანკის კაპიტალზე ფინანსური ზემოქმედების სიმულირების და ზოგადად სექტორის სტაბილურობის შესაფასებლად.
- სტრეს-ტესტის მოდული საყოფაცხოვრებო სექტორისთვის აფასებს კლიმატთან დაკავშირებული რისკების გავლენას საყოფაცხოვრებო სესხებზე, უმოქმედო სესხების კოეფიციენტებზე, საკრედიტო ზარალის ანარიცხებსა და ბაკის კაპიტალის ადეკვატურობაზე მათ ეფექტებზე ფოკუსით. ის იყენებს ისეთი საკვანძო მაჩვენებლების პროგნოზირებას, როგორიც არის უძრავი ქონების ფასები და სესხისა და ფასის თანაფარდობის კოეფიციენტი, სხვადასხვა კლიმატური სცენარების ქვეშ. საყოფაცხოვრებო სექტორის სისუსტეების შეფასებისას, მწვავე ფიზიკურ თუ გარდამავლობის რისკებთან მიმართებით, ეს მოდული იძლევა ინფორმაციას ფინანსურ სტაბილურობაზე უფრო ფართომასშტაბიანი გავლენების შესახებ, რაც საყოფაცხოვრებო საკრედიტო პორტფელზე პოტენციური სტრეს-ფაქტორების სრულფასოვნად შეფასების საშუალებას იძლევა.

1 www.nbg.gov.ge

2 NGFS არ ატარებს მწვავე კლიმატური რისკის შეფასებებს და არ ახორციელებს საქართველოსთვის შესაბამის სცენარებს; შესაბამისად, საჭირო გახდა ალტერნატიული წყაროები. GIZ კვლევა „საქართველოში კლიმატისადმი მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა“ არსებით ინფორმაციას იძლევა განვლილი და საპროგნოზო კლიმატური საფრთხეების და საქართველოსთვის მათი ეკონომიკური ეფექტების შესახებ. კერძოდ, ის აფასებს ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების განვლილი შემთხვევებს და შედეგად მიღებულ მონეტარულ ზიანს. ეს დასკვნები შემდეგ გამოიყენება მაღალი ტემპერატურის, ექსტრემალური ნალექების და გრიგალის შემთხვევაში მოსალოდნელი დიფერენციალური ეფექტების სინთეზირებას, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის. (GIZ. 2022. „საქართველოში კლიმატისადმი მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა“: www.giz.de).

3 საქართველოსთვის ამ პროგნოზების გენერირება განხორციელდა სამი ინტეგრირებული შეფასების მოდელის (IAM) გამოყენებით: REMIND-MAgPIE, MESSAGEix-GLOBIOM და GCAM. თითოეული ეს მოდელი აწარმოებს კლიმატთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელოვანი ცვლადების განსხვავებულ პროექტირებას. მათი კატეგორიზაცია რამდენიმე სცენარში ხდება. REMIND-MAgPIE მოდელის არჩევა მოხდა საქართველოსთვის რელევანტური კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი სცენარის ანალიზის სასურველ ინსტრუმენტად, რამდენიმე მიზეზის გამო: ა) REMIND-MAgPIE მოდელი აჯგუფებს საქართველოს რეგიონთან, რომელიც ყველაზე მეტად ერგება მის ძირითად სავაჭრო პარტნიორებს და ასევე მსგავსი სტრუქტურების მქონე ეკონომიკებთან; ბ) REMIND-MAgPIE მოდელი უფრო ახლოს არის თავისი CO2 გაფრქვევების პროგნოზებით, კერძოდ ენერგეტიკულ სექტორში; გ) REMIND-MAgPIE-მ მეტად რეალისტური პროგნოზები ჰქონდა წარმოდგენილი, განსაკუთრებით ნეტო-ნულოვანი 2050 სცენარის ფარგლებში და იწინასწარმეტყველა უფრო ნაკლები და მეტად სარწმუნო ფასები ნახშირბადზე და სახელმწიფოს შემოსავლები ნახშირბადის გადასახადიდან, MESSAGEix-GLOBIOM-თან შედარებით; დ) REMIND-MAgPIE მოდელმა გამოავლინა მეტად ლოგიკური და თანმიმდევრული დამოკიდებულება მშპ-ის ზრდასა და ენერგომოხმარებას შორის, კონკრეტულად სამრეწველო სექტორში.

ამ მოდელირების მიდგომის საკვანძო ასპექტია ინფორმაციის ტრადიციული შეყვანა-გამოხმობის (IO) მოდელებიდან გადახვევა. როგორც წესი, IO მოდელებში, მთლიანი გამომუშავება ენდოგენურად განისაზღვრება ეგზოგენური საბოლოო მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა, ექსტრემალური მეტეოროლოგიური შემთხვევების პირობებში, ეს დაშვება არ მუშაობს. ამგვარი შემთხვევები მნიშვნელოვან შეზღუდვებს უქმნის მოწყვლად ინდუსტრიებს და ზღუდავს მათ მომავალი მოთხოვნის დაკმაყოფილების უნარს. შედეგად, ამ ინდუსტრიებისთვის საბოლოო მოთხოვნა აღარ ჩაითვლება ეგზოგენურად, რადგან მან უნდა გაითვალისწინოს კლიმატური შოკით გამოწვეული მიწოდებასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

ამგვარ სირთულეზე რეაგირებისთვის გამოყენებულ იქნა შერეული ენდოგენური/ეგზოგენური მოდელი (MEEM). ეს მიდგომა იყენებს ერთდროული მიწოდებისა და მოთხოვნის შეზღუდვებს, რომლებიც წარმოიშობა აქტიური ფიზიკური რისკის გამო ინდუსტრიების წინაშე მდგომი შეფერხებები. შერეული ენდოგენური/ეგზოგენური მოდელი, მილერისა და ბერის (1985) მიხედვით, საშუალებას გაძლევს მეტად ზუსტად მოვახდინოთ ეკონომიკური დინამიკების წარმოდგენა სცენარებში, რომელშიც ინდუსტრიები ეგზოგენურად ვერ შეასრულებენ მიღებულ მოთხოვნებს ფიზიკური შეზღუდვების გამო[1].

ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობები ერთჯერად შოკად მიიჩნევა, მათი წარმოშობის შემდგომი წლისთვის ეფექტების პროგნოზირებით, ე.ი. ერთწლიანი პროგნოზი. თუმცა, შემდგომ წლებზე ამ საფრთხეების ზეგავლენას წინასწარი გადანაწილების გზით ხდება. წინასწარი გადანაწილება უზრუნველყოფს მშპ-ზე და დარგობრივ მთლიან დამატებულ ღირებულებაზე თითოეული საფრთხის კუმულაციური ეფექტები აღირიცხება, რაც იძლევა გრძელვადიანი ეკონომიკური ზემოქმედებების უფრო სრულყოფილ სურათს.

მშპ-ის პროგნოზებთან ერთად, სებ-ის სტრეს-ტესტის მოდელისთვის საჭიროა დამატებითი მაკროეკონომიკური ცვლადები. ARDL მოდელები[2] შესაფერისია მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს (მაგ. მშპ-ს, ინფლაციას და საპროცენტო განაკვეთებს) შორის დამოკიდებულების შესასწავლად დროთა განმავლობაში. ისინი გვეხმარება იმის შემოწმებაში, რამდენად მოქმედებს ერთი ცვლადის ცვლილება სხვადასხვა დროით ჰორიზონტებში და ცვლადების მომავალი ღირებულებების პროგნოზებზე, მათი განვლილი პერიოდების შაბლონების და ურთიერთობების საფუძველზე.

სცენარის შერჩევა

NGFS-მა მე-4 ფაზის ფარგლებში შვიდი სცენარი შექმნა, რომელთაგან ყველა მსგავს სოციალურ-ეკონომიკურ დაშვებებზეა დაფუძნებული და ითვალისწინებს ბოლო დროს ენერგეტიკულ ბაზარზე არსებულ, მაგალითად უკრაინის ომით წარმოშობილ ვითარებას. ეს სცენარები ოთხ კატეგორიად არის დაყოფილი: „ორგანიზებული“ სცენარები (სამი სცენარი), „არაორგანიზებული“ სცენარები, „სათბური სამყაროს“ სცენარი (ორი სცენარი), „ძალიან ცოტა, ძალიან გვიან“ სცენარი. „არაორგანიზებული“ კატეგორიიდან შეირჩა სცენარი „დაგვიანებული გადასვლა საშუალო ქრონიკული ფიზიკური რისკებით“. ამ სცენარის არჩევის მიზეზი იყო ის, რომ ის წარმოადგენს ერთ-ერთ უმაღლესი გარდამავლობის რისკის სცენარს და ასახავს იმ არსებით გამოწვევებს, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეთ კლიმატთან ბრძოლის გლობალური ღონისძიებების დაგვიანების და შემდგომ მოულოდნელად განხორციელების შემთხვევაში. შეფერხებული გადასვლა გულისხმობს, რომ გლობალურ გაფრქვევები არ შემცირდება 2030 წლამდე, რასაც დასჭირდება ძლიერი პოლიტიკების შექმნა, დათბობის 2°C-მდე შესაზღუდად. ეს სცენარი უფრო მაღალი დონის გარდამავლობის რისკებს შეიცავს, ქვეყნების მასშტაბით პოლიტიკის შეფერხებული და არათანმიმდევრული დანერგვის გამო. შედეგებთან მიმართებით გამოყენებული დამატებითი ექსპერტის შეფასება, რათა ისინი მეტად რელევანტური და შესაბამისი გახდნენ საქართველოს კონტექსტში.

დასკვნები

მწვავე ფიზიკური კლიმატური რისკის სცენარი: სეგმენტების მიხედვით ჩაშლილი შედეგები გვიჩვენებს რომ უმოქმედო სესხებზე პოტენციური გავლენა საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორატიულ სეგმენტებში არაარსებითია. რამდენიმე სექტორმა ნეგატიური ტენდენცია უჩვენა, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მრეწველობა და არაგანახლებადი ენერგია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს აკუმულირებული ეფექტებია, შედეგები უმნიშვნელოა.

გარდამავლობის რისკი და ქრონიკული ფიზიკური რისკის სცენარი: სეგმენტების მიხედვით ჩაშლილი შედეგები გვიჩვენებს რომ უმოქმედო სესხებზე პოტენციური გავლენა საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორატიულ სეგმენტებში არაარსებითია.

მაშინაც კი, თუ კლიმატური სტრესის ტესტები არ არის პროგნოზირების ინსტრუმენტები, ისინი მიუთითებენ კლიმატური შოკების მიმართ მედეგობის დონეზე, განსაკუთრებით მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში. გრძელვადიან ეფექტზე სათანადოდ დაკვირვება შეუძლებელია, რადგან ადგილობრივი მარეგულირებელი ზღვარი სესხის მაქსიმალურ ვადაზე არის 15 წელი, მცირე გამონაკლისებით; შესაბამისად, თიბისის

საკრედიტო პორტფელის საშუალო დაფარვის ვადა კლიმატური სტრეს-ტესტის 30-წლიან დროით ჰორიზონტზე ნაკლებია. გარდა ამისა, კლიმატის სტრესის ტესტები აჩვენებს, რომ ყველაზე მოწყვლადი სექტორები არის ენერგოსექტორი (არაგანახლებადი) და კომუნალური მომსახურება და ნავთობი და გაზი, თუ გარდამავლობის რისკები მატერიალიზდება. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდამავლობის რისკი საკმაოდ დაბალია საქართველოში.

3. რისკის მართვა

კლიმატთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესები

თიბისის აქვს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს ჩვენს გარემოსდაცვითი მართვის სისტემას ("EMS") და კლიმატთან დაკავშირებულ ჩარჩოს ჯგუფში. გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ ჩვენ:

- დავადგინოთ მეთოდოლოგიები კლიმატზე ორიენტირებული მოქმედებების გაუმჯობესებისათვის და მოახდინოს შესაბამისი მიდგომების ინტეგრირება ჯგუფის ოპერაციებსა და მართვის პროცესებში;
- დავიცვათ მოქმედი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და შრომითი რეგულაციები;
- გამოვიყენოთ ჯანსაღი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და შრომითი პრაქტიკა; და
- გადავდგათ გონივრული ნაბიჯები, რათა ჩვენმა მომხმარებლებმა ასევე შეასრულონ თავიანთი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები.

ჩვენი გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და იცავს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.tbcbankgroup.com.

ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა ეფუძნება ოთხ მიმართულებას:

- შიდა გარემოსდაცვითი საქმიანობა;
- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა დაკრედიტებაში;
- მდგრადი დაფინანსება; და
- გარე კომუნიკაციები.

შიდა გარემოსდაცვითი საქმიანობა

სათბური აირების (GHG) გაფრქვევების კალკულაცია

შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემა ჯგუფის მიერ რესურსების მოხმარების მართვაზეა ორიენტირებული. ბანკმა განიხილა ყველა საოპერაციო საქმიანობა, შესყიდვა და აუთსორსინგული მომსახურება, რომლის გაკონტროლებაც შეუძლია (ახლანდელი და დაგეგმილი) და გამოავლინა ბიზნესისთვის რელევანტური ყველა მატერიალური გარემოსდაცვითი ასპექტი, რომლებიც იყოფა არაპირდაპირ და პირდაპირ გარემოსდაცვით ასპექტებად, გაანალიზებულია მაჩვენებლების კომპლექსური სისტემის საფუძველზე და იმართება შესაბამისად.

თიბისი ბანკმა ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი სისტემა, რომელიც მართავს და ანგარიშს უწევს GHG გამოფრქვევებს თიბისიში და მოწოდებულია შეამციროს GHG გამოფრქვევები ენერგომოხმარების, წყლისა და ქაღალდის მოხმარების მკაცრი მონიტორინგის გზით. შემუშავდა გარემოსდაცვითი მონაცემების დოკუმენტირების სახელმძღვანელოები და შვილობილ კომპანიებში პასუხისმგებელ პირებს დაევალა საჭირო მონაცემების შეგროვება და მიწოდება. დამატებითი დეტალები ჯგუფის GHG გაფრქვევებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ მოცემულია მეტრიკებისა და მიზნების ნაწილში 142-147 გვერდებზე.

საკრედიტო ოპერაციები

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს აქვს როგორც ფიზიკური ზეგავლენა, რომელიც წარმოიქმნება ამინდის უფრო ხშირი და მძიმე ცვლილებების შედეგად, ასევე გარდამავლობის ზეგავლენა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ფართო პოლიტიკურ, სამართლებრივ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რომელთა მიზანია, შეამციროს ეკოლოგიური ზემოქმედება მოსახლეობაზე და ბიზნესზე. ჯგუფისთვის ორივე რისკი შეიძლება გამოიხატოს აქტივების ღირებულებების გაუფასურებით და კლიენტების

1 www.nbg.gov.ge
2 ავტორეგრესიული გადანაწილებული ჩამორჩენის (ARDL) მოდელი ეკონომიკური დროითი სერიების მონაცემების ანალიზის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, განსაკუთრებით გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცვლადების ურთიერთმოქმედებისას. ARDL მოდელების მნიშვნელოვანი ფუნქციები მოიცავს მათ მოქნილობას ცვლადებს შორის დინამიკური დამოკიდებულების დაფიქსირებაში, მოკლე და გრძელვადიანი ეფექტების აღრიცხვის უნარებსა და კომპლექსური ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზის სარგებლიანობაში. კლიმატური სტრეს-ტესტის შემთხვევაში, ARDL მოდელები გამოიყენება ისეთ სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის გრძელვადიანი ურთიერთობის შესაფასებლად, როგორიც არის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსები, უძრავი ქონების ფასები და მშპ-ის რეალური ზრდა. ამ შეფასებების შედეგები გრძელვადიანი კოეფიციენტებია (LRM) თითოეული მაკროეკონომიკური ცვლადისთვის, რომლებიც შემდეგ გამოიყენება თითოეული ცვლადისთვის პროგნოზების შესაქმნელად (www.nbg.gov.ge).

კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის მომგებიანობის შემცირება. ჯგუფზე, ასევე, შეიძლება გავრცელდეს რეპუტაციული რისკები კლიმატის ცვლილების ხელშემწყობად მიჩნეულ კლიენტებისათვის სესხის გაცემის ან მათთან სხვა ბიზნეს ოპერაციების გამო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლიმატური რისკები შეიძლება, გამოიხატოს აქტივების ღირებულებების გაუფასურებით და კლიენტების გაუარესებული კრედიტუნარიანობით. ბანკის საკრედიტო პორტფელში კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ ჩვენი წარმოდგენის გაზრდის მიზნით, ბანკმა განახორციელა ზოგადი სექტორული რისკების შეფასება, რადგან სხვადასხვა დარგი შეიძლება მოწყვლადი იყოს კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკების მიმართ დროის სხვადასხვა მონაკვეთში. გამოქვეყნებულ კლიმატთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, IPCC ანგარიშების ფარგლებში შესრულებულ საქართველოს კლიმატის ცვლილების შეფასებებს, სებ-ის ESG რისკების რადარს და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ 2030 წლის მიზნებსა და სტრატეგიას საქართველოს ეროვნული განსაზღვრული წვლილის მისაღწევად[1]. დონეებისა და ზემოქმედების შეფასება შეიძლება, შეიცვალოს მომავალში, მეთოდოლოგიის შემდგომი გადახედვის, ღრმა და დეტალური ანალიზი და კლიმატის ცვლილების რისკების გავლენის შესახებ გაზრდილი ექსპერტული ცოდნის საფუძველზე.

სექტორული შეფასება განხორციელდა ბანკში შესაბამის ეკონომიკურ სექტორებზე პასუხისმგებელი ბიზნესისა და საკრედიტო რისკების სპეციალისტების ჩართულობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მთლიანი სესხები სექტორების მიხედვით ცალკე ბანკისთვის	სესხის მოცულობა (მლნ ლარი)	% მთლიან პორტფელში
ფიზიკური პირები	9,126.8	37.2%
უძრავი ქონება	2,816.1	11.5%
ვაჭრობა	1,686.9	6.9%
მშენებლობა	1,578.8	6.4%
სხვა	1,391.5	5.7%
კვების მრეწველობა	1,353.3	5.5%
მასპინძლობა და დასვენება	1,323.6	5.4%
სოფლის მეურნეობა	1,044.9	4.3%
ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურებები	895.6	3.7%
ჯანდაცვა	580.5	2.4%
მომსახურების სფერო	585.9	2.4%
ფინანსური მომსახურებები	471.3	1.9%
ტრანსპორტი	380.7	1.6%
ნავთობი და გაზი	299.9	1.2%
ლომბარდები	245.5	1.0%
ავტომობილები	217.7	0.9%
ლითონები და სამთო-მომპოვებელი ინდუსტრია	191.4	0.8%
წარმოება	176.2	0.7%
მედია და გამომცემლობა	115.8	0.4%
კომუნიკაცია	34.0	0.1%
არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სექტორი	1.3	0.0%
სამთავრობო სექტორი	0.1	0.0%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	**24,517.8**	**100%**

1 ეროვნულ დონეზე განსაზღვრული შენატანები (NDC) არის ეროვნული გეგმის მნიშვნელოვანი საკითხები კლიმატის ცვლილების მიტიგაციის, მათ შორის სათბური აირების გაფრქვევების შემცირების მიმართულებით იმ პოლიტიკების და სამთავრობო ღონისძიებების ჩათვლით, რომელთა განხორციელებასაც მთავრობა გეგმავს კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების და პარიზის ხელშეკრულებაში განსაზღვრული გლობალური მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით.

აქტივების ვადიანობა გადამწყვეტია ანალიზისთვის სხვადასხვა დროითი ჰორიზონტის განსაზღვრისას და სხვადასხვა სექტორისთვის კლიმატთან დაკავშირებული რისკების არსებითობის შეფასებისას. საკრედიტო პორტფელის ვადიანობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ აქტივების უმეტესი ნაწილი გადანაწილებულია გაცილებით მოკლე დროით ჰორიზონტებზე, ვიდრე ის ვადები, როდესაც კლიმატის ცვლილების, განსაკუთრებით ფიზიკური რისკების, ზეგავლენა შეიძლება წარმოიშვას საქართველოში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო პორტფელის ვადიანობის განაწილება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სექტორი	რისკების საერთო მოცულობა (მლნ ლარი)	წილი მთლიან პორტფელში	<8წ სესხების მოცულობა	<8წ სესხების წილი	<15წ სესხების მოცულობა	<15წ სესხების წილი
ფიზიკური პირები	9,126.8	37.2%	4,751.4	52%	8,355.6	92%
უძრავი ქონება	2,816.1	11.5%	2,141.6	76%	2,816.1	100%
ვაჭრობა	1,686.9	6.9%	1,510.2	90%	1,686.7	100%
მშენებლობა	1,578.8	6.4%	1,394.1	88%	1,578.8	100%
სხვა	1,391.5	5.7%	1,099.1	79%	1,391.5	100%
კვების მრეწველობა	1,353.3	5.5%	1,183.3	87%	1,353.3	100%
მასპინძლობა და დასვენება	1,323.6	5.4%	572.4	43%	1,322.3	100%
სოფლის მეურნეობა	1,044.9	4.3%	877.9	84%	1,044.9	100%
ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურებები	895.6	3.7%	415.0	46%	872.6	97%
ჯანდაცვა	580.5	2.4%	485.5	84%	580.5	100%
მომსახურების სფერო	585.9	2.4%	369.0	63%	585.7	100%
ფინანსური მომსახურებები	471.3	1.9%	458.1	97%	471.3	100%
ტრანსპორტი	380.7	1.6%	340.3	89%	380.7	100%
ნავთობი და გაზი	299.9	1.2%	287.3	96%	299.9	100%
ლომბარდები	245.5	1.0%	245.4	100%	245.4	100%
ავტომობილები	217.7	0.9%	178.6	82%	217.7	100%
ლითონები და სამთო-მომპოვებელი ინდუსტრია	191.4	0.8%	157.2	82%	191.4	100%
წარმოება	176.2	0.7%	148.5	84%	176.2	100%
მედია და გამომცემლობა	115.8	0.4%	109.5	95%	115.8	100%
კომუნიკაცია	34.0	0.1%	33.8	99%	34.0	100%
არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სექტორი	1.3	0.0%	1.1	85%	1.3	100%
სამთავრობო სექტორი	0.1	0.0%	0.1	100%	0.1	100%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები (მთლიანი)	**24,517.8**	**100%**	**16,759.4**	**68%**	**23,721.8**	**97%**

კლიმატთან დაკავშირებული და გარემოსდაცვითი რისკების მართვის პროცესები დაკრედიტებაში

2012 წლიდან თიბისი ბანკს დანერგილი აქვს დარგობრივი სახელმძღვანელოების შესაბამისად შექმნილი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცესი, რომლის მიზანია კლიმატის ცვლილების შერბილება. თიბისი ბანკმა შეიმუშავა E&S-ის რისკების მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას, დაიცავს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და მოიცავს IFC-ის საქმიანობის სტანდარტების, EBRD-ის საქმიანობის მოთხოვნების (PRs) და აზიის განვითარების ბანკის დაცვის მოთხოვნების (SRs) სათანადო გათვალისწინებას. აღნიშნული პროცედურები სრულად ინტეგრირებულია საკრედიტო რისკების მართვის პროცესში და რეგულარულად ვრცელდება მცირე და საშუალო ბიზნესის და კორპორატიული კლიენტების მიმართ. პარტნიორ IFI-ებთან თანამშრომლობით, თიბისი ბანკმა შეიმუშავა მკაფიო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიზაციის მატრიცა. დასაფინანსებელი პროექტები კლასიფიცირდება E&S რისკის კატეგორიების მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი და A კატეგორია); საჭიროების შემთხვევაში, ტარდება ღრმა და დეტალური ანალიზი და სათანადო შესწავლა.


2024 წელს, კლიენტის ბიზნეს საქმიანობების გარემოსდაცვით და სოციალური რისკის კატეგორიების განსაზღვრის პროცესში ვნერგავდით სებ-ის ESG რისკების რადარის ქულების მიდგომას. 2025 წლიდან ჩვენი მიდგომა მოიცავს სამ კომპონენტს: გარემოსდაცვით რისკს, სოციალურ რისკს და კლიმატურ რისკს. თითოეული კომპონენტის რისკის კატეგორია შესაძლოა განსხვავებული იყოს სხვადასხვა ბიზნეს აქტივობებისთვის. E&S რისკების კატეგორიის მიხედვით ტრანზაქციის კატეგორიზაციისას პრიორიტეტი ენიჭება უფრო მაღალ რისკს. გარდა ამისა, გარე სპეციალიზებული კომპანიები ჩართულნი არიან E&S რისკების დეტალურ შეფასებაში A კატეგორიის პროექტებისთვის, როგორიცაა ჰიდროელექტროსადგურები. 2023 წელს თიბისი ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი პროფილის მეთოდოლოგია თავისი ტოპ-20 კორპორატიული მომხმარებლისთვის, რისკების მართვის საერთო პროცესში ESG პროფილის ქულების სისტემის გამოყენების მიზნით. 2024 წელს მეთოდოლოგია დამატებით დაიხვეწა. ESG ფაქტორები, როგორიცაა კლიმატის ადაპტაცია, დაბალი ნახშირბადის აქტივობებზე გადასვლა, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა და კარგი ორგანიზაციული მართვა, გათვალისწინებულია შეფასების დროს და შესაბამისი ქულები ენიჭება სპეციალისტების შეფასების საფუძველზე. ESG პროფილი შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისგან:

- კლიმატის ცვლილება – ფიზიკური და გარდამავალი რისკების დაფარვა;
- გარემოსდაცვითი – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დაფარვა;
- სოციალური – მრავალფეროვნების, თანამშრომელთა შეღავათებისა და თანაბარი/სამართლიანი ანაზღაურების დაფარვა;
- მმართველობა – მოიცავს ESG მმართველობას, კომპანიის გამჭვირვალებასა და მრავალფეროვნებას საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე.

შეფასების შედეგები სასარგებლო იქნება დეკარბონიზაციისა და გარდამავლობის გეგმების შემუშავებისთვის. ESG პროფილების მეთოდოლოგია საწყის ეტაპზეა და მომავალში განვითარდება, როგორც ცოდნა, გამოცდილება თიბისი ბანკის შიგნით და კლიმატთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ადგილობრივი მარეგულირებელი ჩარჩო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია ბიზნეს სესხის პორტფელის ჩაშლა გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიების და სესხის მოცულობების მიხედვით.

ბიზნეს საკრედიტო პორტფელი E&S კატეგორიების მიხედვით (წილების მიხედვით)



დაბალი რისკი – ტრანზაქციები, რომელთაც აქვთ მინიმალური ან არანაირი უარყოფითი სოციალური. გარემოსდაცვითი და/ან კლიმატის ზეგავლენა და რომლებიც ზოგადად არ ექვემდებარება შემდგომ შეფასებას (მათი იდენტიფიკაციის შემდეგ), მომხმარებლების მოთხოვნის გარდა (თანხმობის/სერტიფიკატის/გამჟღავნების) შესაბამისობას/შეუსაბამობას ადგილობრივ და ეროვნულ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და შრომით კანონებთან და რეგულაციებთან.

საშუალო რისკი – ტრანზაქციები სოციალური, გარემოზე და/ან კლიმატზე ზემოქმედების შეზღუდული პოტენციალით, რომლებიც მცირე რაოდენობითაა, ზოგადად ადგილმდებარეობით სპეციფიკურია, მეტწილად შექცევადია, აშკარად ცხადია შეფასების მომენტში და ადვილად მიმართვადია შემამსუბუქებელი ზომებით, რაც, როგორც წესი, მოითხოვს შეზღუდულ ან ფოკუსირებულ გარემოსდაცვით ან/და სოციალურ შეფასებას, ან გარემოსდაცვითი განთავსების, დაბინძურების სტანდარტების, საპროექტო კრიტერიუმების ან მშენებლობის სტანდარტების უბრალო გამოყენებას.

მაღალი რისკი – პოტენციურად უაღრესად მნიშვნელოვანი, ნეგატიური ან/და გრძელვადიანი გარემოსდაცვითი, სოციალური ან/და კლიმატის ზემოქმედების მქონე ტრანზაქციები, რომელთა მასშტაბები შესაძლოა რთული დასადგენია სესხის განაცხადის ეტაპზე. ეს, როგორც წესი, საჭიროებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ანალიზს კლიენტის ოპერაციების გავლენის საერთო არეალის კონტექსტში. რისკის შეფასების ფარგლებში, კლიენტი გამოავლენს ინდივიდებსა და ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება დიფერენცირებულად ან არაპროპორციულად ზემოქმედებდნენ მის ოპერაციებზე.

კატეგორია A - პოტენციურად მნიშვნელოვანი გვერდითი სოციალური, გარემოსდაცვითი და/ან კლიმატური ზემოქმედების მქონე ტრანზაქცია, რომელიც შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, შეუქცევადი ან უპრეცედენტო, რომლის შეფასება, როგორც წესი, მოითხოვს დამოუკიდებელი გარე ექსპერტების ჩართვას და შესაძლოა საჭიროებდეს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების ჩართულობას სიღრმისეული შესწავლისა და შეფასების პროცესში.

გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, პოზიტიური წვლილი შევიტანოთ კერძო კომპანიების განვითარებაში და დავეხმაროთ მათ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სწორად მართვაში. იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ გამოვავლენთ რაიმე შეუსაბამობას ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებთან ან/და თიბისის სტანდარტებთან, ჩვენ შევიმუშავებთ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებს (ESAP) ჩვენი კლიენტებისთვის, რათა დავეხმაროთ მათ გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესებაში და ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით მათ განხორციელებას.

სხვა რისკის კატეგორიები

კლიმატის რისკმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საბანკო რისკის სხვა, უფრო ტრადიციულ კატეგორიებზე, როგორიცაა: საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ლიკვიდობის რისკი და რეპუტაციული რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია შეფასება. გარკვეული რისკ-ფაქტორები, რომლებიც გამოვლინდა საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებზე, უკვე დაფარულია არსებული რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში.

საბანკო რისკების ტიპები	ფიზიკური რისკის ზეგავლენა	გარდამავლობის რისკის ზეგავლენა
საბაზრო რისკი	არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის	არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის
ლიკვიდურობის რისკი	არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის	არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის
საექსპლუატაციო რისკი	ექსტრემალურმა მოვლენებმა, რომლებიც ზიანს მიაყენებდა ჯგუფის საკუთარ ობიექტებს, შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი კლიენტებისთვის მომსახურების გაწევაზე (მაგ., ელექტროენერგიის მიწოდების არარსებობა, შენობაში თანამშრომლების მუშაობის უუნარობა).	არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის
	არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის	
რეპუტაციული რისკი	არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის	მაღალი ემისიების მსესხებლების დაფინანსებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ბრენდის იმიჯზე, როგორც ეს აღიქმება დაინტერესებული მხარეების მიერ.
		არსებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის

მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგი

როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველი, ჩვენ ვაღიარებთ და ვაცნობიერებთ ჩვენი შესყიდვების გადაწყვეტილებებისა და ოპერაციების სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოზე ზემოქმედებას, ასევე მომწოდებლების მიმართ არსებულ მოთხოვნებს. 2019 წელს ჩვენ შევიმუშავეთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის კითხვარი მიმწოდებლებისთვის. ჩვენ რეგულარულად ვაფასებთ ჩვენი გრძელვადიანი კონტრაქტორი კომპანიების გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გამოვავლენთ ნებისმიერ შეუსაბამობას ჩვენს E&S სტანდარტებთან, ჩვენი ESRM გუნდი შეიმუშავებს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებს (ESAP-ები) თითოეული კომპანიისთვის და აკონტროლებს მათ განხორციელებას.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ჩვენს თანამშრომლებში

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს თანამშრომლებს შორის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია EMS- ის ეფექტური განხორციელებისთვის და ორგანიზაციაში ახალი ეკომეგობრული იდეებისა და ინიციატივების წახალისებისთვის.

ამ მიზნით ჩვენ აქტიურად ვახორციელებთ სხვადასხვა გარემოსდაცვით და სოციალურ სასწავლო პროგრამებს, რაც მოიცავს:

- ტრენინგს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების თემებზე ახალი თანამშრომლებისთვის;
- კლიმატის ცვლილებისა და მწვანე დაკრედიტების ტრენინგს საკრედიტო და ფრონტ ოფისის პერსონალისთვის;
- ყოველწლიურ სავალდებულო ონლაინ EMS ელექტრონული სწავლების კურსს ყველა თანამშრომლისთვის, რასაც მოჰყვება თვითშეფასების ტესტი;
- დავაფუძნეთ თიბისის ESG აკადემია მწვანე ცნობიერებისა და მწვანე დაფინანსების კურსით ფრონტ და ბექ-ოფისის პერსონალისთვის.

2024 წელს, ჩვენი თანამშრომლების 92%-მა, მათ შორის ზედა რგოლის ხელმძღვანელობამ, წარმატებით გაიარა ონლაინ კურსი და თვითშეფასების ტესტი თიბისის EMS-ის შესახებ.

გარე კომუნიკაცია

თიბისი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს E&S საკითხების გარე კომუნიკაციას არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ჩვენი დაინტერესებული მხარეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი და რეკომენდაციები საშუალებას გვაძლევს, მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობა.

ჩვენი საჩივრების განხილვის მექანიზმი ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს საშუალებას აძლევს, დაარეგისტრიროს საჩივრები E&S პრობლემებთან დაკავშირებით ჩვენი ვებსაიტის www.tbcbank.com.ge მეშვეობით. ყველა საჩივარი დეტალურად ანალიზდება და დროულად განიხილება.

თიბისი ბანკმა წარმატებით გაიარა გარემოსდაცვითი მართვის სისტემის ISO 14001:2015 მესამე წლის განმეორებითი სერტიფიცირების აუდიტი. ეს ნიშნავს, რომ თიბისის გარემოსდაცვითი სისტემა იმართება საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. 2024 წლისთვის სერტიფიცირების პროცესი წარმატებით განხორციელდა.

თიბისი ბანკი ყოველწლიურად წარუდგენს გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის წლიურ ანგარიშს ყველა პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებას. ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას დაკრედიტებაში გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შესახებ, ბანკის ბიზნეს პორტფელის განაწილებას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კუთხით, მისი მდგრადი პორტფელის დეტალიზაციას და შესაბამისი პროცედურების განახლებას და ა.შ.

2019 წლიდან თიბისი ბანკი აქვეყნებს სრულმასშტაბიან მდგრადი განვითარების ანგარიშს, რომელიც მზადდება გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისად. მდგრადი განვითარების ანგარიში ეხმარება კომპანიას გააცნობიეროს მისი როლი და გავლენა მდგრადი განვითარების საკითხებზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ადამიანის უფლებები და სოციალური კეთილდღეობა. ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.tbcbankgroup.com.

4. მაჩვენებლები და მიზნები

კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად ორგანიზაციის მიერ გამოყენებული მაჩვენებლები მისი სტრატეგიისა და რისკების მართვის პროცესის შესაბამისად

ჯგუფის საკუთარ ოპერაციებთან დაკავშირებული მაჩვენებლები

თიბისი ბანკმა სათბური აირების (GHG) გაფრქვევების მართვისა და ანგარიშგებისთვის დანერგა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემა, რომელიც მიმართულია ენერგიის, წყლის და ქაღალდის მოხმარების მონიტორინგით სათბური აირების (GHG) გაფრქვევების შემცირებისკენ. შემუშავდა გარემოსდაცვითი მონაცემების დოკუმენტირების სახელმძღვანელოები და შვილობილ კომპანიებში პასუხისმგებელ პერსონალს დაევალა საჭირო მონაცემების შეგროვება და მიწოდება. თიბისი ბანკმა, ასევე დაიქირავა შპს „ბიურო ვერიტას ჯორჯია“, დამოუკიდებელო საკონსულტაციო და სერტიფიცირების კომპანია, მისი GHG გაფრქვევების გაანგარიშებების შესამოწმებლად. კომპანიამ უზრუნველყო შეზღუდულ ფარგლებში გადამოწმება, რომელიც ფარავდა ისტორიულ მონაცემებსა და ინფორმაციას.

ქვემოთ მოცემულია თიბისი ჯგუფის შედეგები Scope 1, Scope 2 და Scope 3 (ფრენები) GHG გაფრქვევებთან მიმართებით, წყლის და ქაღალდის მოხმარება, და 2024 წლისა და 2025 წლის მიზნები.

სათბური აირების ჯამური გაფრქვევები (CO2) (ტონა) და KPI-ები	2022 წლის შედეგი	2023 წლის შედეგი	2024 წლის შედეგი	2024 წლის მიზანი	2024 წლის შედეგი	2025 წლის მიზანი
Scope 1* - საწვავის წვა (გათბობა, სატრანსპორტო საშუალებები, გენერატორები)	3,175	3,042	**3,076**	5%-ზე ნაკლები ზრდა	**1%**	**4%**
Scope 2 - ელექტროენერგიის მოხმარება	1,489	1,470	**1,494**	4%-ზე ნაკლები ზრდა	**2%**	**-3%**
Scope3 - საერთაშორისო ფრენები	506	1,591	**539**	-44%-ით შემცირება	**-66%**	**0%**
საერთო გაფრქვევები (tCO2)	5,170	6,103	**5,109**	-8%-ით შემცირება	**-16%**	**2%**
მთლიანი გაფრქვევები სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელზე (tCO2/ადამ.)	0.62	0.70	**0.56**	-8%-ით შემცირება	**-20%**	**-6%**
წყლის მოხმარება ერთ თანამშრომელზე (მ3/ადამ.)	8.90	8.62	**7.23**	3%-ით მატება	**-16%**	**13%**
საბეჭდი ქაღალდი ერთ ადამიანზე დასტებში	12.67	12.24	**11.03**	1%-ით მატება	**-10%**	**-9%**

Scope 1 - 2024 წელს ეს ინდიკატორი 1%-ით გაიზარდა 2023 წელთან შედარებით, რაც დაგეგმილ 5%-იან სამიზნე დონეზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო. თიბისი ბანკის მიერ Scope 1 გაფრქვევების ოპტიმიზებისთვის განხორციელებული ღონისძიებები მოცემულია ამ თავის 130-ე გვერდზე.

Scope 2 - 2024 წელს ელექტროენერგიის მთლიანი მოხმარება 2%-ით გაიზარდა 2023 წელთან შედარებით, რაც დაგეგმილ 4%-იან სამიზნე დონეზე ნაკლები იყო. თიბისი ბანკის მიერ ელექტროენერგიის მოხმარებისას Scope 2 გაფრქვევების ოპტიმიზებისთვის განხორციელებული ღონისძიებები მოცემულია ამ თავის130-ე გვერდზე.

Scope 3 - 2024 წელს სამივლინებო ფრენებმა 66%-ით იკლო, რაც აღემატება წლის სავარაუდო შემცირების მაჩვენებელს 44%.

საერთო ჯამში, მთლიანი გაფრქვევები 16%-ით შემცირდა 2024 წელს 2023 წლის დონესთან შედარებით, ხოლო მთლიანი გაფრქვევები სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელზე იმავე პერიოდში 20%-ით შემცირდა.

2024 წელს წყლის მოხმარება ერთ თანამშრომელზე 16%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საბეჭდი ქაღალდის გამოყენება შემცირდა 10%-ით.

გამოთვლის მეთოდოლოგია

სათბური აირების ინვენტარიზაციისთვის ჩვენ გადავდგით შემდეგი ნაბიჯები: დავადგინეთ ორგანიზაციული საზღვრები, დავადგინეთ საოპერაციო სფერო და შევიმუშავეთ სტრუქტურირებული მიდგომა მონაცემების შეგროვებისთვის და ნახშირორჟანგის (CO_2) ეკვივალენტის გაანგარიშებისთვის. ეს ანგარიში აღწერს გაფრქვევების ყველა წყაროს, რომელიც გათვალისწინებულია 2006 წლის „კომპანიების აქტით“ (სტრატეგიული ანგარიში და დირექტორების ანგარიშები), 2013 წლის რეგულაციებით (Scope 1 და 2) და ასევე Scope 3-ის ფარგლებში არსებული გაფრქვევებით, რომელიც ვრცელდება ბიზნეს-საქმიანობაზე. გაფრქვევების მონაცემების მომზადებისას გამოყენებული იყო დიდი ბრიტანეთის მთავრობის „2017 წლის კომპანიის ანგარიშგებისთვის სათბური აირების კონვერსიის ფაქტორები“, ხოლო ელექტროენერგიის შემთხვევაში „ეროვნული IPCC“-ის გაფრქვევის ფაქტორები ელექტროენერგიისთვის (tCO_2*/MWhe). მოთხოვნილი მონაცემები მოგროვდა და ანგარიში დაგენერირდა თიბისი ბანკის ძირითადი საქმიანობებისთვის, შემდეგი სახით:

Scope 1 (საწვავის წვა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაცია) მოიცავს თიბისი ბანკის საკუთრებაში არსებულ და კონტროლირებად ობიექტებზე ბუნებრივი აირის, დიზელის ან/და ბენზინის წვის შედეგად გამოყოფილ აირებს, მათ შორის, თიბისი ბანკის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებში ბენზინის, დიზელის საწვავის, ბუნებრივი აირის და ა.შ. წვას.

Scope 2 (შესყიდული ელექტროენერგია საკუთარი მოხმარებისთვის, როგორიცაა განათება, საოფისე ტექნიკა, გაგრილება და ა.შ.) მოიცავს გამოყენებული ელექტროენერგიის გაფრქვევებს თიბისი ბანკის საკუთრებაში არსებულ და კონტროლირებად ობიექტებზე. გაფრქვევების გამოსათვლელად, გამოყენებული იყო კონვერსიის ფაქტორი ეროვნული IPCC ემისიური ფაქტორებისთვის ელექტროენერგიისთვის (tCO_2*/MWhe).

Scope 3 მოიცავს ყველა საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის შედეგად მიღებულ გაფრქვევებს (მოკლე/საშუალო/გრძელი და საერთაშორისო მგზავრობისას). უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებული იყო ინფორმაცია მოგზაურობის კლასის შესახებ და ემისიების გაანგარიშებისთვის გამოყენებული იყო

„ეკონომ კლასის“ კონვერტაციის ფაქტორი შემდეგი ბმულიდან: www.atmosfair.de.

ინტენსიურობის კოეფიციენტი - ჩვენ გავთვალეთ ინტენსიურობის კოეფიციენტი SECR გაიდლაინების მიხედვით, www.secrhub.co.uk.

დაფინანსებული გაფრქვევები (Scope 3)

ჩვენი საქმიანობის განმავლობაში გარემოზე პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენა გვაქვს. თუმცა, ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, სათბურის აირების (GHG) გაფრქვევების ძირითადი წყარო არის არა უშუალოდ ჩვენი ბიზნეს პროცესების ოპერირების ან საკუთარი ენერგიის მოხმარების გზით წარმოებული გაფრქვევები, ჩვენს მიერ დაფინანსებული სხვა სექტორების მიერ გამომუშავებული სათბური აირები. ამ ტიპის გაფრქვევებს უწოდებენ დაფინანსებულ ემისიებს.

ქვემოთ, ცხრილში ნაჩვენებია, Scope 3 გაფრქვევების 15 კატეგორიიდან რომელია გათვალისწინებული და რომლებია მიჩნეული არაარსებითად ან არარელევანტურად ბიზნესისთვის.

#	Scope 3 კატეგორია	გაფრქვევების გაანგარიშების მიდგომა
1	შეძენილი საქონელი და მომსახურება	არ არის არსებითი
2	წარმოების საშუალებები	არარელევანტური
3	საწვავთან და ენერგიასთან დაკავშირებული საქმიანობა (არ არის გათვალისწინებული Scope 1-ში ან 2-ში)	არარელევანტური
4	წარმოების და მიწოდების შედეგად გენერირებული გაფრქვევები ტრანსპორტირებასა და დისტრიბუციაში	არარელევანტური
5	ოპერაციებში წარმოქმნილი ნარჩენები	არ არის არსებითი
6	მივლინება	გათვალისწინებული (ფრენები)
7	თანამშრომელთა მგზავრობა	არ არის არსებითი
8	წარმოების და მიწოდების შედეგად გენერირებული გაფრქვევები იჯარით აღებულ აქტივებში	არ არის არსებითი
9	მოხმარების შედეგად გენერირებული გაფრქვევები ტრანსპორტირებასა და განაწილებაში	არ არის არსებითი
10	გაყიდული პროდუქციის დამუშავება	არარელევანტური
11	გაყიდული პროდუქტების გამოყენება	არ არის არსებითი
12	რეალიზებული პროდუქციის მოვლა ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ	არარელევანტური
13	მოხმარების შედეგად გენერირებული გაფრქვევები იჯარით აღებულ აქტივებში	არარელევანტური
14	ფრანჩიზები	არარელევანტური
15	ინვესტიციები	გათვალისწინებულია - დაფინანსებული გაფრქვევები: სავალო ინვესტიციები (ამონაგების დადგენილი მიზნობრიობით) და პროექტების დაფინანსება

შვიდი კატეგორია არარელევანტურად მიიჩნევა, რადგან თიბისი ბანკი არ ეწევა ამ საქმიანობებს. დანარჩენი ექვსი კატეგორია შეფასებულია არაარსებითად, რადგან ეს საქმიანობა არ წარმოადგენს ტიპურ საქმიანობას თიბისი ბანკისათვის, როგორც საფინანსო დაწესებულებისთვის. ჩვენ მატერიალურად მიგვაჩნია ორი კატეგორია – მივლინებები და ინვესტიციები, არსებითი 40%-იანი ზღვრის გათვალისწინებით: მივლინება ჩვენი პირდაპირი ზეგავლენის არსებით ნაწილს წარმოადგენს, ხოლო დაფინანსებული გამოფრქვევები - მთლიანი GHG გაფრქვევების (არაპირდაპირი ზეგავლენა) 40%-ზე მეტს.

დაფინანსებული გაფრქვევები (Scope 3)

PCAF-მა შეიმუშავა მეთოდები აქტივების სხვადასხვა კლასებისთვის, რომლებიც შეიძლება თიბისის მიერ გამოყენებულ იქნას დაფინანსებული გაფრქვევების გამოსათვლელად (PCAF 2022). ჯამში, განიხილება აქტივების შვიდი კლასი. ქვემოთ მოცემულია დაფინანსებული გაფრქვევები აქტივების კლასის მიხედვით 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით:

N°	ქვეყნის სახელწოდება	დაფინანსებული GHG გაფრქვევები GgCO2e/y
	სულ	**3,443.1**
1	საფონდო ბირჟაზე კოტირებული საკუთარი კაპიტალი და კორპორაციული ობლიგაციები	66.4
2	ბიზნეს სესხები და არა საფონდო ფასიანი ქაღალდები	2,921.3
3	პროექტების დაფინანსება	-15.5
4	კომერციული უძრავი ქონების სესხები	7.6
5	იპოთეკური სესხები	35.9
6	ავტო სესხები	0.6
7	სუვერენული ვალი	426.8

გაანგარიშების მეთოდოლოგია

- საფონდო ბირჟაზე კოტირებული საკუთარი კაპიტალი და კორპორაციული ობლიგაციები
- ბიზნეს-სესხები[1]
- პროექტების დაფინანსება
- საცალო იპოთეკური სესხები
- კომერციული უძრავი ქონება
- კორპორაციული ობლიგაციები
- სუვერენული ვალები[2]

მდგრადი პორტფელი

კლიმატის სამოქმედო ინიციატივები თიბისის საერთო ESG სტრატეგიის ნაწილია, რომელსაც ყოველწლიურად განიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. ESG სტრატეგია 2025-2027 ასახავს პარიზის შეთანხმების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხებს, რომლებიც 2024 წელს შემუშავდა. ჩვენ შევაფასეთ არსებული პორტფელი მისი ნახშირბადის ნაკვალევის გაგების და გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირების მიზნით. ეს პროცესი საშუალებას გვაძლევთ გავიაზროთ ჩვენი შესაბამისობა პარიზის შეთანხმებასთან, და განვსაზღვროთ ჩვენი სამომავლო მოქმედებები, „Schience Based Initiative“-ის სტანდარტების საფუძველზე. ჩვენ შევიმუშავეთ გადასვლის გეგმა, რომელიც მოიცავს ნახშირბადის მაღალი შემცველობის აქტივებზე უარის თქმას, მწვანე ტექნოლოგიებში ინვესტირებას და ჩვენი მომხმარებლების ჩართულობას მათი მდგრადობის პრაქტიკების გაუმჯობესებაში. ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ პორტფელის შესრულების მაჩვენებლებს დასახულ ამოცანებზე დაყრდნობით და ჩვენს დაინტერესებულ მხარეებს რეგულარულად წარვუდგენთ ანგარიშს პროგრესის შესახებ.

ESG სტრატეგია განსაზღვრავს მდგრადი პორტფელის მოცულობის მიზნებს, რაც მოიცავს განახლებული ენერგიის სესხებს, ენერგოეფექტურ სესხებს, სოციალური კომპონენტების დაფინანსებას და ა.შ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო მდგრადი პორტფელი[3] შეადგენს 1.73 მლრდ ლარს, რაც აღემატება 2024 წლის მიზნობრივ მოცულობას 1.4 მლრდ ლარს 24%-ით. 2025 წლის მიზანი 2 მილიარდი ლარით განისაზღვრა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მდგრადი პორტფელის განვითარება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.


1 www.nbg.gov.ge - ბიზნეს სესხების დაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა პროექტის „სოფლის დაფინანსების ხელშეწყობა MSE მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიასა და უკრაინაში“, რომელიც განახორციელა DSIK-მა და დააფინანსა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრომ (BMZ).

2 აქტივების დანარჩენი ხუთი კლასისთვის დაანგარიშების მეთოდოლოგიები „თიბისი“ ბანკმა საკონსულტაციო კომპანიასთან „RINA“ ერთად შეიმუშავა, გლობალური კლიმატური საპარტნიორო ფონდის მხარდაჭერით. დაანგარიშების მეთოდოლოგიაში გამოყენებულია PCAF მიდგომა.


3 ჩვენი მდგრადი სასესხო პორტფელი მოიცავს: ა) ენერგოეფექტურობას, ახალგაზრდების მხარდაჭერასა და ქალებს ბიზნეს სესხებში, რომლებიც ფინანსდება სპეციალური დანიშნულების სახსრებით და რომლებიც მიღებულია IFI-ებიდან; ბ) სესხებს, რომლითაც ფინანსდება განახლებადი ენერგია, რაც მოიცავს ბანკის მიერ დაფინანსებულ ყველა ჰიდროელექტროსადგურს; გ) სტარტაპ კომპანიებისა და ხელმისაწვდომი საცხოვრებლების დაფინანსებას, რომლებიც კლასიფიცირდება საქართველოს ეროვნული ბანკის სოციალური ტაქსონომიის საფუძველზე, დ) მწვანე დაკრედიტებას, რომელიც ფასდება საქართველოს ეროვნული ბანკის მწვანე ტაქსონომიით; ე) სოციალურ გარანტიებს, ხელმისაწვდომი საბინაო პროექტების მხარდასაჭერად, რომელიც ფასდება საქართველოს ეროვნული ბანკის მწვანე ტაქსონომიით (www.nbg.gov.ge) განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე; და ვ) მწვანე და მდგრადობასთან დაკავშირებულ ობლიგაციებს, კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) მწვანე თამასუქების პრინციპების და მდგრადობაზე დაფუძნებული ობლიგაციების პრინციპების შესაბამისად.

მდგრადი პორტფელის განვითარება

მდგრადი პორტფელი 2023



მდგრადი პორტფელი 2024



განახლებადი ენერგია
ენერგოეფექტურობა
WiB
ახალგაზრდების მხარდაჭერა
სებ-ის მწვანე ტაქსონომია
სებ-ის სოციალური ტაქსონომია
მწვანე თამასუქები
სოციალური გარანტიები
მწვანე გარანტიები

2024 წელს ჩვენი განახლებადი ენერგიის პორტფელის გავლენამ (სათბური აირების გაფრქვევების აღკვეთა) 7,616 tCO_2 შეადგინა, ელექტროენერგიის გამომუშავების მონაცემების და გარე კონსულტანტის შეფასების თანახმად, „Green for Growth Fund“-ის (GGF) ტექნიკური მხარდაჭერის დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც წარმოადგენდა „Finance in Motion GmbH“ და აფინანსებდა ევროპის კავშირი „EU4Energy“ ინიციატივის ფარგლებში.

2022 წლის შემდეგ, ESG-სთან დაკავშირებული ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები შესულია აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების გრძელვადიან წამახალისებელ გეგმებში. აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ძირითადი ეფექტიანობის მაჩვენებლები უკავშირდება მდგრადი პორტფელის და სხვა მდგრადი აქტივების მიზნობრივ მოცულობებს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ TBC Bank Group PLC-ის წლიური ანგარიშის ადამიანური რესურსებისა და ანაზღაურების კომიტეტის ანგარიშის ნაწილში, 206-ე გვერდზე.


თიბისი ბანკი
TBC BANK
concept

თავი 2

...

მმართველობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ბიოგრაფიები





	არნე ბერგგრენი	ცირა კემულარია
თანამდებობა	თავმჯდომარე	სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი
კომიტეტი	CGN-ის თავმჯდომარე, RemCo-ს წევრი	AC, CGN და RemCo-ს წევრი
დანიშვნა	საბჭო: 2019 წლის 18 ივლისი, თავმჯდომარე: 2021 წლის 1 მარტი	საბჭო: 2018 წლის 10 სექტემბერი, უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი: 2021 წლის 15 სექტემბერი
მოქალაქეობა	შვედეთი	ბრიტანეთი
კარიერა	არნე მუშაობდა ფინანსური მომსახურების სფეროში 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მას ეკავა რამდენიმე უმაღლესი ხელმძღვანელისა და საკონსულტაციო თანამდებობა ცნობილ ფინანსურ ინსტიტუტებში, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკში, შვედეთის ბანკში, კარნეგის საინვესტიციო ბანკში AB და შვედეთის ფინანსთა სამინისტროში და ბანკების მხარდაჭერის ორგანოში. არნემ წამყვანი როლი შეასრულა შვედეთის საბანკო კრიზისის მოგვარებაში 1991-93 წლებში და დაეხმარა FRA-ს ტაილანდში და FSC/ KAMCO-ს სამხრეთ კორეაში აზიის კრიზისის დროს. არნე ასევე მუშაობდა დამოუკიდებელ არა-აღმასრულებელ დირექტორად აქტივების მართვის კომპანიებში თურქეთსა და სლოვენიაში, და, ბოლო დრომდე, საბერძნეთში Piraeus Bank-ში.	ცირა გამოცდილი ფინანსური აღმასრულებელია 25 წელზე მეტი გამოცდილებით სხვადასხვა თანამდებობაზე. დღეს ცირა FTSE100-ის წამყვანი ენერგეტიკული კომპანიის Shell კორპორაციული სეგმენტის ვიცე პრეზიდენტი და გაერთიანებული სამეფოს რეგიონული ხელმძღვანელია. ის ასევე Shell UK-ის დირექტორთა საბჭოს წევრი და BG Pension Scheme რწმუნებული დირექტორია. წლების განმავლობაში ცირას ხელმძღვანელმა როლებმა მოიცვა რამდენიმე ფინანსური სფერო, როგორიც არის Shell-ის საერთაშორისო მასშტაბით საქონლით ვაჭრობის ბიზნესის შიდა აუდიტის ხელმძღვანელი, Shell-ის ჯგუფს საპენსიო ჯგუფის სტრატეგიისა და სტანდარტების ხელმძღვანელი, Shell-ის ნედლეულით ვაჭრობის ბიზნესის ფინანსური დირექტორი კარიბის ზღვის ქვეყნებში, M&A, კომერციული ფინანსების მართვის ფუნქცია რუსეთსა და დსთ-ში, ასევე სასაქონლო ბაზრის რისკის მართვა ნედლი ნავთობის ვაჭრობის სექტორში ევროპაში.
უნარები და გამოცდილება	გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებში და საკონსულტაციო როლების სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციებში; საბჭოს წევრობა და კომიტეტის თავმჯდომარის გამოცდილება დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებულ ბანკებში; საინვესტიციო საბანკო საქმიანობისა და ბანკების რესტრუქტურიზაციის ხელმძღვანელობის გამოცდილება; სტრატეგიული დაგეგმვისა და იმპლემენტაციის ღრმა ცოდნა.	25 წელზე მეტი გამოცდილება ენერგეტიკის სექტორში, მათ შორის რეგულირებადი სასაქონლო ვაჭრობისა და ფინანსური მომსახურების მიმართულებით; ლონდონის დირექტორების ინსტიტუტის (დიდი ბრიტანეთი) სერტიფიცირებული დირექტორი და წევრი ბრიტანულ-ქართული საზოგადოების ყოფილი წევრი და დიდ ბრიტანეთში ქართული სათვისტომოს ყოფილი თავმჯდომარე; ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის შესაბამისი საექსპერტო ცოდნა და გამოცდილება.
წვლილი კომპანიაში	საერთაშორისო საბანკო სფეროში 25 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილებითა და ცოდნით, არნე, როგორც თავმჯდომარე, ღირებულ ხედვას სთავაზობს საბჭოს. არნე გადამწყვეტ როლს ასრულებს კომპანიის მთავარ აქციონერებთან ურთიერთობაში და, ეკონომიკური გაურკვევლობის პირობებში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილებით ფასდაუდებელია კომპნიისა და ფართო სექტორის წინაშე მდგრადი გამოწვევების გადალახვაში მის მიერ შეტანილი წვლილი0 ბოლო წლებში არნემ, როგორც კორპორაციული მართვისა და ნომინაციების კომიტეტის თავმჯდომარემ, უზრუნველყო მაღალკვალიფიციური კადრების დანიშვნა. ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოს შემადგენლობის კომპანიის კულტურასთან, სტრატეგიასთან და ხელმძღვანელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში.	ცირას, როგორც სპეციალისტის ცოდნა ფინანსური მომსახურების, რისკის მართვისა და შიდა აუდიტის სფეროებში აძლევს მას საშუალებას, კონსტრუქციულად გამოხატოს თავისი აზრი და წვლილი შეიტანოს საბჭოს საკითხების გადაწყვეტაში. ცირას, როგორც დიპლომირებული დირექტორს, ლიდერული თვისებები აძლევს შესაძლებლობას იმოქმედოს, როგორც თავმჯდომარის საიმედო მრჩეველმა და წარმოადგინოს სხვა დირექტორთა ინტერესები. ცირას საბჭოში შემოაქვს თავისი მნიშვნელოვანი გამოცდილება მარეგულირებელი, სტრატეგიული და საერთაშორისო ფინანსური მომსახურების და ფინანსური ბაზრების ცოდნის მიმართულებით.
გარე დანიშვნები	Hoting Innovations AB-ის თავმჯდომარე	შპს „Shell International“- კორპორაციული და მართვის მიმართულების ვიცე პრეზიდენტი დიდ ბრიტანეთში, და „Shell“-ის სხვადასხვა ჯგუფების დირექტორი დახურული საპენსიო ფონდის British Gas Trustee Solutions Ltd.-ის მიერ ნომინირებული რწმუნებული დირექტორი (Shell-ის მიერ British Gas-ის შეძენის შემდგომ)





პერ ანდერს ფასტი	**ჯანეტ ჰეკმანი**
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
AC-ის თავმჯდომარე, RC-ისა და CGN-ის წევრი	RemCo-ს თავმჯდომარე, RC-ის წევრი
2021 წლის 1 ივლისი	2023 წლის 26 ივნისი
შვედეთი	ამერიკა
ბოლო 25 წლის განმავლობაში პერ ანდერსი მუშაობდა გენერალურ დირექტორად კომპანიებში SBAB Bank, Hoist Finance და European Resolution Capital, ასევე ფინანსური დირექტორისა და სხვა მაღალი რანგის აღმასრულებელ თანამდებობებზე წამყვან ჩრდილო-ევროპულ ბანკში SEB. მან ასევე მიიღო დიდი გამოცდილება სტრატეგიულ კონსულტირებაში, და 10 წელი იმუშავა უმაღლესი დონის საკონსულტაციო კომპანიებში - McKinsey & Company და QVARTZ (ამჟამად Bain & Company). პერ ანდერსი იყო ევროპის 15-ზე მეტი საფინანსო ინსტიტუტის არააღმასრულებელი დირექტორი. გარდა ამისა, მას აქვს დიდი პროფესიული გამოცდილება, რადგან მუშაობდა ევროპის 20-ზე მეტ ქვეყანაში, არა-აღმასრულებელი დირექტორისა და მრჩევლის პოზიციებზე კორპორაციებსა და მთავრობებში.	2017 წლის თებერვლიდან 2019 წლის დეკემბრამდე ჯანეტი იყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის რეგიონის (SEMED) მმართველი დირექტორი. ის ასევე იყო ეგვიპტის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი კაიროში. დღეს ის ყაზახეთში, ასტანის საერთაშორისო ბირჟის, Air Astana-ს და Citi Kazakhstan-ის საბჭოების არააღმასრულებელი დირექტორია. Citi-ში ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, იგი მუშაობდა EMEA-ს კორპორაციულ და საინვესტიციო მმართველ დირექტორად და ასრულებდა მთელ რიგ ფუნქციებს EMEA-ს მასშტაბით, ასევე პასუხისმგებელი იყო გლობალურ ურთიერთობებზე საბანკო მომსახურებაში CEMEA-ს მასშტაბით.
გენერალურ დირექტორად და უფროს აღმასრულებელ ოფიცრად მუშაობის დიდი გამოცდილება, რომელსაც 20 წელზე მეტი აქვს ნამუშევარი წამყვან ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებში; დამოუკიდებელ არა-აღმასრულებელი დირექტორად მუშაობის 40 წელზე მეტი ხნის გამოცდილება; კორპორაციული მართვის, ლიდერობისა და სტრატეგიული კონსულტირების ძლიერი უნარ-ჩვევები; ფართო გამოცდილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ინვესტორებთან ურთიერთობაში და შიდა კონტროლში; შესაბამისი გამოცდილება ევროპის ფინანსური საინფორმაციო ტექნოლოგიებისა (ფინტექ) და კრედიტების მართვის სფეროებში.	30 წელზე მეტი ხნის გამოცდილება კორპორაციულ, საინვესტიციო და დეველოპერულ საბანკო სფეროში. ღრმა საექსპერტო ცოდნა საბანკო სფეროს გლობალურ ურთიერთობებში. 15-წლიანი გამოცდილება ოპერაციების მართვაში. ბიზნეს-გეგმებისა და სტრატეგიული ცვლილებების შემუშავებისა და შესრულების შესაბამისი გამოცდილება სხვადასხვა იურისდიქციებში, მათ შორის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში. ეს მოიცავდა ძირითადი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას ეროვნულ მთავრობებთან.
პერ ანდერსი ცნობილია, როგორც ფინანსური ექსპერტი აუდიტისა და რისკების კომიტეტის მუშაობის საკითხებში. მას აქვს საბანკო და ფინანსური მომსახურების და მარეგულირებელ გარემოში საქმიანობის დიდი გამოცდილება. პერ ანდერსის ფართო მართვის და გლობალური აღმასრულებელი გამოცდილება ხელს უწყობს მიერ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის ფუნქციის შესრულებას, და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოს განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.	ჯანეტს საბჭოში შემოაქვს ფინანსური სერვისების და კორპორაციული ბანკინგის ღრმა ცოდნა, თავისი განვლილი გამოცდილებებიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში რეგიონული ოპერაციების სტრატეგიის ფორმულირებისა და შექმნის მიმართულებით.
კომპანიის „Lyra Financial Wealth“ თავმჯდომარე „Atle Investment Management Services AB“-ის საბჭოს წევრი სს „Ukrgasbank“-ის საბჭოს წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე	ასტანას საერთაშორისო საფონდო ბირჟის საბჭოს წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე „Air Astana“-ს საბჭოს წევრი, ყაზახეთი „Citybank“-ის საბჭოს წევრი, ყაზახეთი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ბიოგრაფიები გაგრძელება





	ერან კლაინი	ტიმიოს პ. კირიაკოპულოსი
თანამდებობა	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
კომიტეტი	ESG-ის თავმჯდომარე, TD-ისა და RC-ის წევრი	RC-ის თავმჯდომარე, AC-ისა და TD-ის წევრი
დაინიშნა	2021 წლის 1 ივლისი	2021 წლის 1 ივლისი
მოქალაქეობა	ბრიტანეთი	საბერძნეთი
კარიერა	ერანი არის TBC Bank Group PLC-ის საბჭოს არააღმასრულებელი დირექტორი, სადაც ის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარეა. ის ასევე არის Chapter Zero Uzbekistan და Chapter Zero Ukraine & Caucasus-ის საბჭოს წევრი. დღემდე ის უკრაინის უმსხვილესი ბანკის „PrivatBank“ არააღმასრულებელი დირექტორის ფუნქციას ასრულებდა, სადაც ომის დროს რისკების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ერანი გამოცდილი საერთაშორისო ბანკირია. თავისი კარიერის განმავლობაში, რომელიც ორ ათწლეულს ითვლის, მას ეკავა ხელმძღვანელი როლები წამყვან საფინანსო დაწესებულებებში, როგორიც არის Citibank, Deutsche Bank, ING და Commerzbank. განვითარებულ და განვითარებად ბაზრებზე მუშაობისას, ის საბანკო სექტორში რამდენიმე ფუნქციაზე იყო ფოკუსირებული, მათ შორის რისკების, საბანკო სტრატეგიის, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის, ტექნოლოგიების, კორპორაციული მმართველობის, გეოპოლიტიკური გარემოს, დაკრედიტებისა და ფინანსური მომსახურებების რეგულაციებზე. მისი ინტერესის სფეროს გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის, ტექნოლოგიებისა (მათ შორის კიბერ ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და ციფრული ტექნოლოგიები) და რისკების ურთიერთგადაკვეთა წარმოადგენს. ერანი ფლობს სამართლის მაგისტრის ხარისხს იაპონიის, ჩუოს უნივერსიტეტის წამყვანი სამართლის ფაკულტეტიდან, ასევე ლონდონის ბიზნეს სკოლის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს (Sloan Masters).	ტიმიოსი არის მაღალი რანგის საბანკო აღმასრულებელი ოფიცერი მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილებით. მისი სპეციალიზაციაა ინვესტიციების მართვა, საოპერაციო ტრანსფორმაცია, ბალანსის ოპტიმიზაცია რისკების მართვა და ფინანსური ინჟინერია. ის იყო საბერძნეთის სუვერენული ფონდის Hellenic Corporation of Assets and Participations საბჭოს წევრი, და ინვესტიციებისა და რისკების კომიტეტის თავმჯდომარე. ტიმიოსი ასევე იყო Attica Bank SA-ს რისკების კომიტეტის თავმჯდომარე და Agreed Payments SA-ს დირექტორთა საბჭოს წევრი. ტიმიოსი იყო აღმასრულებელი გენერალური მენეჯერი და მთავარი რისკის ოფიცერი საბერძნეთის საფონდო ბირჟაზე განთავსებულ წამყვან ბანკში - Piraeus Bank S.A.-ში, Goldman Sachs Inc.-ის მმართველი დირექტორი ფიქსირებული შემოსავლის ვალუტებისა და ნედლეულით ვაჭრობის განყოფილებაში და ეკავა საბჭოს წევრისა და აღმასრულებელი როლები სადაზღვევო, ფინტექის, ფინანსური მომსახურებებისა და საკონსულტაციო სექტორებში.
უნარები და გამოცდილება	დიდი გამოცდილება საბანკო, საკრედიტო, კაპიტალის ბაზრებსა და ფინანსური რეგულირების სფეროში; დიდი გამოცდილება გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სფეროში; საექსპერტო გამოცდილება რისკების, კორპორაციული მართვის, სტრატეგიისა და სტრუქტურირების საკითხებში; განვითარებადი ბაზრების საბანკო და დაინტერესებული მხარეების მართვის დიდი გამოცდილება; ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის შესაბამისი საექსპერტო ცოდნა და გამოცდილება.	დიდი გამოცდილება კაპიტალის გლობალურ ბაზრებში, რეგიონულ ბანკინგში და ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სუბიექტებში; რისკის მართვის ექსპერტი, ინვესტიციების მენეჯერი და ბალანსის ოპტიმიზატორი; საოპერაციო ტრანსფორმაციის და კრიზისის მართვა სისტემური ბანკების და ფინტექ მიმართულებით; მმართველობის, რისკებისა და აქტივების მართვის ზედამხედველობის ძლიერი უნარები როგორც საფონდო ბირჟაზე განთავსებული, ასევე კვაზი-სახელმწიფო სუბიექტებისთვის.
წვლილი კომპანიაში	ერანს საბჭოსათვის მოაქვს რისკების, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის, ტექნოლოგიების, მმართველობისა და ფინანსური რეგულირების ფართო და მრავალფეროვანი გამოცდილება, რომელიც მან მიიღო მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტებსა და საკონსულტაციო სფეროებში როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ბაზრებზე, რითაც იგი იდეალურად შეესაბამება ESG და ეთიკის კომიტეტის ხელმძღვანელობის მოთხოვნებს ჯგუფის სახელით.	ტიმიოსს საბჭოში შემოაქვს დიდი გამოცდილება მმართველობის, ფინანსებისა და საოპერაციო სფეროდან. მისი ღრმა ცოდნა მას საშუალებას აძლევს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს კომპანიის სტრატეგიულ მართვას და აკონტროლოს მისი განხორციელების გზები. იგი ხელმძღვანელობდა საინვესტიციო და რისკების ფუნქციებს საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე განთავსებულ ბანკებში და ასრულებდა ეროვნული კეთილდღეობის ფონდის საინვესტიციო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას; არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული ბერძნული ბანკის რისკების კომიტეტის თავმჯდომარე, სხვადასხვა იურისდიქციებში რისკებზე მუშაობის ფართო გამოცდილება ტიმიოსს საშუალებას აძლევს შემოიტანოს ინოვაციური და პოზიტიური ხედვა რისკების კომიტეტის თავმჯდომარის როლზე.
გარე დანიშვნები	„Chapter Zero Ukraine and Caucasus“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი „Chapter Zero Uzbekistan“-ის საკონსულტაციო საბჭოს წევრი	„Agreed Payments SA“-ის საბჭოს წევრი





რაჯივ სოუნი	ნინო სუქნიძე
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
TD-ის თავმჯდომარე, ESGE-ისა და CGN-ის წევრი	AC-ისა და CGN-ის წევრი
2021 წლის 29 ნოემბერი	2021 წლის 29 ნოემბერი
ინდოეთი	საქართველო
რაჯივს აქვს 40 წლიანი გამოცდილება კორპორაციული ზრდის უფროსი აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე. იგი არის ციფრული ტექნოლოგიების სპეციალისტი და მუშაობდა ფინანსური მომსახურებისა და სხვადასხვა სფეროებში ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში. ადრე რაჯივს ეკავა აღმასრულებელი თავმჯდომარის და არააღმასრულებელი დირექტორის პოზიციები, ოქსფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო ტექნოლოგიური ინოვაციების კომპანიაში შპს „OXSIGHT“. იგი იყო გენერალური დირექტორის უფროსი მრჩეველი IT მომსახურების გლობალურ ფირმაში Zensar Ltd, დიდ ბრიტანეთში და საკონსულტაციო საბჭოს წევრი Garble Cloud Inc.-ში, კიბერუსაფრთხოების კომპანიაში სილიკონის ველზე, აშშ. რაჯივმა მიიღო ძლიერი საოპერაციო გამოცდილება, როგორც HCL Technologies-ის პრეზიდენტმა, და ფინანსური მომსახურების ფირმაში, Mphasis-ში, რომელიც Hewlett Packard-ის კომპანიაა. რაჯივი იყო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საექსპერტო სამუშაო ჯგუფის წევრი დაბალნახშირბადიანი ეკონომიკური კეთილდღეობის საკითხებში და წვლილი შეიტანა კლიმატის ცვლილების განხილვებში დავოსის საზაფხულო მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე.	ნინო არის ბიზნეს იურისტი, რომელსაც აქვს 20 წელზე მეტი გამოცდილება ქართულ ბაზარზე. მას აქვს სიღრმისეული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საბანკო, საფინანსო, კორპორაციულ, რეგულირების, კონკურენციისა და კაპიტალის ბაზრების მიმართულებით. ადრე ნინო სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური მრჩეველი იყო. TBC Bank Group PLC-ში მოსვლამდე ის სხვადასხვა თანამდებობაზე იყო საერთაშორისო იურიდიულ ფირმებში „Dentons“ და „DLA Piper“ 11 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. დღეს ნინო იურიდიული ფირმის - შპს „სუქნიძე და პარტნიორები“ მმართველი პარტნიორია.
40 წელზე მეტი ხნის კორპორაციული ლიდერობის ძლიერი გლობალური გამოცდილება; მნიშვნელოვანი საკონსულტაციო და აღმასრულებელი გამოცდილება ტექნოლოგიურ და კიბერუსაფრთხოების კომპანიებთან ფინანსურ მომსახურებებსა და სხვა დარგებში; ადამიანური რესურსების მართვის ფართო საექსპერტო ცოდნა; ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის შესაბამისი საექსპერტო ცოდნა და გამოცდილება.	ფინანსური მომსახურების ძლიერი გამოცდილება დიდი გამოცდილება წამყვანი იურიდიული მრჩევლის რანგში ფინანსური მომსახურების სექტორის მსხვილ ტრანზაქციებსა და პროექტებში; მმართველობის, მარეგულირებელი და რისკების მართვის ფართო გამოცდილება, მათ შორის ლონდონის საფონდო ბირჟაზე კოტირებულ კომპანიაში; კომპანიების კონსულტირების გამოცდილება სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ტელეკომუნიკაციაში, ფარმაცევტიკაში, ენერგეტიკაში და კომერციაში.
რაჯივს საბჭოში მოაქვს საერთაშორისო ხელმძღვანელობისა და ზოგადი მენეჯმენტის ფართო გამოცდილება, რომელიც მან მოიპოვა ტექნოლოგიებისა და ფინტექ სექტორებში მუშაობისას. მას ფასეული წვლილი შემოაქვს კომპანიის ტექნოლოგიურ განვითარებაში, რომელსაც უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან დაკავშირებით, ის დაინიშნა ტექნოლოგიებისა და მონაცემების კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც ის უზრუნველყოფს ძირითად მხარდაჭერას და ხელმძღვანელობას ამ სფეროებში.	ნინო არის გამოცდილი ქვეყნის შიდა და საერთაშორისო იურისტი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული გამოცდილება რეგულირებად სექტორებში, სადაც მან კონსულტაციები გასწია მრავალ სხვადასხვა სამართლებრივ, მარეგულირებელ და ბიზნეს საკითხებზე. ნინოს ღირებული გამოცდილება და მისი შეხედულებები ამდიდრებს საბჭოს განხილვებსა და სტრატეგიულ აზროვნებას.
ამჟამად არ არის დანიშნული სხვა დამატებით პოზიციებზე.	ქართული საქველმოქმედო ორგანიზაციის Care Caucasus საბჭოს წევრი ამერიკის სავაჭრო პალატის (AMCHAM) დირექტორთა საბჭოს წევრი „სუქნიძე და პარტნიორების“ მმართველი პარტნიორი

კორპორაციული მართვა



2024 წლის მმართველობის მიმოხილვა:

- დავამტკიცეთ ამბიციური სტრატეგიები ბანკისა და სეგმენტებისთვის, გრძელვადიანი ზრდის, მეტი მომგებიანობის, აქციონერთა სტაბილური უკუგებისა და საწარმოს ღირებულების შექმნის უზრუნველყოფის მიზნით;
- წარმატებით განვამტკიცეთ მართვის მექანიზმები განახლებული კორპორაციული მართვის ჩარჩოს დანერგვით;
- კიდევ უფრო გავაფართოვეთ რისკის მართვის პრაქტიკა და გავამკაცრეთ კონტროლის ფუნქციები ბანკის დაცვის ყველა ასპექტში, მათ შორის დავნერგეთ ინტეგრირებული შიდა კონტროლების ჩარჩო მთელ ბანკში საიმედო ზედამხედველობისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- კიდევ უფრო დავხვეწეთ ორგანიზაციული სტრუქტურა მეტი ეფექტურობის, მოქნილობისა და სტრატეგიულ ამოცანებთან შესაბამისობის მიზნით;
- მივაღწიეთ მნიშვნელოვან პროგრესს საუკეთესო საერთაშორისო ტალანტის მოზიდვაში და გავაუმჯობესეთ ზედა რგოლის თანამდებობებისთვის მემკვიდრეობის დაგეგმვა, გრძელვადიანი ზრდისა და სტაბილურობის მხარდასაჭერად;
- განვამტკიცეთ ბანკის ანაზღაურების ჩარჩო, რათა შესაბამისობაში მოგვეყვანა ბაზრის საუკეთესო პრაქტიკასთან, წაგვეხალისებინა საქმიანობა და ხელი შეგვეწყო გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანების შესრულებისთვის;
- დავხვეწეთ ტექნოლოგიების და მონაცემთა შესაძლებლობები, რათა გაგვეუმჯობესებინა გადაწყვეტილების მიღება, საოპერაციო ეფექტურობა და მომხმარებელთა გამოცდილება;
- გადავხედეთ კიბერუსაფრთხოების სისტემებს მათი მუდმივი საიმედოობის უზრუნველსაყოფად;
- გავაფართოვეთ ბანკის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ინიციატივები, რისთვისაც მოვახდინეთ ბიზნესპროცესებში მდგრადობის ინტეგრაცია და მივაღწიეთ მნიშვნელოვან წინსვლას გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის მიზნებისკენ.

მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკი (ბანკი) არის ინგლისსა და უელსში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე განთავსებული TBC Bank Group PLC-ის მთავარი შვილობილი კომპანია. ბანკის კორპორაციული მართვა შეესაბამება „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 26 სექტემბრის კოდექსის მოთხოვნებს, პერიოდული ცვლილებების გათვალისწინებით (კოდექსი). ამავდროულად, ბანკი იცავს კორპორაციული მართვის უმაღლეს სტანდარტებს, როგორც ეს დადგენილია დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსით.

ბანკის მთავარი აქციონერია TBC Bank Group PLC, რომელიც ფლობს ბანკის სააქციო კაპიტალის 99.9% -ს. აქციონერთა უფლებები რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონით და ასევე მითითებულია ბანკის წესდებაში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია მისამართზე: www.tbcbank.ge.

ბანკის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება (საერთო კრება). ბანკის აქციონერებს, სხვა საკითხებთან ერთად, უფლება აქვთ დაესწრონ საერთო კრებებს და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში, მიიღონ დივიდენდები და მოითხოვონ ახსნა-განმარტებები ბანკის მმართველი საბჭოს წევრებისა1 და სამეთვალყურეო საბჭოსგან სხდომის დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე. საერთო კრება დამსწრე ან წარმოდგენილი ხმების უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისა და გადაყენების, მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცების, წლიური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კომპენსაციის განსაზღვრის, მოგების (დივიდენდის) განაწილების წინადადების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საერთო კრება უფლებამოსილია დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა 75%-ზე მეტით მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის წესდებაში ცვლილების შეტანის, ბანკის სააქციო კაპიტალის შემცირების დამტკიცების,

ლიკვიდაციისთვის ქმედებების დაწყების, კრედიტორებისათვის საერთო გადაცემის დაწყების ან ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის შესახებ გაკოტრების, გადახდისუუნარობის ან კანონით განსაზღვრულ მსგავს რეჟიმში მოქმედებისას, და შერწყმის დამტკიცების შესახებ.

ბანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო (სამეთვალყურეო საბჭო). კომპანია იყენებს „სარკისებრი საბჭოს“ პოლიტიკას თავის მთავარ შვილობილ კომპანიასთან, ბანკთან. PLC საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, მათ შორის შესაბამისი კომიტეტები, ორივე დონეზე იმეორებენ ერთმანეთს არააღმასრულებელი წევრობის თვალსაზრისით.2 ასევე არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც PLC საბჭოს კომიტეტების, ეკვივალენტური კომიტეტის სტრუქტურა. საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მათი შესაბამისი კომიტეტების მუშაობა არის ზედმიწევნით დაბალანსებული, ფუნქციები იყოფა იმის მიხედვით, არის ეს საზედამხედველო საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფზე თუ ბანკთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფის მმართველობითი სტრუქტურა უზრუნველყოფს სათანადო ზედამხედველობასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე, მოვალეობების მკაფიო დაყოფას.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს იმას, რომ ბანკის მმართველობითი სტრუქტურა იძლეოდეს სათანადო ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების, ასევე, მოვალეობების მკაფიო დაყოფის საშუალებას. რისკების მართვაში ყველა მმართველობის დონის ჩართვა, უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნა და სხვადასხვა სუბიექტებს შორის ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს სიცხადეს ჯგუფის სტრატეგიულ და რისკების მიზნებთან დაკავშირებით, დადგენილი რისკის აპეტიტის დაცვას, რისკების ბიუჯეტის და რისკების რაციონალურ მართვას. საწარმოთა რისკების ცენტრალიზებული მართვის (ERM) ფუნქცია უზრუნველყოფს რისკების სტრატეგიისა და რისკების აპეტიტის ეფექტურ შემუშავებას, კომუნიკაციასა და განხორციელებას ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების მასშტაბით.

- სამეთვალყურეო საბჭომ ჩამოაყალიბა ექვსი კომიტეტი:
- კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი
- აუდიტის კომიტეტი
- რისკების კომიტეტი
- ადამიანური რესურსებისა და ანაზღაურების კომიტეტი
- ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი
- ESG-სა და ეთიკის კომიტეტი.

ბანკი აღიარებს მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და ხედავს ჩვენი ბიზნესისთვის მნიშვნელოვან სარგებელს ისეთი სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი გუნდის არსებობაში, რომელიც შედგება სხვადასხვა გამოცდილების მქონე ადამიანებისაგან, რადგან ამას მოაქვს საჭირო საექსპერტო ცოდნა, კულტურული მრავალფეროვნება და განსხვავებული პერსპექტივები საბჭოს დისკუსიებში და ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების ხარისხის გაუმჯობესებას. საკვანძო პოზიციებზე მუშაობს არაერთი ნიჭიერი ქალი. ბანკი გააგრძელებს იმის უზრუნველყოფას, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველ საბჭოში ყველა სამომავლო დანიშვნის განხილვისას მხარდაჭერა ჰქონდეს მრავალფეროვნების მიზნებს.

წინამდებარე ანგარიშის თარიღისთვის, კოდექსით დადგენილი „დამოუკიდებლობის“ კრიტერიუმების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედის რვა დამოუკიდებელი, არააღმასრულებელი წევრი: არნე ბერგგრენი (თავმჯდომარე), ცირა კემულარია (უფროსი დამოუკიდებელი წევრი), პერ ანდერს ფასტი, ტიმიოს პ. კირიაკოპულოსი, ერან კლაინი, ნინო სუქნიძე, რაჯივ სოუნი და ჯანეტ ჰეკმანი.

ამასთან, ბანკს აქვს ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რათა უზრუნველყოს ზუსტი და სანდო ფინანსური ანგარიშგება. ბანკს აქვს ანგარიშვალდებულების და უფლებამოსილების დელეგირების კარგად განსაზღვრული ჩარჩო, ასევე პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც მოიცავს ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას; ყოველთვიური მართვის ანგარიშების მომზადებას; პროექტის მართვას; ინფორმაციულ უსაფრთხოებას; და განმარტებითი შენიშვნების განხილვას წლიურ ანგარიშში და ანგარიშებს შესაბამისი ხელმძღვანელებისგან, რათა სათანადოდ გაამჟღავნოს წლის განმავლობაში ყველა მოვლენა და დააკმაყოფილოს უტყუარი და სამართლიანი წარდგენის მოთხოვნები.

მოვალეობების გადანაწილება

თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის თანამდებობებზე სხვადასხვა პირები არიან დანიშნულები და მათი მოვალეობები მკაფიოდ არის გამიჯნული. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტის როლი და დირექტივები, 2024 წლის განმავლობაში თითოეული კომიტეტის მიერ თავისი როლისა და დირექტივების შესრულების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, მოცემულია 158-163 გვერდებზე.

1 ბანკის გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილეები.
2 გენერალური დირექტორი არ არის სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.



თავმჯდომარე

თავმჯდომარის ძირითადი პასუხისმგებლობაა სამეთვალყურეო საბჭოს გაძღოლა და ეფექტური ფუნქციონირება

სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი

ასრულებს თავმჯდომარის მრჩევლის ფუნქციას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის შუამავლის როლს და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომია აქციონერებისთვის.

გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორის მთავარი მოვალეობა ბანკის საქმიანობების მართვაა. იგი პასუხისმგებელია აღმასრულებელი მართვის ყველა იმ საკითხზე, რომელიც ბანკზე გავლენას ახდენს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

აღმასრულებელ პირს კონსტრუქციულ მოსაზრებას უზიარებს და, საჭიროების შემთხვევაში, რჩევებს აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. გარდა ამისა, მთელ სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, კოლექტიურად არის პასუხისმგებელი ბანკის გრძელვადიან წარმატებაზე და აქციონერებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნაზე.

კორპორაციული მდივანი

გიორგი გიგუაშვილი კორპორაციულ მდივნად 2022 წლის აგვისტოში დაინიშნა. კორპორაციული მდივნის დანიშვნისა და მოხსნის შესახებ გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო იღებს.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები 2024 წლის განმავლობაში

ქვემოთ წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტის მონაწილეობა სხდომებზე. 2024 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭომ გააგრძელა შეხვედრები წევრების პირადად დასწრებისა და სხდომების ტელეკონფერენციის მეშვეობით ორგანიზების ეფექტური ნაზავით. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტის თავმჯდომარე კომიტეტის საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ სხდომაზე, მათ შორის კომიტეტის მიერ რეკომენდებულ საკითხებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად.

სამეთვალყურეო საბჭოსა და შესაბამისი კომიტეტების სხდომებზე დასწრება 2024 წელს ასე გამოიყურებოდა:

საბჭოს წევრი	საბჭო	კორპორაციული მართვა და ნომინაცია კომიტეტი	ადამიანური რესურსებისა და ანაზღაურების კომიტეტი	აუდიტის კომიტეტი	რისკების კომიტეტი	ESG და ეთიკის კომიტეტი	ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი
არნე ბერგგრენი	14/14	5/5	6/6	-	-	-	-
ცირა კემულარია[1]	14/14	-	6/6	8/8	-	1/1	-
პერ ანდერს ფასტი	14/14	-	6/6	8/8	11/11	-	-
ერან კლაინი	14/14	-	-	-	11/11	4/4	4/4
ტიმიოს კირიაკოპულოსი	14/14	-	-	8/8	11/11	-	4/4
რაჯივ სოუნი	14/14	5/5	-	-	-	4/4	4/4
ნინო სუქნიძე	14/14	5/5	-	8/8	-	-	-
ჯანეტ ჰეკმანი	14/14	-	6/6	-	11/11	4/4	-

კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი



თავმჯდომარისა და კომიტეტის შესახებ

არნე ბერგგრენი კომიტეტს 2022 წლის იანვრიდან თავმჯდომარეობს. მას ეკავა რამდენიმე უმაღლესი ხელმძღვანელისა და საკონსულტაციო თანამდებობა ცნობილ ფინანსურ დაწესებულებებში.

სხდომებზე დასწრების უფლება მხოლოდ კომიტეტის წევრებს აქვთ, თუმცა კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს სხვა დამსწრეები ნებისმიერ სხდომაზე სრულად ან ნაწილობრივ დასასწრებად, თუ ამას ჩათვლის მიზანშეწონილად ან საჭიროდ.

კომიტეტის წევრები

- არნე ბერგგრენი (კომიტეტის თავმჯდომარე)
- ცირა კემულარია*
- პერ ანდერს ფასტი* (დაინიშნა 2025 წლის 12 თებერვალს)
- რაჯივ სოუნი* (გადადგა 2025 წლის 12 თებერვალს)
- ნინო სუქნიძე*

სხდომაზე დასწრება მოცემულია 157-ე გვერდზე
**სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*

ძირითადი მოვალეობები

- სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და მემკვიდრეობის დაგეგმვა
- სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების გათვითცნობიერება და ტრენინგი
- სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობა
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა, შეფასება და მემკვიდრეობის დაგეგმვა
- ტალანტის მართვა
- კორპორაციული მართვა

კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ „უფლებამოსილების ფარგლებში“, რომელიც 2025 წლის თებერვალში გადაისინჯა და მოცემულია ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge.

კომიტეტის მიზანი

კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკს სათანადო მმართველობითი ჩარჩო და სტრუქტურა ჰქონდეს. გარდა ამისა, კომიტეტი უზრუნველყოფს სამომავლო ხელმძღვანელობის საჭიროებების დაკმაყოფილებას სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურის, ზომის, მრავალფეროვნებისა და შემადგენლობის (მათ შორის, უნარების, ცოდნისა და გამოცდილების) გადახედვით და მემკვიდრეობის გეგმების შედგენით ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობისა და სხვა კრიტიკული როლებისთვის. კომიტეტის მიერ გამოვლენილი ფაქტები და ანგარიშები რეგულარულად, მინიმუმ კვარტალში ერთხელ, წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

2024 წლის ძირითადი საქმიანობის შეჯამება

წლის განმავლობაში კომიტეტის საქმიანობა კონცენტრირებული იყო შემდეგზე:

- გაუმჯობესებული კორპორაციული მართვის ჩარჩოს დანერგვა: კორპორაციული მართვის განახლებული ჩარჩო წარმატებით დაინერგა ბანკში. იგი ასახავს საუკეთესო პრაქტიკას და განამტკიცებს მართვის მექანიზმებს ბანკის ყველა ოპერაციისთვის.
- ორგანიზაციულ სტრუქტურაში მის გასაუმჯობესებლად შესული ცვლილებები: ორგანიზაციული სტრუქტურის დასახვეწად მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა მეტი ეფექტურობის, მოქნილობისა და ბანკის სტრატეგიულ ამოცანებთან შესაბამისობის მიზნით;
- მემკვიდრეობის გეგმის დახვეწა: კომიტეტმა კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა მიმართა ბანკის მემკვიდრეობის დაგეგმვისკენ, რათა უზრუნველყოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე ტალანტის აქტიური მოზიდვა მუდმივი ზრდისა და გრძელვადიანი სტაბილურობის მხარდასაჭერად.
- საუკეთესო ტალანტის მოზიდვა: კომიტეტმა დიდ პროგრესს მიაღწია აღმასრულებელ თანამდებობებზე საუკეთესო ტალანტის მოზიდვის თვალსაზრისით, რითაც გაუმჯობესა ბანკის ხელმძღვანელობის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა გლობალურ ბაზარზე.
- მრავალფეროვნება და ინკლუზია - ეს იყო წლის განმავლობაში კომიტეტის მუშაობის განუყოფელი ფაქტორი.

1 2024 წლის 15 თებერვალს ცირა კემულარია გადადგა ESG და ეთიკის კომიტეტიდან და 2024 წლის 15 თებერვალს დაინიშნა კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტში.

აუდიტის კომიტეტის ანგარიში



თავმჯდომარისა და კომიტეტის შესახებ

პერ ანდერს ფასტი 2021 წლიდან თავმჯდომარეობს კომიტეტს. მას აქვს წამყვანი ფინანსურ დაწესებულებებში მუშაობის დიდი გამოცდილება და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიიჩნევა საჭირო და შესაბამისი გამოცდილების მქონედ. კომიტეტის ყველა წევრი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია.

კომიტეტის თავმჯდომარეს და მთლიან კომიტეტს მხარს უჭერს ზედა რგოლის ხელმძღვანელების გუნდი, რომელთაც აქვთ ფინანსური მართვის დიდი გამოცდილება და იგი სამეთვალყურეო საბჭოს მოახსენებს კომიტეტის მიერ განხილულ საკითხებს.

სამეთვალყურეო საბჭო კმაყოფილია იმით, რომ კომიტეტს მთლიანობაში აქვს სექტორის შესაბამისი კომპეტენცია და მის წევრებს აქვთ კორპორაციულ ფინანსურ საკითხებში სათანადო დონის გამოცდილება.

კომიტეტის წევრები

- პერ ანდერს ფასტი (კომიტეტის თავმჯდომარე)
- ცირა კემულარია*
- ტიმოთი პ. კირიაკოპულოსი*
- ნინო სუქნიძე*

სხდომაზე დასწრება მოცემულია 157-ე გვერდზე
**სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*

ძირითადი მოვალეობები

- სააღრიცხვო და ფინანსური ანგარიშგებები
- გარე ფინანსური ანგარიშგება და ურთიერთობა ინვესტორებთან
- შიდა კონტროლის სისტემა
- შიდა აუდიტი
- შესაბამისობა მარეგულირებლის და საკანონმდებლო მოთხოვნებთან
- გარე აუდიტი
- არააუდიტორული მომსახურება

კომიტეტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ „უფლებამოსილების ფარგლებში“, რომელიც 2025 წლის თებერვალში გადაისინჯა და მოცემულია ბანკის ვებგვერდზე: www.tbcbank.ge.

კომიტეტის მიზანი

აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება სამეთვალყურეო-საზედამხედველო მოვალეობების შესრულებაში, რომლებიც უკავშირდება ბუღალტრული აღრიცხვის ხელშეუხებლობას, გარე ფინანსურ ანგარიშგებას და ინვესტორებთან ურთიერთობას, შიდა კონტროლის სისტემას, შესაბამისობას მარეგულირებლის და საკანონმდებლო მოთხოვნებთან, რისკის მართვის ჩარჩოსა და შიდა აუდიტის სისტემის ეფექტურობას, ასევე ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების გარე აუდიტს და არააუდიტორულ სერვისებს.

2024 წლის ძირითადი საქმიანობის შეჯამება

წლის განმავლობაში კომიტეტის საქმიანობა კონცენტრირებული იყო შემდეგზე:

- ბანკის მასშტაბით შიდა კონტროლის სისტემის და შიდა კონტროლის ფუნქციის ეფექტურობის განმტკიცება. კომიტეტი წლის განმავლობაში მიმოიხილავდა შიდა კონტროლის შესახებ ანგარიშებს, რომელშიც შედიოდა ისეთ საკითხებზე რეგულარული სიახლეები, როგორიცაა შიდა კონტროლის ფუნქციის საქმიანობის პროგრესი და შიდა კონტროლის გამტარებელი პირების ჩართულობაზე კონცენტრირება ბანკის შიგნით და კონტროლის მეთოდოლოგიების დანერგვა. ამ სამუშაოს მიმოხილვა 2025 წლისთვისაც აქტუალური დარჩება.
- შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მუშაობის ზედამხედველობა და მიმოხილვა.
- ბანკის შიდა აუდიტის საქმიანობის ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. კომიტეტმა გადახედა EY-ის მიერ ჩატარებულ გარე ხარისხის შეფასების მიმოხილვას, რომელმაც დაადასტურა „თიბისი ბანკის“ მუდმივი მზაობა შეინარჩუნოს მაღალი ეფექტურობის მქონე შიდა აუდიტის ფუნქცია, რომელიც ქმნის ღირებულებას და ხელს უწყობს ორგანიზაციის სტრატეგიულ პრიორიტეტებს.
- ბანკის გარე აუდიტორის ეფექტურობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა.
- ფინანსური შედეგები და წლიური და შუალედური ფინანსური ანგარიშგების ხელშეუხებლობა. კომიტეტმა ასევე მიიღო ზომები იმაში დასარწმუნებლად, რომ მთლიანობაში წლიური ანგარიში არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები.

რისკების კომიტეტის ანგარიში



თავმჯდომარისა და კომიტეტის შესახებ

ტიმიოს პ. კირიაკოპულოსი კომიტეტს 2021 წლიდან თავმჯდომარეობს. მას დიდი გამოცდილება აქვს კაპიტალის გლობალურ ბაზრებში, ბალანსის მართვაში, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტების რეგიონულ საბანკო საქმიანობაში და არის ინვესტიციებისა და რისკების მართვის ექსპერტი. სამეთვალყურეო საბჭოს მიაჩნია, რომ მას აქვს რისკის მართვის საჭირო და შესაბამისი გამოცდილება. კომიტეტის ყველა წევრი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია.

კომიტეტი აღმასრულებელი ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს, რომ შეასრულოს თავისი მოვალეობები აქციონერთა წინაშე და უზრუნველყოს მათი ინტერესების სათანადოდ დაცვა.

კომიტეტის წევრები

- ტიმიოს პ. კირიაკოპულოსი* (კომიტეტის თავმჯდომარე)
- პერ ანდერს ფასტი*
- ჯანეტ ჰეკმანი*
- ერან კლაინი*

სხდომაზე დასწრება მოცემულია 157-ე გვერდზე
**სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*

ძირითადი მოვალეობები

- რისკის აპეტიტი და რისკის მართვის ჩარჩო
- ფინანსური რისკის მართვა
- საოპერაციო მედეგობა
- კანონშესაბამისობის, მარეგულირებლის და სამართლებრივი რისკი

რისკის კომიტეტი ასევე მიმოიხილავს შიდა რისკის მართვის შესახებ განცხადებას და ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ განცხადებას, რომელიც ასახულია წლიურ ანგარიშში 118-ე გვერდზე.

რისკის კომიტეტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ „უფლებამოსილების ფარგლებში“, რომელიც 2025 წლის თებერვალში გადაისინჯა და მოცემულია კომპანიის ვებგვერდზე: www.tbcbank.ge.

კომიტეტის მიზანი

რისკის კომიტეტი ეხმარება და რჩევებს აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს საწარმოს ფარგლებში რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობასა და რისკის აპეტიტის სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. იგი ზრუნავს იმაზე, რომ ეს ჩარჩო შესაბამისობაში იყოს ბანკის ზრდის სტრატეგიასთან და ამასთანავე ახალისებს რისკებთან დაკავშირებით გონივრული გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურ კულტურას. კომიტეტი სისტემატურად მიმოიხილავს რისკის ანალიზს, რომ დაიცვას მართვის უმაღლესი სტანდარტები და მყარი საფუძველი შეუქმნას სამეთვალყურეო საბჭოს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. მისი ზედამხედველობის მოვალეობები მოიცავს ძირითადი და ახალი რისკების შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესმოდელზე, შემოსავლიანობაზე, კაპიტალის ადეკვატურობასა და ლიკვიდურობაზე.

2024 წლის ძირითადი საქმიანობის შეჯამება

წლის განმავლობაში კომიტეტი კონცენტრირებული იყო რისკის მართვის პრიორიტეტებზე, რომლებიც გამომდინარეობს ბანკის სტრატეგიიდან და არსებული საოპერაციო გარემოდან:

•რისკის სტრატეგიის და რისკის აპეტიტის ჩარჩოს გაფართოება: კომიტეტმა გააუმჯობესა რისკის სტრატეგია და რისკის აპეტიტის ჩარჩო სტრატეგიულ ამოცანებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

- გაჯანსაღების გეგმის დახვეწა: ბანკის გაჯანსაღების გეგმა გადაიხედა და გაფართოვდა, რათა გაუმჯობესდეს მედეგობა სისტემური და იდიოსინკრაზიული რისკების მიმართ.
- გეოპოლიტიკური მზაობა: კომიტეტმა შეაფასა სტრატეგიული მზაობა სხვადასხვა გეოპოლიტიკური სცენარის შემთხვევაში და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს არჩევნების დინამიკაზე.
- მართვის შეფასებები: მართვის სტანდარტების სიღრმისეული შეფასებები ჩატარდა, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორგანიზაციის ძირითად ფუნქციებს.
- რისკისა და უკუგების ოპტიმალური თანაფარდობა: განმტკიცდა სისტემატური ბალანსის ოპტიმიზაციის პრაქტიკა, რათა მოხდეს შემოსავლიანობისა და მიღებული რისკების თანაფარდობის ოპტიმიზაცია.
- ფინანსური რისკის მონიტორინგი: ფინანსური რისკის პოზიციის მკაცრი მონიტორინგი ხდებოდა უამრავი ინსტრუმენტის გამოყენებით, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესსა და ლიკვიდურობის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესს.

ეს ინიციატივები მეტყველებს კომიტეტის სწრაფვაზე, შეინარჩუნოს რისკის მართვის ქმედითი პრაქტიკა და უზრუნველყოს ბანკის მედეგობა დინამიკურ გარემოში კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესისა და ლიკვიდურობის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესისადმი.

ადამიანური რესურსებისა და ანაზღაურების კომიტეტის ანგარიში



თავმჯდომარისა და კომიტეტის შესახებ

ქალბატონ ჰეკმანს ფინანსური მომსახურებისა და კორპორაციული საბანკო მომსახურების საფუძვლიანი ცოდნა აქვს, რადგან იგი ევროპის რეგიონული და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონული ოპერაციების სტრატეგიის განხორციელებას ედგა სათავეში და ასევე უძღვებოდა კორპორაციულ და კომერციულ საქმიანობას, როგორც Citibank-ის მმართველი დირექტორი. თავისი დიდი გამოცდილება გამო ის შესაფერისი კანდიდატია იმისთვის, რომ დაეხმაროს კომპანიას უზბეკეთის ბაზარზე თავისი მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალის კაპიტალიზაციაში.

კომიტეტის წევრები

- ჯანეტ ჰეკმანი* (კომიტეტის თავმჯდომარე)
- არნე ბერგგრენი*
- პერ ანდერს ფასტი (გადადგა 2025 წლის 12 თებერვალს)
- ცირა კემულარია*
- რაჯივ სოუნი* (დაინიშნა 2025 წლის 12 თებერვალს)

სხდომაზე დასწრება მოცემულია 157-ე გვერდზე
**სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*

ძირითადი მოვალეობები

- ადამიანური რესურსები და შესაბამისი პოლიტიკები
- ანაზღაურების პოლიტიკა და აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება
- დასაქმებულთა ანაზღაურება

კომიტეტი უზრუნველყოფს იმას, რომ ბანკის ანაზღაურების პოლიტიკა აკმაყოფილებდეს რეგულაციებს, ხელს უწყობდეს გრძელვადიან წარმატებას და სამართლიანად და პასუხისმგებლონიანად უნაზღაურებდეს დასაქმებულებს შრომას, და ანაზღაურებას უსაბამებდეს როგორც კორპორაციული, ისე ინდივიდუალური საქმიანობის შედეგებს.

ამომწურავი ინფორმაცია კომიტეტის მოვალეობების შესახებ მოცემულია ადამიანური რესურსებისა და ანაზღაურების კომიტეტის „უფლებამოსილების ფარგლებში“, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე: www.tbcbank.ge.

კომიტეტის მიზანი

კომიტეტის დანიშნულება არის იმის უზრუნველყოფა, რომ:

ა. ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების სტრატეგიები, პოლიტიკები და პრაქტიკები ადამიანური რესურსებისა და ანაზღაურების შესახებ ემსახურებოდეს ბანკის სტრატეგიულ ამოცანებს;
ბ. ბანკის ანაზღაურების პოლიტიკა და პრაქტიკები შესაბამისობაშია საკანონმდებლო და მარეგულირებლის მოთხოვნებთან და მათი მიზანია ბანკის გრძელვადიანი წარმატების მხარდაჭერა და ხელშეწყობა და კოლეგების შრომის სამართლიანად და პასუხისმგებლობიანად ანაზღაურება, რომელიც პირდაპირ იქნება დაკავშირებული კორპორაციული და ინდივიდუალური საქმიანობის შედეგებთან;
გ. აღმასრულებელი პირების ანაზღაურება უკავშირდება ბანკის ღირებულებებს, გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებას და მისადაგებულია ბანკის დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან;
დ. ანაზღაურების პოლიტიკა სამართლიანად და თანმიმდევრულად ხორციელდება მთელ ბანკში.

2024 წლის ძირითადი საქმიანობის შეჯამება

წლის განმავლობაში კომიტეტის საქმიანობა კონცენტრირებული იყო შემდეგზე:

- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის 2024 წლის KPI შედეგების მიმოხილვა და დამტკიცება, ინტენსიური და გამჭვირვალე შეფასების პროცესის უზრუნველყოფა და მიზნობრივი KPI-ების დამტკიცება 2025 წლისთვის.
- ბანკის ადამიანური რესურსების სტრატეგიის მიმოხილვა 2025-2028 წლების პერიოდისთვის და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ტალანტის განვითარებაზე და ადამიანური კაპიტალის პრიორიტეტების მისადაგებაზე ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან.

ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტის ანგარიში



თავმჯდომარისა და კომიტეტის შესახებ

რაჯივ სოუნი კომიტეტს 2022 წლიდან თავმჯდომარეობს. მას დიდი გამოცდილება აქვს ციფრულ ტექნოლოგიებში და ევროპაში უმუშავია ინფორმაციული ტექნოლოგიის, ფინანსური მომსახურებისა და სხვა სფეროებში.

კომიტეტის თავმჯდომარეს და მთლიან კომიტეტს მხარს უჭერს ზედა რგოლის ხელმძღვანელების გუნდი, რომელთაც აქვთ ტექნოლოგიების და მონაცემთა მართვის დიდი გამოცდილება და იგი სამეთვალყურეო საბჭოს მოახსენებს კომიტეტის მიერ განხილულ საკითხებს.

კომიტეტის წევრები

- რაჯივ სოუნი* (კომიტეტის თავმჯდომარე)
- ერან კლაინი*
- ტიმიოს პ. კირიაკოპულოსი*

სხდომაზე დასწრება მოცემულია 157-ე გვერდზე
**სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*

ძირითადი მოვალეობები

- ტექნოლოგიური გარდაქმნა
- შესაძლებლობები და რისკები
- მედეგობა და უწყვეტობა
- ტექნოლოგიისა და მონაცემების სტრუქტურა და ინვესტიცია

კომიტეტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ „უფლებამოსილების ფარგლებში“, რომელიც 2025 წლის თებერვალში გადაისინჯა და მოცემულია ბანკის ვებგვერდზე: www.tbcbank.ge.

კომიტეტის მიზანი

ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება ბანკის ტექნოლოგიისა და მონაცემთა სტრატეგიის ზედამხედველობის განხორციელებაში, სტრატეგიული ხელმძღვანელობისა და მიმართულების უზრუნველყოფით. იგი ზრუნავს იმაზე, რომ სამეთვალყურეო საბჭომ ყურადღება გაამახვილოს საკვანძო სტრატეგიულ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება ტექნოლოგიას, ციფრულ სისტემებსა და პლატფორმებს, მონაცემებს, ანალიტიკას და კიბერუსაფრთხოებას, ასევე ინოვაციურ გაციფრულებას. იგი მთელ ძალისხმევას მიმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობების იმგვარად გამოყენებას, რომ ხელი შეუწყოს ბიზნესის ზრდას და ბაზარზე წამყვანი პოზიციის განმტკიცებას.

2024 წლის ძირითადი საქმიანობის შეჯამება

2024 წელს „თიბისი ბანკმა“ კომიტეტის წინამძღოლობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ტექნოლოგიის გამოყენების, კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესების და მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობების გარდაქმნის მიმართულებით, გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტთან ერთად, რათა მხარი დაუჭიროს ბანკის სტრატეგიულ მიზნებს. ამ ნაბიჯების მიზანია საოპერაციო მედეგობის უზრუნველყოფა, ინოვაციის დაჩქარება და უკეთესი გამოცდილების შეთავაზება მომხმარებლებისთვის ნებისმიერი მომსახურების მიღებისას.

წლის განმავლობაში კომიტეტი იღებს სიახლეებს ამ სფეროებში არსებული გამოწვევებისა და მიღწევების შესახებ, რაც მოიცავს საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის შესაძლებლობებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობასა და მომხმარებლების გაუმჯობესებულ მომსახურებას. კომიტეტმა აქტიურად იმუშავა ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობებზე ბიზნესის ზრდის ხელშესაწყობად.

ESG-სა და ეთიკის კომიტეტის ანგარიში



თავმჯდომარისა და კომიტეტის შესახებ

ერან კლაინი კომიტეტს 2022 წლიდან თავმჯდომარეობს. ერანი არის გამოცდილი საერთაშორისო ბანკირი და იურისტი. ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, მას ეკავა მნიშვნელოვანი როლები ისეთ წამყვან ფინანსურ დაწესებულებებში, როგორიცაა Deutsche Bank, ING, Citibank and Commerzbank როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ბაზრებზე. ერანს მიღებული აქვს სტენფორდის უნივერსიტეტის მდგრადობის დოერის სკოლის Championing Sustainability from the Boardroom სერტიფიცირება და ამჟამად არის ორი რეგიონული Chapter Zero საბჭოს წევრი. საბჭოს აზრით, მას აქვს საჭირო გამოცდილება იმისათვის, რომ წვლილი შეიტანოს ჯგუფის ESG სტრატეგიაში, ასევე ყველა სხვა საკითხში, რომელსაც საბჭო განიხილავს, მათ შორის რისკის მართვაში, ტექნოლოგიებსა და საბანკო სტრატეგიაში.

კომიტეტის თავმჯდომარეს საქმიანობაში დახმარებას უწევს უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ საფუძვლიანი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის გამოცდილება, და ანგარიშებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს სხვადასხვა ESG სტრატეგიასა და დანერგვაზე, რომლებსაც კომიტეტი განიხილავს.

სამეთვალყურეო საბჭო კმაყოფილია იმით, რომ კომიტეტს მთლიანობაში აქვს სექტორის შესაბამისი კომპეტენცია და მის წევრებს აქვთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებში სათანადო დონის გამოცდილება.

კომიტეტის წევრები

- ერან კლაინი* (კომიტეტის თავმჯდომარე)
- ჯანეტ ჰეკმანი*
- ცირა კემულარია* (გადადგა 2024 წლის 15 თებერვალს)
- რაჯივ სოუნი*
- ნინო სუქნიძე (დაინიშნა 2025 წლის 12 თებერვალს)

სხდომაზე დასწრება მოცემულია 157-ე გვერდზე
**სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*

ძირითადი მოვალეობები

- ESG-სა და ეთიკის ზედამხედველობა
- ESG მიზნებისა და სტრატეგიის რეკომენდაციები

კომიტეტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ „უფლებამოსილების ფარგლებში“, რომელიც 2025 წლის თებერვალში გადაისინჯა და მოცემულია ბანკის ვებგვერდზე: www.tbcbank.ge.

კომიტეტის მიზანი

ESG-სა და ეთიკის კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს სხვადასხვა სტრატეგიის, პოლიტიკისა და პროგრამის შემუშავებაში, დამტკიცებასა და ზედამხედველობაში ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) საკითხებთან დაკავშირებით და ცდილობს ბანკში ღირებულებების, ქცევისა და კულტურის ერთიანი ხედვის დამკვიდრებას. გასულ წლებში ბანკმა არაერთი ნაბიჯი გადადგა ESG ჩარჩოს გაფართოებისკენ ESG სტრატეგიის შემუშავებით. ESG სტრატეგია ადასტურებს ბანკის პასუხისმგებლობას, გრძელვადიანი, მდგრადი წვლილი შეიტანოს ქვეყანასა და მთელ რეგიონში. კომიტეტი ასევე პასუხისმგებელია ბანკის კლიმატური სტრატეგიისა და კლიმატთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიულ ხელმძღვანელობაზე და მიმოხილვაზე, რაც მოიცავს განმარტებით შენიშვნებს და იმის უზრუნველყოფას, რომ ისინი შესაბამისობაში იყოს ბანკის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

2024 წლის ძირითადი საქმიანობის შეჯამება

კომიტეტი იღებდა რეგულარულ სიახლეებს ESG სტრატეგიის დანერგვაზე და ESG ჩარჩოს შემუშავებაზე და იმაზე, თუ როგორ მიიღწევა ქცევის შეცვლა მთელი ორგანიზაციის მასშტაბით. იგი ასევე მონაწილეობდა ESG-ით განპირობებული ბიზნეს შესაძლებლობების მიმოხილვაში, ESG-სთან დაკავშირებული სხვადასხვა პოლიტიკის შედგენაში და ბანკის ESG-სთან დაკავშირებული განმარტებების ზედამხედველობაში.

განცხადება პასუხისმგებლობის შესახებ

განცხადება პასუხისმგებლობის შესახებ

მმართველობის ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია:

- ჯგუფისა და ბანკის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ბანკისა და კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შემავალი ორგანიზაციების აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობას და მოგებას ან ზარალს;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბიზნესის განვითარებისა და საქმიანობის სამართლიან მიმოხილვას, ბანკისა და ჯგუფის პოზიციას, მათ წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების აღწერასთან ერთად; და
- მმართველობის ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგებია და აქციონერებს აწვდის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ბანკისა და ჯგუფის პოზიციის, შესრულების, ბიზნესისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

ეს განცხადება პასუხისმგებლობის შესახებ დაამტკიცეს სამეთვალყურეო საბჭომ და მმართველმა საბჭომ:

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი


1 აპრილი, 2025 წელი

არნე ბერგგრენი
თავმჯდომარე

1 აპრილი, 2025 წელი



თავი



ფინანსური ანგარიშგებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აქციონერებსა და სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „თიბისი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფისა და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N284/04 ბრძანების ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი აუდიტის საგანი

ჯგუფისა და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგს:

- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები, რომლებიც მოიცავს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებით ინფორმაციას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან და ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და საქართველოს ეროვნული ბანკის იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ბანკების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს. ჩვენ შესრულებული გვაქვს ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები და საქართველოს ეროვნული ბანკის ეთიკური მოთხოვნებიც.

შპს „პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო“, ს/კ 405220611
ბიზნესცენტრი მეფე დავითი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. #12, თბილისი
0160, საქართველო
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

როგორ მივუდექით აუდიტს

მიმოხილვა



- ჯგუფის საერთო არსებითობა: 73.1 მილიონი ლარი, რაც წარმოადგენს ჯგუფის დასაბეგრი მოგების დაახლოებით 5%-ს.
- ბანკის საერთო არსებითობა: 71.0 მილიონი ლარი, რაც წარმოადგენს ბანკის დასაბეგრი მოგების დაახლოებით 5%-ს.

- ჩვენი მომსახურების საგანი განისაზღვრა დასაბეგრ მოგებაში იურიდიული პირების მონაწილეობისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა ძირითადი მუხლების საფუძველზე.

- მომხმარებლებზე გაცემული სესხების და ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

ჩვენი აუდიტის დაგეგმვისას განვსაზღვრეთ არსებითობა და შევაფასეთ არსებითი უზუსტობების რისკი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. კერძოდ, გავითვალისწინეთ, სად გამოიყენა ხელმძღვანელობამ სუბიექტური განსჯა, მაგალითად, მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებთან მიმართებით, რაც გულისხმობდა დაშვებების გაკეთებას და თავისთავად განუსაზღვრელი სამომავლო მოვლენების მხედველობაში მიღებას. ჩვენს ყველა აუდიტში ასევე გავითვალისწინეთ ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა კონტროლების უგულებელყოფის რისკი, მათ შორის, არსებობდა თუ არა მიკერძოების მტკიცებულება, რაც წარმოადგენდა თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკს.

არსებითობა

ჩვენი აუდიტის საგანზე გავლენა მოახდინა ჩვენ მიერ არსებითობის პრინციპის გამოყენებამ. აუდიტის მიზანია დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. ისინი არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჩვენს პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრეთ არსებითობის გარკვეული რაოდენობრივი ზღვარი, მათ შორის ჯგუფის და ბანკის საერთო არსებითობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის მთლიანობაში, რაც ქვემოთ ცხრილშია მოცემული. ეს ყველაფერი, ხარისხობრივ ფაქტორებთან ერთად, დაგვეხმარა ჩვენი აუდიტის საგნის და ჩვენი აუდიტის პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მასშტაბის განსაზღვრაში, ასევე უზუსტობების გავლენის შეფასებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, როგორც ინდივიდუალურად, ისე აგრეგირებულად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის მთლიანობაში.

ჯგუფის და ბანკის საერთო არსებითობა	ჯგუფი: 73.1 მილიონი ლარი (2023 წ.: 65.2 მილიონი ლარი) ბანკი: 71.0 მილიონი ლარი (2023 წ.: 63.1 მილიონი ლარი)
როგორ განვსაზღვრეთ იგი	დასაბეგრი მოგების დაახლოებით 5%
არსებითობის საორიენტაციო მაჩვენებლის გამოყენების დასაბუთება	ჩვენ ავირჩიეთ დასაბეგრი მოგება, რადგან ის არის მთავარი საზომი, რომელსაც აქციონერი იყენებს ჯგუფის საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და არის საყოველთაოდ მიღებული საორიენტაციო მაჩვენებელი ჯგუფის აუდიტის არსებითობის დასადგენად. ჩვენ ავირჩიეთ 5%, რაც შესაბამისობაშია არსებითობის რაოდენობრივ ზღვრებთან, რომლებსაც ამ სექტორში მოქმედი მოგებაზე ორიენტირებული კომპანიები იყენებენ.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

აუდიტის ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მომხმარებლებზე გაცემული სესხების და ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (ჯგუფი და ბანკი) იხილეთ მე-2 შენიშვნა – არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია, მე-3 შენიშვნა – განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, მე-9 შენიშვნა – მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები და 35-ე შენიშვნა – ფინანსური და სხვა რისკის მართვა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში. ამ საკითხზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ხელმძღვანელობის შეფასებები მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსებისთვის შექმნილ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებით კომპლექსურია, მათში მნიშვნელოვანი დოზით მონაწილეობს განსჯა და ისინი ექვემდებარება შეფასების მაღალი დონის განუსაზღვრელობას. ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიხედვით, ხელმძღვანელობას მოეთხოვება საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა, რომლის დადგომა მოსალოდნელია მომდევნო 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ვადის მანძილზე, ცალკეული აქტივისთვის მინიჭებული სტადიიდან გამომდინარე. ესა თუ ის სტადია განისაზღვრება იმის შეფასებით, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა) ან აღმოჩნდა თუ არა მსესხებელი დეფოლტის სიტუაციაში სესხის გაცემის შემდეგ. ხელმძღვანელობამ შექმნა და შეიმუშავა რამდენიმე მოდელი ფასს 9-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით და დანერგა საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ამასთან, ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას მოდელებთან მიმართებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც მიიჩნევა, რომ წარსული გამოცდილება არ ასახავს სამომავლო შედეგებს შეზღუდული ან არასრული მონაცემების გამო. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები უკავშირდება მოდელის მეთოდოლოგიების მიზანშეწონილობას და ასევე განსჯას, რომელიც გამოყენებულია მოდელირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრისთვის. მათ შორისაა:	ჩვენ შევისწავლეთ და შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრის კონტროლის მთავარი მექანიზმები და მათი დანერგვა, და შევამოწმეთ მათი საოპერაციო ეფექტურობა. კონტროლის ეს მექანიზმები, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს: • მოდელის ეფექტურობის მონიტორინგის კონტროლი, პოლიტიკის და მოდელების პერიოდული გადახედვის ჩათვლით, მოდელის საპროგნოზო შეფასებების შედარება რეალურად დამდგარ (ფაქტობრივ) შედეგებთან და მოდელის მეთოდოლოგიაში ცვლილებების დამტკიცება; • დამოუკიდებელი შემოწმების ერთეულის მართვის კონტროლი; • დეფოლტის შემთხვევაში ზარალების და დეფოლტის ალბათობების შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების მიმოხილვა და დამტკიცება; • გამოთვლითი ინსტრუმენტების მეშვეობით ძირითადი პარამეტრების (როგორიცაა დეფოლტის ალბათობა, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში) სიზუსტის კონტროლი; • მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის კონტროლი; • შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ავტომატიზებული გაანგარიშების კონტროლი; • მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით მიღებული მონაცემების შეფასება და დამტკიცება რეზერვების კომიტეტის მიერ. შევაფასეთ, ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მეთოდოლოგია შეესაბამებოდა თუ არა ფასს 9-ს. შევაფასეთ და კრიტიკულად განვიხილეთ ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული განჯის კრიტერიუმები იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (ვრცელდება კორპორაციულ და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პორტფელებზე). შევაფასეთ იმ კრიტიკული დაშვებების დასაბუთებულობა, რომლებიც გამოიყენება დეფოლტის შემთხვევაში ზარალების და დეფოლტის ალბათობების განსაზღვრისთვის. ზემოაღნიშნულ პროცედურებში ჩავრთეთ ჩვენი საკრედიტო რისკის მოდელირების სპეციალისტები. ხელახლა ვიანგარიშეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გარკვეული პორტფელებისთვის და შევაფასეთ, ხელმძღვანელობის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა შესაბამისობაში იყო თუ არა დამტკიცებულ მოდელის მეთოდოლოგიასთან.

აუდიტის ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
• საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოყენებული, განსჯაზე დიდ წილად დამოკიდებული კრიტერიუმები, რაც მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას (რელევანტურია კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პორტფელებისთვის); • დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის შეფასებაში გამოყენებული კრიტიკული დაშვებები.	კრიტიკულად შევაფასეთ მოდელის მონიტორინგის და შემოწმების ძირითადი ასპექტები (პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის „უკუტესტირება“), რომლებიც განახორციელა ხელმძღვანელობამ მოდელის ფუნქციონირებასთან და სტაბილურობასთან მიმართებით. კრიტიკულად შევაფასეთ მონიტორინგის შედეგები და გადავამოწმეთ მოსალოდნელი მაჩვენებლებიდან გადახრების განმარტებები. სადაც საჭირო იყო, შევაფასეთ განახლდა თუ არა მოდელის მეთოდოლოგია უკუტესტირების შედეგების სამართავად. შევაფასეთ მომხმარებლებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებული განმარტებების ადეკვატურობა.

როგორ მოვიყვანეთ შესაბამისობაში ჩვენი ჯგუფის აუდიტის საგანი

ჩვენი აუდიტის საგანი შესაბამისობაში მოვიყვანეთ იმგვარად, რომ ჩაგვეტარებინა იმ მოცულობის სამუშაო, რაც საშუალებას მოგვცემდა, მოსაზრება გამოგვეთქვა მთლიან კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე და ამასთანავე გაგვეთვალისწინებინა ჯგუფის და ბანკის სტრუქტურა, სააღრიცხვო პროცესები და კონტროლის საშუალებები, და დარგი, რომელშიც ჯგუფი და ბანკი საქმიანობენ.

ჯგუფის საბანკო საქმიანობა ძირითადად საქართველოში წარიმართება, ხოლო ორი მომცრო შვილობილი საწარმო ორ სხვა ქვეყანაში საქმიანობს. ჯგუფის ბიზნესსაქმიანობა მოიცავს ოთხ სეგმენტს, რომლებისთვისაც ის მართავს და აცხადებს თავის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობას. ეს სეგმენტებია: საცალო საბანკო მომსახურება, კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობა, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები და კორპორაციული ცენტრი.

ბანკი არის ჯგუფის უმსხვილესი კომპონენტი. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო და კომერციული საბანკო მომსახურება, რომლის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება. ბანკის საქმიანობა ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული და წარმოადგენს ჯგუფის მთლიანი აქტივების 98.0%-სა და დასაბეგრი მოგების 97.2%-ს.

აუდიტისადმი ჩვენი მიდგომა და გუნდის შემადგენლობა მივუსადაგეთ ჯგუფის სტრუქტურას. ჩვენ არ გამოგვიყენებია კომპონენტის აუდიტორები იმ საკითხების აუდიტისთვის, რომლებიც შედიოდა აუდიტის საგანში. ჩვენ ჩავატარეთ ჯგუფის ერთადერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – ბანკის სრულმასშტაბიანი აუდიტი. ასევე ჩავატარეთ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების არსებითი მუხლების აუდიტი. ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი: ანგარიშვალდებული ერთეულებისთვის ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ჩვენი აუდიტის საგანი მოიცავდა ჯგუფის ამონაგების 98.2%-ს (რაც შედგებოდა საპროცენტო შემოსავლისგან და საკომისიო შემოსავლისგან) და მთლიანი აქტივების 99%-ს. ჩვენ ასევე ჩავატარეთ აუდიტის სხვა პროცედურები, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ზოგადი კონტროლების და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი კონტროლების შემოწმება, რომ შეგვემცირებინა არსებითი უზუსტობის რისკი.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში (გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება, მოსაზრება გამოვთქვათ იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა სათანადო ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობის

ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით სავალდებულო ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-7 პუნქტის (გ), (ზ) ქვეპუნქტების მოთხოვნებს;
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის (ა), (ბ), (დ)-(ვ) ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N284/04 ბრძანებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის და ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფისა და ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ

გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფისა და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფისა და ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი ან ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სამეურნეო ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს წარვუდგენთ განცხადებას, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ გავლენას ახდენს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, ასევე საფრთხეების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების ან გამოყენებული შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ლევან კანკავა.

შპს „პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო“ (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-775813)

ლევან კანკავა (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-592839)

1 აპრილი 2025 წელი
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.*	31 დეკემბერი, 2022 წ.*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,818,110	3,691,232	3,786,098
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	20,153	11,135	6,298
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	8	2,576,731	1,572,506	2,047,564
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	24,187,344	20,958,532	17,497,442
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	5,364,624	3,475,461	2,884,728
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	11	140,058	-	267,495
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	13	432,661	370,795	288,886
საინვესტიციო ქონება		9,752	15,235	22,154
მიმდინარე მოგების გადასახადის წინასწარ გადახდა		50,892	53	27
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი	33	485	395	2,064
სხვა ფინანსური აქტივები	12	426,005	281,861	246,998
სხვა აქტივები*	14	541,289	409,697	415,448
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	15	559,760	491,324	424,252
აქტივის გამოყენების უფლება	16	102,660	111,991	100,209
არამატერიალური აქტივები	15	396,569	352,722	311,150
გუდვილი	17	28,197	28,197	28,197
მთლიანი აქტივები		**37,655,290**	**31,771,136**	**28,329,010**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	18	7,316,632	4,346,951	3,885,360
მომხმარებელთა ანგარიშები	19	21,941,222	19,942,516	17,841,357
სხვა ფინანსური ვალდებულებები	21	373,905	276,496	250,518
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	33	62	66,703	601
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	33	50,220	50,957	112,877
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები*	20	109,141	715,801	661,445
სხვა ვალდებულებები*	22	117,534	123,579	100,294
საიჯარო ვალდებულებები	34	80,411	83,410	72,240
სუბორდინირებული ვალი	23	1,148,374	868,730	590,148
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები*	24	1,062,960	548,284	548,368
მთლიანი ვალდებულებები		**32,200,461**	**27,023,427**	**24,063,208**
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	25	21,014	21,014	21,014
საემისიო შემოსავალი		521,190	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება		4,979,871	4,285,662	3,783,180
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	26	(98,937)	(85,614)	(57,556)
სხვა რეზერვები*		31,439	5,260	(2,190)
კაპიტალი, განკუთვნილი ბანკის მფლობელებისთვის		**5,454,577**	**4,747,512**	**4,265,638**
არამაკონტროლებელი წილი	37	252	197	164
მთლიანი საკუთარი კაპიტალი		**5,454,829**	**4,747,709**	**4,265,802**
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**37,655,290**	**31,771,136**	**28,329,010**

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

174-311 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები გამოსაშვებად დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2025 წლის 1 აპრილს და მისი სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი მეგრელიშვილი
ფინანსური დირექტორი

182-311 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	28	3,135,908	2,689,427
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	28	3,045,945	2,614,687
სხვა საპროცენტო შემოსავალი	28	89,963	74,740
საპროცენტო ხარჯი	28	(1,626,914)	(1,276,932)
წმინდა პროცენტი სავალუტო სვოპებზე	28	81,998	83,101
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**1,590,992**	**1,495,596**
საკომისიო შემოსავალი	29	677,004	571,391
საკომისიო ხარჯი	29	(278,914)	(236,915)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**398,090**	**334,476**
წმინდა შემოსულობა წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან	30	367,783	272,303
სხვა საოპერაციო შემოსავალი*		16,515	29,080
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი		574	657
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი		**384,872**	**302,040**
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	9	(109,510)	(130,380)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	13	(4,754)	(1,996)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის და სხვა აქტივებისთვის*		(5,762)	(11,483)
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება		(2,146)	(3,575)
გაუფასურების ზარალი გასაყიდად გამიზნული აქტივების ჩამოფასების გამო		(9,800)	-
საოპერაციო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო და არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემდეგ		**2,241,982**	**1,984,678**
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	31	(439,830)	(385,471)
ცვეთა და ამორტიზაცია	15,16	(118,283)	(99,643)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები*	32	(221,371)	(196,648)
საოპერაციო ხარჯები		**(779,484)**	**(681,762)**
დასაბეგრი მოგება		**1,462,498**	**1,302,916**
მოგების გადასახადის ხარჯი	33	(217,782)	(183,858)
წლის წმინდა მოგება		**1,244,716**	**1,119,058**
წლის სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა			
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:			
წმინდა შემოსულობა, რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასვლის შემდეგ	10	(1,512)	(5,327)
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების რეზერვის ცვლილების დინამიკა	10	26,971	12,205
საკურსო სხვაობა წარსადგენ ვალუტაში კონვერტაციისას		720	572
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა		**26,179**	**7,450**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**1,270,895**	**1,126,508**
შემდეგი პირებისთვის მიკუთვნებადი მოგება:			
– ბანკის აქციონერები		1,244,661	1,119,025
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		55	33
წლის წმინდა მოგება		**1,244,716**	**1,119,058**
მთლიანი სრული შემოსავალი მიკუთვნებადია შემდეგი პირებისთვის:			
– ბანკის აქციონერები		1,270,840	1,126,475
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		55	33
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**1,270,895**	**1,126,508**

*კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

182-311 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	სხვა რეზერვები*	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი არამაკონტროლებელი წილების გამოკლებით	არამაკონტროლებელი წილი	მთლიანი საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(57,556)**	**(2,190)**	**3,783,180**	**4,265,638**	**164**	**4,265,802**
წლის წმინდა მოგება		-	-	-	-	1,119,025	**1,119,025**	33	**1,119,058**
2023 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	7,450	-	**7,450**	-	**7,4 50**
2023 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**7,450**	**1,119,025**	**1,126,475**	**33**	**1,126,508**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	26	-	-	26,397	-	-	**26,397**	-	**26,397**
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	-	-	(616,065)	**(616,065)**	-	**(616,065)**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლებზე აქციების გადაცემის საგადასახადო შედეგი		-	-	(3,715)	-	-	**(3,715)**	-	**(3,715)**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადანაწილება მშობელი საწარმოს მიერ		-	-	(50,740)	-	-	**(50,740)**	-	**(50,740)**
სხვა ცვლილების დინამიკა		-	-	-	-	(478)	**(478)**	-	**(478)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(85,614)**	**5,260**	**4,285,662**	**4,747,512**	**197**	**4,747,709**
წლის წმინდა მოგება		**-**	**-**	**-**	**-**	1,244,661	**1,244,661**	55	**1,244,716**
2024 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	26,179	-	**26,179**	-	**26,179**
2024 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**26,179**	**1,244,661**	**1,270,840**	**55**	**1,270,895**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	26	-	-	25,166	-	-	**25,166**	-	**25,166**
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	-	-	(550,470)	**(550,470)**	-	**(550,470)**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლებზე აქციების გადაცემის საგადასახადო შედეგი		-	-	(11,590)	-	-	**(11,590)**	-	**(11,590)**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადანაწილება მშობელი საწარმოს მიერ		-	-	(26,899)	-	-	**(26,899)**	-	**(26,899)**
სხვა ცვლილების დინამიკა		-	-		-	18	**18**	-	**18**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(98,937)**	**31,439**	**4,979,871**	**5,454,577**	**252**	**5,454,829**

*კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

182-311 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		3,072,330	2,611,910
სავალუტო სვოპებიდან მიღებული პროცენტი	28	81,998	83,101
გადახდილი პროცენტი		(1,596,943)	(1,250,007)
მიღებული საკომისიო		677,004	570,656
გადახდილი საკომისიო		(325,322)	(235,436)
უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები		259,555	219,711
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		16,179	28,502
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები		(415,809)	(355,553)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(229,144)	(178,079)
გადახდილი მოგების გადასახადი		(335,502)	(180,137)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**1,204,346**	**1,314,668**
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში			
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ და სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში		(959,660)	472,792
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		(3,216,509)	(3,494,277)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		(46,438)	(25,568)
სხვა ფინანსური აქტივები		13,352	(131,449)
სხვა აქტივები		(26,044)	105,407
წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში			
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		81,262	249,415
მომხმარებელთა ანგარიშები		1,619,025	2,079,384
სხვა ფინანსური ვალდებულებები		165,927	32,257
სხვა ვალდებულებები		(6,247)	2,092
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,170,986)**	**604,721**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა	10	(7,349,079)	(1,563,326)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გასვლიდან	10	715,242	383,122
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის თარიღით გამოსყიდვიდან	10	4,699,257	854,540
შენობების, აღჭურვილობისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(203,914)	(202,645)
შემოსულობა შენობების, აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად		896	4,672
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად		10,953	7,220
შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასვლის შედეგად, გაცემული ფულადი სახსრების გამოკლებით		-	1,527
გადანაწილების ხელშეკრულებიდან მიღებული ფულადი სახსრები		9,477	-
მიღებული დივიდენდი		680	696
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,116,488)**	**(514,194)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები			
შემოსულობა სხვა ნასესხები სახსრებიდან	34	4,523,016	1,894,337
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	34	(1,652,889)	(1,698,671)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი თანხის გადახდა	34	(17,685)	(12,999)
შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან	34	236,586	287,589
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	34	(3,040)	(15,867)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადანაწილება, გადახდილი		(26,899)	(50,740)
შემოსულობა გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან და დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქებიდან	34	816,683	95,820
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებისა და დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქების გამოსყიდვა	34	(982,445)	(43,058)
გადახდილი დივიდენდები		(550,470)	(616,065)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**2,342,857**	**(159,654)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		71,495	(25,739)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		**(873,122)**	**(94,866)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**6**	**3,691,232**	**3,786,098**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**6**	**2,818,110**	**3,691,232**

182-311 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.*	31 დეკემბერი, 2022 წ.*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,765,181	3,633,314	3,747,594
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	20,129	1,107	6,269
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	8	2,576,731	1,572,506	2,047,564
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	24,188,589	20,965,695	17,505,605
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები*	10	5,389,337	3,498,655	2,904,714
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	11	140,058	-	267,495
საინვესტიციო ქონება		9,752	15,235	21,292
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში	42	35,101	34,460	34,041
მიმდინარე მოგების გადასახადის წინასწარ გადახდა		49,699	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	12	431,635	350,086	299,720
სხვა აქტივები*	14	400,404	358,737	349,885
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	15	534,054	462,570	398,964
აქტივის გამოყენების უფლება	16	101,956	111,560	98,228
არამატერიალური აქტივები	15	352,883	318,744	285,884
გუდვილი	17	27,502	27,502	27,502
მთლიანი აქტივები		**37,023,011**	**31,350,171**	**27,994,757**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	18	6,971,630	4,099,700	3,669,727
მომხმარებელთა ანგარიშები	19	22,140,849	20,115,103	17,976,594
სხვა ფინანსური ვალდებულებები	21	221,687	208,254	187,464
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		-	67,556	1,576
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	33	50,220	50,957	112,877
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები*	20	19,380	634,777	615,941
სხვა ვალდებულებები*	22	108,789	115,617	93,301
საიჯარო ვალდებულებები	34	79,570	82,908	70,280
სუბორდინირებული ვალი	23	1,098,698	826,546	560,278
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები*	24	1,062,119	547,015	547,175
მთლიანი ვალდებულებები		**31,752,942**	**26,748,433**	**23,835,213**
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	25	21,014	21,014	21,014
საემისიო შემოსავალი		521,190	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება		4,789,253	4,133,317	3,669,480
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	26	(99,146)	(86,143)	(57,556)
სხვა რეზერვები*		37,758	12,360	5,416
მთლიანი საკუთარი კაპიტალი		**5,270,069**	**4,601,738**	**4,159,544**
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**37,023,011**	**31,350,171**	**27,994,757**

*ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

174-311 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები გამოსაშვებად დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2025 წლის 1 აპრილს და მისი სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

გიორგი მეგრელიშვილი
ფინანსური დირექტორი

182-311 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინდივიდუალური მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	28	3,041,622	2,612,787
საპროცენტო ხარჯი	28	(1,600,718)	(1,257,002)
წმინდა პროცენტი სავალუტო სვოპებზე	28	81,998	83,101
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**1,522,902**	**1,438,886**
საკომისიო შემოსავალი	29	635,767	532,339
საკომისიო ხარჯი	29	(328,720)	(279,491)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**307,047**	**252,848**
წმინდა შემოსულობა წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან	30	368,720	273,591
სხვა საოპერაციო შემოსავალი*		29,581	41,645
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი		847	657
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი		**399,148**	**315,893**
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	9	(114,225)	(131,465)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის და სხვა აქტივებისთვის*		(3,442)	(6,861)
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება		(1,641)	(1,562)
საოპერაციო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო და არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემდეგ		**2,109,789**	**1,867,739**
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	31	(396,344)	(349,513)
ცვეთა და ამორტიზაცია		(107,664)	(89,224)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები*	32	(183,804)	(166,894)
საოპერაციო ხარჯები		**(687,812)**	**(605,631)**
დასაბეგრი მოგება		**1,421,977**	**1,262,108**
მოგების გადასახადის ხარჯი	33	(215,589)	(182,243)
წლის წმინდა მოგება		**1,206,388**	**1,079,865**
წლის სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა: *მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:*			
წმინდა შემოსულობა, რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასვლის შემდეგ		(1,512)	(5,327)
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების რეზერვის ცვლილების დინამიკა, გადასახადის გათვალისწინებით		26,910	12,271
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა		**25,398**	**6,944**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**1,231,786**	**1,086,809**

*ინდივიდუალური მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

182-311 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	სხვა რეზერვი*	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(57,556)**	**5,416**	**3,669,480**	**4,159,544**
წლის წმინდა მოგება		-	-	-	-	1,079,865	**1,079,865**
2023 წლის სხვა სრული შემოსავალი:		-	-	-	6,944	-	**6,944**
2023 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**6,944**	**1,079,865**	**1,086,809**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	26	-	-	25,868	-	-	**25,868**
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	-	-	(616,065)	**(616,065)**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადანაწილება მშობელი საწარმოს მიერ		-	-	(50,740)	-	-	**(50,740)**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლებზე აქციების გადაცემის საგადასახადო შედეგი		-	-	(3,715)	-	-	**(3,715)**
სხვა ცვლილების დინამიკა		-	-	-	-	37	**37**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(86,143)**	**12,360**	**4,133,317**	**4,601,738**
წლის წმინდა მოგება		-	-	-	-	1,206,388	**1,206,388**
2024 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	25,398	-	25,398
2024 წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**25,398**	**1,206,388**	**1,231,786**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	26	-	-	25,355	-	-	**25,355**
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	-	-	(550,470)	**(550,470)**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადანაწილება მშობელი საწარმოს მიერ		-	-	(26,899)	-	-	**(26,899)**
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლებზე აქციების გადაცემის საგადასახადო შედეგი		-	-	(11,459)	-	-	**(11,459)**
სხვა ცვლილების დინამიკა		-	-	-	-	18	**18**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**21,014**	**521,190**	**(99,146)**	**37,758**	**4,789,253**	**5,270,069**

*ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

182-311 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		2,989,348	2,534,237
სავალუტო სვოპებიდან მიღებული პროცენტი	28	81,998	83,101
გადახდილი პროცენტი		(1,570,608)	(1,228,477)
მიღებული საკომისიო		635,760	531,606
გადახდილი საკომისიო		(375,128)	(278,000)
უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები		357,203	219,729
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		12,454	19,485
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები		(373,615)	(321,550)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(195,070)	(150,332)
გადახდილი მოგების გადასახადი		(332,942)	(178,468)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**1,229,400**	**1,231,331**
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში			
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ და სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში		(969,665)	482,791
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		(3,220,471)	(3,494,058)
სხვა ფინანსური აქტივები		84,484	(85,096)
სხვა აქტივები		76,616	91,174
წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში			
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		81,664	248,764
მომხმარებელთა ანგარიშები		1,655,961	2,119,973
სხვა ფინანსური ვალდებულებები		(17,220)	27,026
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვები		(9,620)	3,800
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,088,851)**	**625,705**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა	10	(7,349,079)	(1,591,596)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გასვლიდან	10	713,750	387,887
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის თარიღით გამოსყიდვიდან	10	4,699,257	874,540
მიღებული დივიდენდები		17,812	20,656
შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასვლის შედეგად		-	1,540
შენობების, აღჭურვილობისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(186,471)	(180,309)
შემოსულობა შენობების, აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად		989	3,581
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად		10,701	4,746
გადანაწილების ხელშეკრულებიდან მიღებული ფულადი სახსრები		9,775	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,083,266)**	**(478,955)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები			
შემოსულობა სხვა ნასესხები სახსრებიდან		4,319,722	1,721,055
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(1,545,934)	(1,553,680)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი თანხის გადახდა		(17,244)	(12,145)
შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან		231,038	262,582
სუბორდინირებული ვალის დაფარვა		(3,040)	(2,618)
შემოსულობა გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან და დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქებიდან		805,050	17,011
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებისა და დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქების გამოსყიდვა		(979,244)	-
გადახდილი დივიდენდები		(550,470)	(616,065)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადანაწილება, გადახდილი		(26,897)	(50,740)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**2,232,981**	**(234,600)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		71,003	(26,430)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		**(868,133)**	**(114,280)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**6**	**3,633,314**	**3,747,594**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**6**	**2,765,181**	**3,633,314**

182-311 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

ძირითადი საქმიანობა. სს „თიბისი ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. ბანკი არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკის ძირითადი საქმიანობა არის უნივერსალური საბანკო ოპერაციები, რაც მოიცავს კორპორაციულ, მცირე და საშუალო საწარმოების, საცალო და მიკრო ოპერაციებს საქართველოში. ბანკი არის კომპანიების ჯგუფის მშობელი საწარმო (შემდგომში „ჯგუფი“), რომლებიც დაფუძნებულია საქართველოსა და აზერბაიჯანში. მათი ძირითადი საქმიანობაა საბანკო, სალიზინგო, საბროკერო და ბარათების დამუშავების მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. ბანკი საქმიანობს 1993 წლის 20 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად. ბანკის იურიდიული მისამართია და საქმიანობის ადგილია: მარჯანიშვილის ქუჩა #7, 0102 თბილისი, საქართველო. ბანკი დაარეგისტრირა ვაკის რაიონულმა სასამართლომ და მისი რეგისტრაციის ნომერია 204854595.

ბანკს აქვს 125 (2023 წ.: 123) ფილიალი საქართველოში.

საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ („TBCG“) არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი ბანკის“ სააქციო კაპიტალის 99.88%-ს (2023 წ.: 99.88%) ფლობდა TBCG, ამრიგად წარმოადგენდა ბანკის საბოლოო და უშუალო მშობელ საწარმოს. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: 100 Bishopsgate, Law Debenture, ლონდონი, ინგლისი, EC2N 4AG. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ სარეგისტრაციო ნომერია 10029943.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინფორმაცია ბანკის მესაკუთრეების შესახებ ასე გამოიყურება:

	საკუთრების წილი (%) 31 დეკემბრის მდგომარეობით	
მფლობელები	**2024**	**2023**
საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“	99.88%	99.88%
სხვა	0.12%	0.12%
სულ	**100.00%**	**100.00%**

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინფორმაცია საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ მესაკუთრეების შესახებ ბენეფიციარული საკუთრების წილების მიხედვით, ასე გამოიყურება:

	საკუთრების წილი (%) 31 დეკემბრის მდგომარეობით	
მფლობელები	**2024**	**2023**
Dunross & Co.	6.84%	6.50%
Allan Gray Investment Management	4.62%	3.88%
BlackRock	4.60%	4.72%
Vanguard Group	4.24%	4.39%
JPMorgan Asset Management	3.75%	3.81%
მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე	15.40%	15.83%
სხვა*	60.55%	60.87%
სულ	**100.00%**	**100.00%**

* სხვა მოიცავს მფლობელებს – ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

1. შესავალი გაგრძელება

შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შემდეგ ძირითად შვილობილ საწარმოებს მოიცავს:

	ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი სააქციო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით					
შვილობილი საწარმოს სახელი	2024	2023	საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი	დაფუძნების წელი	სამუშაო ვალუტა	ძირითადი საქმიანობა
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	99.53%	99.53%	თბილისი, საქართველო	2001	ლარი	ბარათების დამუშავება
შპს „თიბისი კაპიტალი“	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	1999	ლარი	საბროკერო საქმიანობა
სს „თიბისი ლიზინგი“	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2003	ლარი	ლიზინგი
შპს „თიბისი კრედიტი“	100.00%	100.00%	ბაქო, აზერბაიჯანი	1999	აზერბაიჯანული მანათი	არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება
შპს „თიბისი ფეი“	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2008	ლარი	გადახდების დამუშავება
შპს „თიბისი ინვესტ-ჯორჯია“	100.00%	100.00%	რამათ განი, ისრაელი	2011	ისრაელის ახალი შეკელი	ფინანსური მომსახურება
შპს „თიბისი კაპიტალ ესეთ მენეჯმენტ“	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2021	ლარი	აქტივების მართვა

1 გარდა ლომბარდებისა.

1. შესავალი გაგრძელება

ჯგუფს აქვს ინვესტიციები შემდეგ მეკავშირე საწარმოებში:

	ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი სააქციო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით				
შვილობილი საწარმოს სახელი	**2024**	**2023**	**საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი**	**დაფუძნების წელი**	**ძირითადი საქმიანობა**
სს „კრედიტინფო საქართველო“	21.08%	21.08%	თბილისი, საქართველო	2005	ფინანსური შუამავლობა
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	28.87%	28.87%	თბილისი, საქართველო	2015	ფინანსები, მომსახურება
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“	22.87%	22.87%	თბილისი, საქართველო	1999	ფინანსები, მომსახურება
სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“*	17.33%	17.33%	თბილისი, საქართველო	1999	ფინანსები, მომსახურება
სს „კავკასრეესტრი“*	10.03%	10.03%	თბილისი, საქართველო	1998	ფინანსები, მომსახურება

* ჯგუფს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ და სს „კავკასრეესტრზე“, რომლის მმართველობით საბჭოში წარმომადგენლები ჰყავს.

დაფუძნების ქვეყანა ასევე წარმოადგენს თითოეული ზემოაღნიშნული შვილობილი და მეკავშირე საწარმოს საქმიანობის ძირითად ადგილს.

ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული სამეურნეო სუბიექტებისგან, რომლებიც შედგება შვილობილი და მეკავშირე საწარმოებისგან. ეს საწარმოები არ არის კონსოლიდირებული ან აღრიცხული წილობრივი მეთოდით მათი არაარსებითობის გამო. ქვემოთ წარმოდგენილია ამ სამეურნეო სუბიექტების სრული სია, დაფუძნების ქვეყანა და აქციების თითოეული კლასის მფლობელობა.

1. შესავალი გაგრძელება

კომპანიის დასახელება	ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი სააქციო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით 2024	2023	საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი	დაფუძნების წელი	ძირითადი საქმიანობა
შპს „თიბისი ინვესტ ინტერნეიშენალი“*	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2016	ინვესტირების ინსტრუმენტი
უნივერსიტეტის განვითარების ფონდი*	33.33%	33.33%	თბილისი, საქართველო	2007	განათლება
შპს „საქართველოს ნატურალური პროდუქტები“*	25.00%	25.00%	თბილისი, საქართველო	2001	ვაჭრობა, მომსახურება
შპს „თიბისი ტრეიდი“*	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2008	ვაჭრობა, \ მომსახურება
სს „დაივერსიფაიდ კრედიტ პორთფოლიო“	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2021	აქტივების მართვა
სს „დაივერსიფაიდ კრედიტ პორთფოლიო“ 2	100.00%	N/A	თბილისი, საქართველო	2024	აქტივების მართვა
სს „დაივერსიფაიდ კრედიტ პორთფოლიო“ 3	100.00%	N/A	თბილისი, საქართველო	2024	აქტივების მართვა
სს „Globally Diversified bond fund“	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2023	აქტივების მართვა

*დროებით შეჩერებული

ჯგუფის საოპერაციო გარემო ჯგუფის საქმიანობის უმეტესი ნაწილი თავს იყრის საქართველოში, რომელიც განვითარებადი ბაზრის გარკვეული ნიშნებით ხასიათდება. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზა აგრძელებს განვითარებას და ექვემდებარება ხშირ ცვლილებასა და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას (34-ე შენიშვნა). პანდემიის შემდგომ წლებში, გლობალური პოლიტიკური ძვრების, მიწოდების ჯაჭვის პრობლემებისა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გამოწვეული სავაჭრო და მიგრაციული ნაკადების გეოგრაფიული არეალის ცვლილების პირობებში, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი შეინარჩუნა. რეალური მშპ 2021 წელს 10.6%-ით გაიზარდა, 2022 წელს – 11%-ით, ხოლო 2023 წელს 7.8%-ით, რასაც, მიუხედავად იმისა, რომ 2024 წელი პოლიტიკურად ტურბულენტური იყო, კვლავ მძლავრი - 9.4%-იანი ზრდა მოჰყვა. ამ წლის მაღალ ეკონომიკურ აქტივობას ხელი შეუწყო მოხმარებამ, ტურიზმმა და რეალური დაკრედიტების მძლავრმა ზრდამ, განსხვავებით შემცირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ნაწილობრივ ფულადი გზავნილებისგან, ასევე მიგრაციასთან დაკავშირებული შემოდინებებისგან, რომელიც გარკვეულწილად შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკაში შემოდინებული ფულადი ნაკადები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ქვეყანა მაინც მოწყვლადია რეგიონში და მის მიღმა მიმდინარე გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების მიმართ. კერძოდ, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ და შემდგომმა მოვლენებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. ამავდროულად, მაღალ შიდა პოლიტიკურ დაძაბულობასთან დაკავშირებული რისკები ხელშესახები რჩება და უარყოფითად აისახება ლარის სტაბილურობაზე, ტურიზმზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებებსა და ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე არსებობს რუსეთის მიერ ოკუპირებულ სეპარატისტულ რეგიონებში სამხედრო კონფლიქტის დაწყების შედარებით დაბალი, თუმცა ანგარიშგასაწევი რისკი, ხოლო შედარებით შორეულმა კონფლიქტებმა, როგორიცაა მაგალითად ესკალაცია ახლო აღმოსავლეთში, შეიძლება საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა იქონიოს აშშ დოლარის გამყარების, ნავთობზე ფასების ზრდის, მიგრაციის ნაკადებითა და სხვა არხებით.

1. შესავალი გაგრძელება

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის ეფექტი 2024 წელს უფრო მოკრძალებული იყო და ეკონომიკურ ზრდაში აღარ მონაწილეობდა, მისი გავლენა ჯერაც საგრძნობია მთლიან ეკონომიკურ აქტივობაზე, შესაბამისად, ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა გადინებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესგარემოზე. საპირისპირო შეიძლება მოხდეს კონფლიქტის სწრაფად გადაჭრის სცენარის შემთხვევაში, რაც რეგიონში ისეთ დადებით ეფექტებს შექმნიდა, როგორიცაა საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორების - რუსეთისა და უკრაინის სწრაფი ეკონომიკური ზრდა.

შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბაზო სცენარი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გლობალურად მიმდინარე მოვლენებზე. მართალია, საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით მდგრადია გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკებისა და უკრაინაში რუსეთის შეჭრის უარყოფითი ეკონომიკური გავლენების მიმართ, მაგრამ მაინც არსებობს უფრო მძიმე არაპირდაპირი გავლენის ალბათობა, ისევე როგორც პოტენციური პოლიტიკური კრიზისებით გამოწვეული გლობალური სირთულეების, რეგიონული კონფლიქტების, მიწოდების ჯაჭვების შეფერხების, პანდემიებისა და გლობალური ჯანდაცვის მსგავსი პრობლემებისა და სხვ. რისკები. ამ რისკების მატერიალიზებამ შეიძლება მკვეთრად შეაფერხოს ეკონომიკური საქმიანობა საქართველოში და უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესგარემოსა და ჯგუფის კლიენტებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით ჯგუფი იყენებს დასაბუთებად საპროგნოზო ინფორმაციას, მაკროეკონომიკური ცვლადების პროგნოზირების ჩათვლით. თუმცა, როგორც ნებისმიერ პროგნოზს ახასიათებს, საპროგნოზო სცენარიცა და მისი განხორციელების ალბათობაც ექვემდებარება თანმდევი განუსაზღვრელობის მაღალ ხარისხს და ამიტომ ფაქტობრივი შედეგები შეიძლება პროგნოზირებულისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს.

კლიმატური გავლენა
ჯგუფმა გადახედა თავის კლიმატთან დაკავშირებული რისკების მოცულობას, მაგრამ არ გამოუვლენია ისეთი რისკი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე ან მდგომარეობაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. რისკის მართვის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია 35-ე შენიშვნაში.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია

მომზადების საფუძველი. ეს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით პირვანდელი ღირებულების მეთოდით, რომელიც მოდიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებით, ასევე იმ ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრით დათარიღებული N284/04 ბრძანების ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების თანახმად. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო. საბჭომ სრულად გადახედა ხელმისაწვდომ ინფორმაციას ძირითადი არსებული და ახალი რისკების სტრატეგიის, ფინანსური სიჯანსაღის, ოპერაციების მომგებიანობის, ლიკვიდურობის, ჯგუფის გადახდისუნარიანობის შესახებ და განსაზღვრა, რომ ჯგუფის ბიზნესი ფუნქციონირებადი საწარმოა. დირექტორებს არ გამოუვლენიათ არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებიც დაემუქრებოდა ჯგუფის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას და აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, დარჩეს ფუნქციონირებადი და გადახდისუნარიანი განჭვრეტად მომავალში (რაც, ამ მიზნისთვის, არის 12-თვიანი ვადა ამ ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღიდან).

აქედან გამომდინარე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ათასი ლარი“), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოები არის ის ინვესტირებული საწარმოები, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტირებულ საწარმოზე მაშინაც კი, როდესაც მისი ხმის უფლებების ნახევარს ან ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ადარებს თავის ხმის უფლებათა რაოდენობას სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან, რათა განსაზღვროს აქვს თუ არა ფაქტობრივი გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირდება იმ თარიღიდან, როდესაც ჯგუფს გადაეცემა კონტროლი და მათი დეკონსოლიდაცია ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში – ბანკი თავისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის ინვესტიციებს აღრიცხავს ინვესტიციის პირვანდელი ღირებულებით, ინვესტიციის აღიარების შეწყვეტამდე ან გაუფასურებამდე. ინვესტიციის საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება. გამოყენების ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმოთა გაერთიანებისა და გუდვილის აღრიცხვა. საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდით. შეძენის ღირებულება ფასდება ანაზღაურების თანხის სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების ჩათვლით, შეძენის თარიღისთვის. შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია ხარჯის სახით იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ისინი გაიწია. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი ამოცნობადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის, არამაკონტროლებელი წილის ზომის მიუხედავად.

ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს, რომელიც წარმოადგენს კაპიტალში ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას და, ლიკვიდაციის შემთხვევაში, მფლობელს უფლებას აძლევს წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე, თითოეული ოპერაციისთვის ინდივიდუალურად აფასებს ან (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივებში არამაკონტროლებელი წილის პროპორციული ოდენობით. არამაკონტროლებელი წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილის შესაფასებლად ხდება შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების გამოქვითვა შეძენილ საწარმოში გადახდილი თანხის, შეძენილ საწარმოში არამაკონტროლებელი წილის ოდენობის და შეძენის თარიღამდე შეძენილ საწარმოში ფლობილი წილის სამართლიანი ღირებულების ჯამური თანხიდან.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

ჯგუფი ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილი გაუფასურების შესაძლო ნიშნები. გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ჯგუფი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი უნდა აღემატებოდეს საოპერაციო სეგმენტის სიდიდეს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში ისეთი ოპერაციის შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს შეწყვეტილ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას. ეს, როგორც წესი, ფასდება შეწყვეტილი ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილის საფუძველზე.

შეძენილ საწარმოში გადახდილი თანხა ფასდება გადაცემული აქტივების, გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების და მიღებული ან ნაკისრი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ შეძენასთან დაკავშირებული ისეთი დანახარჯების გამოკლებით, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების გასამრჯელო.

წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება კაპიტალიდან; სავალო ინსტრუმენტების გამოსაშვებად გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან, ხოლო შეძენასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი გარიგების დანახარჯი ტარდება ხარჯებში.

შიდაჯგუფური ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის კომპანიებს შორის შემდგარი გარიგებებიდან არარეალიზებული შემოსულობები ერთმანეთთან გაიქვითება; არარეალიზებული ზარალიც გაიქვითება, თუ დანახარჯების ამოღება შეუძლებელი არ არის. ბანკი და მისი შვილობილი საწარმოები იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის შიდა პოლიტიკასთან.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების და საკუთარი კაპიტალის ნაწილი, მიკუთვნებადი იმ წილებისთვის, რომლებსაც ბანკი პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

არამაკონტროლებელი წილების ყიდვა-გაყიდვა. არამაკონტროლებელი წილი მფლობელებთან გარიგებების ბუღალტრული აღრიცხვისთვის ჯგუფი სამეურნეო სუბიექტის მოდელს იყენებს. ნებისმიერი სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და შეძენილი არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას შორის, პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც კაპიტალის ოპერაცია. ჯგუფი სხვაობას გაყიდვის ღირებულებასა და გაყიდული არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას შორის აღრიცხავს, როგორც კაპიტალის ოპერაციას საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯების მიხედვით.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს შემდეგი შეფასების კატეგორიების მიხედვით: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მუხლი მოიცავს იმ აქტივებსა და ვალდებულებებსაც, რომლებზეც ვრცელდება ფასს 17-ის მოთხოვნები ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნესმოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნესმოდელის შეცვლის შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. ჯგუფი საპროგნოზო შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

რისკისთვის. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამი სტადიის მოდელს, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებებს. ჯგუფის მიერ დეფოლტის სიტუაციაში მყოფი აქტივების განმარტება და დეფოლტის (გადაუხდელობის) განმარტება ეყრდნობა ზარალის დადგომის მინიმუმ ერთ შემთხვევას, რაც უფრო დაწვრილებით აღწერილია 35-ე შენიშვნაში:

- 1-ელი სტადია: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საწყისი აღიარებისას არ არის დეფოლტის სიტუაციაში, მიეკუთვნება 1-ელ სტადიას. 1-ელ სტადიაზე მყოფი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელსაც განაპირობებს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულების დაფარვის თარიღამდე (რომელიც უფრო ხანმოკლე ვადაა) შესაძლო დეფოლტის მოვლენა („12-თვიანი საკრედიტო ზარალი“);
- მე-2 სტადია: თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას საწყისი აღიარების შემდეგ, აქტივი გადავა მე-2 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა აღარ ფიქსირდება, ინსტრუმენტი კვლავ გადაინაცვლებს 1-ელ სტადიაზე. ფინანსური ინსტრუმენტები მე-2 სტადიიდან 1-ელ სტადიაზე გადადის 6-თვიანი გამოსასწორებელი ვადით, თუ სესხები მანამდე გადაუხდელი (დეფოლტის) კატეგორიაში იყო, ხოლო რესტრუქტურიზებული სესხები რჩება მე-2 სტადიაზე, სანამ არ მოეხსნება რესტრუქტურიზებულის სტატუსი. რესტრუქტურიზებულის სტატუსის მოსახსნელად მსესხებელმა მინიმუმ 12-თვიანი თანმიმდევრული გადახდა უნდა განახორციელოს, თუ არ ტარდება ფინანსური მონიტორინგი. 35-ე შენიშვნაში აღწერილია, როგორ განსაზღვრავს ჯგუფი, საპროგნოზო შეფასებაზე დაყრდნობით, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა;
- მე-3 სტადია: დეფოლტის სიტუაციაში მყოფი აქტივები გადაინაცვლებს მე-3 სტადიაზე და აღიარდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო შესაბამისი რეზერვი აისახება, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფინანსური გარანტიებისა და საკრედიტო ვალდებულებების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები აისახება, როგორც ვალდებულება ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხებში.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხები და ავანსები და აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება ჩამოიწეროს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ინვესტიციებში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. არსებობს „სამი სტადიის“ მეთოდი, რომელიც ეყრდნობა საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას. მყისიერი ზარალი, რომელიც უდრის 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, აღირიცხება ფინანსური იჯარების საწყისი აღიარებისას, რომლებიც არ არის დეფოლტის სიტუაციაში. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას იჯარას დაქვემდებარებული აქტივების მიღებიდან და გაყიდვიდან.

ჯგუფი, როგორც წესი, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებს ისე აყალიბებს, რომ მოიჯარე იხდის მინიმალურ ავანსს აღჭურვილობის შესყიდვის ფასის 20%-ის ოდენობით იჯარის ვადის დასაწყისში. ჯგუფი საკუთრების უფლებას ფლობს საიჯარო აქტივებზე იჯარის ვადის განმავლობაში. აქტივზე საკუთრების უფლება ფინანსური იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში მოიჯარეს გადაეცემა სახელშეკრულებო ვადის დასასრულს, საიჯარო გადახდების სრულად დაფარვის ჩათვლით. იჯარის ვადა, ზოგადად, ხუთ წლამდეა.

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

შეფასებაზე. მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- საიჯარო აქტივები;
- წინასწარი შენატანი;
- უძრავი ქონება;
- მესამე მხარის გარანტიები.

უზრუნველყოფის საგნის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების ცალ-ცალკე წარმოდგენით (i) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფის საგნის და კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებები უტოლდება ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას („ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფის საგანი და კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებები ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე („არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები“).

ჯგუფი თავის პორტფელს ანაწილებს სამ სტადიაზე:

- 1-ელი სტადია – აქტივები, რომლებზეც არ დაფიქსირებულა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ;
- მე-2 სტადია – აქტივები, რომლებზეც დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ;
- მე-3 სტადია – დეფოლტის სიტუაციაში მყოფი კრედიტები.

1-ელი სტადიის დავალიანებისთვის ჯგუფი ქმნის 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ხოლო მე-2 და მე-3 სტადიებისთვის – არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

მე-2 სტადიაზე კლასიფიცირების მიზნით ჯგუფი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის, და არა მხოლოდ:

- 30-დღიანი ვადაგადაცილება;
- საწყისი აღიარების შემდეგ მსესხებლის რისკის კატეგორიის გაუარესება;

დეფოლტის განმარტება მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: (i) 90 ვადაგადაცილებული დღე, (ii) ფინანსური სირთულეების გამო რესტრუქტურიზაცია და (iii) სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ ნაკლებად სავარაუდოა მსესხებელმა ვალდებულება დაფაროს.

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ შეფასებებში. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის ჯგუფი განსაზღვრავს შემდეგ სამ სცენარს:

- საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო);
- ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი);
- პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი);

ჯგუფი ადგენს საბაზისო მაკრო სცენარს და მხედველობაში იღებს პროგნოზებს სხვადასხვა გარე წყაროდან (საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები), რათა უზრუნველყოფს შესაბამისობა შეთანხმებულ საბაზრო მოლოდინებთან. 35-ე შენიშვნაში აღწერილია, როგორ იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები განისაზღვრება ბანკის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემით.

ჯგუფი მოსალოდნელ გაუფასურების ზარალს ანგარიშობს თითოეული სცენარისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საბოლოო სიდიდის მისაღებად ბანკი იყენებს ალბათობით შეწონილი საშუალოს მეთოდს, სადაც თითოეული სცენარის ალბათობა გამოყენებული წონის სახით.

ჩამოწერები. სესხები ჩამოსაწერად ფასდება ან კოლექტიურად, ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმების საფუძველზე, ან ინდივიდუალურად, სესხის სეგმენტისა და პროდუქტის ტიპის მიხედვით. სესხები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც ამოღება თითქმის აღარ არის მოსალოდნელი. საცალო და მიკრო სესხების შემთხვევაში, ჩამოწერა ხდება ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმის საფუძველზე, ხოლო ბიზნეს სესხების შემთხვევაში, ჩამოწერის აუცილებლობა დამატებით ფასდება ინდივიდუალურად.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე. ჯგუფი ზოგჯერ ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების რესტრუქტურიზაციას ან სხვაგვარ მოდიფიკაციას.

ჯგუფი აფასებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არის თუ არა არსებითი, რა დროსაც იგი ერთობლივად განიხილავს გარკვეულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ფაქტორებს. ქვემოთ წარმოდგენილი ჯგუფის შიგნით შექმნილი მეთოდოლოგიის მიხედვით, არსებობს გარკვეული ხარისხობრივი მიზეზები, რომლებიც იწვევს აქტივის აღიარების შეწყვეტას ისე, რომ შემდგომი რაოდენობრივი ტესტირება საჭირო აღარ არის. ეს ხარისხობრივი კრიტერიუმები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- სახელშეკრულებო ვალუტის ცვლილება;
- ორი ან მეტი სესხის გაერთიანება ერთ ახალ სესხად;
- კონტრაჰენტის ცვლილება;
- წინასწარ განსაზღვრული დაფარვის გრაფიკის არმქონე სესხი იცვლება გრაფიკის მქონე სესხით, ან პირიქით;
- სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების შეცვლის გამო.

ჯგუფი აქტივის თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს ადარებს, რათა დაადგინოს, აქტივთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავებული არის თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. უნდა შეფასდეს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილება არსებითი (მნიშვნელოვნად მიიჩნევა 10%-იანი ცვლილება). თუ ტესტის შედეგი 10%-იან ზღვრულ დონეზე მეტია, უნდა მოხდეს სესხის აღიარების შეწყვეტა, ხოლო თუ ტესტის შედეგი 10% ან ნაკლებია, ფინანსური აქტივი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოდიფიცირებული.

თუ არ დაკმაყოფილდება ზემოაღნიშნული ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები, მაშინ მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფი ხელახლა გამოითვლის საერთო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი გაწეული დანახარჯები ან გასამრჯელოები აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ეხება წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც მყიდველი საწარმოს მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული საწყისი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში. სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად. აქედან გამომდინარე, ისინი არ მიიჩნევა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაწილად კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის.

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება, როდესაც ჯგუფი ავანსად უხდის ფულს კონტრაჰენტ ბანკებს. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, როდესაც: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს (SPPI), და (ii) ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სხვა შემთხვევაში ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში. ბიზნესმოდელსა და ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე დაყრდნობით, ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებს შემდეგ კატეგორიებს მიაკუთვნებს: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავალო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, თუ მათი ფლობის მიზანი არის

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და როდესაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს (SPPI) და თუ ისინი არ არის ნებაყოფლობით კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ბუღალტრული აცდენები.

სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ მათი ფლობის მიზანი არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და როდესაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ SPPI-ს და თუ ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამ აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით შეფასებული გაუფასურების რეზერვი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. ყველა სხვა ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აისახება სხვა სრულ შემოსავალში. როდესაც ხდება სავალო ფასიანი ქაღალდის აღიარების შეწყვეტა, მანამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში. ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს საკუთარი კაპიტალის განმარტებას ემიტენტის პოზიციიდან – ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფულის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას და რომლებიც წარმოადგენს ნარჩენ წილობრივ მონაწილეობას ემიტენტის წმინდა აქტივებში, ჯგუფის მიერ მიიჩნევა წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებად.

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფი საწყისი აღიარებისას არჩევს შეუქცევადად აღიაროს კაპიტალის ინვესტიციები, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს კაპიტალის ინვესტიციების კლასიფიცირებას სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც ეს ინვესტიციები ფლობილია სტრატეგიული მიზნით, და არა მხოლოდ ინვესტიციაზე უკუგების მისაღებად.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ინვესტიციებისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ინვესტიციებისთვის, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გასხვისებისას არ ხდება რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ მარტივ თამასუქებს, ობლიგაციებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებს და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათ ამოიღებენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აისახება ვალის დაფარვის შედეგად მიღებულ შემოსულობაში.

დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები. ჯგუფი დამატებითი პირველადი კაპიტალის (AT1) სუბორდინირებული ვალის თამასუქებს აღრიცხავს, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, ამ თამასუქების ვალუტის კონვერტაციის შედეგად, აისახება მოგებაში ან ზარალში. AT1 თამასუქები შეიძლება ჩამოიწეროს, გარდაიქმნას კაპიტალად ან სხვაგვარად მოდიფიცირდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული რეზოლუციის რეჟიმის თანახმად.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როდესაც ჯგუფი ავანსად იხდის ფულს მომხმარებლისგან მისაღები სესხის შესყიდვის ან წარმოშობის მიზნით.

გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებზე დაყრდნობით. 35-ე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ამოსავალი მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდების თაობაზე, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის ახსნილია, როგორც იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ჯგუფმა შეიძინა ვადაგადაცილებული სესხების თანხის დასაფარად. ამ აქტივების შეძენისას ისინი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება შენობებსა და

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

აღჭურვილობაში, საინვესტიციო ქონებაში ან დასაკუთრებულ უზრუნველყოფაში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ჯგუფის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული აქტივები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესით.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები. თუ ჯგუფი არის მოიჯარე ისეთ იჯარაში, რომელიც არსებითად გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს მოიჯარეს, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება, როგორც ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და აღირიცხება სამომავლო საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება საწყისი თარიღით (როდესაც იწყება იჯარის ვადა) იჯარის გაფორმების თარიღით (საიჯარო ხელშეკრულების ვადასა და მხარეების მიერ იჯარის მთავარი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი) დადგენილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

სხვაობა მთლიან მოთხოვნებსა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის წარმოადგენს გამოუმუშავებელი ფინანსურ შემოსავალს. ამ შემოსავლის აღიარება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში წმინდა საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (გადასახადით დაბეგვრამდე), რაც ასახავს მუდმივ პერიოდულ უკუგების განაკვეთს. საპროცენტო შემოსავალი მე-3 სტადიის დავალიანებებზე აისახება საბალანსო ღირებულებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოქვითვის შემდეგ. დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იჯარაზე მოლაპარაკებას და იჯარის გაფორმებას, აისახება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების საწყის შეფასებაში და ამცირებს საიჯარო ვადის განმავლობაში შემოსავლის ოდენობას. იჯარებიდან ფინანსური შემოსავალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში საპროცენტო შემოსავლის მუხლში.

მომხმარებელთა ანგარიშები. მომხმარებელთა ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები ფიზიკური პირების, სახელმწიფოს ან იურიდიული პირების მიმართ და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სუბორდინირებული ვალი. სუბორდინირებული ვალის გადახდა შეიძლება მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ და აისახება ბანკის მეორად კაპიტალში. სუბორდინირებული ვალი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ მარტივ თამასუქებს, ობლიგაციებს და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათ ამოიღებენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აისახება ვალის დაფარვის შედეგად მიღებულ შემოსულობაში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო ხელშეკრულებები, საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსები, ფორვარდული განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის სვოპები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის ოფციონები აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი ასევე თავის კონტრაჰენტ ბანკებთან მიმართებაში ახდენს ანაბრების ურთიერთგადაფარვას ვალუტის გადაცვლის მიზნით. ასეთი ანაბრები იურიდიულად განცალკევებულია, მაგრამ არის აგრეგირებული და აღირიცხება ერთიანი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სახით (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაბრების განთავსება ხდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაჰენტი, (iii) აქვთ ერთი და იგივე რისკი, და (iv) არ არსებობს ოპერაციების განცალკევების მიზანი, რომლის მიღწევაც არ შეიძლება ერთიანი ოპერაციით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ჯგუფი თავისი ჰეჯირების სტრატეგიების უმრავლესობასთან მიმართებით ჰეჯირების აღრიცხვას არ აწარმოებს. ამის მიუხედავად, ჯგუფი დროდადრო იყენებს სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვას გარკვეულ ოპერაციებთან მიმართებით, როგორიცაა სავალუტო რისკის ჰეჯირება იმ ფულად პოზიციებზე, რომლებიც ჰეჯირებულია სავალუტო ფორვარდებით და სვოპებით. ჯგუფი ჰეჯირების აღრიცხვისას ეყრდნობა ფასს 9-ის მოთხოვნებს. ოპერაციების მთლიანი თანხა, რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვა გამოიყენება, 2024 წელს არ არის არსებითი.

როდესაც წარმოებული ინსტრუმენტები ფორმდება დაფინანსების ხარჯის შესამცირებლად, შესაბამისი საპროცენტო ეფექტი აისახება წმინდა საპროცენტო შემოსავალში, სრული შემოსავლის ანგარიშგების ცალკე მუხლის სახით.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა. შეძენილი შვილობილი საწარმოების შენობების და აღჭურვილობის თვითღირებულება არის შეძენის თარიღისთვის შეფასებული სამართლიანი ღირებულება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რათა განსაზღვროს უნდა აღიაროს თუ არა გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და ძირითადად შედგება კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფისგან, რომელიც აღირიცხება დანახარჯების მოდელის გამოყენებით. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზდება შეძენისა და დანერგვის დანახარჯების საფუძველზე, ხოლო პირდაპირ მიკუთვნებადი დეველოპმენტის დანახარჯები კაპიტალიზდება, თუ მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პერსონალის და პირდაპირ ზედნადებ ხარჯს, ხოლო ტექნიკური მომსახურების დანახარჯები მათი გაწევისთანავე ხარჯებში აისახება.

ცვეთა და ამორტიზაცია. მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების სხვა ერთეულების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი თვითღირებულების განაწილება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მათ სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებზე:

აქტივი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	40-110 წელი;
ავეჯი და მოწყობილობები	5-8 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	3-8 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	4-5 წელი;
სხვა აღჭურვილობა	2-10 წელი;
აქტივის გამოყენების უფლება	შესაბამისი იჯარის ვადა;
არამატერიალური აქტივები	1-20 წელი;

აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია თუ ჯგუფი მოელის აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური მომსახურების ვადის ბოლომდე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით, სადაც საჭიროა. მისი ამორტიზაცია ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების 30-50 წლიან ვადაზე. მიწა, რომელიც საინვესტიციო ქონებას მიეკუთვნება, არ ცვდება. საინვესტიციო ქონების ნარჩენი ღირებულებები შეფასებულია ნულით. საინვესტიციო ქონების გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ჯგუფი ანაზღაურებად ღირებულებას აფასებს, როგორც გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესს.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში საოპერაციო შემოსავლის ნაწილში.

იჯარის აღრიცხვა ჯგუფის, როგორც მოიჯარის მიერ. ჯგუფს იჯარით აქვს აღებული ოფისის, ფილიალების და სერვისცენტრების შენობები. იჯარა აღიარდება აქტივის გამოყენების უფლებით და როგორც შესატყვისი ვალდებულება იმ თარიღით, როდესაც იჯარით გადაცემული აქტივი ჯგუფის მიერ გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია. ყოველი საიჯარო გადახდა გადანაწილდება ვალდებულებას და საფინანსო ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ. აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება თვითღირებულებით და ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების საწყისი შეფასება ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები შედგება ქვემოთ მოყვანილი საიჯარო გადახდების წმინდა დისკონტირებული ღირებულებისგან:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით;
- ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე აღასრულებს ამ ოფციონს, და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას.

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში ანალოგიური პირობებით.

ზემოაღნიშნულიდან გამონაკლისის სახით, ჯგუფი მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებს აღრიცხავს საიჯარო გადახდების აღიარებით საოპერაციო ხარჯად დარიცხვის წრფივი მეთოდით.

იჯარის პირობის განსაზღვრისას ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომელიც განაპირობებს ვადის გაგრძელების ოფციონის აღსრულების და არა იჯარის შეწყვეტის ოფციონის აღსრულების ეკონომიკურ სტიმულს. იჯარის გაგრძელების ოფციონი (ან იჯარის ვადამდე შეწყვეტის ოფციონის აღსრულების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის შესაბამის ტერიტორიებზე, სადაც მოქმედებს ბანკი და მისი შვილობილი საწარმოები. მოგების გადასახადის ხარჯი/შეღავათი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში, რადგან იგი დაკავშირებულია ტრანზაქციებთან, რომლებიც აგრეთვე პირდაპირ აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდის სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომელიც საგადასახადო ორგანოებს უნდა გადაეხადოს ან მათგან დაბრუნებული იქნას დასაბეგრ მოგებასა, თუ ზარალთან მიმართებაში მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის. თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსების წინ, დასაბეგრი მოგება თუ ზარალი ემყარება მიახლოებულ შეფასებებს. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდებში გადატანის შემთხვევაში და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ დროებით სხვაობებზე. გადავადებული გადასახადის ნაშთი ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ამოქმედებულია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის და რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს დროის იმ მონაკვეთში, როდესაც დროებითი სხვაობები შებრუნდება ან მომდევნო პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი გამოიყენება.

გადავადებული მოგების გადასახადი ირიცხება შვილობილი საწარმოების შეძენის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი აკონტროლებს კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში სხვაობა არ შებრუნდება დივიდენდების მეშვეობით ან სხვაგვარად.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები კაპიტალში ნაჩვენებია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან, გადასახადის გათვალისწინებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო შემოსავალი საკუთარ კაპიტალში.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

დივიდენდები. დივიდენდების აღიარება კაპიტალში ხდება იმავე პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „შემდგომი მოვლენების“ თავში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება. ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი თუ მიღებული ყველა საკომისიო, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს, გადავადდება საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის სახით. ჯგუფს არ აქვს საპროცენტო შემოსავალი სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომლებიც მიღებულია, ან გადახდილია იმ საწარმოს მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასა თუ შესყიდვასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, მაგალითად, გასამრჯელოები კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის, გარანტიების, თუ უზრუნველყოფის დარეგისტრირება და შეფასება, ინსტრუმენტის ვადებზე მოლაპარაკება და ტრანსაქციის დოკუმენტაციის დამუშავება. ჯგუფის მიერ მიღებული თანხები სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთში გასაცემად, არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გააფორმებს კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას გაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში. ჯგუფი არ აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებს, როგორც ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის საერთო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც არის დეფოლტის სიტუაციაში (მე-3 სტადია), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც დეფოლტის სიტუაციაში შეძენილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ყველა დანარჩენი საკომისიო და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი ჩვეულებრივ აღირიცხება მიღებისთანავე კონკრეტული ტრანსაქციის დასრულების მითითებით, რომელიც ფასდება რეალურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, გასაწევი მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

სავალუტო სვოპების პროცენტის კომპონენტის გამოსათვლელად, პირობითი თანხა მრავლდება შესაბამისი პერიოდის სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთზე. სავალუტო სვოპების ოპერაციებიდან საპროცენტო შემოსავლის/(ხარჯის) განაწილებისას, გაწლიურებული სპრედიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი) გამოითვლება და ნაწილდება წრფივად ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

საკომისიო შემოსავალი. საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება დროთა განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდით, მომსახურების გაწევასთან ერთად, როდესაც მომხმარებელი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს ჯგუფისგან მიწოდებულ სარგებელს. ასეთი შემოსავალი მოიცავს ანგარიშების მხარდაჭერის რეგულარულ საკომისიოს, ანგარიშის მომსახურების საკომისიოს, ანგარიშის გამოწერის საკომისიოს, პლასტიკური ბარათების წლიურ საკომისიოს და სხვა. ცვლადი საკომისიოს აღიარება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ მაღალი ალბათობით მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი გაუქმება.

სხვა საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც ჯგუფი აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, როგორც წესი, შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელებისთანავე. მიღებული ან მისაღები საკომისიოს თანხა წარმოადგენს გარიგების ფასს იმ მომსახურებისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებულია, როგორც ცალკე შესასრულებელი ვალდებულება. ასეთ შემოსავალი მოიცავს მომხმარებლის სახელით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის საკომისიოს, გადახდის ოპერაციების დამუშავების საკომისიოს, პლასტიკური ბარათებით ოპერაციებს, მოვაჭრე სუბიექტის საკომისიოს, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების, ფულადი სახსრების მიღების ან გაცემის საკომისიოს და სხვა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. TBCG-ის და ბანკის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაყვანა ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

ჯგუფის თითოეული სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შედგები (რომელთაგან არცერთის სამუშაო ვალუტა არ არის ჰიპერინფლაციის მქონე ეკონომიკის ვალუტა) შემდეგნაირად კონვერტირდება წარსადგენი ვალუტაში:

(i) წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშგების შემთხვევაში, აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დასკვნითი კურსით;

(ii) მოგება და ხარჯები კონვერტირდება საშუალო სავალუტო კურსებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საშუალო კურსი არ წარმოადგენს გარიგების თარიღისთვის მოქმედი განაკვეთების კუმულაციურ ეფექტთან გონივრულ მიახლოებას, რა დროსაც შემოსავალი და ხარჯები კონვერტიდება გარიგების თარიღებით);

(iii) კაპიტალის კომპონენტების კონვერტაცია ხდება ისტორიული განაკვეთით; და

(iv) ყველა შედეგად მიღებული საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

უცხოური ქვედანაყოფზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ, საკურსო სხვაობები, რომლებიც მანამდე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირდება წლის მოგებაში ან ზარალში, როგორც გასხვისებიდან (გასვლიდან) მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი. შვილობილი საწარმოს ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში, კონტროლის დაკარგვის გარეშე, დაგროვილი საკურსო სხვაობების შესაბამისი ნაწილი რეკლასიფიცირდება საკუთარ კაპიტალში არამაკონტროლებელი წილის სახით.

უცხოური საწარმოს შეძენიდან წარმომდგარი გუდვილი და სამართლიანი ღირებულების კორექტირებები აღირიცხება ამ უცხოური საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად და მათი კონვერტაცია ხდება დასკვნითი (საბოლოო) კურსით.

საბოლოო სავალუტო კურსები, რომლებიც გამოყენებული იქნა უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადასაყვანად 2024 წლის, 2023 წლისა და 2022 წლისთვის, ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.5349	3.4228	3.2581
აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894	2.702
ევრო/ლარი	2.9306	2.9753	2.8844
აზერბაიჯანული მანათი/ლარი	1.651	1.5806	1.5924

თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები და შესაბამისი შენატანები. ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებული ნაწილი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით. საოპერაციო სეგმენტების ანგარიშგება ხდება იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს ჯგუფის მთავარი საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღებისთვის მომზადებულ შიდა ანგარიშგებასთან. სეგმენტები, რომელთა ამონაგები, შედეგი ან აქტივები ყველა სეგმენტის ათი პროცენტი ან მეტია, ცალკე გაცხადდება.

აქციებზე დაფუძნებული გადახდები. აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება არის შეთანხმება საწარმოსა და სხვა მხარეს (დასაქმებული პირის ჩათვლით) შორის, რომელიც სხვა მხარეს უფლებას აძლევს, მიიღოს საწარმოს ფულადი სახსრები ან სხვა აქტივები ისეთი ოდენობით, რომელიც ეფუძნება საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის აქციების) ფასს (ან ღირებულებას); ან საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციონები), იმ პირობით, რომ კონკრეტული უფლების გადაცემის პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაკმაყოფილებულია. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების გეგმის მიხედვით, ჯგუფი ხელმძღვანელობისგან იღებს მომსახურებას, როგორც საზღაურს ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტებისთვის. წილობრივი ინსტრუმენტის გაცემის სანაცვლოდ თანამშრომლისგან მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარებულია ხარჯის სახით. ხარჯად გასატარებელი მთლიანი თანხა განისაზღვრება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რაშიც არ შედის არასაბაზრო მომსახურების და უფლების გადაცემის პირობების გავლენა. არასაბაზრო უფლების გადაცემის პირობები გათვალისწინებულია დაშვებებში წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, რომლებზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა. ხარჯად გატარებული მთლიანი თანხის აღიარება ხდება უფლების გადაცემის პერიოდზე, რაც არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ყველა კონკრეტული უფლების გადაცემის პირობები უნდა დაკმაყოფილდეს. ბალანსის

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

ყოველი თარიღისთვის ჯგუფი გადახედავს თავის შეფასებებს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, რომლებზეც უფლების გადაცემა მოსალოდნელია, უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობების საფუძველზე. იგი აღიარებს თავდაპირველი შეფასებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადასინჯვის გავლენას მოგებაზე ან ზარალზე, შესაბამისი კორექტირებით საკუთარ კაპიტალში. საკუთარი კაპიტალის ზრდა, რომელიც დარიცხულია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების სქემის შედეგად, აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი. ბანკი გადანაწილების თანხას უხდის საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფს“ და აქციებზე დაფუძნებული რეზერვი შესაბამისად დებეტდება. ეს ხდება მაშინ, როდესაც გამოსყიდულ აქციებს ყიდულობს თანამშრომელთა სარგებლის სატრასტო ფონდი საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ დონეზე. როდესაც ერთი გადაცემის ნაწილებზე უფლებები გადაიცემა ორი ან მეტი თარიღით, საწარმო მიმართავს უფლების ეტაპობრივ გადაცემას, რათა ბუღალტრულად აღრიცხოს აქციებზე დაფუძნებული გადახდების სქემა. გადაცემის თითოეულ ტრანშზე უფლების გადაცემის პერიოდი სრულდება მაშინ, როდესაც თანამშრომელი ფლობს აქციებს მომსახურების შემდგომი შეზღუდვების გარეშე. უფლების ეტაპობრივი გადაცემის სქემის მიხედვით, წინა წლების ხარჯი უფრო მაღალია, ვიდრე მომდევნო წლებისა. თითოეული ტრანში გატარდება ხარჯებში თავისი მომსახურების ვადის განმავლობაში, ხოლო საკუთარი კაპიტალი კრედიტდება.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში შესული ცვლილება

მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში ჯგუფმა გადახედა და განაახლა თავისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარკვეული მუხლების წარდგენა, რათა აესახა უფრო საიმედო და რელევანტური ინფორმაცია, გაეუმჯობესებინა სიცხადე და შესადარისობა დარგის პრაქტიკასთან, ასევე ამოეღო არაარსებითი მუხლები ძირითადი ანგარიშგებებიდან. ეს ცვლილებები გავრცელდა რეტროსპექტიულად და ბოლო ორი წლის (2023 და 2022) შესადარისი რიცხვები შესაბამისად გადაიხედა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია

მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების რეკლასიფიკაცია სხვა აქტივებში:

ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი, 2023 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი, 2023 წ. (გადასინჯული)	31 დეკემბერი, 2022 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი, 2022 წ. (გადასინჯული)
ჯგუფი						
მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება	4,204	(4,204)	-	3,721	(3,721)	-
სხვა აქტივები	405,493	4,204	409,697	411,727	3,721	415,448

2. არსებითი საალრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვების რეკლასიფიკაცია სხვა ვალდებულებებში:

ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი, 2023 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი, 2023 წ. (გადასინჯული)	31 დეკემბერი, 2022 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი, 2022 წ. (გადასინჯული)
ჯგუფი						
ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვები	21,060	(21,060)	-	19,908	(19,908)	-
სხვა ვალდებულებები	102,519	21,060	123,579	80,386	19,908	100,294
ბანკი						
ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვები	21,060	(21,060)	-	19,908	(19,908)	-
სხვა ვალდებულებები	94,557	21,060	115,617	73,393	19,908	93,301

დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქების რეკლასიფიკაცია გამოშვებული ფასიანი ქაღალდებიდან:

ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი, 2023 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი, 2023 წ. (გადასინ-ჯული)	31 დეკემბერი, 2022 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი, 2022 წ. (გადასინ-ჯული)
ჯგუფი						
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,264,085	(548,284)	715,801	1,209,813	(548,368)	661,445
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები	-	548,284	548,284	-	548,368	548,368
ბანკი						
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,181,792	(548,284)	633,508	1,163,116	(548,368)	614,748
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები	-	548,284	548,284	-	548,368	548,368

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების რეზერვისა და კუმულაციური საკურსო სხვაობის რეზერვის რეკლასიფიკაცია სხვა რეზერვებში:

ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი, 2023 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი, 2023 წ. (გადასინჯული)	31 დეკემბერი, 2022 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი, 2022 წ. (გადასინჯული)
ჯგუფი						
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12,345	(12,345)	-	5,467	(5,467)	-
კუმულაციური საკურსო სხვაობის რეზერვი	(7,085)	7,085	-	(7,657)	7,657	-
სხვა რეზერვები	-	5,260	5,260	-	(2,190)	(2,190)
ბანკი						
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12,345	(12,345)	-	5,467	(5,467)	-
სხვა რეზერვები	-	12,345	12,345	-	5,467	5,467

მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან წმინდა შემოსულობის რეკლასიფიკაცია სხვა საოპერაციო შემოსავალში:

ანგარიშგების მუხლი	2023 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	2023 წ. (გადასინჯული)
ჯგუფი			
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	5,880	(5,880)	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23,200	5,880	29,080
ბანკი			
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	5,880	(5,880)	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	35,765	5,880	41,645

2. არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია გაგრძელება

ვალდებულების შესრულების გარანტიებისთვის, საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, სხვა სრულ შემოსავალი ასახვით, საკრედიტო ზარალის რეზერვის რეკლასიფიკაცია სხვა ფინანსური აქტივებისა და სხვა აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვში:

ანგარიშგების მუხლი	2023 წ. (რეკლასიფიკაციამდე)	რეკლასიფიკაცია	2023 წ. (გადასინჯული)
ჯგუფი			
ვალდებულების შესრულების გარანტიებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,381)	1,381	-
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებზე საკრედიტო ზარალის ამოღება	477	(477)	-
საკრედიტო ზარალის რეზერვი/ (ამოღება) ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	(1,006)	1,006	-
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის და სხვა აქტივებისთვის	(9,573)	(1,910)	(11,483)
ბანკი			
ვალდებულების შესრულების გარანტიებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,381)	1,381	-
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებზე საკრედიტო ზარალის ამოღება	477	(477)	-
საკრედიტო ზარალის რეზერვი/ (ამოღება) ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	(974)	974	-
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის და სხვა აქტივებისთვის	(4,983)	(1,878)	(6,861)

3. განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კრიტიკული განსჯა და შეფასებები

ბანკი აკეთებს შეფასებებს და განსჯას, რაც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია განსჯა და შეფასებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული განსჯა და შეფასებები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა მნიშვნელოვანი შეფასებაა, რაც მოიცავს მეთოდოლოგიის განსაზღვრას, მოდელების შემუშავებას და ამოსავალი მონაცემების მომზადებას. ხელმძღვანელობის კომპეტენტური განსჯაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ხელმძღვანელობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას ხელმძღვანელობის შემდეგ განსჯას და შეფასებებს ითვალისწინებს:

დეფოლტის განმარტებაში გამოყენებული კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა. ბანკის დეფოლტს განმარტავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით. მსესხებელი კლასიფიცირდება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად, თუ:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველგვარი გადახდები 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ან
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ მსესხებლისგან გადახდების მიღება არ არის მოსალოდნელი.

ის, რომ დაფარვა არ არის მოსალოდნელი წარმოადგენს ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა კლიენტის მონიტორინგს/ფინანსურ სტაბილურობას.

გარდა ამისა, დეფოლტიდან გასვლის კრიტერიუმები განისაზღვრება განსჯის საფუძველზე, ასევე იმის დასადგენად, დეფოლტი მსესხებელზე უნდა გამოიყენებოდეს, თუ რისკის (კრედიტის ოდენობის) დონეზე. დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია 35-ე შენიშვნაში.

შეფასების კრიტერიუმების დასადგენად გამოყენებული განსჯა, თუ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც განისაზღვრება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით.

ხარისხობრივი ფაქტორები, ჩვეულებრივ, მოიცავს განსჯას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების პერიოდის თაობაზე; კრედიტის მოცულობა რესტრუქტურიზებულია, მაგრამ არ არის დეფოლტის სიტუაციაში, მსესხებელი მიეკუთვნება „საყურადღებო“ კატეგორიას.

ბანკი ყოველი კონკრეტული დავალიანებისთვის აფასებს დეფოლტის პარამეტრის ალბათობის ცვლილებას რაოდენობრივ საფუძველზე და მას ადარებს დავალიანების საწყისი აღიარებისას განსაზღვრულ ზღვრულ დონეს. როდესაც დეფოლტის ალბათობის აბსოლუტური ფარდობითი ცვლილება აღემატება კონკრეტულ ზღვრულ დონეს, მიიჩნევა, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და დავალიანება გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის რაოდენობრივი ინდიკატორი გამოიყენება საცალო და მიკრო სეგმენტებში იმ პირობით, რომ შეფასების სიზუსტისთვის უნდა იყოს მიგნებების არსებითი რაოდენობა. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრული დონეების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 35-ე შენიშვნა.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გასაანგარიშებლად გამოყენებული განსჯა, კერძოდ, დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში. განსჯაში, სხვებთან ერთად, შედის შემდეგიც:

(i) სეგმენტაციის განმარტება რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის,
(ii) გადაწყვეტილება იმის შესახებ, უფრო გამარტივებული თუ უფრო რთული მოდელები უნდა იქნეს გამოყენებული,
(iii) დრო დეფოლტის თარიღის შემდეგ, რომლის შემდეგაც არსებითი თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის,

(iv) უზრუნველყოფის საგნის დისკონტი საბაზრო ღირებულებიდან, ასევე უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა უზრუნველყოფის საგნის დისკონტირებისთვის.

3. გაწუსაზღვრელობის შეფასების წყაროები და განსჯა საარღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას
გაგრძელება

ცხრილში წარმოდგენილია მგრძნობელობა დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასებების 10%-იანი ზრდისადმი. მგრძნობელობის გამოთვლის მიზნებისთვის, სტადიები უცვლელი დარჩა:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
დეფოლტის ალბათობის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 16,425 ლარით (15,218 ლარი).	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 16,177 ლარით (15,210 ლარი).
დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 25,351 ლარით (26,679 ლარი).	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 24,778 ლარი (26,679 ლარი).

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2024 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა:

ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემული 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაში მყოფი 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილება უკავშირდება აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ს მოთხოვნებს გაყიდვად აღრიცხვასთან დაკავშირებით. ცვლილება მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ ოპერაციიდან წარმომდგარი ვალდებულებების შემდგომი შეფასება მოახდინოს იმგვარად, რომ არ აღიაროს შენარჩუნებული აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს ამგვარი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულება გულისხმობს ცვლადი გადახდების შესრულებას, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად – ცვლილებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოშვებული 2020 წლის 23 იანვარს, შემდეგ შეცვლილი 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს და საბოლოოდ ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებები არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას. ვალდებულებები გრძელვადიანია, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სტანდარტით აღარ არის სავალდებულო, რომ ეს უფლება უპირობო იყოს. 2022 წლის ოქტომბრის ცვლილებამ დაადგინა, რომ სესხის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ მოქმედებს ვალის მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ვალდებულების დაფარვის უფლებას, არ მოქმედებს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. ვალდებულება მოკლევადიანად კლასიფიცირდება, თუ დაირღვევა რომელიმე პირობა საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღით მაშინაც კი, თუ კრედიტორისგან მიღებულია ამ პირობის დაკმაყოფილების მოთხოვნაზე უარი საანგარიშგებო პერიოდის გასვლის შემდეგ. ამავდროულად, სესხის კლასიფიცირება გრძელვადიანად ხდება მაშინ, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ცვლილებები ასევე მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას ისეთი დავალიანების შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალად გარდაქმნით. „ვალდებულების დაფარვა“ განიმარტება, როგორც ვალდებულების გასტუმრება ფულადი სახსრებით, სხვა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსებით ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. კაპიტალად კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის დაშვებულია გამონაკლისი, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფციონი კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები: ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან (გამოშვებული 2023 წლის 25 მაისს და ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფინანსური გარიგებების შესახებ არასაკმარისი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შეშფოთებაზე რეაგირების მიზნით, ბასს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში და მოითხოვა ინფორმაციის გამჟღავნება საწარმოს მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ. ეს ცვლილებები საწარმოებისგან მოითხოვს მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს,

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება გაგრძელება

შეაფასონ ამ გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე. დამატებითი მოთხოვნების მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ცვლილებები არ აისახება აღიარების და შეფასების პრინციპებზე და მოქმედებს მხოლოდ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

სტანდარტებში ცვლილებების მიღებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფზე ან გავლენა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ განმარტებითი შენიშვნები საჭირო არ გახდა.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

ჯგუფს ვადაზე ადრე არ გამოუყენებია რომელიმე ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ. ჯგუფი მოელის, რომ ცვლილებებს, მათი დანერგვისას, ან პოტენციური გავლენის მასშტაბის შეფასებისას, უმნიშვნელო გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა (გამოშვებული 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში რომ დახმარებოდა საწარმოებს ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის შეფასებაში და განესაზღვრა სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც არ არსებობდა ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა. საწარმოს ეს ცვლილება ეხება მაშინ, როდესაც მას აქვს გარიგება ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც სხვა ვალუტაში გადაცვლადი არ არის შეფასების თარიღისთვის კონკრეტული მიზნით. ბასს 21-ში შესული ცვლილებები დაწვრილებით მოთხოვნებს არ შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი. ამის ნაცვლად ისინი გვთავაზობენ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება. სავალდებულოა შესაბამისი თანხების კონვერტაცია გამოთვლილი სპოტ სავალუტო კურსით სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის და გაუნაწილებელი მოგების ან დაგროვილი საკურსო სხვაობების რეზერვის დაკორექტირება. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 30 მაისს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2024 წლის 30 მაისს ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში, რათა:

(ა) განმარტოს გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღი, და ახალი გამონაკლისი დააწესოს ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემით;

(ბ) განმარტოს და დააზუსტოს იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს;

(გ) დაამატოს ახალი განმარტებითი შენიშვნები ზოგიერთი ინსტრუმენტისთვის, ისეთი სახელშეკრულებო პირობებით, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადები (კერძოდ, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლის თვისებები მიბმულია გარემოს მიღწევებზე, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სამიზნე მაჩვენებლებზე); და

(დ) განაახლოს განმარტებითი შენიშვნები წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წლიური გაუმჯობესებები ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში (გამოშვებული 2024 წლის ივლისში და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან). ფასს 1-ით განიმარტა, რომ ჰეჯირება უნდა შეწყდეს ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ის არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის „მაკვალიფიცირებელ კრიტერიუმებს“ და არა „პირობებს“, რათა გადაჭრილიყო პოტენციური გაუგებრობა, რომელსაც წარმოშობდა არათანმიმდევრულობა ფასს 1-ის ფორმულირებასა და ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ფასს 9-ის მოთხოვნებს შორის. ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული აღიარების შეწყვეტით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის შესახებ, რომლებშიც საწარმოს აქვს შენარჩუნებული მონაწილეობა, მათ შორის სამართლიანი

5. საბრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები გაგრძელება

ღირებულების შეფასება მოიცავდა თუ არა „მნიშვნელოვან არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს“. ამ ახალმა ფრაზამ ჩაანაცვლა მინიშნება „მნიშვნელოვან ამოსავალ მონაცემებზე, რომლებიც არ ეყრდნობოდა ბაზრის ემპირიულ მონაცემებს“. ცვლილებას ფორმულირება შესაბამისობაში მოჰყავს ფასს 13-თან. გარდა ამისა, ფასს 7-ის დანერგვის გარკვეული სახელმძღვანელო მაგალითები განიმარტა და ტექსტი დაემატა, რომ მაგალითები შესაძლოა არ ასახავდეს ყველა მოთხოვნას, რომელსაც შეიცავს ფასს 7-ის დამოწმებული მუხლები. ფასს 16-ის ცვლილება აზუსტებს, რომ როდესაც მოიჯარე განსაზღვრავს, რომ საიჯარო ვალდებულება დაფარულია ფასს 9-ის შესაბამისად, მოიჯარე ვალდებულია ფასს 9-ის სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით, ყოველგვარი შემოსულობა ან ზარალი აღიაროს მოგებაში ან ზარალში. დაზუსტება ვრცელდება იმ საიჯარო ვალდებულებებზე, რომლებიც დაფარულია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების თარიღით ან მის შემდგომ, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, სავაჭრო მოთხოვნები ამჯერად თავდაპირველად უნდა აღიარდეს, როგორც „ფასს 15-ის გამოყენებით განსაზღვრული თანხა“, ნაცვლად „მათი გარიგების ფასისა (ფასს 15-ის განმარტების შესაბამისად)“. ფასს 10 იმგვარად შეიცვალა, რომ იყენებდეს ნაკლებად დასკვნით ენას, როდესაც საწარმო არის „დე ფაქტო რწმუნებული“ და განმარტოს, რომ ფასს 10-ის ბ74 პუნქტში აღწერილი ურთიერთობა მხოლოდ ერთი მაგალითია ისეთი გარემოებისა, რომელშიც განსჯა არის საჭირო იმის დასადგენად, არის თუ არა მხარე დე ფაქტო რწმუნებული. ბასს 7 ჩასწორდა, რათა წაშლილიყო მინიშნება „დანახარჯების მეთოდზე“, რომელიც 2008 წლის მაისში იქნა ამოღებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებიდან, როდესაც ბასს-მა გამოუშვა ცვლილება „შვილობილ საწარმოში, ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულში ან მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის დანახარჯი“. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 18 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში ბასს-მა გამოუშვა ფასს 18, ახალი სტანდარტი ფინანსური ანგარიშგების წარდგენასა და განმარტებითი შენიშვნებზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოგება-ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. მთავარი ახალი ცნებები, რომელიც ფასს 18-მა შემოიტანა, უკავშირდება:

- მოგება-ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;
- სავალდებულო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებებში გარკვეული მოგების ან ზარალის შედეგების შეფასებებისთვის, რომელთა ანგარიშგება ხდება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გარეთ (ანუ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის შეფასებები); და
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგირებასა და დეზაგრეგირებაზე, რომელიც ვრცელდება ძირითად პირველად ანგარიშგებებზე და, ზოგადად, განმარტებით შენიშვნებზე.

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ის; ბევრი სხვა არსებული პრინციპი ბასს 1-იშ ნარჩუნდება, მცირედი ცვლილებებით. ფასს 18 არ მოახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებებში მუხლების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ მან შეიძლება შეცვალოს ის, თუ რას წარმოადგენს საწარმო თავის „საოპერაციო მოგებად ან ზარალად“. ფასს 18 გავრცელდება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის ასევე ვრცელდება შესადარის ინფორმაციაზე.

ჯგუფი მოელის, რომ ცვლილებებს, მათი დანერგვისას, ან პოტენციური გავლენის მასშტაბის შეფასებისას, უმნიშვნელო გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოუშვა ახალი ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შვილობილი საწარმოებისთვის. ფასს 19 შესაბამის შვილობილ საწარმოებს უფლებას აძლევს გამოიყენონ ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ნაკლები განმარტებითი შენიშვნებით.

ფასს 19-ის გამოყენება შეამცირებს შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ხარჯს და ამავდროულად შეინარჩუნებს სასარგებლო ინფორმაციას მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. შვილობილი საწარმოები, რომლებიც ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს იყენებენ თავიანთი საკუთარი ფინანსური ანგარიშგებებისთვის, შეიძლება წარმოადგენდნენ განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც შეუსაბამოა მათი მომხმარებლების საინფორმაციო საჭიროებებთან. ფასს 19 ამ გამოწვევებს გადაჭრის შემდეგით:

- შვილობილი საწარმოებისთვის იმის უფლების მიცემა, რომ მხოლოდ აწარმოონ სააღრიცხვო ჩანაწერების მხოლოდ ერთი კომპლექტი – რათა დააკმაყოფილონ როგორც მშობელი საწარმოს, ასევე მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებები.

5. საბრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები გაგრძელება

- უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები – ფასს 19 უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას იძლევა, რაც უკეთ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებებს.

ფასს 19 გავლენას არ მოახდენს, ვინაიდან ჯგუფს არ ევალება მისი გამოყენება.

ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან). ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს იმაში, რომ უკეთ წარმოადგინონ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტები, რომლებიც ხშირად შედგენილია, როგორც ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებები (PPA). არსებული სააღრიცხვო მოთხოვნები შეიძლება სათანადოდ ვერ ასახავდეს იმას, თუ როგორ მოქმედებს ასეთი ხელშეკრულებები კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. იმისათვის, რომ კომპანიებს საშუალება მიეცეთ, უკეთ ასახონ ეს ხელშეკრულებები ფინანსურ ანგარიშგებებში, ბასსს-მა ცვლილებები შეიტანა ფასს 9-ში „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები. ცვლილებები მოიცავს შემდეგს: (ა) „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების განმარტება, (ბ) გარკვეული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების შემსუბუქება, თუ ასეთი ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებისთვის და (გ) ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნების დამატება, რაც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ რა გავლენას ახდენს ასეთი ხელშეკრულებები საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნაღდი ფული	848,814	936,988
ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში (გარდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებისა)	289,382	707,183
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები სხვა ბანკებში	646,382	1,019,684
სხვა ბანკებში განთავსებული თანხები ან სხვა ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია	1,033,679	1,027,493
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მთლიანი საერთო ოდენობა	**2,818,257**	**3,691,348**
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი		
1-ელი სტადია	(147)	(116)
მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**2,818,110**	**3,691,232**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების და ერთდღიანი დეპოზიტების 87% განთავსებულია ეთგოს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) საბანკო დაწესებულებებში (2023 წლის 31 დეკემბერი: 93%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 960,638 ათასი ლარი განთავსდა ბანკთაშორის ვადიან ანაბრებზე ოთხ ეთგოს ბანკში და არაფერი განთავსებულა არა-ეთგოს ბანკებში (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,020,150 ათასი ლარი იყო განთავსებული ბანკთაშორის ვადიან დეპოზიტებზე ერთ ეთგოს ბანკში და არაფერი განთავსებულა არა-ეთგოს ბანკში).

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 35-ე შენიშვნაში.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გაგრძელება

სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებისა და ერთდღიანი დეპოზიტების საკრედიტო რეიტინგი ასეთია:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
AA	25,051	317,762
AA-	8,202	1,162
A+	446,356	532,414
A	28,544	250
A-	65,979	96,294
BBB+	-	814
BBB	1,833	1,598
BBB-	30,904	409
BB+	1,663	11,050
BB	4,380	4,483
BB-	10,601	5,180
B+	13,107	47,272
B	9,720	734
B-	42	262
მთლიანი საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	**646,382**	**1,019,684**

სხვა ბანკებში სამ თვეზე ნაკლები ვადით განთავსებული თანხების და სხვა ბანკებისადმი სამ თვეზე ნაკლები ვადის მქონე მოთხოვნების საკრედიტო რეიტინგი ასეთია:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
AAA	205,904	158,810
A	233,102	-
A-	-	296,785
BBB+	43,959	348,308
BBB	477,673	223,590
BB	70,000	-
B	3,041	-
სხვა ბანკებში განთავსებული მთლიანი თანხები ან სხვა ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია	**1,033,679**	**1,027,493**

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გაგრძელება

ცხრილში წარმოდგენილია საერთაშორისო სააგენტოების – Standard & Poor's-ის და Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებული რეიტინგები. როდესაც სააგენტოების მხრიდან ხდება სხვადასხვა საკრედიტო რეიტინგის მინიჭება, ამ აქტივისთვის ყველაზე მაღალი რეიტინგი გამოიყენება, ხოლო იმ ფინანსური დაწესებულებების შემთხვევაში, რომლებსაც საკრედიტო რეიტინგი არ ენიჭება, ქვეყნის რეიტინგი გამოიყენება.

ბანკის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ასე გამოყურება:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნაღდი ფული	825,384	911,831
ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში (გარდა სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებისა)	289,382	707,183
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები სხვა ბანკებში	616,883	986,923
სხვა ბანკებში განთავსებული თანხები ან სხვა ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია	1,033,679	1,027,493
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მთლიანი საერთო ოდენობა	**2,765,328**	**3,633,430**
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი		
1-ელი სტადია	(147)	(116)
მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**2,765,181**	**3,633,314**

7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნებში შედის სამ თვეზე მეტი საწყისი ვადის მქონე განთავსებები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი და არ წარმოადგენს ვადაგადაცილებულ თანხებს 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სხვა ბანკებში სამ თვეზე მეტი საწყისი ვადის მქონე განთავსებების და სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების, და შეზღუდული წვდომის დეპოზიტების საკრედიტო რეიტინგები ასეთია:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
A	10,910	-
BBB	-	446
B+	9,243	10,689
მთლიანი განთავსებები სხვა ბანკებში და მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ, სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით, და შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	**20,153**	**11,135**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა ორი განთავსება სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით და 5,000 ათას ლარზე მეტი აგრეგირებული თანხით (2023 წ.: 1).

სხვა ბანკებში განთავსებების და სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების მთლიანი აგრეგირებული თანხები, სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით, იყო 19,481 ათასი ლარი (2023 წ.: 10,446 ათასი ლარი) ანუ სხვა ბანკებისადმი მთლიანი მოთხოვნების 96.7% (2023 წ.: 93.8%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 693 ათასი ლარი (2023 წ.: 693 ათასი ლარი) იყო განთავსებული ანაბრებზე, როგორც შეზღუდული წვდომის დეპოზიტები საკრედიტო ბარათის კომპანიასთან ან სხვა ბანკებთან საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული მომსახურებების ხელშეკრულების საფუძველზე.

სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების ნაშთების სამართლიანი ღირებულების შეფასება მე-40 შენიშვნაშია მოცემული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სხვა ბანკებისადმი მოთხოვნების ნაშთები მიკუთვნებულია 1-ელი სტადიისთვის. ამ ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 22 ათასი ლარი (2023 წ.: 3.8 ათასი ლარი).

8. სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენს სებ-ში ანაბარზე განთავსებულ თანხებს. რეზიდენტ ფინანსურ დაწესებულებებს მოეთხოვებათ სებ-ში საპროცენტო სარგებლის მქონე სავალდებულო რეზერვის შენარჩუნება, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ფინანსური დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. ბანკმა 2024 წლის განმავლობაში სებ-ში ლარში, აშშ დოლარში და ევროში განთავსებული სავალდებულო რეზერვიდან, შესაბამისად, მიიღო 8.19%-მდე, 0%-იანი და 0%-იანი წლიური პროცენტი (2023 წ.: 10.48%, 0% და 0% ლარში, აშშ დოლარში და ევროში, შესაბამისად).

2024 წლის დეკემბერში სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა დაადასტურა საქართველოს გრძელვადიანი უცხოური და ეროვნული ვალუტის ემიტენტის დეფოლტის „BB“ რეიტინგი და „სტაბილური“ პერსპექტივა შეცვალა „უარყოფითით“. ქვეყნის მაქსიმალური რეიტინგი დადასტურდა „BBB-“ დონეზე, მოკლევადიანი უცხოური და ეროვნული ვალუტის ემიტენტის დეფოლტის რეიტინგები შენარჩუნდა „B“ დონეზე.

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
კორპორაციული სესხები	9,848,706	8,263,605
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	5,948,420	5,486,788
სამომხმარებლო სესხები	3,595,510	2,796,622
იპოთეკური სესხები	5,126,953	4,729,734
მთლიანი მომხმარებლებზე გაცემული საერთო სესხები და ავანსები ამორტიზებული ღირებულებით	**24,519,589**	**21,276,749**
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი	(332,245)	(318,217)
1-ელი სტადია	(99,412)	(87,734)
მე-2 სტადია	(68,733)	(82,019)
მე-3 სტადია	(164,100)	(148,464)
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი საერთო სესხები და ავანსები ამორტიზებული ღირებულებით	**24,187,344**	**20,958,532**

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები გაგრძელება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,118,011 ათასი ლარით აღრიცხული მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები დაგირავდა საქართველოს ეროვნული ბანკისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (2023 წ.: 701,285 ათასი ლარი). მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები დაგირავებულია მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკისგან ნასესხები სახსრებისთვის.

მოდელირებული შედეგის ზრდები არ დამუშავებულა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მოდელირების შემდგომი კორექტირებები 2023 წლის ბოლოსთვის შეადგენდა ნულს).

ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო ზარალის რეზერვისა და მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების ცვლილებები მომხმარებლებზე გაცემული, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, სესხებისა და ავანსებისთვის საანგარიშგებო პერიოდის საწყის და საბოლოო თარიღებს შორის. ქვემოთ, ცხრილში აღწერილია ძირითადი ცვლილების დინამიკები:

- გადატანები ხდება 1-ელ, მე-2 და მე-3 სტადიებს შორის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (ან შემცირების) ან დავალიანების მოცულობის დეფოლტის სიტუაციაში აღმოჩენის გამო პერიოდის განმავლობაში და, შესაბამისი „გაუმჯობესება“ (ან „გაუარესება“) 12-თვიან და არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ:
  - იმ სესხების შემთხვევაში, რომლებიც არსებობდა პერიოდის დასაწყისში, საწყისი კრედიტების მოცულობა გაცხადებულია, როგორც გადატანის თანხები;
  - ახლად გამოშვებული სესხების შემთხვევაში კრედიტების მოცულობა გამოშვებისას გაცხადდება, როგორც გადატანის თანხები;
- „ახალი შექმნილი ან შეძენილი“ გვაძლევს ინფორმაციას გაცემული ბრუტო სესხებისა და პერიოდის განმავლობაში შექმნილი საკრედიტო ზარალის შესაბამისი რეზერვის შესახებ (თუმცა, მათში არ შედის კრედიტები, რომლებიც გაიცა და დაიფარა პერიოდის განმავლობაში და გაიცა არსებული სესხების რეფინანსირების მიზნით).
- „აღიარებაშეწყვეტილი პერიოდის განმავლობაში“ გულისხმობს სესხების და საკრედიტო ზარალის რეზერვის ნაშთს პერიოდის დასაწყისში, რომლებიც მთლიანად დაიფარა პერიოდის განმავლობაში. მათ რიცხვში არ შედის კრედიტები, რომლებიც გაიცა და მთლიანად არ დაიფარა პერიოდის განმავლობაში, ჩამოიწერა ან რეფინანსირდა სხვა სესხებით;
- „წმინდა დაფარვები“ გულისხმობს წმინდა ცვლილებას მთლიან საბალანსო ღირებულებებში, რაც წარმოადგენს შენატანებით შემცირებულ გაცემულ სესხს, გარდა სრულად დაფარული სესხებისა;
- „ჩამოწერები“ გულისხმობს პერიოდის განმავლობაში სესხების ჩამოწერას;
- სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა გულისხმობს უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივების კონვერტაციას და კონვერტაციის ეფექტს წარსადგენ ვალუტაზე უცხოური შვილობილი საწარმოსთვის;
- წმინდა გადაფასება სტადიებზე გადანაცვლების გამო და რისკის პარამეტრების ცვლილება გულისხმობს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების დინამიკას კრედიტის სტადიებს შორის გადატანის ან რისკის პარამეტრებში და საპროგნოზო მოლოდინებში ცვლილებების გამო;
- მოდიფიკაცია ეხება ცვლილებებს პირობებში, რომლებიც არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას;
- ხელახალი სეგმენტაცია გულისხმობს სესხების გადატანას ერთი საანგარიშგებო სეგმენტიდან მეორეში. წარდგენის მიზნებისთვის, თანხები დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, რაც გარკვეულ შემთხვევებში ნულს შეადგენს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიაზე დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია 35-ე შენიშვნაში.

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები გაგრძელება

	მთლიანი საბალანსო ღირებულება				საკრედიტო ზარალის რეზერვი			
მთლიანი სესხები ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**19,582,557**	**1,294,317**	**399,875**	**21,276,749**	**87,734**	**82,019**	**148,464**	**318,217**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
– *არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)*	*(2,443,317)*	*2,508,188*	*(64,871)*	-	*(59,627)*	*77,007*	*(17,380)*	-
– *დეფოლტის სიტუაციაში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)*	*(38,921)*	*(468,396)*	*507,317*	-	*(9,380)*	*(68,458)*	*77,838*	-
– *12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)*	*1,609,204*	*(1,607,413)*	*(1,791)*	-	*97,781*	*(96,437)*	*(1,344)*	-
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	12,678,621	-	-	**12,678,621**	174,483	-	-	**174,483**
აღიარებაშეწყვეტილი ან სრულად ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(6,772,106)	(179,478)	(91,771)	**(7,043,355)**	(70,953)	(13,963)	(29,343)	**(114,259)**
წმინდა დაფარვები	(2,291,843)	(140,961)	(67,421)	**(2,500,225)**	-	-	-	**-**
წმინდა გადაფასება სტადიებს შორის გადატანების, რისკის პარამეტრების შეცვლისა და დაფარვების გამო*	-	-	-	**-**	(121,171)	88,285	138,978	**106,092**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
ჩამოწერა	-	-	(154,175)	**(154,175)**	-	-	(154,175)	**(154,175)**
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	12,068	1,457	8,406	**21,931**	-	-	-	**-**
მოდიფიკაცია	1,816	241	(69)	**1,988**	5	2	43	**50**
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	223,423	10,486	4,146	**238,055**	540	278	1,019	**1,837**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**22,561,502**	**1,418,441**	**539,646**	**24,519,589**	**99,412**	**68,733**	**164,100**	**332,245**

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები გაგრძელება

	მთლიანი საბალანსო ღირებულება				საკრედიტო ზარალის რეზერვი			
მთლიანი სესხები *ათას ლარში*	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**16,065,731**	**1,401,961**	**389,584**	**17,857,276**	**101,747**	**96,993**	**161,094**	**359,834**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
– *არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)*	*(2,401,874)*	*2,453,776*	*(51,902)*	-	*(72,440)*	*89,871*	*(17,431)*	-
– *დეფოლტის სიტუაციაში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)*	*(42,694)*	*(403,372)*	*446,066*	-	*(4,110)*	*(84,615)*	*88,725*	-
– *12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)*	*1,776,304*	*(1,775,676)*	*(628)*	-	*120,613*	*(120,502)*	*(111)*	-
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	12,302,923	-	-	**12,302,923**	173,184	-	-	**173,184**
აღიარებაშეწყვეტილი ან სრულად ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(5,902,762)	(220,021)	(102,823)	**(6,225,606)**	(82,258)	(14,507)	(25,152)	**(121,917)**
წმინდა დაფარვები	(2,363,801)	(182,730)	(69,388)	**(2,615,919)**	-	-	-	**-**
წმინდა გადაფასება სტადიებს შორის გადატანების, რისკის პარამეტრების შეცვლისა და დაფარვების გამო*	-	-	-	**-**	(149,021)	114,521	154,983	**120,483**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
ჩამოწერა	-	-	(214,676)	**(214,676)**	-	-	(214,676)	**(214,676)**
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	29,106	14,581	2,159	**45,846**	-	-	-	**-**
მოდიფიკაცია	1,457	116	167	**1,740**	-	-	-	**-**
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	118,167	5,682	1,316	**125,165**	19	258	1,032	**1,309**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,582,557**	**1,294,317**	**399,875**	**21,276,749**	**87,734**	**82,019**	**148,464**	**318,217**

* ცვლილების დინამიკა, რომელიც მოქმედებს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში, განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებისგან 56,806 ათასი ლარის ოდენობის ამოღებული თანხით და დისკონტის ამორტიზაციით 2024 წელს (2023 წ.: 41,371 ათასი ლარი). ამოღებული თანხა მოიცავს ჩამოწერილი პორტფელის გაყიდვის შედეგად ამოღებულ თანხებს 7,047 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც 2024 წელს გაიყიდა (2023 წ.: 22,023 ათასი ლარი).

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები გაგრძელება

	მთლიანი საბალანსო ღირებულება				საკრედიტო ზარალის რეზერვი			
კორპორაციული სესხები *ათას ლარში*	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**7,739,101**	**410,366**	**114,138**	**8,263,605**	**18,454**	**2,445**	**32,606**	**53,505**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
– *არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)*	*(384,704)*	*411,661*	*(26,957)*	-	*(1,759)*	*3,960*	*(2,201)*	-
– *დეფოლტის სიტუაციაში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)*	*(19,209)*	*(85,929)*	*105,138*	-	*(5,533)*	*(1,645)*	*7,178*	-
– *12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)*	*54,757*	*(54,757)*	-	-	*211*	*(209)*	*(2)*	-
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	5,206,364	-	-	**5,206,364**	34,834	-	-	**34,834**
აღიარებაშეწყვეტილი ან სრულად ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(3,969,700)	(37,114)	(14,537)	**(4,021,351)**	(44,166)	(100)	(2,030)	**(46,296)**
წმინდა დაფარვები	130,101	(12,213)	(7,269)	**110,619**	-	-	-	**-**
წმინდა გადაფასება სტადიებს შორის გადატანების, რისკის პარამეტრების შეცვლისა და დაფარვების გამო	-	-	-	**-**	12,257	(2,968)	18,012	**27,301**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
ხელახალი სეგმენტაცია	161,798	3,972	(3,170)	**162,600**	981	14	-	**995**
ჩამოწერა	-	-	(16,827)	**(16,827)**	-	-	(16,827)	**(16,827)**
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	(3,106)	(3,193)	5,565	**(734)**	-	-	-	**-**
მოდიფიკაცია	947	354	9	**1,310**	3	-	4	**7**
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	137,653	4,958	509	**143,120**	242	31	122	**395**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,054,002**	**638,105**	**156,599**	**9,848,706**	**15,524**	**1,528**	**36,862**	**53,914**

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები გაგრძელება

	მთლიანი საბალანსო ღირებულება				საკრედიტო ზარალის რეზერვი			
კორპორაციული სესხები ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**5,741,400**	**458,334**	**82,735**	**6,282,469**	**18,930**	**1,214**	**26,314**	**46,458**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
– *არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)*	*(249,739)*	*257,551*	*(7,812)*	-	*(1,577)*	*2,489*	*(912)*	-
– *დეფოლტის სიტუაციაში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)*	*(19,441)*	*(52,600)*	*72,041*	-	*(1,827)*	*(1,479)*	*3,306*	-
– *12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)*	*143,209*	*(143,209)*	-	-	*387*	*(387)*	-	-
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	5,772,067	-	-	**5,772,067**	55,225	-	-	**55,225**
აღიარებაშეწყვეტილი ან სრულად ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(3,610,212)	(82,079)	(23,742)	**(3,716,033)**	(49,056)	(147)	(1,184)	**(50,387)**
წმინდა დაფარვები	(375,006)	(39,646)	(8,327)	**(422,979)**	-	-	-	**-**
წმინდა გადაფასება სტადიებს შორის გადატანების, რისკის პარამეტრების შეცვლისა და დაფარვების გამო	-	-	-	**-**	(4,449)	737	8,487	**4,775**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
ხელახალი სეგმენტაცია	259,557	-	(468)	**259,089**	794	-	*(236)*	**558**
ჩამოწერა	-	-	(3,184)	**(3,184)**	-	-	(3,184)	**(3,184)**
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	19,587	9,492	2,039	**31,118**	-	-	-	**-**
მოდიფიკაცია	286	(158)	49	**177**	-	-	-	**-**
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	57,393	2,681	807	**60,881**	27	18	15	**60**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,739,101**	**410,366**	**114,138**	**8,263,605**	**18,454**	**2,445**	**32,606**	**53,505**

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები გაგრძელება

MSME ათას ლარში	მთლიანი საბალანსო ღირებულება 1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ	საკრედიტო ზარალის რეზერვი 1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**4,982,978**	**325,283**	**178,527**	**5,486,788**	**24,158**	**32,785**	**51,797**	**108,740**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
– *არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)*	*(695,446)*	*714,111*	*(18,665)*	-	*(16,250)*	*22,040*	*(5,790)*	-
– *დეფოლტის სიტუაციაში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)*	*(5,548)*	*(234,570)*	*240,118*	-	*(1,087)*	*(30,809)*	*31,896*	-
– *12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)*	*435,001*	*(434,154)*	*(847)*	-	*28,604*	*(27,425)*	*(1,179)*	-
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	2,910,982	-	-	**2,910,982**	65,295	-	-	**65,295**
აღიარებაშეწყვეტილი ან სრულად ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(1,108,843)	(51,950)	(48,626)	**(1,209,419)**	(7,448)	(5,220)	(13,287)	**(25,955)**
წმინდა დაფარვები	(1,000,832)	(63,067)	(48,267)	**(1,112,166)**	-	-	-	**-**
წმინდა გადაფასება სტადიებს შორის გადატანების, რისკის პარამეტრების შეცვლისა და დაფარვების გამო	-	-	-	**-**	(63,725)	32,429	37,783	**6,487**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
ხელახალი სეგმენტაცია	(145,839)	(4,140)	3,139	**(146,840)**	(878)	(36)	-	**(914)**
ჩამოწერა	-	-	**(41,377)**	**(41,377)**	-	-	(41,377)	**(41,377)**
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	7,779	2,625	1,185	**11,589**	-	-	-	**-**
მოდიფიკაცია	205	(105)	(110)	**(10)**	-	5	13	**18**
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა	43,095	2,731	3,047	**48,873**	267	124	566	**957**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,423,532**	**256,764**	**268,124**	**5,948,420**	**28,936**	**23,893**	**60,422**	**113,251**

9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები გაგრძელება

	მთლიანი საბალანსო ღირებულება				საკრედიტო ზარალის რეზერვი			
MSME *ათას ლარში*	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
*საოფისე და სხვა აღჭურვილობა მოიცავს ავეჯსა და მოწყობილობებს, კომპიუტერულ და საოფისე აღჭურვილობას, ავტოტრანსპორტს და ასევე სხვა აღჭურვილობას.

**დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ფილიალების შენობების და ბანკის ახალი სათავო ოფისის მშენებლობას და აღჭურვას, რომელიც გადავა შენობა-ნაგებობებში დასრულებისთანავე.

15. შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები გაგრძელება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 534,054 ათასი ლარის შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა და 352,883 ათასი ლარის არამატერიალური აქტივები იყო მიკუთვნებადი ბანკისთვის (2023 წ.: 462,570 ათასი ლარი და 318,744 ათასი ლარი). დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ფილიალების შენობების და ბანკის ახალი სათავო ოფისის მშენებლობას და აღჭურვას, რომელიც გადავა შენობა-ნაგებობებში დასრულებისთანავე.

16. აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული ოფისები, ფილიალები და სერვისცენტრები. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული ვადით 1-დან 14 წლამდე.

იჯარები აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლებისა და შესაბამისი ვალდებულების სახით, იმ თარიღიდან, როდესაც საიჯარო აქტივი ჯგუფის სარგებლობისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

აქტივის გამოყენების უფლების ცვლილების დინამიკა ასეთია:

ათას ლარში	2024	2023
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	**111,991**	**100,209**
ახალი ხელშეკრულებების დამატება	12,790	30,450
სახელშეკრულებო პირობებში არსებითი ცვლილებების შედეგად ღირებულების შემცირება	(753)	(3,160)
გასვლები	(5,888)	(3,470)
ცვეთის ხარჯი	(26,083)	(23,606)
გასვლების გავლენა ცვეთაზე	10,603	11,568
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	**102,660**	**111,991**

საიჯარო ხელშეკრულებები არ აწესებს რამე პირობებს, საიჯარო აქტივზე მეიჯარის უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრების უფლების გარდა. საიჯარო აქტივების გამოყენება ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად არ შეიძლება.

მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 1,181 ათას ლარს (2023 წ.: 814 ათასი ლარი), ხოლო დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები 2024 წლის განმავლობაში გაუტოლდა 8,531 ათას ლარს (2023 წ.: 6,961 ათასი ლარი). ეს ხარჯები ასახულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

17. გუდვილი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილი შეადგენდა 28,197 ათას ლარს (2023 წ.: 28,197 ათასი ლარი).

გუდვილის გაუფასურების ტესტირება

გუდვილი შემდეგი წესით გადანაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები წარმოადგენს ჯგუფის უმცირეს დონეს, რომელზეც ხდება გუდვილის მონიტორინგი ხელმძღვანელობის მიერ და რომელიც არ აღემატება სეგმენტს):

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სს „ბანკი რესპუბლიკა“	**24,166**	**24,166**
ბანკი რესპუბლიკა საცალო	11,088	11,088
ბანკი რესპუბლიკა კორპორაციული	7,491	7,491
ბანკი რესპუბლიკა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	4,791	4,791
ბანკი რესპუბლიკა სხვა	796	796
სხვა	4,031	4,031
გუდვილის მთლიანი საბალანსო ღირებულება	**28,197**	**28,197**

თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. ამ გამოთვლებში გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზი, რომელიც ემყარება მიერ სამწლიანი პერიოდისთვის დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტებს. სამწლიანი პერიოდის შემდგომი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაცია მოხდა ქვემოთ მოცემული მოსალოდნელი ზრდის ტემპების საფუძველზე, რომელიც რელევანტურია იმ ბაზრისთვის, რომელშიც საქმიანობს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული.

გამოყენების ღირებულების გაანგარიშების ძირითადი დაშვებები ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სს „ბანკი რესპუბლიკა“		
საკუთარ კაპიტალზე თავისუფალი ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი სამი წლის შემდეგ	წლიური 5.0%	წლიური 5.2%
დისკონტირების განაკვეთი გადასახადით დაბეგვრამდე	წლიური 14.2%	წლიური 14.0%

გამოყენების ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებული დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთი არის დაშვება, რომლის მიმართაც ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა. ხელმძღვანელობამ ბიუჯეტირებული საერთო მარჟა განსაზღვრა წარსულში განხორციელებულ საქმიანობასა და ბაზრის სამომავლო ანალიზის საფუძველზე. გრძელვადიანი ზრდის საშუალო შეწონილი განაკვეთი შეესაბამება დარგის ანგარიშში მოცემულ პროგნოზებს. დისკონტირების განაკვეთები ასახავს ფულადი სახსრების წარმომქმნელ შესაბამის ერთეულებთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებს.

დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დისკონტირებული ფულადი ნაკადებისთვის, ხელმძღვანელობის ვარაუდებზე 10%-ით მაღალი რომ ყოფილიყო ან საკუთარ კაპიტალზე თავისუფალი ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი სამი წლის შემდეგ 10%-ით დაბალი რომ ყოფილიყო, ჯგუფს არ დასჭირდებოდა გუდვილის საბალანსო ღირებულების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების შემცირება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებები და დისკონტირების განაკვეთების შეჯამებითი ანალიზი.

17. გუდვილი გაგრძელება

	2024		2023	
	სხვაობა ანაზღაურებად ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის	დისკონტირების განაკვეთი, რომელზეც საბალანსო ღირებულება უდრის გამოყენების ღირებულებას	სხვაობა ანაზღაურებად ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის	დისკონტირების განაკვეთი, რომელზეც საბალანსო ღირებულება უდრის გამოყენების ღირებულებას
ბანკი რესპუბლიკა საცალო	4,785,755	წლიური 39.4%	4,014,022	წლიური 36.77%
ბანკი რესპუბლიკა კორპორაციული	4,966,633	წლიური 32.99%	5,264,087	წლიური 36.29%
ბანკი რესპუბლიკა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	2,044,636	წლიური 29.66%	1,465,722	წლიური 25.62%

18. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ჯგუფის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	366,412	263,600
ანაბრები ბანკებიდან	610,036	629,252
მთლიანი ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	**976,448**	**892,852**
სხვა ნასესხები სახსრები		
უცხოური ბანკებისგან და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	2,954,861	2,286,371
სხვა ადგილობრივი ბანკებისგან და ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	81,404	46,973
საქართველოს ეროვნული ბანკისგან ნასესხები სახსრები	3,303,919	1,120,755
მთლიანი სხვა ნასესხები სახსრები	**6,340,184**	**3,454,099**
მთლიანი ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**7,316,632**	**4,346,951**

საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ 35-ე შენიშვნა.

მე-10 შენიშვნაში წარმოდგენილია გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე გაყიდული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

18. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ გაგრძელება

ბანკის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ		
საკორესპონდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები	366,412	263,600
ანაბრები ბანკებიდან	610,036	629,252
მთლიანი ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	**976,448**	**892,852**
სხვა ნასესხები სახსრები		
უცხოური ბანკებისგან და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	2,691,263	2,086,093
საქართველოს ეროვნული ბანკისგან ნასესხები სახსრები	3,303,919	1,120,755
მთლიანი სხვა ნასესხები სახსრები	**5,995,182**	**3,206,848**
მთლიანი ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**6,971,630**	**4,099,700**

19. მომხმარებელთა ანგარიშები

ჯგუფის მომხმარებელთა ანგარიშები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები		
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	1,085,073	1,129,559
ვადიანი ანაბრები	336,037	556,672
სხვა იურიდიული პირები		
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	6,103,037	7,228,054
ვადიანი ანაბრები	3,031,608	1,183,946
ფიზიკური პირები		
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	5,737,140	5,270,799
ვადიანი ანაბრები	5,648,327	4,573,486
მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშები	**21,941,222**	**19,942,516**

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, მოგებაზე ორიენტირებულ ბიზნესებს.

19. მომხმარებელთა ანგარიშები გაგრძელება

ეკონომიკური სექტორის კონცენტრაციები მომხმარებელთა ანგარიშებში ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
ათას ლარში	თანხა	%	თანხა	%
ფიზიკური პირები	11,382,337	52%	9,842,452	49%
ფინანსური მომსახურება	2,549,415	12%	1,828,336	9%
ვაჭრობა	1,701,311	8%	1,805,484	9%
ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურება	1,139,221	5%	920,555	5%
მომსახურება	885,085	4%	754,889	4%
მშენებლობა	838,761	4%	755,125	4%
ტრანსპორტირება	816,464	4%	708,925	4%
უძრავი ქონება	575,421	3%	545,278	3%
სახელმწიფო სექტორი	529,445	2%	823,516	4%
ჯანდაცვა	155,719	1%	206,274	1%
მასპინძლობა და დასვენება	128,893	1%	228,611	1%
სოფლის მეურნეობა	68,783	< 1%	77,871	< 1%
ლითონები და სამთო მრეწველობა	23,619	< 1%	23,321	< 1%
სხვა	1,146,748	5%	1,421,879	7%
მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშები	**21,941,222**	**100%**	**19,942,516**	**100%**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰყავდა 170 მომხმარებელი (2023 წ.: 154 მომხმარებელი), რომელთა ნაშთები აღემატებოდა 10,000 ათას ლარს. მათი აგრეგირებული ნაშთი იყო 8,410,955 ათასი ლარი (2023 წ.: 7,281,004 ათასი ლარი), ანუ მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშების 38.3% (2023 წ.: 36.5%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებელთა ანგარიშებში შედის 80,281 ათასი ლარის და 206,934 ათასი ლარის ანაბრები (2023 წ.: 146,550 ათასი ლარი და 208,214 ათასი ლარი), რომლებიც გამიზნულია აკრედიტივების და გაცემული გარანტიების საფუძველზე აღებული შეუქცევადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, შესაბამისად. ეს უკანასკნელი განხილულია 36-ე შენიშვნაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ანაბრები შეადგენდა 592,328 ათას ლარს (2023 წ.: 784,512 ათასი ლარი).

მომხმარებელთა ანგარიშების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულების გაცხადების შესახებ აღწერილია მე-40 შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ წარმოდგენილია 42-ე შენიშვნაში.

ბანკის მომხმარებელთა ანგარიშები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები		
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	1,085,073	1,129,559
ვადიანი ანაბრები	336,037	556,672
სხვა იურიდიული პირები		
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	6,263,037	7,387,472
ვადიანი ანაბრები	3,071,235	1,197,115
ფიზიკური პირები		
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	5,737,140	5,270,799
ვადიანი ანაბრები	5,648,327	4,573,486
მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშები	**22,140,849**	**20,115,103**

20. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

ათას ლარში

ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დაფარვის თარიღი	კუპონის განაკვეთი	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
აშშ დოლარი	19,083	4/29/2030	8%	8.54%
ლარი	90,058	3/20/2026-6/27/2026	თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი 3-თვიანი + 2.75%	13%
მთლიანი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	**109,141**			

ათას ლარში

ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დაფარვის თარიღი	კუპონის განაკვეთი	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
აშშ დოლარი	633,664	6/19/2024-4/29/2030	5.8%-8%	6.56%
ლარი	78,881	3/20/2026-6/27/2026	თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი 3-თვიანი + 2.75%	14%
აზერბაიჯანული მანათი	3,256	6/6/2024-7/15/2024	12%	12%
მთლიანი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები*	**715,801**			

ათას ლარში

ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დაფარვის თარიღი	კუპონის განაკვეთი	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
აშშ დოლარი	614,748	6/19/2024	5.8%	6.40%
ლარი	38,550	3/20/2023	თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი 3-თვიანი + 3.25%	13%
აზერბაიჯანული მანათი	8,147	9/23/2023-7/15/2024	12%	12%
მთლიანი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები*	**661,445**			

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

20. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაგრძელება

2023 წლის 20 მარტს სს „თიბისი ლიზინგმა“ სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ განათავსა 100 მილიონი ლარის ოდენობის პრიორიტეტული უზრუნველყოფილი ობლიგაციები, საიდანაც 2023 წლის 30 ივნისისთვის 88.71 მილიონი ლარის ობლიგაციები იყო გაყიდული ინვესტორებზე. ფასიანი ქაღალდების კუპონის განაკვეთი ცვლადია, 2.75% ემატება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს. Fitch-მა ობლიგაციებს „BB-“ რეიტინგი მიანიჭა.

2023 წლის 27 აპრილს ბანკმა გამოუშვა 30 მილიონი აშშ დოლარის 7-წლიანი, 8%-იანი სუბორდინირებული თამასუქები, კერძო განთავსების გზით, საიდანაც 2023 წლის 30 ივნისისთვის 6.7 მილიონი აშშ დოლარის თამასუქები იყო გაყიდული ინვესტორებზე. ლიკვიდაციის შემთხვევაში ეს ვალი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის გასტუმრების შემდეგ, გარდა AT1 თამასუქებისა, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია 24-ე შენიშვნაში.

2023 წლის 28 ივნისს სს „თიბისი ლიზინგმა“ გამოუშვა მწვანე ობლიგაციები 15 მილიონი ლარის ოდენობით სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“. ფასიანი ქაღალდების კუპონის განაკვეთი ცვლადია, 2.75% ემატება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს. Fitch-მა ობლიგაციებს „BB-“ რეიტინგი მიანიჭა.

2022 წლის 14 ივლისს შპს „თიბისი კრედიტმა“ გამოუშვა უქაღალდო, არაუზრუნველყოფილი პროცენტიანი ობლიგაციები 1 მილიონი აზერბაიჯანული მანათის ოდენობით, 2 წლის ვადით, 12%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

2022 წლის 7 ივნისს „თიბისი კრედიტმა“ გამოუშვა უქაღალდო, არაუზრუნველყოფილი პროცენტიანი ობლიგაციები 1 მილიონი აზერბაიჯანული მანათის ოდენობით, 2 წლის ვადით, 12%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

21. სხვა ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	135,711	75,630
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	93,176	62,474
საიჯარო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	53,914	28,428
ვალდებულებები პლასტიკური ბარათის მომსახურების მომწოდებლების მიმართ	20,963	34,628
გადარიცხვები გზაში	19,321	15,424
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსთვის გადასახდელი თანხა	2,026	1,385
საგარანტიო შენატანები ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებისთვის	591	467
გარანტიებთან დაკავშირებით გადახდილი ავანსები	368	471
სხვა დარიცხული ვალდებულებები	47,835	57,589
მთლიანი სხვა ფინანსური ვალდებულებები	**373,905**	**276,496**

სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-40 შენიშვნაში.

21. სხვა ფინანსური ვალდებულებები გაგრძელება

ბანკის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	93,099	62,447
სავაჭრო ვალდებულებები	36,888	35,207
ვალდებულებები პლასტიკური ბარათის მომსახურების მომწოდებლების მიმართ	22,484	35,818
გადარიცხვები გზაში	19,321	15,424
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსთვის გადასახდელი თანხა	2,026	1,385
გარანტიებთან დაკავშირებით გადახდილი ავანსები	368	471
სხვა დარიცხული ვალდებულებები	47,501	57,502
მთლიანი სხვა ფინანსური ვალდებულებები	**221,687**	**208,254**

22. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
დასაქმებულთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	77,426	61,334	52,060
მიღებული ავანსები	18,092	15,670	15,164
ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვები*	17,261	21,060	19,908
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	3,891	15,978	4,101
სხვა	864	9,537	9,061
მთლიანი სხვა ვალდებულებები	**117,534**	**123,579**	**100,294**

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

ყველა ზემოაღნიშნული ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია წლის ბოლოდან 12 თვის განმავლობაში.

23. სუბორდინირებული ვალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული ვალი მოიცავდა შემდეგს:

ათას ლარში	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი	დაუფარავი თანხა ლარში
Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V. FMO	2/1/2024	1/16/2034	EUR	9.48%	181,244
აზიის განვითარების ბანკი	10/18/2016	12/31/2026	USD	8.22%	142,314
DEG	9/26/2023	9/26/2033	EUR	9.04%	90,117
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, ლონდონი	11/20/2023	11/21/2033	USD	10.83%	86,038
გლობალური კლიმატის პარტნიორობის ფონდი	11/20/2018	11/21/2033	USD	10.36%	70,123
Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V. FMO	4/17/2024	1/16/2034	EUR	9.48%	60,404
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/21/2018	12/21/2028	USD	8.84%	56,343
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	6/9/2023	6/9/2033	USD	10.53%	55,986
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	7/21/2031	USD	11.23%	43,929
ფონდი მწვანე ზრდისთვის	12/18/2015	12/16/2030	USD	10.90%	43,280
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/14/2028	USD	9.28%	42,083
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/18/2015	12/16/2030	USD	10.90%	21,639
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	3/15/2016	3/17/2031	USD	10.90%	21,634
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	11/30/2018	11/30/2033	USD	10.38%	16,479
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	4/7/2022	4/7/2032	USD	10.19%	14,538
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	4/7/2022	4/7/2032	USD	10.19%	11,688
ResponsAbility SICAV (Lux) – ფინანსური ჩართულობის ფონდი	4/7/2022	4/7/2032	USD	10.19%	11,117
ResponsAbility SICAV (Lux) – ფინანსური ჩართულობის ფონდი	11/30/2018	11/30/2033	USD	10.38%	8,657
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	4/7/2022	4/7/2032	USD	10.19%	5,416
ResponsAbility SICAV (Lux) - მიკროსაფინანსო ლიდერები	11/30/2018	11/30/2033	USD	10.38%	2,793
Triple Jump Innovation Fund	3/14/2023	4/15/2028	USD	9.00%	8,704
Triple Jump Innovation Fund	3/14/2023	4/15/2028	USD	9.00%	5,563
კერძო კრედიტორები	6/8/2017-8/8/2023	6/10/2030-8/8/2031	USD	8.25-9.5%	148,285
მთლიანი სუბორდინირებული ვალი					**1,148,374**

23. სუბორდინირებული ვალი გაგრძელება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული ვალი მოიცავდა შემდეგს:

ათას ლარში	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი	დაუფარავი თანხა ლარში
აზიის განვითარების ბანკი	10/18/2016	12/31/2026	აშშ დოლარი	10.10%	136,732
DEG	9/26/2023	9/26/2033	ევრო	9.70%	90,669
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, ლონდონი	11/20/2023	11/21/2033	აშშ დოლარი	11.40%	80,864
გლობალური კლიმატის პარტნიორობის ფონდი	11/20/2018	11/20/2028	აშშ დოლარი	11.80%	67,576
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/21/2018	12/21/2028	აშშ დოლარი	8.80%	53,999
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	6/9/2023	6/9/2033	აშშ დოლარი	11.50%	53,604
ფონდი მწვანე ზრდისთვის	12/18/2015	12/16/2030	აშშ დოლარი	11.80%	41,572
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/15/2025	აშშ დოლარი	9.30%	40,363
მიკროსაფინანსო ფონდი „ბლუორჩარდი“	12/14/2018	12/14/2028	აშშ დოლარი	9.30%	40,296
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	12/18/2015	12/16/2030	აშშ დოლარი	11.80%	20,785
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის	3/15/2016	3/17/2031	აშშ დოლარი	11.80%	20,780
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	11.90%	16,025
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების ფონდი	4/7/2022	4/7/2032	აშშ დოლარი	11.40%	13,943
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სეგმენტში ფინანსური ლიდერები	4/7/2022	4/7/2032	აშშ დოლარი	11.40%	11,209
ResponsAbility SICAV (Lux) – ფინანსური ჩართულობის ფონდი	4/7/2022	4/7/2032	აშშ დოლარი	11.40%	10,662
ResponsAbility SICAV (Lux) – ფინანსური ჩართულობის ფონდი	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	11.90%	8,418
Triple Jump Innovation Fund	3/14/2023	4/15/2028	აშშ დოლარი	9.00%	8,330
responsAbility SICAV (Lux) – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სეგმენტში ფინანსური ლიდერები	4/7/2022	4/7/2032	აშშ დოლარი	11.40%	5,194
ResponsAbility SICAV (Lux) - მიკროსაფინანსო ლიდერები	11/30/2018	11/30/2028	აშშ დოლარი	11.90%	2,716
კერძო კრედიტორები	06/08/2017-08/08/2023	11/18/2024-08/08/2031	აშშ დოლარი	8-9.5%	144,993
მთლიანი სუბორდინირებული ვალი					**868,730**

ლიკვიდაციის შემთხვევაში ეს ვალი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის გასტუმრების შემდეგ, გარდა AT1 თამასუქებისა, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია 24-ე შენიშვნაში.
სუბორდინირებული ვალის სამართლიანი ღირებულება განხილულია მე-40 შენიშვნაში. ინფორმაცია სუბორდინირებული ვალის ნაშთების შესახებ წარმოდგენილია 42-ე შენიშვნაში.
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 49,676 ათასი ლარის მთლიანი სუბორდინირებული ვალი არის მიკუთვნებადი სს „თიბისი ლიზინგისთვის“ (2023 წლის 31 დეკემბერი: 42,184 ათასი ლარი).

24. დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები მოიცავდა შემდეგს:

ათას ლარში

ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	კუპონის განაკვეთი	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
აშშ დოლარი	1,062,960	8.9%-10.3%	10.63%
მთლიანი დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები	**1,062,960**		

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები მოიცავდა შემდეგს:

ათას ლარში

ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	კუპონის განაკვეთი	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
აშშ დოლარი	548,284	8.9%-10.8%	10.84%
მთლიანი დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები*	**548,284**		

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები მოიცავდა შემდეგს:

ათას ლარში

ვალუტა	საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	კუპონის განაკვეთი	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
აშშ დოლარი	548,368	8.9%-10.8%	10.84%
მთლიანი დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები*	**548,368**		

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

2024 წლის 30 აპრილს სს „თიბისი ბანკმა“ წარმატებით გამოუშვა 300 მილიონი აშშ დოლარის, 10.25%-იანი კუპონის განაკვეთის მქონე, უვადო სუბორდინირებული გამოთხოვადი დამატებითი პირველადი კაპიტალის თამასუქები, რომლებზეც ინვესტორების მხრიდან მაღალი მოთხოვნა იყო ევროკავშირში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი გამოვიდა ძირითად ინვესტორად გამოშვებული კაპიტალის თამასუქების 20%-ისთვის. თამასუქები განთავსდა ევრონექსტ დუბლინის გლობალურ საფონდო ბირჟაზე და Moody's-ის მიერ მიენიჭა B2 რეიტინგი.

2021 წლის 28 ოქტომბერს ბანკმა დაასრულა 75 მილიონი აშშ დოლარის, 8.894 კუპონის განაკვეთის მქონე, დამატებითი პირველადი კაპიტალის უვადო სუბორდინირებული თამასუქების გამოშვების ოპერაცია („AT1 თამასუქები“). AT1 თამასუქები დარეგისტრირებულია ევრონექსტ დუბლინის რეგულირებად ბაზარზე და Fitch-ის მიერ მინიჭებული აქვს „B-“ რეიტინგი.

2019 წლის 3 ივლისს ბანკმა დაასრულა სადებიუტო, საზეიმო 125 მილიონი აშშ დოლარის 10.75%-იანი კუპონის განაკვეთის მქონე დამატებითი პირველადი კაპიტალის უვადო სუბორდინირებული თამასუქების გამოშვების ოპერაცია. AT1 თამასუქები დარეგისტრირებულია ევრონექსტ დუბლინის რეგულირებად ბაზარზე და Fitch-ის მიერ მინიჭებული აქვს „B-“ რეიტინგი. AT1 თამასუქები ამავდროულად დარეგისტრირდა სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“, რის შედეგადაც გახდა დამატებითი პირველადი კაპიტალის თამასუქების პირველი ორგზის რეგისტრირებული საერთაშორისო შეთავაზება საქართველოდან.

25. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ათას ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,539,769**	**21,014**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,539,769**	**21,014**

თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.4 ლარი ერთ აქციაზე (2023 წლის 31 დეკემბერი: 0.4 ლარი ერთ აქციაზე). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულად განაღდებულია და მათზე მიიღება დივიდენდები.

დივიდენდები

ათას ლარში	2024	2023
გადასახდელი დივიდენდები 1 იანვრის მდგომარეობით	**747**	**747**
შუალედური მოგების დივიდენდები:		
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	159,001	220,398
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები:	(159,001)	(220,398)
წინა წლის საბოლოო დივიდენდები:		
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	391,469	395,667
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები:	(391,469)	(395,667)
გადასახდელი დივიდენდები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**747**	**747**

2024 წლის 8 აგვისტოს სს „თიბისი ბანკის“ აქციონერები შეთანხმდნენ ერთ აქციაზე 3.03 ლარის ოდენობის შუალედური მოგების დივიდენდზე. დივიდენდი გადახდილი იქნა 2024 წლის 4 ნოემბერს.

2024 წლის 14 თებერვალს სს „თიბისი ბანკის“ აქციონერები შეთანხმდნენ ერთ აქციაზე 7.46 ლარის ოდენობის საბოლოო მოგების დივიდენდის გამოცხადებაზე. დივიდენდი გადახდილი იქნა 2024 წლის 7 მაისს და 2024 წლის 5 ივლისს.

2023 წლის 11 აგვისტოს სს „თიბისი ბანკის“ აქციონერები შეთანხმდნენ ერთ აქციაზე 4.20 ლარის ოდენობის შუალედური მოგების დივიდენდზე. დივიდენდი გადახდილი იქნა 2023 წლის 4 ოქტომბერს.

2023 წლის 27 მარტს სს „თიბისი ბანკის“ აქციონერები შეთანხმდნენ ერთ აქციაზე 7.54 ლარის ოდენობის საბოლოო მოგების დივიდენდის გამოცხადებაზე. დივიდენდი გადახდილი იქნა 2023 წლის 5 მაისს.

სხვა რეზერვები

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	37,804	12,345	5,467
საკურსო სხვაობის რეზერვი	(6,365)	(7,085)	(7,657)
მთლიანი სხვა რეზერვები*	**31,439**	**5,260**	**(2,190)**

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

26. აქციებზე დაფუძნებული გადახდები

2024 წლის ანაზღაურების სქემა – ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო

საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი ჯგუფმა“ (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი“) გამოაცხადა ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც დაამტკიცეს აქციონერებმა 2024 წლის წლიურ საერთო კრებაზე და წარმოადგენს ჩარჩოს დირექტორების ანაზღაურებისთვის სამწლიანი ვადით – 2024-2026 წლებში.

ცვალებადი სტრატეგიის, ბიზნესის სიმწიფისა და ადგილობრივი საბაზრო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემოთავაზებული იქნა წახალისების მოდელის სტრუქტურის შეცვლა. ცვლილება მოიცავდა გადასვლას აქციებით გაცემული ინდივიდუალური წლიური პრემიებიდან და წახალისების გრძელვადიანი გეგმიდან ერთიან წახალისებაზე, რომელიც ცნობილია, როგორც „წახალისების გაერთიანებული გეგმა“. ეს ახალი გეგმა აერთიანებს საქმიანობის მოკლე და გრძელვადიან ელემენტებს და მოიცავს აქციებზე დაფუძნებული გრძელვადიანი ანაზღაურების არსებითი ნაწილის გადავადებას.

ახალმა სქემამ 2024 წლიდან ჩაანაცვლა არსებული ანაზღაურების გეგმა ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოსთვის. შესაბამისად, 2024 წელი მოდიფიცირდა ახალი გეგმის შესაბამისად. მოდიფიცირებამ არ განაპირობა ანაზღაურების დაჩქარება, ვინაიდან პირობები არ გაუარესებულა სქემის მონაწილეებისთვის.

ახალი გეგმა ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოსთვის 2024 წლიდან მოიცავს შემდეგ კომპონენტებს აქციებით ანაზღაურებასთან დაკავშირებით:

- **აქციებით გაცემული ხელფასები** დაექვემდებარება 3-წლიან ფლობის ვადას და გამოიშვება სამი თანაბარი წლიური ტრანშის სახით ერთი, ორი და სამი წლის შემდეგ, შესაბამისად, 33%-33%-34%-ით (არ ექვემდებარება უწყვეტი დასაქმების მოთხოვნას, შემცირების (მალუსი) ან ჩამორთმევის პირობას).
- **ცვლადი ანაზღაურება – წახალისების გაერთიანებული გეგმა**, რომელიც მოიცავს სამუშაოს შედეგების შეფასების სამეტაპიან პროცესს:
    1. **საქმიანობის მინიმალური ზღვარი** – გადახდების მიღებას წახალისების გაერთიანებული გეგმის ფარგლებში დასაქმებულები მიიღებენ მხოლოდ და მხოლოდ მინიმალური ზღვრის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, რომლებიც ფასდება ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების წლიურ ვადაზე. ზღვრული კრიტერიუმები ეყრდნობა ფინანსური სიჯანსაღის (მათ შორის კაპიტალის, ლიკვიდურობის და მომგებიანობის) შეფასებებს.
    2. **ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების წლიური შეფასების ბარათი** – წლიური მიზნობრივი ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიხედვით, ანაზღაურების კომიტეტი გადაწყვეტს ხელფასის საერთო გასაცემ პროცენტულ წილს. გაცემა იყოფა: „აქციის გადაცემას“ – მთლიანის 40% გადაიხდება აქციების სახით, რომლებიც მინიმუმ სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს ფლობილი (და ექვემდებარება 3 წლის შემდეგ ჩამორთმევას) და „აქციების გრძელვადიან გადაცემას“ შორის – მთლიანის 60% გადაიცემა, როგორც აქციების გადავადებული გადაცემა, რომელზეც უფლებები გადაიცემა ხუთი წლით. (ექვემდებარება უწყვეტი დასაქმების მოთხოვნას, შემცირების (მალუსი) და 3 წლის შემდეგ ჩამორთმევის პირობებს).
    3. **აქციონერების მთლიანი უკუგების მისადაგების მექანიზმი** – აქციების გრძელვადიანი გადაცემის (60%) ღირებულება განისაზღვრება საქმიანობის შედეგების 1-ელი ეტაპის და საქმიანობის შედეგების მე-2 ეტაპის უმკაცრესი შეფასებით და შეიძლება 50%-ით შემცირდეს, თუ თიბისის აქციონერების მთლიანი უკუგება მინიმუმ არ არის შესაბამისობაში აქციონერების მთლიანი უკუგების შეწონილ ინდექსთან.
- **აქციების ფლობის მოთხოვნა** – აქციების ფლობის მოთხოვნაა საბაზისო ხელფასის მინიმუმ 200%-ის ფლობა.

მონაწილეებს უფლება აქვთ აქციებით გაცემულ ხელფასებზე და გადაცემულ აქციებზე დივიდენდები მიიღონ (ცვლადი ანაზღაურების 40%).

უფლების გადაცემისას დივიდენდის ეკვივალენტები, აქციების გრძელვადიან გადაცემებთან მიმართებით, გადაიხდება ფულადი სახსრებით, რომელიც უდრის შესაბამის აქციებზე გადახდილ დივიდენდებს აქციის გაცემის თარიღსა და მასზე უფლების გადაცემის თარიღს შორის.

დივიდენდები ან დივიდენდების ეკვივალენტები არ გადაიხდება ისეთი გაცემის (ან მისი ნაწილის) შემთხვევაში, რომელსაც ვადა გაუვა უფლების გადაცემის თარიღისთვის ან თარიღამდე.

26. აქციებზე დაფუძნებული გადახდები გადახდები

2022-2023 წ.წ. ანაზღაურების სქემა:

ქვემოთ ახსნილია ის კომპონენტები, რომლებიც ხარჯად ტარდება 2022-2023 წლების სქემების საფუძველზე, უფლების გადაცემამდე. ანაზღაურების სისტემა დამტკიცდა აქციონერების მიერ საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ წლიურ საერთო კრებაზე 2021 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვარს. იგი მოიცავს 2022-2023 წლების პერიოდს. აქციებით გაცემულ ხელფასზე წინა სისტემებიდან უკვე გადაცემულია უფლება.

ცვლადი ან აზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ცვლადი ანაზღაურება შედგებოდა აქციების სახით გაცემული წლიური პრემიებისგან („წლიური პრემია“) და აქციების გაცემებისგან გრძელვადიანი წახალისების გეგმის ფარგლებში („LTIP გაცემები“). ცვლადი ანაზღაურების 60% არის LTIP გაცემები, ხოლო დანარჩენი 40% შედგებოდა წლიური პრემიებისგან.

(ა) *წლიური პრემია გადავადებული აქციების გეგმის მიხედვით – 2022-2023 წლის პრემია გაცემულია საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისის“ აქციების სახით* ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო წლიურ პრემიებს იღებდა მთლიანად საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისის“ აქციების სახით და იგი არ მოიცავდა რამენაირ ფულად კომპონენტს. წლიური პრემიების გაცემა ექვემდებარება ფლობის პერიოდს (და არა უწყვეტ დასაქმებას) 2 წლის განმავლობაში, რომლის 50% გაიცემა ერთი წლის შემდეგ, ხოლო დარჩენილი 50% – მომდევნო წლის ბოლოს. წლიური პრემია ექვემდებარება ანაზღაურების შემცირების და გადახდილი თანხის უკან ამოღების პირობებს, როგორც ეს აღწერილია გადავადებული აქციების გამოყოფის პროგრამაში. ფლობის პერიოდში მონაწილეებს აქვთ აქციონერთა კრებაზე ხმის მიცემის და დივიდენდების მიღების უფლება.

(ბ) *გრძელვადიანი წახალისების გეგმა (LTIP) 2022-2023 წლებისთვის* – ჯილდოს გაცემის დონე განისაზღვრა LTIP მაქსიმალური ზღვრის პროპორციულად, საბაზისო, ანუ წინა წლის წლიური პრემიის კორპორაციული KPI-ების შესრულების საფუძველზე. გაცემული LTIP ჯილდოები შემდეგ დაექვემდებარებოდა LTIP-ის სამწლიან საპროგნოზო შედეგების მიღწევის პირობებს და მათზე უფლება გადაიცემოდა გაცემის შემდეგ 5-წლიან ვადის გასვლის ბოლოს. LTIP ჯილდოების საპროგნოზო შესრულების KPI-ები განისაზღვრებოდა ყოველი წლის დასაწყისში ამ წლის ციკლისთვის ანაზღაურების კომიტეტის მიერ. მონაწილეებს არ აქვთ დივიდენდის მიღების ან ხმის მიცემის უფლება LTIP ჯილდოზე უფლების გადაცემამდე.

საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა

საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა იღებს ფულად პრემიებს და ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოებს. ამ სქემის მიხედვით ყოველწლიურად წინასწარ განსაზღვრული საქმიანობის შედეგების მიხედვით, აქციების გარკვეული რაოდენობა გადაეცემა ჯგუფის საშუალო რგოლის მენეჯერების უმრავლესობას. საქმიანობის შედეგებში იგულისხმება ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPI), რომლებიც არის (i) კორპორაციული და (ii) ინდივიდუალური. კორპორაციული ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები ძირითადად უკავშირდება საბჭოს მიერ დაწესებული მომგებიანობის, ეფექტიანობის და პორტფელის ხარისხის სტანდარტების, ასევე მომხმარებელთა გამოცდილებასთან და თანამშრომელთა ჩართულობასთან დაკავშირებულ არაფინანსურ მაჩვენებლების მიღწევას. ეფექტურობის ინდივიდუალური მაჩვენებლები განისაზღვრება ინდივიდუალურად და გამოიყენება თითოეული თანამშრომლისთვის გადაცემული აქციების რაოდენობის გამოსათვლელად. გადაცემის შემდეგ ყველა აქციას აქვს მომსახურების პირობები და, ამ პირობების დაკმაყოფილებამდე, მათზე შესაძლებელია დივიდენდების მიღება; თუმცა არ შეიძლება მათი გაყიდვა ან გადაცემა მესამე მხარეებისთვის.

ვადა ითვალისწინებს უწყვეტ დასაქმებას მანამ, სანამ სქემის მონაწილეებისთვის უფლების ეტაპობრივი გადაცემა დასრულდება. უფლების გადაცემის პირობები არის 33%, 33%, 34% წელიწადში 3-წლიანი პერიოდისთვის აქციების გადაცემის თარიღიდან. ამ კომპენსაციის სისტემით, უფლების გადაცემის პერიოდი მთლიანი პერიოდი გრძელდება 4 წლის განმავლობაში უფლების მინიჭების თარიღიდან. გარდა ამისა, ცვლადი ანაზღაურების სტრუქტურა სხვა იდენტიფიცირებული მატერიალური რისკის ამღები პირების - თანამშრომლების შემთხვევაში, რომლებიც სს „თიბისი ბანკის“ აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს უფრო დაბალ რგოლზე მუშაობენ, ექვემდებარება მარეგულირებლის მოთხოვნებს და შესაბამისობაშია სებ-ის კორპორაციული მართვის კოდექსთან. მატერიალური რისკის ამღები თანამშრომლების შემთხვევაში, რომლებიც ფლობენ არაგადავადებულ ცვლად ანაზღაურებას, ფლობის ბოლო თარიღი დგება გაცემის თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

26. აქციებზე დაფუძნებული გადახდები გადახდები

ამჟამად გაიცემა 2023-2024 წლების 2-წლიანი ანაზღაურების სქემა.

სქემების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქციების რაოდენობა, რომლებზეც უფლებები არ გადაცემულა პერიოდის დასაწყისში	**1,194,124**	**2,044,604**
გამოყოფილი აქციების რაოდენობა	128,320	248,306
იმ აქციების სავარაუდო რაოდენობის ცვლილება, რომლებზეც უფლებების გადაცემაა მოსალოდნელი	(92,321)	(764,037)
აქციების რაოდენობის ცვლილება ფაქტობრივად გადაცემული აქციის ფასზე, სავალუტო კურსზე და KPI-ების შესრულებაზე დაყრდნობით.	44,417	(95,653)
აქციების რაოდენობა, რომლებზეც უფლებები გადაცემულია	(304,279)	(239,096)
აქციების რაოდენობა, რომლებზეც უფლებები არ გადაცემულა პერიოდის ბოლოს	**970,261**	**1,194,124**

თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯად აღიარებული მთლიანი ხარჯი პერიოდის განმავლობაში იყო 19,520 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 24,682 ათასი ლარი).

წილობრივი ინსტრუმენტის გაცემის სანაცვლოდ თანამშრომლისგან მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ჯილდოს ხასიათით. ამჟამად არსებობს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოების რამდენიმე ტიპის სქემა, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი. გადავადებული ანაზღაურება აქციების სახით და გადავადებული ანაზღაურება პრემიის სახით წარმოადგენს შესაძლო პრემიების თანხას, რომელიც გამოიყოფა საქმიანობის შედეგების მიხედვით. ჯილდოს სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება თანხის დღევანდელი ღირებულებით მასზე უფლების მინიჭების თარიღისთვის და საქმიანობის პირობების სავარაუდო შესრულების მიხედვით. LTIP და გრძელვადიანი გეგმა არის პოტენციური მაქსიმალური აქციების რაოდენობის გადაცემები, რომელიც ასევე არის დამოკიდებული საქმიანობის პირობებზე. ჯილდოს სამართლიანი ღირებულება მასზე უფლების მინიჭების თარიღისთვის განისაზღვრება უფლების მინიჭების თარიღისთვის აქციის ფასით და საქმიანობის პირობების შესაძლო შესრულებით. 2024 წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით გამოყოფილი აქციების სამართლიანი ღირებულების ოდენობა არის 34,650 ათასი ლარი.

არსებული პრემიების სისტემის საგადასახადო ნაწილი აღირიცხება წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების საფუძველზე.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის სქემაში წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ ნაწილთან დაკავშირებული თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში პროპორციული წესით თითოეულ შესაბამისი სქემის ტრანშზე უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში და შესაბამისი გატარება კრედიტდება აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვზე საკუთარ კაპიტალში.

27. სეგმენტის ანალიზი

დირექტორთა საბჭო („საბჭო“) არის საოპერაციო გადაწყვეტილებების მთავარი მიმღები და იგი განიხილავს ჯგუფის შიდა ანგარიშგებას, რათა შეაფასოს საქმიანობა და გამოყოს რესურსები.

საოპერაციო სეგმენტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- კორპორაციული – იურიდიული პირი/აფილირებულ პირთა ჯგუფი, რომელთა წლიური ამონაგები აღემატება 20 მილიონ ლარს ან რომლებმაც მიიღეს 7.5 მილიონ ლარზე მეტი კრედიტი. ზოგიერთი სხვა ბიზნესკლიენტი შეიძლება შეხედულებისამებრ მიეკუთვნოს კორპორაციულ და საინვესტიციო ბანკინგის სეგმენტს ან გადავიდეს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტში. გარდა ამისა, კორპორაციული / საინვესტიციო ბანკინგი, ასევე შეხედულებისამებრ, მოიცავს დაგროვილი ქონების მართვის კერძო საბანკო მომსახურებას 250,000 აშშ დოლარის მართვადი აქტივების ზღვრული ოდენობის მქონე შეძლებული პირებისთვის;
- საცალო – ფიზიკური პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს;
- მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომლებიც არ შედიან CIB (კორპორაციული / საინვესტიციო ბანკინგის) სეგმენტში;
- კორპორაციული ცენტრი, სხვა და ქვესეგმენტური ელმინირებები – მოიცავს სახაზინო ოპერაციებს, „თიბისი ლიზინგს“ და ქვესეგმენტურ ელიმინირებებს, ჯგუფის არააარსებით ან არაფინანსურ შვილობილ საწარმოებს და შიდაჯგუფურ ელიმინირებებს.

ჯგუფს აქვს სტანდარტული წლიური ხელახალი სეგმენტაცია, რომლის შემდეგაც ზოგიერთი კლიენტი თავიდან გადანაწილდება მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების და კორპორაციულ სეგმენტებზე.

დირექტორთა საბჭო აფასებს საოპერაციო სეგმენტების შედეგებს მოგების გადასახადით დასაბეგრი მოგების საფუძველზე.

საანგარიშგებო სეგმენტები იგივე საოპერაციო სეგმენტებია.

2024 წელსა და 2023 წელს ერთ გარეშე მომხმარებელთან ან კონტრაჰენტთან დადებული გარიგებებიდან მიღებული ამონაგები ჯგუფის მთლიანი ამონაგების 10%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

ჯგუფის ამონაგების უმეტესი ნაწილი მოდის საქართველოზე. ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოქმნის გეოგრაფიული ანალიზი მოცემულია 35-ე შენიშვნაში.

არაპირდაპირი ხარჯების განაწილება, როდესაც ეს შესაძლებელია, ხდება თითოეული ტიპის დანახარჯისთვის განსაზღვრული გამომწვევი ფაქტორების საფუძველზე. თუ რომელიმე ტიპის ხარჯისთვის/ზედნადები ხარჯისთვის გამომწვევი ფაქტორის განსაზღვრა შეუძლებელია, ეს ხარჯები სეგმენტებს შორის ნაწილდება იმავე ლოგიკის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება ანალოგიური ხასიათის ხარჯებისთვის (მაგ. სხვა საოპერაციო ხარჯები შეესაბამება საოპერაციო ხარჯების კატეგორიის უახლეს კატეგორიას).

სეგმენტებშორისი სატრანსფერო ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია არის საკუთარი რესურსებით შემუშავებული ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება ვადების თანხვედრის ლოგიკას. იგი გამოიყენება ჯგუფის ფარგლებში ლიკვიდურობის რისკების ეფექტურად სამართავად და საპროცენტო განაკვეთის რისკების შესამცირებლად. ეს პროცესი მოიცავს კორპორაციული ცენტრის მიერ ფულადი თანხების (დეპოზიტების) სესხებას სხვადასხვა ბიზნესსეგმენტისგან. თითოეული დეპოზიტის კომპენსაცია დამოკიდებულია მის კონკრეტულ ვალუტაზე, ვადაზე, ტიპზე, ლიკვიდურობისა და კაპიტალის მოთხოვნებზე, რაც უზრუნველყოფს თითოეული სეგმენტის სამართლიან მოპყრობას. თავის მხრივ, ბიზნესსეგმენტები ფულად სახსრებს სესხულობენ კორპორაციული ცენტრისგან, რომ დააფინანსონ სესხები და სხვა აქტივები. სესხების თითოეული ოპერაციის ფასწარმოქმნა განისაზღვრება ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორიცაა ვალუტა, სესხის ტიპი (ფიქსირებული, ცვლადი, შერეული საპროცენტო განაკვეთები), სესხის ვადა და კაპიტალის მოთხოვნა.

27. სეგმენტის ანალიზი გაგრძელება

სეგმენტების შესახებ 2024 წლის ინფორმაცია მომზადებულია ზემოთ აღწერილი 2024 წლის ხელახალი სეგმენტაციის ეფექტის გათვალისწინებით:

ათას ლარში	კორპორაციული	საცალო	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	კორპორაციული ცენტრი, სხვა და ქვესეგმენტური ელიმინირებები*	სულ
საპროცენტო შემოსავალი	947,845	998,077	642,023	547,963	**3,135,908**
საპროცენტო ხარჯი	(663,406)	(219,741)	(27,479)	(716,288)	**(1,626,914)**
წმინდა პროცენტი სავალუტო სვოპებზე	10,762	2,432	286	68,518	**81,998**
სეგმენტებშორისი საპროცენტო შემოსავალი/ (ხარჯი)	315,969	(204,645)	(274,633)	163,309	**-**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**611,170**	**576,123**	**340,197**	**63,502**	**1,590,992**
შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	125,197	457,848	93,375	584	**677,004**
საკომისიო ხარჯი	(16,103)	(194,444)	(60,952)	(7,415)	**(278,914)**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**109,094**	**263,404**	**32,423**	**(6,831)**	**398,090**
წმინდა შემოსულობა წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან	143,348	104,540	52,239	67,656	**367,783**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,303	8,928	2,886	3,398	**16,515**
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი	(273)	-	-	847	**574**
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	**144,378**	**113,468**	**55,125**	**71,901**	**384,872**
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე საკრედიტო ზარალის (რეზერვი)/ამოღება	(10,628)	(73,326)	(30,271)	4,715	**(109,510)**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-	-	(4,754)	**(4,754)**
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის და სხვა აქტივებისთვის	(1,047)	205	(1,300)	(3,620)	**(5,762)**
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება	(454)	(711)	(617)	(364)	**(2,146)**
გაუფასურების ზარალი გასაყიდად გამიზნული აქტივების ჩამოფასების გამო	-	-	-	(9,800)	**(9,800)**
საოპერაციო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო და არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემდეგ	**852,513**	**879,163**	**395,557**	**114,749**	**2,241,982**
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	(81,936)	(243,655)	(91,523)	(22,716)	**(439,830)**
ცვეთა და ამორტიზაცია	(14,424)	(78,761)	(22,646)	(2,452)	**(118,283)**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(24,154)	(135,215)	(34,014)	(27,988)	**(221,371)**
საოპერაციო ხარჯები	**(120,514)**	**(457,631)**	**(148,183)**	**(53,156)**	**(779,484)**
დასაბეგრი მოგება	**731,999**	**421,532**	**247,374**	**61,593**	**1,462,498**
მოგების გადასახადის ხარჯი	(110,471)	(60,310)	(37,314)	(9,687)	**(217,782)**
წლის წმინდა მოგება	**621,528**	**361,222**	**210,060**	**51,906**	**1,244,716**

*ჯგუფს არ გაუცალკევებია ელიმინირებები, რადგან ისინი არ არის არსებითი. სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს 17,000 ლარის შიდა ჯგუფურ დივიდენდებს.

27. სეგმენტის ანალიზი გაგრძელება

ათას ლარში	კორპორაციული	საცალო	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	კორპორაციული ცენტრი, სხვა	სულ
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები და ავანსები	9,863,777	8,710,516	5,943,479	1,817	**24,519,589**
მომხმარებელთა ანგარიშები	11,308,306	8,478,788	2,043,554	110,574	**21,941,222**
გუდვილი	7,491	14,350	5,560	796	**28,197**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტიები	2,802,249	159,288	450,460	(208)	**3,411,789**

27. სეგმენტის ანალიზი გაგრძელება

ათას ლარში	კორპორაციული	საცალო	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	კორპორაციული ცენტრი, სხვა და ქვესეგმენტური ელიმინირებები**	სულ
საპროცენტო შემოსავალი	792,698	879,106	584,108	433,515	**2,689,427**
საპროცენტო ხარჯი	(554,873)	(172,430)	(14,039)	(535,590)	**(1,276,932)**
წმინდა პროცენტი სავალუტო სვოპებზე	4,805	644	41	77,611	**83,101**
სეგმენტებშორისი საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)	310,127	(197,526)	(236,024)	123,423	**-**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**552,757**	**509,794**	**334,086**	**98,959**	**1,495,596**
შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	105,418	379,799	87,206	(1,032)	**571,391**
საკომისიო ხარჯი	(17,578)	(161,999)	(52,859)	(4,479)	**(236,915)**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**87,840**	**217,800**	**34,347**	**(5,511)**	**334,476**
წმინდა შემოსულობა წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან	110,127	85,214	48,535	28,427	**272,303**
სხვა საოპერაციო შემოსავალი*	7,887	6,289	3,237	11,667	**29,080**
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი	-	-	-	657	**657**
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	**118,014**	**91,503**	**51,772**	**40,751**	**302,040**
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე საკრედიტო ზარალის (რეზერვი)/ამოღება	(7,980)	(52,911)	(70,574)	1,085	**(130,380)**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-	-	(1,996)	**(1,996)**
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის და სხვა აქტივებისთვის*	(7,735)	159	92	(3,999)	**(11,483)**
არაფინანსური აქტივების წმინდა გაუფასურება	(987)	(879)	(276)	(1,433)	**(3,575)**
საოპერაციო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო და არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემდეგ	**741,909**	**765,466**	**349,447**	**127,856**	**1,984,678**
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	(72,796)	(202,752)	(86,321)	(23,602)	**(385,471)**
ცვეთა და ამორტიზაცია	(12,173)	(65,897)	(19,317)	(2,256)	**(99,643)**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(22,013)	(125,580)	(33,178)	(15,877)	**(196,648)**
საოპერაციო ხარჯები	**(106,982)**	**(394,229)**	**(138,816)**	**(41,735)**	**(681,762)**
დასაბეგრი მოგება	**634,927**	**371,237**	**210,631**	**86,121**	**1,302,916**
მოგების გადასახადის ხარჯი	(90,565)	(49,322)	(31,361)	(12,610)	**(183,858)**
წლის წმინდა მოგება	**544,362**	**321,915**	**179,270**	**73,511**	**1,119,058**

*კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.
**ჯგუფს არ გაუცალკევებია ელიმინირებები, რადგან ისინი არ არის არსებითი. სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს 20,000 ლარის შიდა ჯგუფურ დივიდენდებს.

27. სეგმენტის ანალიზი გაგრძელება

ათას ლარში	კორპორაციული	საცალო	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	კორპორაციული ცენტრი, სხვა	სულ
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები და ავანსები	8,283,723	7,513,229	5,480,822	(1,025)	**21,276,749**
მომხმარებელთა ანგარიშები	10,200,321	7,469,587	1,900,459	372,149	**19,942,516**
გუდვილი	7,491	14,350	5,560	796	**28,197**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტიები	2,831,610	161,874	486,756	(939)	**3,479,301**

28. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ჯგუფის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ასეთია:

ათას ლარში	2024	2023
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	2,558,827	2,224,514
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	329,008	284,495
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	154,375	99,777
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	447	3,077
სხვა ფინანსური აქტივები	3,288	2,824
სხვა საპროცენტო შემოსავალი		
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	89,963	74,740
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**3,135,908**	**2,689,427**
საპროცენტო ხარჯი		
მომხმარებელთა ანგარიშები	(974,133)	(813,715)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(408,278)	(288,250)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები და დამატებითი პირველადი კაპიტალი	(130,745)	(104,147)
სუბორდინირებული ვალი	(109,118)	(67,539)
სხვა საპროცენტო ხარჯი		
საიჯარო ვალდებულებები	(4,640)	(3,281)
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	**(1,626,914)**	**(1,276,932)**
წმინდა პროცენტი სავალუტო სვოპებზე	81,998	83,101
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**1,590,992**	**1,495,596**

2024 წლის განმავლობაში დეფოლტის სიტუაციაში მყოფ სესხებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 38,249 ათასი ლარი (2023 წ.: 36,161 ათასი ლარი).

2024 წლის განმავლობაში 4,262 ათასი ლარის ოდენობის კაპიტალიზებული საპროცენტო ხარჯი (2023 წ.: 2,391 ათასი ლარი) მიკუთვნებადი იყო ჯგუფის სათავო ოფისის მშენებლობისთვის. კაპიტალიზაციისთვის განკუთვნილი, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული, დანახარჯების ოდენობის დასადგენად გამოყენებული კაპიტალიზაციის ნორმა წარმოადგენს პროცენტიანი ვალდებულებების საშუალო შეწონილს ვალუტების მიხედვით: 8.2% ლარში, 2.8% აშშ დოლარში და 2.7% ევროში (2023 წ.: 9.0% ლარში, 2.1% აშშ დოლარში და 1.0% ევროში). დაუმთავრებელი მშენებლობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

28. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი გაგრძელება

ბანკის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ასეთია:

ათას ლარში	2024	2023
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	2,554,942	2,221,832
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	331,990	287,835
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	152,031	97,677
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	447	3,077
სხვა ფინანსური აქტივები	2,212	2,366
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	**3,041,622**	**2,612,787**
საპროცენტო ხარჯი		
მომხმარებელთა ანგარიშები	(982,929)	(821,549)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(387,906)	(273,545)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები და დამატებითი პირველადი კაპიტალი	(120,489)	(94,321)
სუბორდინირებული ვალი	(105,085)	(64,632)
სხვა საპროცენტო ხარჯი		
საიჯარო ვალდებულებები	(4,309)	(2,955)
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	**(1,600,718)**	**(1,257,002)**
წმინდა პროცენტი სავალუტო სვოპებზე	81,998	83,101
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**1,522,902**	**1,438,886**

29. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

ქვედა ცხრილებში წარმოდგენილია შემოსავალი და ხარჯი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან სეგმენტების მიხედვით. სეგმენტების განმარტება მოცემულია 27-ე შენიშვნაში.

2024 *ათას ლარში*	საცალო	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	კორპორაციული	კორპორაციული ცენტრი, სხვა და ქვესეგმენტური ელიმინი-რებები	სულ
საკომისიო შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით:					
– საბარათე ოპერაციები	318,442	59,183	-	-	**377,625**
– ანგარიშსწორების ოპერაციები	123,603	18,192	17,490	(101)	**159,184**
– გაცემული გარანტიები	146	6,883	47,241	-	**54,270**
– ფულადი ოპერაციები	5,319	4,539	9,206	-	**19,064**
– აკრედიტივის გაცემა	-	120	5,944	(11)	**6,053**
– სავალუტო ოპერაციები	182	1,000	5,214	(21)	**6,375**
– სხვა	10,156	3,458	40,102	717	**54,433**
მთლიანი საკომისიო შემოსავალი	**457,848**	**93,375**	**125,197**	**584**	**677,004**
საკომისიო ხარჯი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით:					
– საბარათე ოპერაციები	(169,405)	(41,181)	-	-	**(210,586)**
– ანგარიშსწორების ოპერაციები	(4,702)	(7,495)	(4,534)	(4)	**(16,735)**
– ფულადი ოპერაციები	(7,712)	(2,486)	(8,533)	(2,843)	**(21,574)**
– მიღებული გარანტიები	(5)	(240)	(1,597)	-	**(1,842)**
– აკრედიტივები	-	(24)	(1,185)	(3)	**(1,212)**
– სავალუტო ოპერაციები	(21)	-	-	17	**(4)**
– სხვა	(12,599)	(9,526)	(254)	(4,582)	**(26,961)**
მთლიანი საკომისიო ხარჯი	**(194,444)**	**(60,952)**	**(16,103)**	**(7,415)**	**(278,914)**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**263,404**	**32,423**	**109,094**	**(6,831)**	**398,090**

29. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი გაგრძელება

2023 *ათას ლარში*	საცალო	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები	კორპორაციული	კორპორაციული ცენტრი, სხვა და ქვესეგმენტური ელიმინი-რებები	სულ
საკომისიო შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით:					
– საბარათე ოპერაციები	257,211	53,245	8	(5)	**310,459**
– ანგარიშსწორების ოპერაციები	110,055	17,785	14,214	(92)	**141,962**
– გაცემული გარანტიები	25	6,059	38,608	-	**44,692**
– ფულადი ოპერაციები	4,010	4,935	8,039	-	**16,984**
– აკრედიტივის გაცემა	1	120	8,013	(31)	**8,103**
– სავალუტო ოპერაციები	114	783	4,546	(8)	**5,435**
– სხვა	8,383	4,279	31,990	(896)	**43,756**
მთლიანი საკომისიო შემოსავალი	**379,799**	**87,206**	**105,418**	**(1,032)**	**571,391**
საკომისიო ხარჯი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით:					
– საბარათე ოპერაციები	(141,793)	(33,468)	-	14	**(175,247)**
– ანგარიშსწორების ოპერაციები	(6,826)	(9,251)	(5,571)	(37)	**(21,685)**
– ფულადი ოპერაციები	(5,514)	(2,584)	(6,347)	(3,143)	**(17,588)**
– მიღებული გარანტიები	-	(276)	(1,706)	-	**(1,982)**
– აკრედიტივები	-	(38)	(2,517)	(3)	**(2,558)**
– სავალუტო ოპერაციები	(8)	-	-	(2)	**(10)**
– სხვა	(7,858)	(7,242)	(1,437)	(1,308)	**(17,845)**
მთლიანი საკომისიო ხარჯი	**(161,999)**	**(52,859)**	**(17,578)**	**(4,479)**	**(236,915)**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**217,800**	**34,347**	**87,840**	**(5,511)**	**334,476**

30. წმინდა შემოსულობა წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან

წმინდა შემოსულობა წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან შემდეგი წლებისთვის ასე გამოიყურება:

ათას ლარში	2024	2023
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან	452,518	201,457
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	(85,396)	71,179
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან უცხოურ ვალუტაში გამოხატული წარმოებული ინსტრუმენტების გარდა	661	(333)
მთლიანი წმინდა შემოსულობა წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან	**367,783**	**272,303**

31. თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები

ჯგუფის თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები ასეთია:

ათას ლარში	2024	2023
ხელფასები		
ხელფასები და პრემიები	393,911	332,848
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	19,520	24,682
საპენსიო შენატანები	9,056	6,882
სხვა კომპენსაციის ხარჯი	17,343	21,059
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	**439,830**	**385,471**

ბანკის თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები ასეთია:

ათას ლარში	2024	2023
ხელფასები		
ხელფასები და პრემიები	354,569	300,517
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	19,413	24,153
საპენსიო შენატანები	7,663	6,222
სხვა კომპენსაციის ხარჯი	14,699	18,621
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	**396,344**	**349,513**

წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია წარმოადგენს აქციებით გადახდილ ანაზღაურებას და გამოირიცხება, როგორც არაფულადი ოპერაცია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

თანამშრომლების თვიური საშუალო რაოდენობის კატეგორიებად ჩაშლა ასე გამოიყურება:

ჯგუფის თანამშრომლების რაოდენობა ასეთ

თანამდებობა		2024	2023
ზედა რგოლის ხელმძღვანელობა	დროებითი	-	-
	მუდმივი	5	5
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	დროებითი	4	-
	მუდმივი	314	289
სხვა თანამშრომლები	დროებითი	938	1,000
	მუდმივი	7,888	7,443
სულ		**9,149**	**8,737**

ბანკის თანამშრომლების რაოდენობა ასეთია:

თანამდებობა		2024	2023
ზედა რგოლის ხელმძღვანელობა	დროებითი	-	-
	მუდმივი	5	5
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	დროებითი	-	-
	მუდმივი	258	243
სხვა თანამშრომლები	დროებითი	882	938
	მუდმივი	7,094	6,669
სულ		**8,239**	**7,855**

32. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ჯგუფის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	2024	2023
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	38,912	46,464
არამატერიალური აქტივების ტექნიკური მომსახურება	37,773	25,982
პროფესიული მომსახურება	34,036	25,408
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	13,554	12,859
დაზღვევა	10,519	8,707
შენობის დატვირთვა და იჯარა*	9,713	7,774
მოკლე ტექსტური შეტყობინების მომსახურების საფასური	9,687	5,535
შენობების და აღჭურვილობის ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	9,284	9,405
კომუნალური მომსახურება	8,982	9,368
კომუნიკაცია და მიწოდება	7,209	6,457
საკანცელარიო ნივთები და სხვა საოფისე ხარჯები	5,664	5,304
თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება	4,152	5,562
ტრანსპორტირება და ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება	3,472	2,865
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,574	4,310
სამივლინებო ხარჯი	2,423	2,027
დაცვის მომსახურება	2,242	1,956
ზარალი უზრუნველყოფაში ჩადებული დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან	1,159	661
საქველმოქმედო საქმიანობა	1,123	1,110
ზარალი შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების გასხვისებიდან	722	599
ვალდებულებების და დანახარჯების ამოღება	(212)	-
სხვა	18,383	14,295
მთლიანი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**221,371**	**196,648**

32. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაგრძელება

ბანკის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	2024	2023
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	37,763	45,369
არამატერიალური აქტივების ტექნიკური მომსახურება	32,652	22,332
პროფესიული მომსახურება	31,359	23,981
მოკლე ტექსტური შეტყობინების მომსახურების საფასური	9,687	5,535
კომუნალური მომსახურება	8,598	8,959
შენობების და აღჭურვილობის ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	8,457	8,231
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	7,635	6,985
კომუნიკაცია და მიწოდება	6,190	5,317
შენობის დატვირთვა და იჯარა*	5,878	5,604
საკანცელარიო ნივთები და სხვა საოფისე ხარჯები	5,196	4,943
თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება	3,849	5,374
დაზღვევა	2,685	2,495
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,481	4,268
სამივლინებო ხარჯი	2,188	1,859
დაცვის მომსახურება	2,010	1,739
საქველმოქმედო საქმიანობა	1,123	1,094
ტრანსპორტირება და ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება	990	749
ზარალი უზრუნველყოფაში ჩადებული დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან	953	579
ზარალი შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების გასხვისებიდან	298	539
ვალდებულებების და დანახარჯების ამოღება	(212)	-
სხვა	14,024	10,942
მთლიანი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**183,804**	**166,894**

*მოიცავს მოკლევადიან იჯარებს, დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს, რომლებიც არ არის აღიარებული ფასს 16-ის თანახმად.

32. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაგრძელება

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის აუდიტორის მთლიანი ანაზღაურება:

ათას ლარში	აუდიტი	აუდიტთან დაკავშირებული	სხვა მომსახურება	სულ
2024				
ჯგუფისა და შვილობილი საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	1,782	-	-	**1,782**
ჯგუფისა და შვილობილი საწარმოების შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა	-	517	-	**517**
სხვა მარწმუნებელი მომსახურება*	-	-	976	**976**
აუდიტორების მთლიანი გასამრჯელო	**1,782**	**517**	**976**	**3,275**
2023				
ჯგუფისა და შვილობილი საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	1,862	-	-	**1,862**
ჯგუფისა და შვილობილი საწარმოების შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა	-	237	-	**237**
აუდიტორების მთლიანი გასამრჯელო	**1,862**	**237**	**-**	**2,099**

*2024 წელს სხვა მარწმუნებელი მომსახურება მოიცავს მომსახურებას დამატებითი პირველადი კაპიტალის (AT1) თამასუქების გაცემასთან დაკავშირებით.

ჯგუფის აუდიტორის გარდა, სხვა აუდიტორების მიერ გაწეული მომსახურება 2024 წელს შეადგენდა 1,427 ათას ლარს (2023 წ.: 1,548 ათასი ლარი), და 319 ათასი ლარი მიკუთვნებადი იყო აუდიტის მომსახურებისთვის (2023 წ.: 329 ათასი ლარი).

33. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს შემდეგს:

ათას ლარში	2024	2023
მიმდინარე გადასახადის დანარიცხი	217,931	246,196
გადავადებული საგადასახადო შეღავათი	(149)	(62,338)
წლის მოგების გადასახადის მთლიანი ხარჯი	**217,782**	**183,858**

მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები მარეგულირებელი ორგანოების მიმართ, როგორც წესი, კვარტალურად გადაიხდება. თანხა გამოითვლება წინა წლის მიმდინარე მოგების გადასახადის თანხის გაყოფით 4 თანაბარ ნაწილად. ვალდებულება გასტუმრებულია მომდევნო წელს, წლის ბოლოსთვის არსებული მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებების მიხედვით.

მოგების გადასახადის საშუალო შეწონილი განაკვეთი 2024 წელს არის: 20% (2023 წ.: 20%), როდესაც საგადასახადო განაკვეთი, რომლითაც იბეგრება შვილობილი საწარმოების შემოსავლის უდიდესი ნაწილი, 15%-დან 20%-მდე მერყეობდა (2023 წ.: 15%-20%).

დიდმა ბრიტანეთმა შემოიღო კანონი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მულტინაციონალური ჯგუფებისთვის მინიმალური დონის გადასახადის წესების ასამოქმედებლად (პილარ 2), რომელიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდებზე. ბანკის საბოლოო მშობელი საწარმო (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“) ექცევა პილარ ორის წესების არეალში და ჩატარებული აქვს ჯგუფის პოტენციური რისკის შეფასება პილარ 2-ის მოგების გადასახადებთან მიმართებით 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

33. მოგების გადასახადი გაგრძელება

პერიოდისთვის. ჩატარებულმა შეფასებამ დაასკვნა, რომ არსებითი ვალდებულება არ წარმოიშობა, თითოეული იურისდიქციის ეფექტური საგადასახადო განაკვეთის გათვალისწინებით, რომლებშიც ჯგუფი საქმიანობას ეწევა.

ქვემოთ მოცემულია მოსალოდნელი და ფაქტობრივი საგადასახადო ხარჯის/(სარგებლის) შეჯერება:

ათას ლარში	2024	2023
კანონმდებლობით დადგენილი განაკვეთი	**20%**	**20%**
დასაბეგრი მოგება	**1,462,498**	**1,302,916**
თეორიული საგადასახადო ხარჯი, მოქმედი 20%-იანი საგადასახადო ხარჯის საშუალო შეწონილის მიხედვით (2023 წ.: 20%)	291,586	259,595
იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის გამოქვითვას ან დაკავებას არ ექვემდებარება:		
გადასახადისგან გათავისუფლებული შემოსავალი	(74,875)	(70,860)
გამოუქვითავი ხარჯები	1,071	654
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების ეფექტი	-	(5,146)
სხვა სხვაობები	-	(385)
წლის მოგების გადასახადის მთლიანი ხარჯი	**217,782**	**183,858**

სხვაობები ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოსა და საქართველოსა და აზერბაიჯანში საგადასახადო რეგულირებას შორის წარმოშობს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. ამ დროებითი სხვაობების ცვლილების დინამიკის საგადასახადო ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ და აღირიცხება 20%-ით (2023 წ.: 20%) საქართველოსთვის და 20%-ით აზერბაიჯანისთვის (2023 წ.: 20%).

შემოსავალი, რომელიც არ იბეგრება გადასახადით, მოიცავს საპროცენტო შემოსავალს სებ-ში განთავსებებიდან, საქართველოს მთავრობის სახაზინო თამასუქებს და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების ფასიან ქაღალდებს. გამოუქვითავი ხარჯები მოიცავს გადახდილ ჯარიმებს და საქველმოქმედო ხარჯებს ბენეფიციარისთვის, რომლებიც არ არის რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციებად.

33. მოგების გადასახადი გაგრძელება

გადავადებული საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

ათას ლარში	1 იანვარი, 2024 წ.	მოგების ან ზარალის კრედიტში/ (დებეტში) გატარებული	სხვა სრული შემოსავლის კრედიტში გატარებული	ვალუტის კონვერტაციის ეფექტი	31 დეკემბერი, 2024 წ.
(დაბეგვრადი)/გამოქვითვადი დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდში გადატანის საგადასახადო ეფექტი					
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები	(58,620)	2,266	-	-	**(56,354)**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	-	13	-	26	**39**
სხვა ფინანსური აქტივები	5,570	1,075	613	-	**7,258**
სხვა აქტივები	259	107	-	-	**366**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(306)	-	-	-	**(306)**
სხვა ვალდებულებები	423	(452)	-	39	**10**
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	5,938	(2,622)	-	-	**3,316**
გუდვილი	(3,403)	(238)	-	-	**(3,641)**
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	(423)	-	-	-	**(423)**
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	**(50,562)**	**149**	**613**	**65**	**(49,735)**
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	395	25	-	65	**485**
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(50,957)	124	613		**(50,220)**
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	**(50,562)**	**149**	**613**	**65**	**(49,735)**

33. მოგების გადასახადი გაგრძელება

ათას ლარში	1 იანვარი, 2023 წ.	მოგების ან ზარალის კრედიტში/ (დებეტში) გატარებული	სხვა სრული შემოსავლის დებეტში გატარე-ბული	ვალუტის კონვერტაციის ეფექტი	31 დეკემბერი, 2023 წ.
(დაბეგვრადი)/გამოქვითვადი დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდში გადატანის საგადასახადო ეფექტი					
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები	(50,887)	(5,906)	-	(1,827)	**(58,620)**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,847	(1,847)	-	-	**-**
სხვა ფინანსური აქტივები	4,754	1,076	(260)	-	**5,570**
სხვა აქტივები	329	(70)	-	-	**259**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(724)	418	-	-	**(306)**
სხვა ვალდებულებები	(923)	1,346	-	-	**423**
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	4,302	1,636	-	-	**5,938**
გუდვილი	(4,987)	1,584	-	-	**(3,403)**
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	(423)	-	-	-	**(423)**
ერთჯერადი ანაზღაურება საგადასახადო და ფასს-ის სხვადასხვა საფუძვლის გამო*	(64,101)	64,101	-	-	**-**
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	**(110,813)**	**62,338**	**(260)**	**(1,827)**	**(50,562)**
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,064	158	-	(1,827)	**395**
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(112,877)	62,180	(260)	-	**(50,957)**
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	**(110,813)**	**62,338**	**(260)**	**(1,827)**	**(50,562)**

* ამ თანხას გავლენა არ მოუხდენია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, ვინაიდან, ერთჯერადი გადავადებული გადასახადის ანაზღაურებები, რომლებიც საჭირო გახდა 2022 წელს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები გამო, აღირიცხა 2023 წლის მიმდინარე მოგების გადასახადში და არ მოუხდენია გავლენა საგადასახადო ხარჯებზე.

ჯგუფის არსებული სტრუქტურისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის კონტექსტში, ჯგუფის სხვადასხვა კომპანიის საგადასახადო ზარალი და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ გაიქვითოს ჯგუფის სხვა კომპანიების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან და დასაბეგრ მოგებასთან. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი უკავშირდება ერთსა და იმავე დასაბეგრ სამეურნეო სუბიექტს და ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოს.

34. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების ცვლილების დინამიკა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც ფინანსური საქმიანობა.

ათას ლარში	სხვა ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები	სუბორდინირებული ვალი	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,250,395**	**661,445**	**548,368**	**590,148**	**72,240**	**5,122,596**
შემოსულობა ძირითადი თანხიდან**	1,894,337	95,820	-	287,589	-	**2,277,746**
ძირითადი თანხის გამოსყიდვა	(1,698,671)	(43,058)	-	(15,867)	(12,999)	**(1,770,595)**
დარიცხული პროცენტი	228,250	48,815	55,332	67,539	3,281	**403,217**
გადახდილი პროცენტი	(225,081)	(55,592)	(52,842)	(63,184)	(3,551)	**(400,250)**
სხვა არაფულადი მუხლების ცვლილების დინამიკა*	-	-	-	-	24,519	**24,519**
სავალუტო კურსის კორექტირებები	4,869	8,371	(2,574)	2,505	(80)	**13,091**
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,454,099**	**715,801**	**548,284**	**868,730**	**83,410**	**5,670,324**
შემოსულობა ძირითადი თანხიდან	4,523,016	11,633	805,050	236,586	-	**5,576,285**
ძირითადი თანხის გამოსყიდვა	(1,652,889)	(641,686)	(340,759)	(3,040)	(17,685)	**(2,656,059)**
დარიცხული პროცენტი	215,648	28,505	102,240	109,118	4,640	**460,151**
გადახდილი პროცენტი	(215,404)	(28,821)	(101,758)	(99,699)	(4,729)	**(450,411)**
სხვა არაფულადი მუხლების ცვლილების დინამიკა*	-	-	-	-	11,310	**11,310**
სავალუტო კურსის კორექტირებები	15,714	23,709	49,903	36,679	3,465	**129,470**
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,340,184**	**109,141**	**1,062,960**	**1,148,374**	**80,411**	**8,741,070**

* სხვა არაფულადი ცვლილების დინამიკა წარმოადგენს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გაფორმებულ იჯარებს გამოკლებული შეწყვეტილი იჯარები.
**ძირითადი თანხა არის ამორტიზებული ღირებულება, დარიცხული პროცენტისა და სხვა ნებისმიერი დანახარჯების გარეშე.

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა

საკრედიტო ხარისხი

ფინანსური აქტივის ტიპიდან გამომდინარე, ჯგუფმა შეიძლება გამოიყენოს აქტივის საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო, მათ შორის სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's, Fitch) მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგები, საკრედიტო ბიუროს მიერ მინიჭებული საკრედიტო ქულები და ჯგუფის შიგნით შემუშავებული საკრედიტო რეიტინგები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ჯგუფის შიგნით შექმნილი საკრედიტო ხარისხის კატეგორიებად, ერთდროულად შიდა და გარე საკრედიტო ხარისხის ინფორმაციისა და კონკრეტული კრედიტისთვის სპეციფიკური სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით (მაგ. ვადაგადაცილება). ჯგუფი განსაზღვრავს საკრედიტო ხარისხის შემდეგ კატეგორიებს:

- ძალიან დაბალი რისკი – კრედიტები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების ძლიერ უნარს;
- დაბალი რისკი – დავალიანებები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების საკმარის უნარს;
- საშუალო რისკი – დავალიანებები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების დამაკმაყოფილებელ უნარს;
- მაღალი რისკი – დავალიანებები საჭიროებს თვალყურის მკაცრად დევნებას, და
- დეფოლტი – დავალიანებები დეფოლტის სიტუაციაში, საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული შიდა და გარე რეიტინგები.

	შიდა რეიტინგის შეფასება			გარე რეიტინგი	
საკრედიტო ხარისხის შეფასება	სამომხმარებლო სესხების რეიტინგი	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხების რეიტინგი	კორპორაციული სესხების რეიტინგი	საკრედიტო ბიურო (საჭიროების შემთხვევაში)	საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოს რეიტინგი (საჭიროების შემთხვევაში)
ძალიან დაბალი	1-10	1-2	1-10	A; B; C1; C2; C3	A1.3; A1.4; A1.5; A2; A3; B1; B2
დაბალი	11-21	3-5	11-18	A; B; C1; C2; C3; D1; D2; D3	A2; A3; B1; B2; B3; C1
საშუალო	22-35	6-9	19-31	A; B; C1; C2; C3; D1; D2; D3; E1; E2; E3	A1.3; A1.4; A1.5; A2; A3; B1; B2; B3; C1; C2; C3
მაღალი	36-44	10-16	32-56	D1; D2; D3; E1; E2; E3	A1.3; A1.4; A1.5; A2; A3; B1; B2; B3; C1; C2; C3; D1; D2; D3

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა იყენებს ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ პერსპექტიულ ინფორმაციას, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ჯგუფი მიმართავს სამი სტადიის მოდელს და თავის მსესხებლებს მიაკუთვნებს სამ სტადიას: ჯგუფი თავის კრედიტის ოდენობას პირველ სტადიას მიაკუთვნებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და ინსტრუმენტი არ იყოს საკრედიტო დეფოლტის სიტუაციაში საწყისი აღიარებისას. კრედიტის ოდენობა მეორე სტადიას მიეკუთვნება, თუ საწყისი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ მიიჩნევა დეფოლტის სიტუაციაში მყოფად. კრედიტის ოდენობა, რომელზეც გამოვლენილია დეფოლტის ნიშნები, მიეკუთვნება მესამე სტადიის ინსტრუმენტებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება დავალიანების ოდენობის ერთ-ერთი სტადიისთვის მიკუთვნების მიხედვით. პირველი სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეწეროს საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში პოტენციურად დამდგარ დეფოლტის მოვლენებს. მეორე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება მიეწეროს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში. როგორც წესი, არსებობის ვადა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ხელშეკრულების მიხედვით დაფარვის გრაფიკის არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების უფლებები და მონიტორინგის პროცესები ჯგუფის მხრიდან მოქმედებს ვადის განსაზღვრაზე. მესამე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თანხების მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

დეფოლტის განმარტება

ფინანსური აქტივები, რომლებისთვისაც ჯგუფმა გამოავლინა მინიმუმ ერთი ზარალის დადგომის შემთხვევა, მიეკუთვნება მე-3 სტადიას.

ჯგუფი დეფოლტის განმარტებისთვის იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას. მსესხებელი კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი, თუ შემდეგი პირობებიდან ერთი მაინც დადგება:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე გადახდა 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული;
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ მსესხებლისგან გადახდების მიღება არ არის მოსალოდნელი.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლების შემთხვევაში, ჯგუფი დამატებით იყენებს კრიტერიუმებს, რაც შეუზღუდავად მოიცავს შემდეგს: გაკოტრების პროცედურა, მნიშვნელოვანი თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში, რამაც სერიოზულად იმოქმედა მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ხელშეკრულების პირობების დარღვევა და სხვა. მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორაციული მსესხებლების შემთხვევაში, დეფოლტის გამოვლენა ხდება კონტრაჰენტის დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ აღირიცხება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი. რაც შეეხება საცალო და მიკრო კრედიტებს, გამოიყენება დეფოლტის განმარტება საკრედიტო ინსტრუმენტის დონეზე, „პულინგ ეფექტის“ (ზღვარი, რომლის ზემოთაც მთლიანი დავალიანება ჩაითვლება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად) დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით. თუ დეფოლტის სიტუაციაში მყოფი კრედიტის ოდენობა აღემატება წინასწარ განსაზღვრულ ზღვრულ დონეს, ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი. როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი, იგი ამ კატეგორიაში რჩება იმ დრომდე, ვიდრე ვეღარ დააკმაყოფილებს დეფოლტის კრიტერიუმებს ექვსი თანმიმდევრული თვის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კრედიტი აღარ არის დეფოლტის სიტუაციაში (ანუ დეფოლტი გამოსწორდა). იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად მოსალოდნელია, რომ დეფოლტის აღმოფხვრის შემდეგ ფინანსური ინსტრუმენტი დაუბრუნდეს დეფოლტის სიტუაციაში მყოფის სტატუსს, ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადა განისაზღვრა. კრედიტები, რომლებიც გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე დეფოლტის მდგომარეობიდან, იქ ნარჩუნდება გარკვეული ვადით, სანამ გადავა 1-ელ სტადიაზე და კვლავ კლასიფიცირდება, როგორც სრულად მოქმედი ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ფინანსური აქტივები, რომლებზეც ჯგუფი აღმოაჩენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას მათი შექმნის თარიღის შემდეგ, მიეკუთვნება მე-2 სტადიას. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლების აღიარება ხდება ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი ეხება მსესხებლის მახასიათებლებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს იყენებს.

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

რაოდენობრივი კრიტერიუმები

რაოდენობრივ საფუძველზე ჯგუფი აფასებს საწყისი აღიარების შემდეგ თითოეული კონკრეტული კრედიტის მოცულობის დეფოლტის პარამეტრის ალბათობის ცვლილებას და მას ადარებს წინასწარ დადგენილ ზღვრულ დონეს. როდესაც აბსოლუტური ფარდობითი ცვლილება დეფოლტის ალბათობაში აღემატება მოქმედ ზღვრულ დონეს, მიიჩნევა, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრედიტის მოცულობა გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრული დონეების განსაზღვრისა და გამოყენებისას ბანკი განიხილავს პროდუქტის ტიპს, ხელშეკრულებების სიძველეს და რეიტინგს სესხის გაცემისას, შესაბამისად, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრული დონე ყოველი სეგმენტისთვის განსხვავებულია. ქვემოთ პროცენტული პუნქტებით წარმოდგენილია ზღვრული დონეების დიაპაზონები შესაბამისი ქვეჯგუფებისთვის, რომლებიც განაპირობებს ხელშეკრულების გადატანას მე-2 სტადიაზე:

იპოთეკური	0% - 9.4%
სამომხმარებლო (რომელიც შემდგომში იყოფა ქვეჯგუფებად ზღვრული დონების გამოყენების მიზნით)	0% - 27.4%
მიკრო (რომელიც შემდგომში იყოფა ქვეჯგუფებად ზღვრული დონეების გამოყენების მიზნით)	0% - 27.0%

ხარისხობრივი კრიტერიუმები

ფინანსური აქტივი გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგი ხარისხობრივი კრიტერიუმებიდან ერთი მაინც დაფიქსირდება:

- სახელშეკრულებო დაფარვების ვადაგადაცილების 30-დღიანზე მეტი პერიოდი;
- კრედიტი რესტრუქტურიზებულია, მაგრამ არ არის დეფოლტის სიტუაციაში;
- მსესხებელი მიეკუთვნება „საყურადღებოს“ კატეგორიას.

ჯგუფს არ უარუყვია ვარაუდი, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოშობის შემდეგ, როდესაც ფინანსური აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ეს ხარისხობრივი მაჩვენებელი, სესხის რესტრუქტურიზაციასთან ერთად, გამოიყენება ყველა სეგმენტზე. განსაკუთრებით კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტისთვის, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობის შემდეგ რისკის კატეგორიის გაუარესებას იყენებს, როგორც საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელს. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, მსესხებლები ნაწილდებიან რისკის სხვადასხვა კატეგორიაში. თუ არსებობს გარკვეული სისუსტეები, რომლებმაც, მატერიალიზების შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს სესხის დაფარვასთან დაკავშირებით პრობლემები, მსესხებლები მიეკუთვნებიან „საყურადღებოს“ კატეგორიას. მიუხედავად იმისა, რომ საყურადღებო მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა საკმარისია ვალდებულებების დასაფარად, ამ მსესხებლების მკაცრი მონიტორინგი ხდება და გარკვეული ზომები მიიღება პოტენციური სისუსტეების შესამცირებლად. როდესაც ხდება მსესხებლის კლასიფიცირება „საყურადღებოს“ კატეგორიაში, იგი გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის რომელიმე ზემოთ აღწერილი მაჩვენებელი გამოვლინდება, ფინანსური ინსტრუმენტი გადავა მე-2 სტადიაზე. ფინანსური აქტივები შეიძლება დაუბრუნდეს 1-ელ სტადიას, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლები აღარ ფიქსირდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ორ მიდგომას მიმართავს – ინდივიდუალურ შეფასებას და კოლექტიურ შეფასებას. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება მე-2 და მე-3 სტადიების ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კრედიტების შესარჩევად ხელმძღვანელობა იყენებს შემდეგ ზღვრულ დონეს, რომელთა ზემოთ კრედიტები შეირჩევა ინდივიდუალური გადამოწმებისთვის: მე-2 სტადიისთვის – 10 მილიონი ლარი და მე-3 სტადიისთვის – 4 მილიონი ლარი. გარდა ამისა, ჯგუფმა შეიძლება თვითნებურად აირჩიოს გარკვეული კრედიტის მოცულობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურად შეფასებისთვის, ჯგუფის

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერაიტინგის დეპარტამენტების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. ინდივიდუალური შეფასება ითვალისწინებს უახლეს ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რათა განსაზღვროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების მიხედვით.[1]

ჯგუფი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდს იყენებს ინდივიდუალური შეფასებით ამოსაღები თანხის დასადგენად. ანაზღაურებადი ღირებულების ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად ჯგუფი მიმართავს სცენარული ანალიზის მიდგომას. სცენარები შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური მსესხებლის სპეციფიკური ინფორმაციისა და სამომავლო პროგნოზის, მსესხებლის საქმიანობის სფეროს ან უზრუნველყოფის საგნის ღირებულების ცვლილების მიხედვით. სცენარული ანალიზის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს თითოეული სცენარისთვის ანაზღაურებადი ღირებულების პროგნოზირებას და აფასებს შესაბამის ზარალებს. საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება, როგორც თითოეულ სცენარში მოსალოდნელი ზარალების საშუალო შეწონილი, რომელიც შეიწონება სცენარის დადგომის ალბათობით.

არამნიშვნელოვანი და არაგაუფასურებული მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის ჯგუფი კოლექტიურად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კოლექტიური შეფასებისა და რისკის პარამეტრების განსაზღვრის მიზნებისთვის, კრედიტი იყოფა რისკის ერთგვაროვან ჯგუფებად, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ჯგუფის საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლებში, სხვებთან ერთად, შედის: სტადია (1-ელი, მე-2 ან მე-3 სტადია), კონტრაჰენტის ტიპი (ფიზიკური თუ იურიდიული პირი), პროდუქტის ტიპი, რეიტინგი (გარე ან შიდა), ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურიზაციის სტატუსი, დეფოლტის კატეგორიაში ყოფნის თვეების რაოდენობა ან სხვა მახასიათებლები, რომლებმაც შეიძლება განასხვაონ გარკვეული ქვესეგმენტები რისკის პარამეტრის შეფასების მიზნებისთვის. ჯგუფების რაოდენობა განსხვავდება სხვადასხვა პროდუქტის/სეგმენტის მიხედვით, პორტფელის სპეციფიკიდან და თითოეულ ჯგუფში მონაცემების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. კოლექტიური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების სიმრავლის ჯამი: დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება. დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში, რომლებიც განისაზღვრება ქვემოთ მოცემული განმარტების მიხედვით და დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გამოთვლის მთავარი პრინციპებია:

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მოცულობას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დადგომის მომენტისთვის. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პარამეტრი, რომელიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნით, დროზეა დამოკიდებული, ანუ ჯგუფი უშვებს პარამეტრის სხვადასხვა სიდიდის გამოყენებას მომდევნო დროით პერიოდებზე კრედიტის ოდენობის არსებობის მანძილზე. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების ასეთი სტრუქტურა გამოიყენება ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც მიეკუთვნება პირველ და მეორე სტადიებს. მესამე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტების და დეფოლტის სიტუაციაში მყოფი შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების ვექტორი შედგება ერთი ელემენტისგან, სადაც მიმდინარე დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ერთადერთი სიდიდეა. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება სხვადასხვანაირად განისაზღვრება სახელშეკრულებო დაფარვის გრაფიკის მქონე ამორტიზებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის და განახლებადი ინსტრუმენტებისთვის. ამორტიზებადი პროდუქტების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება გამოითვლება ძირითადი თანხის და პროცენტის სახელშეკრულებო დაფარვების გათვალისწინებით 12-თვიანი ვადის განმავლობაში 1-ელ სტადიაში განაწილებული ინსტრუმენტებისთვის და მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში დანარჩენი ინსტრუმენტებისთვის. იგი დამატებით კორექტირდება, რათა ასახოს წინასწარ გადახდების გამო კრედიტის ოდენობის შემცირების ეფექტი – კერძოდ, სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი. სრულად წინსწრებით დაფარვის განაკვეთის პარამეტრი წარმოადგენს იმის ალბათობას, რომ ფინანსური ინსტრუმენტი სრულად დაიფარება წინასწარ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე. სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისთვის, ჯგუფი ითვალისწინებს დაფარვის ვადამდე სრულად გადახდილი ხელშეკრულებების ისტორიულ მონაცემებს. განახლებადი

[1] ბანკის რისკის სრული მოცულობა მსესხებლისგან ან ურთიერთდაკავშირებული მსესხებლებისგან

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

საკრედიტო ხაზების შემთხვევაში, ბანკი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას გამოითვლის მოსალოდნელი ლიმიტის ათვისების პროცენტულობის საფუძველზე, დეფოლტის მოვლენის დადგომის შემთხვევაში.

დეფოლტის ალბათობა

დეფოლტის ალბათობის პარამეტრი ასახავს ინსტრუმენტის დეფოლტის დადგომის ალბათობას გარკვეული დროითი ჰორიზონტის განმავლობაში. იგი აფასებს იმის ალბათობას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაფარვას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დროზეა დამოკიდებულია (ანუ აქვს კონკრეტული ვადიანობის სტრუქტურა) და ვრცელდება ყველა მოქმედ (არადეფოლტირებულ) ხელშეკრულებაზე. მხედველობაში მიიღება კლიენტების სხვადასხვა სეგმენტის სპეციფიკური ხასიათი, რომლებისთვისაც დეფოლტის ალბათობა განისაზღვრება, ასევე უნიკალური მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ მათ მიდრეკილებას დეფოლტისკენ და დეფოლტის ალბათობა მოდელირდება სხვადასხვაგვარად საცალო და მიკრო სეგმენტებისა და კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტებისთვის. დეფოლტის ალბათობის შეფასების მიდგომა ასევე დიფერენცირებულია სხვადასხვა დროითი ჰორიზონტისთვის და დამატებით კორექტირდება ამ პერიოდისთვის პროგნოზირებული მაკროეკონომიკური ცვლადების მოსალოდნელი გავლენის მიხედვით (იხილეთ „საპროგნოზო ინფორმაციის“ თავი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაში მაკროეკონომიკური მოლოდინების ჩართვის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის). საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირება დეფოლტის ალბათობაზე გამოიყენება სამწლიანი პერიოდისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკურ პროგნოზებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა შეიძლება უფრო ხანგრძლივ დროით ჰორიზონტს მოიცავდეს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა გამოიყენება: 12-თვიანი და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა. არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის ალბათობის შეფასებას და იგი წარმოადგენს 12-თვიანი ზღვრული დეფოლტის ალბათობების ჯამს ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში. ჯგუფი დეფოლტის ალბათობის მოდელისთვის, როგორც წესი, მიმართავს რაოდენობაზე დაყრდნობილ მიდგომას, თუმცა არაერთგვაროვანი პორტფელების შემთხვევაში გამოიყენება რისკით შეწონილი მიდგომა. ჯგუფი იყენებს სხვადასხვა სტატისტიკურ მეთოდს, როგორიცაა 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ექსტრაპოლაცია მიგრაციის მატრიცების საფუძველზე, არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის მრუდის შედგენა დეფოლტის ისტორიული მონაცემების საფუძველზე და გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის თანდათანობითი თანხვედრა დეფოლტის გრძელვადიან მაჩვენებელთან.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში

დეფოლტის შემთხვევაში ზარალის პარამეტრი წარმოადგენს კრედიტის მოცულობის წილს, რომელიც სამუდამოდ (აუნაზღაურებლად) დაიკარგება, თუ მსესხებელი აღმოჩნდება დეფოლტის სიტუაციაში. რაც შეეხება პირველი სტადიისა და მეორე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტებს, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ფასდება თითოეული პერიოდისთვის ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე და ასახავს მოსალოდნელი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს ამ პერიოდისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის თარიღის შემდეგ. რაც შეეხება მესამე სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტებს, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს საანგარიშგებო თარიღისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ამ ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასება განსხვავდება კონტრაჰენტის ტიპის, სეგმენტის, პროდუქტის ტიპის, სეკურიტიზაციის დონის, არსებული ემპირიული მონაცემების და პორტფელის გაყიდვების მიხედვით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის ზოგადი შეფასების პროცესი, რომელსაც ჯგუფი იყენებს, ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ კრედიტის დეფოლტის შემდეგ ორი ურთიერთგამომრიცხავი სცენარი შესაძლებელია. არგაყიდვის სცენარი – კრედიტი ან ტოვებს დეფოლტის მდგომარეობას (გამოსწორების სცენარი) ან არ ტოვებს დეფოლტის მდგომარეობას და დაექვემდებარება ამოღების პროცესს (არგამოსწორების სცენარი); გაყიდვის სცენარი – კრედიტი იყიდება. კრედიტის გაყიდვის ალბათობა, გამოსწორების ალბათობა და გამოსწორებული კრედიტის კვლავ დეფოლტის მდგომარეობაში აღმოჩენის ალბათობა – ყველა მათგანი განისაზღვრება წინასწარი შეფასების პროცესში. რისკის პარამეტრები, რომლებიც ორივე ქვესცენარს ეხება, ანუ გამოსწორების და ამოღების მაჩვენებლები, ფასდება მიგრაციის მატრიცების მიდგომით, სადაც გაყიდვის ალბათობა განისაზღვრება ექსპერტის განსჯის საფუძველზე, სანამ არ მოგროვდება

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

სტატისტიკური შეფასებისთვის საკმარისი მონაცემები. ჯგუფი დეფოლტის შემთხვევაში ზარალის თითოეული პორტფელისთვის განსაზღვრავს ამოღების დროის მონაკვეთს გაუყიდავი კრედიტებისთვის და მაქსიმალურ პერიოდს გასაყიდი კრედიტებისთვის (რომელიც განისაზღვრება გაყიდვის საშუალო ვადის მიხედვით), რის შემდეგაც არსებითი ამოღებები აღარ არის ნავარაუდევი. თანხების ამოღების ვადა განისაზღვრება მონაცემების ანალიზით და ექსპერტის განსჯით. გარკვეული პორტფელებისთვის, ზოგადი მიდგომის ალტერნატიული ვერსიები შეიძლება იქნეს გამოყენებული ემპირიული მონაცემების შეზღუდულობის გამო. მნიშვნელოვანი კორპორაციული კრედიტების შემთხვევაში, ჯგუფი მიმართავს დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მოდელირების მეთოდს, რომელიც ეყრდნობა ისტორიული დეფოლტებიდან რეალიზებულ ამოღებებს, დაკორექტირებულს ინდივიდუალურად შეფასებული, დეფოლტის სიტუაციაში მყოფი კრედიტების სამომავლო ამოღებების აპროქსიმაციით. მცირე და საშუალო საწარმოებისა და არამნიშვნელოვანი კორპორაციული მსესხებლების დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მოდელირების მიზნით, ჯგუფი აფასებს უზრუნველყოფის საგნის ანაზღაურებად ღირებულებას და უშვებს, რომ ფულადი სახსრების ამოღება არ არის მოსალოდნელი. უზრუნველყოფის საგნიდან ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად ჯგუფი იყენებს შესაბამის შემცირებას, რომელიც განისაზღვრება უზრუნველყოფის სხვადასხვა ტიპისთვის და ახდენს მათ დისკონტირებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთით რეალიზაციის პერიოდზე. გარდა ამისა, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ისტორიული მონაცემების მონაკვეთი უნდა გამოიყენოს ამოღებების მოდელირებისთვის.

საპროგნოზო ინფორმაცია

მიუკერძოებელი, ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოითხოვს მასში გონივრული დანახარჯით ან ძალისხმევით მოპოვებული საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვას. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის, ჯგუფი სამ მაკრო სცენარს განსაზღვრავს. სცენარები განისაზღვრება, როგორც ეკონომიკის მდგომარეობის საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო), ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი) და პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი) სცენარები. საბაზისო მაკროეკონომიკური სცენარის მისაღებად, ჯგუფი ითვალისწინებს პროგნოზებს სხვადასხვა გარე წყაროდან – საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები – რათა უზრუნველყოს ზოგად საბაზრო მოლოდინებთან მისადაგება. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები განისაზღვრება ჯგუფის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემით.

ჯგუფი იყენებს სტატისტიკურ მოდელებს და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის ისტორიულ ურთიერთქმედებას და დეფოლტზე დაკვირვებებს, რათა გააკეთოს საპროგნოზო კორექტირებები. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოდელები არ იძლევა გონივრულ შედეგებს სტატისტიკური ან ბიზნესის თვალსაზრისით, ჯგუფმა შეიძლება გამოიყენოს ექსპერტის განსჯა ან მიმართოს ალტერნატიულ მეთოდს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი სტატისტიკურ მოდელებზე დაყრდნობით აკეთებს საპროგნოზო კორექტირებებს ყველა სეგმენტში, კორპორაციულის გარდა. კორპორაციულ სეგმენტში, იმის გამო, რომ სტატისტიკური მოდელები უმნიშვნელოა, ჯგუფი არ მიმართავს საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებას. საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს მიენიჭა 50%, 25% და 25% ალბათობა, შესაბამისად.

საპროგნოზო ინფორმაცია ჩართულია საცალო და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პორტფელების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ შეფასებაში და ინდივიდუალურად შეფასებულ დავალიანებებში.

მოდელის მართვა და გადამოწმება

ჯგუფი რეგულარულად გადაამოწმებს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს, რომ შეამციროს ყოველგვარი სხვაობა წინასწარ შეფასებულ და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. ასეთი უკუტესტირება (რეტროპოლაციის ჩათვლით) ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. უკუტესტირების პროცესის ფარგლებში ჯგუფი აფასებს რისკის პარამეტრების ფაქტობრივ რეალიზაციას და მათ შესაბამისობას მოდელის წინასწარ შეფასებებთან. გარდა ამისა, უკუტესტირების პროცესში ასევე ხდება სტადიებად დაყოფის კრიტერიუმების გაანალიზება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის ხელმძღვანელობას და, უფლებამოსილ

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

პირებს შორის შემდგარი განხილვების შედეგად, მოდელების და დაშვებების დასახვეწი შემდგომი ნაბიჯები განისაზღვრება.

რისკის მართვა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაუფასურების მოდელები შემუშავდა შიდა საკრედიტო რისკის მართვის განყოფილების მიერ გარე კონსულტანტების მონაწილეობით. განყოფილება მოდელების მეშვეობით ყოველთვიურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ისინი ასევე პასუხისმგებლები არიან მოდელის უკუტესტირებაზე, ანალიზსა და მართვაზე.

ეკონომიკურ სცენარებს და ალბათობის წონებს ამზადებს მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებული ყველა დაშვება, მოდელირების შემდგომი კორექტირებებისა და მოდელირებული შედეგის ზრდის ჩათვლით, გადის შემოწმებისა და დამტკიცების პროცესს:

- მთავარი ეკონომისტი გადაამოწმებს და ამტკიცებს საპროგნოზო სცენარებს და შესაბამის წონებს;
- შიდა რეზერვების კომიტეტი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გამოყენებული ვარაუდებისა და განსჯის მართებულობას, ასევე მოდელირების შემდგომ კორექტირებებს და მოდელირებული შედეგის ზრდას; შიდა კომიტეტში შედიან საწარმოს რისკის მართვის, პორტფელის საკრედიტო რისკის მართვის განყოფილებების უფროსები და რისკების მართვის დირექტორი, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შედეგებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.
- გამოთვლებში გამოყენებული მოდელები, ასევე უკუტესტირების პროცესი, მტკიცდება მოდელირების რისკის მართვის განყოფილების მიერ.

კლიმატის რისკი. ჯგუფის ყველაზე მსხვილი ოპერაციები თავს იყრის საქართველოში, შესაბამისად, ხელმძღვანელობა კლიმატის რისკის მიმოხილვას ახდენს საქართველოს პოზიციიდან. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში მოცემულია სხვადასხვა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებსაც თიბისი ბანკმა დააყრდნო პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების პოტენციური გავლენის განსაზღვრა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე. გარდამავლობის (მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის) რისკების და ფიზიკური (კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ფიზიკური გამოვლინებების) რისკების პოტენციური გავლენა რომ შევაჯამოთ, გარდამავლობის რისკები საქართველოში დაბალია, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი უკავია ვაჭრობას და მომსახურებას და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, საერთო ჯამში მცირე გავლენას მოახდენს ეკონომიკის სექტორებზე, განსაკუთრებით მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია ითვალისწინებს, რომ საქართველო გარდამავალი და მზარდი ეკონომიკა და ამიტომ სახელმწიფოს სტრატეგიაა არ დააბრკოლოს მშპ-ის ზრდა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებებით, არამედ, პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს უმტკივნეულო გადასვლას მწვანე ეკონომიკაზე. აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებზეც ყველაზე მეტად მოქმედებს გარდამავლობის რისკები მთელ მსოფლიოში, როგორიცაა ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის და ლითონის მადნების მოპოვება, კოქსის და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების წარმოება ძალიან შეზღუდულად არის საქართველოში წარმოდგენილი, რის გამოც გარდამავალი ღონისძიებების საერთო გავლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკურ ზრდაზე დაბალია. სასესხო პორტფელის კლიმატთან დაკავშირებული რისკების უკეთ გასააზრებლად ბანკმა ჩაატარა მაღალი დონის სექტორული რისკის შეფასება, ვინაიდან სხვადასხვა სექტორი შეიძლება მოწყვლადი იყოს კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის მიმართ სხვადასხვა დროით ჰორიზონტში; ამასთან ბანკმა ჩაატარა საკრედიტო პორტფელის სტრესული მდგომარეობის ტესტი კლიმატთან მიმართებით. სასესხო პორტფელის ვადიანობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ აქტივების უდიდესი ნაწილი განაწილებულია დროის მონაკვეთებზე, რომლებიც ბევრად უფრო ხანმოკლეა, ვიდრე დრო, რომლის განმავლობაშიც მატერიალიზდება კლიმატური ცვლილების გავლენები საქართველოში. ეს განსაკუთრებით ეხება ფიზიკურ რისკებს. აქედან გამომდინარე, ბანკს არ მოუხდენია უშუალოდ კლიმატის რისკთან დაკავშირებული რეზერვების დონის რამენაირი კორექტირება. მეორე მხრივ, კლიმატთან დაკავშირებული იმ რისკების გააზრება, რომლებსაც უფრო გრძელვადიანი

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

შედეგი აქვს, უნდა გაუმჯობესდეს მომდევნო წლებში, ამიტომ როდესაც ბანკს ექნება უფრო დამაჯერებელი ანალიზი, იგი კიდევ უფრო დახვეწავს მიდგომას კლიმატის რისკისთვის დარეზერვებისადმი. ამასთან დაკავშირებით, მოდელირების შემდგომი კორექტირებები ან მოდელირებული შედეგის ზრდა ბუღალტრულად არ გატარებულა 2024 წელს.

რისკის გეოგრაფიული კონცენტრაცია.

აქტივები, ვალდებულებები, საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტიები ზოგადად გეოგრაფიულ რეგიონებზე ნაწილდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში მდებარეობდა კონტრაჰენტი. ოფშორული კომპანიებისთვის გადასახდელი ან მათგან მისაღები მიმდინარე ნაშთები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება ქართულ კონტრაჰენტებს, გაერთიანებულია სათაურ „საქართველოს“ ქვეშ. ნაღდი ფული და შენობები და აღჭურვილობა განაწილებულია იმ ქვეყნის მიხედვით, რომლებშიც ისინი ფიზიკურად მდებარეობას.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია გეოგრაფიული კონცენტრაცია დაფუძნების ქვეყნის მიხედვით. ეთგოს და არა-ეთგოს რეზიდენტი მომხმარებლებისთვის, ასევე ქართველი მომხმარებლებისთვის, გადასახდელი სესხები და ავანსები გამოშვებულია იმ საწარმოებისთვის, რომელთა უმრავლესობაც მდებარეობს და საქმიანობს საქართველოში.

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ დაფუძნების ქვეყნების მიხედვით:

ათას ლარში	საქართველო	ეთგო	არა-ეთგო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,242,758	1,525,239	50,113	**2,818,110**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	9,223	10,907	23	**20,153**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	2,576,731	-	-	**2,576,731**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	23,464,645	439,607	283,092	**24,187,344**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,843,367	1,926,150	595,107	**5,364,624**
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	140,058	-	**140,058**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	429,435	-	3,226	**432,661**
სხვა ფინანსური აქტივები	269,809	126,301	29,895	**426,005**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**30,835,968**	**4,168,262**	**961,456**	**35,965,686**
არაფინანსური აქტივები	1,686,614	225	2,765	**1,689,604**
მთლიანი აქტივები	**32,522,582**	**4,168,487**	**964,221**	**37,655,290**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	3,975,766	2,724,140	616,726	**7,316,632**
მომხმარებელთა ანგარიშები	17,895,389	1,396,081	2,649,752	**21,941,222**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	109,141	-	-	**109,141**
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები	1,062,960	-	-	**1,062,960**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	288,140	85,624	141	**373,905**
საიჯარო ვალდებულებები	79,354	-	1,057	**80,411**
სუბორდინირებული ვალი	162,552	843,508	142,314	**1,148,374**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**23,573,302**	**5,049,353**	**3,409,990**	**32,032,645**
არაფინანსური ვალდებულებები	166,022	647	1,147	**167,816**
მთლიანი ვალდებულებები	**23,739,324**	**5,050,000**	**3,411,137**	**32,200,461**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**8,783,258**	**(881,513)**	**(2,446,916)**	**5,454,829**
ვალდებულების შესრულების გარანტია	1,434,295	471,593	85,499	**1,991,387**
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	612,776	1,309	1,106	**615,191**
გაცემული აკრედიტივები	242,967	-	1,180	**244,147**
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	557,239	1,149	2,676	**561,064**

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ დაფუძნების ქვეყნების მიხედვით:

ათას ლარში	საქართველო	ეთგო	არა-ეთგო	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,685,000	1,968,167	38,065	**3,691,232**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	10,661	446	28	**11,135**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	1,572,506	-	-	**1,572,506**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	20,328,591	338,835	291,106	**20,958,532**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,184,130	695,552	595,779	**3,475,461**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	363,303	-	7,492	**370,795**
სხვა ფინანსური აქტივები	254,599	25,236	2,026	**281,861**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**26,398,790**	**3,028,236**	**934,496**	**30,361,522**
არაფინანსური აქტივები	1,407,504	201	1,909	**1,409,614**
მთლიანი აქტივები	**27,806,294**	**3,028,437**	**936,405**	**31,771,136**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,696,854	1,997,341	652,756	**4,346,951**
მომხმარებელთა ანგარიშები	16,934,364	933,114	2,075,038	**19,942,516**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები*	712,546	-	3,255	**715,801**
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები*	548,284	-	-	**548,284**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	214,346	61,882	268	**276,496**
საიჯარო ვალდებულებები	82,482	-	928	**83,410**
სუბორდინირებული ვალი	153,323	578,675	136,732	**868,730**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**20,342,199**	**3,571,012**	**2,868,977**	**26,782,188**
არაფინანსური ვალდებულებები	237,602	683	2,954	**241,239**
მთლიანი ვალდებულებები	**20,579,801**	**3,571,695**	**2,871,931**	**27,023,427**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**7,226,493**	**(543,258)**	**(1,935,526)**	**4,747,709**
ვალდებულების შესრულების გარანტია	1,134,832	439,939	60,147	**1,634,918**
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	1,045,632	787	2,596	**1,049,015**
გაცემული აკრედიტივები	282,757	-	914	**283,671**
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	509,855	1,065	777	**511,697**

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადების იმერყეველებს ისეთი საბაზრო ფაქტორების ცვლილებების შედეგად, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსები და კაპიტალის ფასები. ხელმძღვანელობა აწესებს რისკის დასაშვები დონის ლიმიტებს რისკის იმ მოცულობაზე, რისი მიღებაც დასაშვებია და მისი მონიტორინგიც ხდება რეგულარულად. ეს ლიმიტები წარმოადგენს მარეგულირებლის მიერ დაწესებული ლიმიტების ზემოთ ბუფერებს და უზრუნველყოფს პოტენციური ზარალების წინასწარ დადგენას მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს იწვევს პოტენციური ცვლილება უცხოური ვალუტების გაცვლით კურსებში, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. რისკის მიზეზია ღია სავალუტო პოზიციები, რომლებიც წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობების გამო. სებ-ის მოთხოვნით, ბანკს ევალება ბალანსური და მთლიანი აგრეგირებული (გარებალანსურის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგი და ამ უკანასკნელის შენარჩუნება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტს დაწესებული აქვს რისკის დონის ლიმიტები ვალუტების მიხედვით და ასევე აგრეგირებული რისკის პოზიციების ლიმიტები, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის მიერ დაწესებული ლიმიტები. ბანკის მხრიდან ამ ლიმიტების დაცვა ყოველდღე კონტროლდება ხაზინის დეპარტამენტისა და ფინანსური რისკის მართვის განყოფილების უფროსების მიერ.

სავალუტო რისკის მართვა ხდება სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის სავალუტო კურსის რისკის მოცულობა ბალანსის თარიღისთვის. ღია სავალუტო პოზიციის მართვისას ჯგუფი მხედველობაში იღებს ანარიცხების იმ ნაწილს, რომლებიც გამოხატულია აშშ დოლარში, ევროში და სხვა ვალუტებში. სავალუტო სვოპ დეპოზიტების საერთო თანხა შესულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოყვანილი მთლიანი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ამოცნობა საბალანსო უწყისზე ან ლიკვიდურობის რისკის მართვის ცხრილებში შეუძლებელია, რადგან იქ წარმოდგენილია საერთო სავალუტო სვოპების წმინდა ოდენობა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *ათას ლარში*	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წარმოებული ინსტრუმენტები	ნეტო პოზიცია
ლარი	18,063,663	15,190,461	1,305,743	4,178,945
აშშ დოლარი	12,957,258	13,366,016	242,210	(166,548)
ევრო	4,829,498	3,323,537	(1,499,193)	6,768
სხვა	115,267	169,892	85,499	30,874
სულ	**35,965,686**	**32,049,906**	**134,259**	**4,050,039**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *ათას ლარში*	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წარმოებული ინსტრუმენტები	ნეტო პოზიცია
ლარი	15,308,291	13,003,203	1,404,462	3,709,550
აშშ დოლარი	10,221,224	11,037,953	684,157	(132,572)
ევრო	4,671,064	2,585,038	(2,114,187)	(28,161)
სხვა	160,943	177,054	27,257	11,146
სულ	**30,361,522**	**26,803,248**	**1,689**	**3,559,963**

აშშ დოლარის 15%-ით გამყარება (15%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს 2024 წელს 24,982 ათასი ლარით შეამცირებდა (გაზრდიდა 24,982 ათასი ლარით). ევროს 15%-ით გამყარება (15%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს გაზრდიდა 2024 წელს 1,015 ათასი ლარით (შეამცირებდა 1,015 ათასი ლარით).

აშშ დოლარის 15%-ით გამყარება (15%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს 2023 წელს 19,886 ათასი ლარით შეამცირებდა (გაზრდიდა 19,886 ათასი ლარით). ევროს 15%-ით გამყარება (15%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს შეამცირებდა 2023 წელს 4,224 ათასი ლარით (გაზრდიდა 4,224 ათასი ლარით).

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკს წარმოქმნის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილებები, რომლებსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს ფინანსური

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებაზე ან სამომავლო ფულად ნაკადებზე. ეს რისკი შეიძლება წარმოშვეს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობების, ასევე ამ აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების მახასიათებლების გამო.

ბანკის ანაბრების და სესხების უდიდესი ნაწილი ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთშია, ხოლო ბანკის ნასესხები სახსრების უმეტეს ნაწილს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი აქვს. გარდა ამისა, ბანკი აქტიურად იყენებს ცვლადი და კომბინირებული საპროცენტო განაკვეთის[1] სტრუქტურებს თავის სასესხო პორტფელში. საჭიროების შემთხვევაში ბანკი ასევე იყენებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტებს საპროცენტო განაკვეთის რისკის შესამცირებლად. გარდა ამისა, ბანკის მსესხებლებზე გაცემული სესხები შეიცავს პირობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, დააკორექტიროს სესხის საპროცენტო განაკვეთი საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო მერყეობის შემთხვევაში, რითაც მცირდება საპროცენტო განაკვეთის რისკი. ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჟები გონივრულ ბუფერს ქმნის საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო შესაძლო მერყეობის ეფექტის შესასუსტებლად.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად მიმართავს დახვეწილ სისტემას, რისთვისაც განსაზღვრავს რისკის სათანადო დასაშვებ დონეებს, ახდენს მათთან შესაბამისობის მონიტორინგს და ამზადებს პროგნოზებს. 2020 წლის სექტემბრიდან სებ-მა დანერგა რეგულაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ და დააწესა კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მგრძნობელობის ზღვარი სებ-ის პირველადი კაპიტალის 15%-ის ოდენობით. სებ-ის საპროცენტო განაკვეთის რისკის მეთოდოლოგიის მთავარი პრინციპები და დაშვებები შეესაბამება ბაზელის სტანდარტებს, რომლებიც შემუშავდა საპროცენტო განაკვეთის რისკი მართვის მიზნით.

სებ-ის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის პარალელური ცვლილების სცენარების მიხედვით ნარჩუნდება მონიტორინგის მიზნით, ხოლო კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მგრძნობელობა გამოითვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების 6 წინასწარ განსაზღვრული სტრესული სცენარის მიხედვით და ყველაზე უარესი სცენარის შედეგებისთვის გამოიყენება ლიმიტი.

საპროცენტო განაკვეთის რისკს მართავს ბალანსის მართვის განყოფილება და მონიტორინგს ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი, რომელიც განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთის რისკის ეფექტურად მართვისთვის საჭირო ნაბიჯებს და აკონტროლებს მათ განხორციელებას. ფინანსური რისკის მართვის განყოფილება პასუხისმგებელია პროცედურების, პოლიტიკის დოკუმენტაციის შემუშავებაზე, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრაზე საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის და შესაბამისი ანგარიშგების მთავარი ასპექტები პერიოდულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტს.

სებ-ის საპროცენტო განაკვეთის რისკის რეგულაციის და ბაზელის 2016 წლის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები თითოეული ვალუტისთვის 200 საბაზისო პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, მოგება იქნებოდა 14 მილიონი ლარის ეკვივალენტით ნაკლები, ძირითადად, შედარებით დახურული წმინდა საპროცენტო შემოსავლის გეპების და სებ-ში აშშ დოლარში განთავსებული სავალდებულო რეზერვების უფრო მაღალი ნაშთების შედეგად, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხება აღმავალი საპროცენტო განაკვეთის სცენარში (2023 წ.: 24 მილიონი ლარით მეტი). საბაზრო საპროცენტო განაკვეთები თითოეული ვალუტისთვის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 200 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ ყოფილიყო, ყველა სხვა ცვლადის მუდმივად შენარჩუნების შემთხვევაში, წლის მოგება იქნებოდა 11 მილიონი ლარით მაღალი, ძირითადად შედარებით დახურული წმინდა საპროცენტო შემოსავლის გეპების და სებ-ში აშშ დოლარში განთავსებული სავალდებულო რეზერვების უფრო მაღალი ნაშთების შედეგად, რომლებსაც დაღმავალი საპროცენტო განაკვეთის სცენარში ხარჯი არ ერიცხება, თუ საპროცენტო განაკვეთები არ გახდება უარყოფითი (2023 წ.: 42 მილიონი ლარით ნაკლები). გასულ წელთან შედარებით, 2024 წელს ორივე სცენარში ეფექტი უმნიშვნელო იყო შედარებით დახურული წმინდა საპროცენტო შემოსავლის გეპების გამო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, სხვა სრული შემოსავალი იქნებოდა 100 მილიონი ლარით მეტი (2023 წ.: 47.3 მილიონი ლარი), რისი მიზეზიც იქნებოდა ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და გამოსყიდული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულების ზრდა. 2024 წლის 31

[1] კომბინირებული საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია წინასწარ შეთანხმებული ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ ცვლადი საპროცენტო განაკვეთით ჩანაცვლდება.

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, სხვა სრული შემოსავალი იქნებოდა 100 მილიონი ლარით ნაკლები (2023 წ.: 47.3 მილიონი ლარი), რისი მიზეზიც იქნებოდა ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სამართლიანი ღირებულების შემცირება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ თიბისი ბანკს ან არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი, რომ დაფაროს ყველა თავისი ვალდებულება ვადის დადგომისას, ან შეუძლია ამ რესურსებზე წვდომა მხოლოდ მაღალი ხარჯით. რისკს მართავენ ბალანსის მართვისა და ხაზინის დეპარტამენტები და მონიტორინგს უწევს აქტივებისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი, თავიანთი წინასწარ განსაზღვრული მოვალეობების ფარგლებში. ფინანსური რისკის მართვის განყოფილება პასუხისმგებელია პროცედურების, პოლიტიკის დოკუმენტაციის შემუშავებაზე, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრაზე დაფინანსების და საბაზრო ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის. ამასთან, ფინანსური რისკის მართვის განყოფილება რეგულარულად აფასებს ლიკვიდურობის რისკს და შეფასების შედეგებს ამცნობს დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტს.

თიბისი ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მთავარი ამოცანებია: (i) უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა, რათა დააკმაყოფილოს მთლიანი ვალდებულებების ან გარებალანსური ვალდებულებებისგან წარმომდგარი მოთხოვნები, როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითი, ეკონომიკურ ფასად; (ii) აღიაროს ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობა, რომელიც არსებობს თიბისი ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და დააწესოს მონიტორინგის კოეფიციენტები, რათა მართოს დაფინანსება კარგად დაბალანსებული ზრდის შესაბამისად; და (iii) მოახდინოს ლიკვიდურობის და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს, რომ ბიზნესის დამტკიცებული მიზნები სრულდება ბანკის რისკის პროფილისათვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკი იყოფა რისკის ორ ტიპად: დაფინანსების ლიკვიდურობის რისკი და საბაზრო ლიკვიდურობის რისკი.

დაფინანსების ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ თიბისი ვერ შეძლებს ეფექტურად დააკმაყოფილოს როგორც მოსალოდნელი, ისე მოულოდნელი მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის საჭიროება ისე, რომ ამან უარყოფითად არ იმოქმედოს მის ყოველდღიურ ოპერაციებზე ან მის ფინანსურ მდგომარეობაზე. დაფინანსების ლიკვიდურობის რისკის სამართავად ბანკი იყენებს ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტს და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს, რომლებიც განისაზღვრება ბაზელ III-ის შესაბამისად და ზუსტდება სებ-ის მიერ. გარდა ამისა, ბანკი ატარებს სტრესული მდგომარეობის ტესტებს და სავარაუდო სცენარების ანალიზს. სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტები წესდება ვალუტების მიხედვით (ლარი, უცხოური ვალუტა, მთლიანი). თიბისი სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტების შესაბამისობის მონიტორინგს ყოველდღიურად ახდენს. ბანკიც ყოველთვიურად ამოწმებს შესაბამისობას სებ-ის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის დაწესებულ ლიმიტთან.

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის დახმარებით ხდება მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკების მართვა. ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა მოწყობილია ისე, რომ საფუძვლიანად მოახდინოს აქტივებიდან, ვალდებულებებიდან და გარესაბალანსო მუხლებიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების საფუძვლიანი პროგნოზირებისთვის დროის გარკვეული მონაკვეთისთვის და უზრუნველყოს, რომ სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტები ყოველდღიურად კმაყოფილდებოდეს.

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკის სამართავად, რათა ხელი შეუწყოს მდგრადობას უფრო ხანგრძლივი დროითი ჰორიზონტის განმავლობაში, რისთვისაც თიბისი ბანკისთვის ქმნის დამატებით სტიმულებს, რომ ეს უკანასკნელი უწყვეტად დაეყრდნოს დაფინანსების უფრო სტაბილურ წყაროებს. ბანკი ასევე ახდენს დეპოზიტების კონცენტრაციის მონიტორინგს მსხვილი დეპოზიტებისთვის და აწესებს ლიმიტებს არაქართველი რეზიდენტების დეპოზიტების წილისთვის დეპოზიტების მთლიან პორტფელში.

ბანკი ეყრდნობა შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების მთავარ წყაროს. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს და კიდევ უფრო გაამყაროს ვალდებულებების სტრუქტურა, „თიბისი ბანკი“ აწესებს მიზნობრივ მაჩვენებლებს დეპოზიტებისთვის და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების დაფინანსებისთვის ბანკის რისკის დასაშვები დონის ფარგლებში.

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ბანკის ლიკვიდურობის პოზიცია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მძლავრი იყო, როგორც ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი, ისე წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, აღემატებოდა სებ-ის მინიმალურ 100%-იან მოთხოვნებს.

ვადიანობის ანალიზი. ქვემოთ, ცხრილში, შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადახდები შეტყობინებისთანავე აღირიცხება ისე, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. თუმცა ჯგუფი მოელის, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ჯგუფს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ჯგუფის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,092,984	983,942	2,644,733	129,029	**7,850,688**
მომხმარებელთა ანგარიშები – ფიზიკური პირები	8,203,918	2,636,804	699,565	37,905	**11,578,192**
მომხმარებელთა ანგარიშები – სხვა	8,558,454	540,630	1,781,545	93,607	**10,974,236**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	302,272	39,726	9,904	-	**351,902**
საიჯარო ვალდებულებები	12,682	30,256	88,062	18,362	**149,362**
სუბორდინირებული ვალი	31,157	84,183	659,124	1,118,968	**1,893,432**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,851	8,543	98,486	19,302	**129,182**
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები	9,364	95,695	420,233	1,052,814	**1,578,106**
სავალუტო ფორვარდები და სვოპები:					
– შემოდინება	(2,576,849)	(1,203,747)	(127,834)	-	**(3,908,430)**
– გადინება	2,632,675	1,234,019	134,912	-	**4,001,606**
ვალდებულების შესრულების გარანტია	2,027,985	-	-	-	**2,027,985**
ფინანსური გარანტიები	566,230	-	-	-	**566,230**
აკრედიტივები	121,989	143,145	15,199	-	**280,333**
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	615,191	-	-	-	**615,191**
მთლიანი პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსური ვალდებულებებისთვის	**24,600,903**	**4,593,196**	**6,423,929**	**2,469,987**	**38,088,015**

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,025,151	614,741	2,111,466	158,151	**4,909,509**
მომხმარებელთა ანგარიშები – ფიზიკური პირები	6,837,847	2,316,324	770,225	94,784	**10,019,180**
მომხმარებელთა ანგარიშები – სხვა	8,502,324	519,089	1,121,045	190,490	**10,332,948**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	249,622	9,957	16,917	-	**276,496**
საიჯარო ვალდებულებები	10,108	23,951	80,264	22,019	**136,342**
სუბორდინირებული ვალი	15,219	71,053	618,564	696,276	**1,401,112**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები*	3,002	643,448	100,104	20,147	**766,701**
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები*	8,970	45,193	216,650	537,880	**808,693**
სავალუტო ფორვარდები და სვოპები:					
– შემოდინება	(2,636,719)	(165,372)	(213,640)	-	**(3,015,731)**
– გადინება	2,681,271	167,390	229,544	-	**3,078,205**
ვალდებულების შესრულების გარანტია	1,692,739	-	-	-	**1,692,739**
ფინანსური გარანტიები	516,119	-	-	-	**516,119**
აკრედიტივები	135,347	164,018	11,118	-	**310,483**
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	1,049,014	-	-	-	**1,049,014**
მთლიანი პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსური ვალდებულებებისთვის	**21,090,014**	**4,409,792**	**5,062,257**	**1,719,747**	**32,281,810**

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულების ანალიზის გეპი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში. შესაბამისად, ცხრილში არ არის ასახული ხელმძღვანელობის მოლოდინები ფულის ფაქტობრივ გადინებებთან დაკავშირებით.

მომხმარებელთა ანგარიშებში შესული ვადიანი ანაბრები კლასიფიცირებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ ანაბრები გაიტანონ ვადაზე ადრე, თუ ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად დათმობენ თავიანთ უფლებას დარიცხულ პროცენტზე, ხოლო ჯგუფი ვალდებულია გადაიხადოს ასეთი ანაბრები მეანაბრის მოთხოვნისთანავე. ბანკის ანაბრების შენარჩუნების ისტორიიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ბევრი მომხმარებელი მოითხოვს ანაბრის გადახდას უადრესი თარიღით.

ჯგუფი არ იყენებს ზემოაღნიშნულ არადისკონტირებულ ვადიანობის ანალიზს, რომ მართოს ლიკვიდურობა, ვინაიდან იგი ასახავს მხოლოდ სახელშეკრულებო ვადებს და უგულებელყოფს ინსტრუმენტების მოსალოდნელ ფაქტობრივ ქცევას. ამის ნაცვლად ჯგუფი ახდენს ლიკვიდურობის გეპის ანალიზის მონიტორინგს მოსალოდნელი ვადების მიხედვით. კერძოდ, მოსალოდნელი ვადების შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია მოიცავს მომხმარებელთა ანაბრებს და პირობით ვალდებულებებს მათი ქცევის ანალიზის მიხედვით, ხოლო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გაცხადების მიზნით, მოთხოვნამდე ანაბრები მიკუთვნებულია „მოთხოვნამდე“ დროის მონაკვეთისთვის.

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური აქტივების მოსალოდნელი ვადების მიხედვით ანალიზი ასე გამოიყურება:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,818,110	-	-	-	**2,818,110**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	8,595	10,910	648	**20,153**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	2,576,731	-	-	-	**2,576,731**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	2,423,040	4,480,304	10,608,623	6,675,377	**24,187,344**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5,364,624	-	-	-	**5,364,624**
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	140,058	-	-	**140,058**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	59,723	92,320	216,006	64,612	**432,661**
სხვა ფინანსური აქტივები	354,773	55,015	16,217	-	**426,005**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**13,597,001**	**4,776,292**	**10,851,756**	**6,740,637**	**35,965,686**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური აქტივების მოსალოდნელი ვადების მიხედვით ანალიზი ასე გამოიყურება:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,691,232	-	-	-	**3,691,232**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	10,029	446	-	660	**11,135**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	1,572,506	-	-	-	**1,572,506**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,901,522	4,065,620	8,610,524	6,380,866	**20,958,532**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები*	3,475,461	-	-	-	**3,475,461**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	48,516	75,836	192,381	54,062	**370,795**
სხვა ფინანსური აქტივები	242,829	36,720	2,312	-	**281,861**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**10,942,095**	**4,178,622**	**8,805,217**	**6,435,588**	**30,361,522**

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი ვადების მიხედვით ანალიზი ასე გამოიყურება:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,818,110	-	-	**2,818,110**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	8,595	11,558	**20,153**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	2,576,731	-	-	**2,576,731**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	2,423,040	4,480,304	17,284,000	**24,187,344**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5,364,624	-	-	**5,364,624**
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	140,058	-	**140,058**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	59,723	92,320	280,618	**432,661**
სხვა ფინანსური აქტივები	354,773	55,015	16,217	**426,005**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**13,597,001**	**4,776,292**	**17,592,393**	**35,965,686**
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,060,929	802,585	2,453,118	**7,316,632**
მომხმარებელთა ანგარიშები	1,667,533	175,530	20,098,159	**21,941,222**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,801	7,947	98,393	**109,141**
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები	9,279	90,240	963,441	**1,062,960**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	324,275	39,726	9,904	**373,905**
საიჯარო ვალდებულებები	7,608	16,116	56,687	**80,411**
სუბორდინირებული ვალი	21,853	8,591	1,117,930	**1,148,374**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**6,094,278**	**1,140,735**	**24,797,632**	**32,032,645**
წმინდა ლიკვიდურობის გეპი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,502,723**	**3,635,557**	**(7,205,239)**	**3,933,041**
კუმულაციური გეპი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,502,723**	**11,138,280**	**3,933,041**	

35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი ვადების მიხედვით ანალიზი ასე გამოიყურება:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,691,232	-	-	**3,691,232**
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	10,029	446	660	**11,135**
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	1,572,506	-	-	**1,572,506**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,901,522	4,065,620	14,991,390	**20,958,532**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	3,475,461	-	-	**3,475,461**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	48,516	75,836	246,443	**370,795**
სხვა ფინანსური აქტივები	242,829	36,720	2,312	**281,861**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**10,942,095**	**4,178,622**	**15,240,805**	**30,361,522**
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,002,664	461,016	1,883,271	**4,346,951**
მომხმარებელთა ანგარიშები	1,651,240	257,259	18,034,017	**19,942,516**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები*	2,933	623,991	88,877	**715,801**
დამატებითი პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული თამასუქები*	8,886	352,118	187,280	**548,284**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	249,622	9,956	16,918	**276,496**
საიჯარო ვალდებულებები	6,944	14,539	61,927	**83,410**
სუბორდინირებული ვალი	7,164	8,298	853,268	**868,730**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**3,929,453**	**1,727,177**	**21,125,558**	**26,782,188**
წმინდა ლიკვიდურობის გეპი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,012,642**	**2,451,445**	**(5,884,753)**	**3,579,334**
კუმულაციური გეპი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,012,642**	**9,464,087**	**3,579,334**	

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ხარისხისა და აღქმადობის გასაუმჯობესებლად, ჯგუფმა გადახედა ანგარიშგების ამ მუხლების წარდგენას. დამატებითი დეტალები მე-2 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფს საკმარისი ლიკვიდურობა აქვს, რომ დააკმაყოფილოს თავისი მიმდინარე და ბალანსური და გარებალანსური ვალდებულებები.

36. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული და მარეგულირებელი გარემოებები. ასეთ გარემოებებთან დაკავშირებით რეზერვის დონის ან ფინანსურ ანგარიშგებაში გასაცხადებელი თანხის (რომელიც დარეზერვებას არ ექვემდებარება) განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, როგორც შიდა, ისე გარე პროფესიონალების აზრს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული რეზერვი საკმარისია და თანხის (რომელიც არ ექვემდებარება დარეზერვებას) განცხადება საჭირო არ არის, ვინაიდან მას არ ექნება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომავალი ოპერაციების შედეგებზე არსებითი უარყოფითი გავლენა.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს და აზერბაიჯანის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. აზერბაიჯანში საგადასახადო მიმოხილვის ხუთი წინა კალენდარული წლის პერიოდები შესამოწმებლად ღია რჩება საგადასახადო ორგანოებისთვის. საქართველოში საგადასახადო შემოწმების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია. ამ რისკების სამართავად ჯგუფმა დაიქირავა გარე საგადასახადო სპეციალისტები, რომლებიც ახდენენ ჯგუფის საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის პერიოდულ შემოწმებას. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და რომ ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო სტატუსი არსებითად უცვლელი დარჩება.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. ჯგუფს ევალება გარკვეული ფინანსური და არაფინანსური სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირითადად მის ნასესხებ სახსრებს უკავშირდება. ყველა ეს ნასესხები სახსრები ექვემდებარება სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ჯგუფი მათ ყოველთვის უნდა აკმაყოფილებდეს. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობამ შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს ჯგუფისთვის, სავალდებულო წინასწარგადახდის და დეფოლტის გამოცხადების ჩათვლით. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ასრულებდა ყველა ვალდებულებას.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები ძირითადად სამ მთავარ ქვეკატეგორიად იყოფა: ქვემოთ მოყვანილია თითოეული კატეგორიის მთავარი პირობები და მათი შესრულების სტატუსი:

პირობის აღწერა	სტატუსი
ლიკვიდურობა	
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)	შესრულებული
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR)	შესრულებული
წმინდა სესხის დეპოზიტთან თანაფარდობის და დაფინანსების კოეფიციენტი	შესრულებული
კაპიტალის ადეკვატურობა	
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	შესრულებული
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	შესრულებული
აქტივის ხარისხი	
წმინდა პრობლემური სესხების მთლიან კაპიტალთან თანაფარდობა	შესრულებული
90 დღით ვადაგადაცილებული სესხების თანაფარდობა მთლიან სასესხო პორტფელთან	შესრულებული
წმინდა პრობლემური აქტივების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან	შესრულებული

ჯგუფი ეწევა ყველა ფინანსური ვალდებულების პოტენციური დარღვევის რისკების მონიტორინგს.

36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება

კაპიტალის მართვა. ბანკი კაპიტალის მოთხოვნებს მართავს მარეგულირებლის წესების შესაბამისად. 2024 წლისა და 2023 წლისთვის ბანკი აკმაყოფილებდა მის მიმართ არსებულ ყველა კაპიტალის მოთხოვნას. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი შიდა ინფორმაციის მიხედვით, კაპიტალის ოდენობა, რომელსაც ბანკი მართავდა (ბანკის მთლიანი საკუთარი კაპიტალი, კორექტირებული მარეგულირებლის შესწორებების მიხედვით), იყო 4,843,167 ათასი ლარი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2023 წ.: 4,235,033 ათასი ლარი), სავალდებულო პირველადი კაპიტალი შეადგენს 5,895,717 ათას ლარს (2023 წ.: 4,772,913 ათასი ლარი), ხოლო მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი – 6,861,963 ათას ლარს (2023 წ.: 5,374,301 ათასი ლარი).

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. ამ ინსტრუმენტების მთავარი მიზანი არის იმის უზრუნველყოფა, რომ ფულადი სახსრები მოთხოვნისთანავე ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებლისთვის. ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივები წარმოადგენს ჯგუფის მიერ გადახდების განხორციელების შეუქცევად რწმუნებას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულების შესრულებას მესამე პირებისადმი. ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორისაც - სესხები. დოკუმენტირებული და კომერციული აკრედიტივები, რომლებზეც გარანტიას ჯგუფი გასცემს მომხმარებლის სახელით, რაც მესამე მხარეს უფლებას აძლევს, მოთხოვნები წაუყენოს ჯგუფს გარკვეულ თანხამდე გარკვეული პირობებით, უზრუნველყოფილია შესაბამისი საქონლის მიწოდებით, რომლებსაც ისინი უკავშირდება, ან ფულადი დეპოზიტებით და ამიტომ ახასიათებთ უფრო დაბალი რისკი, ვიდრე პირდაპირ ნასესხებ სახსრებს.

კრედიტის გაგრძელების ვალდებულება წარმოადგენს კრედიტის ვადის გაგრძელების ნებართვების აუთვისებელ ნაწილს სესხების, გარანტიებისა თუ აკრედიტივების სახით. კრედიტის გაცემის ვალდებულებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკების დროს ჯგუფს აქვს პოტენციური დანაკარგები მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ოდენობით. თუმცა, დანაკარგების სავარაუდო ოდენობა ნაკლებია გამოუყენებელი ვალდებულებების მთლიან ოდენობაზე, რადგან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმეტესობა არის პირობითი და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებენ კლიენტები კონკრეტულ საკრედიტო სტანდარტებს. ჯგუფი ახდენს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების ვადების მონიტორინგს, რადგან უფრო ხანგრძლივი ვადის მქონე ვალდებულებებს, როგორც წესი, უფრო მაღალი საკრედიტო რისკი აქვთ, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სტადიებად წარმოდგენილი დაუფარავი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	1-ელი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	587,473	22,296	5,422
გაცემული აკრედიტივები	244,147	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	558,990	2,001	73
მთლიანი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები (დარეზერვებამდე)	**1,390,610**	**24,297**	**5,495**
საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის			
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	(1,662)	(146)	-
გაცემული აკრედიტივები	(327)	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	(762)	-	-
საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის	**(2,751)**	**(146)**	**-**
საკრედიტო ხასიათის მთლიანი ვალდებულებები	**1,387,859**	**24,151**	**5,495**

36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სტადიებად წარმოდგენილი დაუფარავი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	1-ელი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	1,031,588	13,388	4,039
გაცემული აკრედიტივები	283,671	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	509,835	1,139	723
მთლიანი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები (დარეზერვებამდე)	**1,825,094**	**14,527**	**4,762**
საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის			
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	(1,268)	(219)	-
გაცემული აკრედიტივები	(428)	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	(783)	-	-
საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის	**(2,479)**	**(219)**	**-**
საკრედიტო ხასიათის მთლიანი ვალდებულებები	**1,822,615**	**14,308**	**4,762**

36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება

პირობითი ვალდებულებების საკრედიტო ხარისხი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2024 წ.			
ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	545,410	890	-	**546,300**
– დაბალი	37,283	15,650	-	**52,933**
– საშუალო	4,779	4,811	-	**9,590**
– მაღალი	1	945	-	**946**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	5,422	**5,422**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**587,473**	**22,296**	**5,422**	**615,191**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	**(1,662)**	**(146)**	**-**	**(1,808)**
გაცემული აკრედიტივების რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	244,147	-	-	**244,147**
– დაბალი	-	-	-	**-**
– საშუალო	-	-	-	**-**
– მაღალი	-	-	-	**-**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	-	**-**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**244,147**	**-**	**-**	**244,147**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	**(327)**	**-**	**-**	**(327)**
გაცემული ფინანსური გარანტიების რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	558,463	-	-	**558,463**
– დაბალი	406	1,735	-	**2,141**
– საშუალო	121	266	-	**387**
– მაღალი	-	-	-	**-**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	73	**73**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**558,990**	**2,001**	**73**	**561,064**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	**(762)**	**-**	**-**	**(762)**

36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება

პირობითი ვალდებულებების საკრედიტო ხარისხი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2023 წ.			
ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
აუთვისებელი საკრედიტო ხაზების რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	978,851	3,999	-	**982,850**
– დაბალი	48,596	4,454	-	**53,050**
– საშუალო	4,140	3,895	-	**8,035**
– მაღალი	1	1,040	-	**1,041**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	4,039	**4,039**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**1,031,588**	**13,388**	**4,039**	**1,049,015**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	**(1,268)**	**(219)**	**-**	**(1,487)**
გაცემული აკრედიტივების რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	283,671	-	-	**283,671**
– დაბალი	-	-	-	**-**
– საშუალო	-	-	-	**-**
– მაღალი	-	-	-	**-**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	-	**-**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**283,671**	**-**	**-**	**283,671**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	**(428)**	**-**	**-**	**(428)**
გაცემული ფინანსური გარანტიების რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	508,916	-	-	**508,916**
– დაბალი	891	1,139	-	**2,030**
– საშუალო	28	-	-	**28**
– მაღალი	-	-	-	**-**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	723	**723**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**509,835**	**1,139**	**723**	**511,697**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	**(783)**	**-**	**-**	**(783)**

აუთვისებელი საკრედიტო ხაზების, აკრედიტივების და გარანტიების მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო თანხა ყოველთვის არ წარმოადგენს სამომავლო ფულადი ნაკადების მოთხოვნებს, ვინაიდან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებს შეიძლება ვადა ამოეწუროს ან შეწყდეს დაფინანსების გარეშე. არაგაუქმებადი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 234,369 ათას ლარს (2023 წ.: 293,278 ათასი ლარი).

36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება

ვალდებულების შესრულების გარანტია. ვალდებულების შესრულების გარანტია არის კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სტადიებად წარმოდგენილი დაუფარავი ვალდებულების შესრულების გარანტიები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	1-ელი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია
დაუფარავი თანხა	1,968,627	18,617	4,143
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,705)	(9)	(2,389)
ვალდებულების შესრულების მთლიანი გარანტია	**1,965,922**	**18,608**	**1,754**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სტადიებად წარმოდგენილი დაუფარავი ვალდებულების შესრულების გარანტიები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	1-ელი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია
დაუფარავი თანხა	1,602,884	2,804	29,230
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,462)	(7)	(6,126)
ვალდებულების შესრულების მთლიანი გარანტია	**1,600,422**	**2,797**	**23,104**

ფინანსური გარანტიების საკრედიტო ხარისხი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
ვალდებულების შესრულების გარანტიის რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	1,958,091	-	-	**1,958,091**
– დაბალი	9,237	13,754	-	**22,991**
– საშუალო	1,299	4,838	-	**6,137**
– მაღალი	-	25	-	**25**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	4,143	**4,143**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**1,968,627**	**18,617**	**4,143**	**1,991,387**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	**(2,705)**	**(9)**	**(2,389)**	**(5,103)**

36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება

ფინანსური გარანტიების საკრედიტო ხარისხი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	სულ
ვალდებულების შესრულების გარანტიის რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	1,584,657	-	-	**1,584,657**
– დაბალი	18,152	1,411	-	**19,563**
– საშუალო	75	1,393	-	**1,468**
– მაღალი	-	-	-	**-**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	29,230	**29,230**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**1,602,884**	**2,804**	**29,230**	**1,634,918**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	**(2,462)**	**(7)**	**(6,126)**	**(8,595)**

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება იყო 2,897 ათასი ლარი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2023 წ.: 2,698 ათასი ლარი).

მთლიანი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტიები შემდეგნაირად არის გამოხატული ვალუტებში:

ათას ლარში	2024	2023
ლარი	1,736,983	1,681,587
აშშ დოლარი	1,025,856	1,138,414
ევრო	546,678	569,022
სხვა	102,272	90,278
სულ	**3,411,789**	**3,479,301**

კაპიტალური დანახარჯის ვალდებულებები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულება 123,044 ათასი ლარის ოდენობით (2023 წ.: 91,056 ათასი ლარი). მთლიანი თანხიდან 2024 წლის 31 დეკემბრისთვის სათაო ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებები შეადგენდა 50,414 ათას ლარს (2023 წ.: 54,348 ათასი ლარი).

37. არამაკონტროლებელი წილი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია ინფორმაცია არამაკონტროლებელი წილის მქონე თითოეულ შვილობილ საწარმოზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	არამაკონტროლებელი პაკეტის ხმის უფლების მქონე აქციების წილი	არამაკონტროლებელი წილისთვის მიკუთვნებადი მოგება	დაგროვილი არამაკონტროლებელი წილი შვილობილ საწარმოში
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	0.47%	55	252

ამ შვილობილი საწარმოების შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასეთია:

ათას ლარში	მოკლე-ვადიანი აქტივები	გრძელ-ვადიანი აქტივები	მოკლე-ვადიანი ვალდებუ-ლებები	გრძელ-ვადიანი ვალდებუ-ლებები	ამონაგები	მოგება	მთლიანი სრული შემოსავალი	წმინდა ფულადი ნაკადები
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	6,535	41,472	4,897	1,738	25,101	11,788	11,788	330

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია ინფორმაცია არამაკონტროლებელი წილის მქონე თითოეულ შვილობილ საწარმოზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	არამაკონტროლებელი პაკეტის ხმის უფლების მქონე აქციების წილი	არამაკონტროლებელი წილისთვის მიკუთვნებადი მოგება	დაგროვილი არამაკონტროლებელი წილი შვილობილ საწარმოში
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	0.47%	33	197

ამ შვილობილი საწარმოების შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასეთია:

ათას ლარში	მოკლე-ვადიანი აქტივები	გრძელ-ვადიანი აქტივები	მოკლე-ვადიანი ვალდებუ-ლებები	გრძელ-ვადიანი ვალდებუ-ლებები	ამონაგები	მოგება	მთლიანი სრული შემოსავალი	წმინდა ფულადი ნაკადები
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	2,972	31,507	3,736	1,155	21,653	9,549	9,549	106

38. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარებოდა ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს, ასე გამოიყურებოდა:

ათას ლარში	მთლიანი თანხები ურთიერთ-გადაფარვამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ა)	მთლიანი თანხები ურთიერთ-გადაფარვის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბ)	წმინდა თანხა ურთიერთ-გადაფარვის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (გ) = (ა) - (ბ)	ურთიერთჩათვლასა და მსგავს სქემებს ოპერაციებს თანხები, რომლებიც არ არის ურთიერთგადაფარული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში		კრედიტის წმინდა თანხა (გ)-(დ)-(ე)
				ფინანსური ინსტრუმენტები (დ)	მიღებული ფულადი უზრუნ-ველყოფა (ე)	
აქტივები						
სხვა ფინანსური აქტივები:						
– საკრედიტო ბარათის მომსახურებასთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებული მოთხოვნები	68,482	963	67,519	20,963	-	46,556
– სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება, ასახული სხვა ფინანსურ აქტივებში	166,144	-	166,144	72,105	-	94,039
– წარმოებული ინსტრუმენტების მარჟა	13,501	-	13,501	13,501	-	-
ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს დაქვემდებარებული აქტივები	**248,127**	**963**	**247,164**	**106,569**	**-**	**140,595**
ვალდებულებები						
სხვა ფინანსური ვალდებულებები:						
– საკრედიტო ბარათის მომსახურებასთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებული დავალიანება	21,926	963	20,963	20,963	-	-
– სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება, ასახული სხვა ფინანსურ ვალდებულებებში	93,176	-	93,176	72,105	13,501	7,570
ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს დაქვემდებარებული ვალდებულებები	**115,102**	**963**	**114,139**	**93,068**	**13,501**	**7,570**

38. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა გაგრძელება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარებოდა ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს, ასე გამოიყურებოდა:

ათას ლარში	მთლიანი თანხები ურთიერთ-გადაფარვამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ა)	მთლიანი თანხები ურთიერთ-გადაფარვის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბ)	წმინდა თანხა ურთიერთ-გადაფარვის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (გ) = (ა) - (ბ)	ურთიერთჩათვლასა და მსგავს სქემებს ოპერაციებს თანხები, რომლებიც არ არის ურთიერთგადაფარული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში		
				ფინანსური ინსტრუმენტები (დ)	მიღებული ფულადი უზრუნ-ველყოფა (ე)	კრედიტის წმინდა თანხა (გ)-(დ)-(ე)
აქტივები*						
სხვა ფინანსური აქტივები:						
– საკრედიტო ბარათის მომსახურებასთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებული მოთხოვნები	73,056	-	73,056	34,628	-	38,428
– სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება, ასახული სხვა ფინანსურ აქტივებში	41,038	-	41,038	797	-	40,241
– წარმოებული ინსტრუმენტების მარჟა	20,762	-	20,762	20,762	-	-
ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს დაქვემდებარებული აქტივები	**134,856**	**-**	**134,856**	**56,187**	**-**	**78,669**
ვალდებულებები*						
სხვა ფინანსური ვალდებულებები:						
– საკრედიტო ბარათის მომსახურებასთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებული დავალიანება	34,628	-	34,628	34,628	-	-
– სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება, ასახული სხვა ფინანსურ ვალდებულებებში	62,474	-	62,474	797	20,762	40,915
ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს დაქვემდებარებული ვალდებულებები	**97,102**	**-**	**97,102**	**35,425**	**20,762**	**40,915**

38. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა გაგრძელება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ურთიერთგადაფარული თანხა (ბ) სვეტში არის შემდეგ ორ თანხას შორის უმცირესი: (i) მთლიანი თანხა (ა) სვეტში წარმოდგენილ ურთიერთგადაფარვამდე და (ii) მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტის თანხა, რომელიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას. ანალოგიურად, (დ) და (ე) სვეტებში წარმოდგენილი თანხები შეზღუდულია (გ) სვეტში წარმოდგენილი კრედიტის ოდენობით თითოეული ინდივიდუალური ინსტრუმენტისთვის, რათა არ მოხდეს საბოლოო წმინდა კრედიტის ოდენობის რეალურზე ნაკლებით გაცხადება.

ინფორმაციის გაცხადება არ ეხება მომხმარებლებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებს და დაკავშირებულ მომხმარებელთა ანაბრების, თუ ისინი არ არის ერთმანეთთან გაქვითული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

39. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი აფორმებს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისა და სავაჭრო მიზნით.

ათას ლარში	2024	2023
სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება, ასახული სხვა ფინანსურ აქტივებში	166,144	41,038
სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება, ასახული სხვა ფინანსურ ვალდებულებებში	(93,176)	(62,474)
სულ	**72,968**	**(21,436)**

სავალუტო ფორვარდები და სვოპები

როგორც წესი, ჯგუფი წარმოებული სავალუტო ინსტრუმენტებით ვაჭრობს ბირჟის გარე ბაზარზე პროფესიონალ კონტრაჰენტებთან სტანდარტიზებული სახელშეკრულებო პირობებით. წარმოებულ ინსტრუმენტებს აქვს პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულებები) პირობები ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსების ან სხვა ცვლადი მაჩვენებლების მერყეობის გამო, მათი ვადების გათვალისწინებით. წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული სამართლიანი ღირებულება დროდადრო შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

ცხრილში წარმოდგენილია ბალანსის თარიღისთვის მისაღები ან გადასახდელი ვალუტების სამართლიანი ღირებულებები ჯგუფის მიერ გაფორმებული სავალუტო ფორვარდებისა და სვოპების თანახმად. ცხრილში მოცემულია მთლიანი პოზიციები კონტრაჰენტის პოზიციების (და გადახდების) გაქვითვამდე და მოიცავს ხელშეკრულებებს შესაბამისი ბალანსის თარიღის შემდგომი ანგარიშსწორების თარიღებით.

39. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები გაგრძელება

	2024		2023	
ათას ლარში	ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით
სავალუტო ფორვადები და სვოპები: სამართლიანი ღირებულებები ბალანსის თარიღისთვის				
– აშშ დოლარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	(1,071,005)	(3,420,255)	(1,191,584)	(559,424)
– აშშ დოლარი ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	4,283,353	431,473	68,788	2,345,437
– ლარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	(422,451)	(232,841)	(47,973)	(181,665)
– ლარი ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	966,356	989,519	1,084,087	549,659
– ევრო ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	(3,546,479)	(187,570)	(33,344)	(2,309,183)
– ევრო ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	31,965	2,165,510	132,593	93,920
– ანგარიშსწორებისას გადასახდელი უზბეკური სუმი (-)	(934)	(111,370)	-	(14,523)
– ანგარიშსწორებისას მისაღები უზბეკური სუმი (+)	142,127	-	14,591	-
– ანგარიშსწორებისას სხვა გადასახდელი თანხები (-)	(310,064)	(49,584)	(45,828)	(25,570)
– ანგარიშსწორებისას სხვა მისაღები თანხები (+)	93,276	321,942	59,708	38,875
სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება	**166,144**	**(93,176)**	**41,038**	**(62,474)**
სავალუტო ფორვარდების და სვოპების წმინდა სამართლიანი ღირებულება	**72,968**			**(21,436)**

40. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

(ა) სამართლიანი ღირებულების იერარქია

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა იერარქიით, რომელიც ასახავს მნიშვნელოვანი საბაზრო ამოსავალი მონაცემების ემპირიულობას. სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგი სამი დონე განისაზღვრა:

- დონე 1 – ფინანსური ინსტრუმენტები, თუ მათი ღირებულება ემპირიულია აქტიურ ბაზარზე.
- დონე 2 - ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა მსგავსი ინსტრუმენტების ფასები კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე და ფასდება მოდელებით, რომლებიც იყენებს მნიშვნელოვან ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, კლასიფიცირდება მე-2 დონეში.
- დონე 3 - ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება შეფასების მეთოდებით, სადაც მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები არ ეყრდნობა ემპირიულ საბაზრო მონაცემებს.

(ბ) სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება ისეთი შეფასებაა, რომელსაც მოითხოვს ან უშვებს სააღრიცხვო სტანდარტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება, ასეთია:

40. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები გაგრძელება

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ. დონე 1	დონე 2	დონე 3	მთლიანი სამართლიანი ღირებულება	31 დეკემბერი, 2023 წ. დონე 1	დონე 2	დონე 3	მთლიანი სამართლიანი ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები								
ფინანსური აქტივები								
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით								
– კორპორაციული ობლიგაციები	68,280	1,247,354	-	**1,315,634**	40,466	1,184,535	-	**1,225,001**
– უცხო ქვეყნის მთავრობის სახაზინო თამასუქები	1,395,638	-	-	**1,395,638**	303,850	-	-	**303,850**
– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები*	-	2,652,100	-	**2,652,100**	-	1,944,132	-	**1,944,132**
– გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	140,058	-	-	**140,058**	-	-	-	**-**
